ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№11 (53)
ნოემბერი, 2017 წელი

ფასი
2 ლარი

ნომრის ავტორები
მიშა ბახსოლიანი & ანდრეი სენ-სენკოვი

პოეზია
გექა ახალაია
გიორგი ჩუთლაშვილი

პროზა
შალვა ბაკურაძე
ზურაბ გოგიძე

დრამატურგია
გია ეძგვერაძე

კრიტიკა
ლელა კოდალაშვილი – არჩილ ქიქოძეზე
ნორიკ ბადოიანი – ცოტნე ცხვედიანზე

თარგმანები
ლიუდმილა ულიცკაია
მაქსიმ ოსიპოვი

Андрей Сен-Сеньков

№11 (53) ნოემბერი, 2017 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, მიშა ბახსოლიანი, ნენე გიორგაძე, ბექა ახალაია, გიორგი ჩუთლაშვილი, შალვა ბაკურაძე, ზურაბ გოგიძე, გია ეძგვერაძე, ლელა კოდალაშვილი, ნორიკ ბადოიანი, ნათია ორმოცაძე, თამარ კოტრიკაძე

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

მიშა ბახსოლიანი

ეკა ქევანიშვილი – მიშა ბახსოლიანის გეტოს რეალიზმი

თქვენი არ ვიცი და მე, პირადად, ხანდახან ძალიან მჭირდება ისეთი წიგნები, რომლის კითხვის დროსაც ხმამაღლა შემიძლია ვიცინო, თავისუფლად, ძალდაუტანებლად, თავს რომ ვერ იკავებ ისე და, ფეხებზე გკიდია ყველაფერი, რაც გარშემო ხდება – მაგალითად, მეტროში ხალხი, ავტობუსი, რომელმაც გაგასწრო, უცებ დაჭერილი მკაცრი მზერა დადუმებულ ოფისში, სადაც ყველას კომპიუტერში აქვს თავი შერგული – შენ კი კითხულობ აი, ასეთ რამეს, მიშა ბახსოლიანისნაირ ტექსტებს და მუცელი ხელით გიჭირავს. ასეთი ბუნებრივი რეაქცია, მარტო ბუნებრივ და თანდაყოლილ იუმორს მოაქვს ლიტერატურაში – მე მგონი, ამის გამოგონება შეუძლებელია, თუ ასე არ ხედავ, ასე არ გრძნობ და ასე არ ჰყვები მოთხრობებში კი არა, სინამდვილეშიც. თუ არ გჯერათ – მისი სულ ცინცხალი მოთხრობების კრებული, «სასაუზმე პუდაპეშტი» მოიკითხეთ წიგნის მაღაზიებში. ეს ინტერვიუ კი მიშას მოთხრობების კრებულში ჩემი შესავალი იყოს.

სულ მეგონა, რომ შენ, როგორც ავტორი, თავიდანვე ცალკე იდეები და რასაც გინდა, იმას წერდი. როცა რას გინდოდა, იმას აკეთებდი. მცდარი წარმოდგენაა?

არ ვიცი. მას შემდეგ, რაც წერა დავიწყე, სულ ვცდილობ, რომ მარტო არ ვიყო. მაგალითად, თავიდან იყო პროექტი «ლაბორატორია», სადაც რამდენიმე ავტორი ვიყავით გაერთიანებული: ზურა ჯიშკარიანი, პაატა შამუგია, რკო, ბესკა და ყველაფერი, რასაც მაშინ ვწერდი, თითქოს მარტო ჩემი არ იყო, არამედ ყველა იმ ადამიანის,

რომელიც იმ დროს ჩვენთან ცხოვრობდა, სვამდა ან ეწეოდა. ირგვლივ ბევრი რამ ხდებოდა და უამრავ ისტორიას ჰყვებოდნენ. საჭირო იყო მხოლოდ სწორ დროს სწორ ადგილზე გაგღვიძებოდა და მიგეღო ყველაფერი, რასაც სამყარო შენთვის გამოიმეტებდა. მერე კი ყველაფერი ლიტერატურად ტრანსფორმირდებოდა. მაშინ მთავარი იყო ექსპერიმენტი, ახალი ფორმის და ფორმულების ძიება, მერე კი ყველამ ჩვენი გზა ვიპოვეთ.

არც თუ ცოტა დრო გავიდა მას მერე, რაც პირველი მოთხრობა გამოაქვეყნე – თუ გახსოვს, რა ტექსტი იყო ეს, რომლითაც მკითხველმა გაგიცნო?

პირველი მოთხრობის მსგავსი რაღაც სკოლაში დავწერე, ქართულის საკონტროლოსთვის მზად არ ვიყავი და თავისუფალ თემას ჩავუჯექი. ზუსტად არ მახსოვს, რაზე იყო, მაგრამ მახსოვს, როგორ ასწორებდა წერის პროცესი. როდესაც დავასრულე და ტექსტი მასწავლებელს მივაწოდე, ძალიან ბედნიერი ვიყავი, რადგან ვფიქრობდი, რომ რაღაც ძალიან მაგარი გავაკეთე. რეალურად იმ მოთხრობას არანაირი მხატვრული ღირებულება არ ჰქონდა, მაგრამ თავისი საქმე გააკეთა და საჭირო ნიშანთან ერთად, მასწავლებლის პატივისცემაც დავიმსახურე. მერე კარგა ხანს ლექსებს ვეჭიდავებოდი და ძირითადად lit.ge-ზე ვათავსებდი. იქვე დავდე პირველი მოთხრობაც, რომელსაც «იზას მხრები» ერქვა. მოთხრობა უბნის ბირჟაზე მდგომი ადამიანების ერთ ჩვეულებრივ

დღეს აღწერდა. ეს ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, იმიტომ, რომ კარგად ნაცნობ გარემოს აღვწერდი და ძალიან გაასწორა, როდესაც მკითხველსაც მოეწონა.

მაშინ მწერლობა რა უფრო იყო, ჰობი, მიზანი თუ რა? და დღეს?

საქართველოში მწერლის საქმიანობას ცოტა არასერიოზულად აღიქვამენ. ითვლება, რომ მწერლობა მაგარია, ვაუ, საღოლ, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მწერლობას ფული არ მოაქვს, მწერალი ფაქტობრივად, უსაქმურთან ასოცირდება. მიუხედავად ამისა, მაშინაც და დღესაც მწერლობა ერთადერთი საქმეა, რომლის კეთებაც მომწონს.

ამ წლების განმავლობაში რა შეიცვალა შენში, როგორც მწერალში?

ბევრი არაფერი. ისევ არ შემიძლია დავგეგმო, რომ დღეში 5 გვერდი დავწერო ან მოთხრობაზე მუშაობის წინ რამე სქემა ან მონახაზი შევადგინო. არ შემიძლია, დიდხანს ვიმუშავო ტექსტზე, არ შემიძლია დაწერილი ტექსტის წაკითხვა და მასში გრამატიკული შეცდომების აღმოჩენა. თან, ძირითადად, ისევ არაფხიზელი ვწერ და ერთადერთი, რაც ცალსახად უარესობისკენ შეიცვალა ისაა, რომ სულ უფრო და უფრო ცოტას ვწერ. არადა, იმედი მქონდა, ეს პირიქით

მოხდებოდა. სარეკლამო სააგენტოში მუშაობამ ცოტა ხელიც გამიფუჭა და ხანდახან საკუთარ მოთხრობებში, სრულიად არასაჭირო ადგილზე ჩასმულ სარეკლამო სლოგანებს ვპოულობ.

საერთოდ რა იყო ის მთავარი ბიძგი თუ მიზეზი, რის გამოც წერა დაიწყე თავის დროზე?

ცხოვრების რაღაც ეტაპზე მივხვდი, რომ არაფრის კეთება არ ვიცოდი, ჩემი დიპლომი ჩვეულებრივი ქაღალდი იყო, რომელსაც ვერაფერში ვიყენებდი. ის ცოდნაც, რაც სკოლაში და უნივერსიტეტში დავაგროვე, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ჩემი ცხოვრების წესი, რომელიც მუდმივად არაფხიზლად ყოფნას გულისხმობდა, მხოლოდ ერთ რამეში მეხმარებოდა, პანიკაში არ ვვარდებოდი და თითქმის ყველაფერი ფეხებზე მეკიდა. ასეთ პირობებში მწერლობა გამოსავალი აღმოჩნდა და როცა ვინმე კეთილმოსურნე ნაცნობი ან ნათესავი ტვინის ბურღვას მიწყებდა, რომ დრო იყო, რამის კეთება დამეწყო, მე ძალიან მშვიდად ვეუბნებოდი, რომ ძალიან მაგარ წიგნზე ვმუშაობდი და მალე ყველა პრობლემა მოგვარდებოდა. ამას ისე ხშირად ვიმეორებდი და ისე ყველასთან, რომ რაღაც მომენტში თვითონვე დავიჯერე.

როგორ ფიქრობ, რით აიხსნება ეს დაუოკებელი სურვილი მწერლებში, წერონ?

წერა ნარკოტიკივითაა, ერთხელ თუ შეჯექი, ვერასოდეს გადააგდებ. ყველა მწერალს განსახვავებული ლომკა აქვს, მაგრამ «პრიხოდი», ალბათ, ყველასთან ერთნაირია და ყოველთვის წერის დასრულების მომენტში დგება, ზუსტად იმ წამს, როდესაც ბოლო წერტილს სვამ და თან ძალიან

გეზარება უკვე დასრულებული ტექსტის გადაკითხვა და წერტილ-მძიმეების ჩასწორება.

და შენთვის რას ნიშნავს წერა? სხვა რა საქმეს შეადარებდი, რასაც ასეთივე სიამოვნება მოაქვს?

წერა, ალბათ, ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობას ჰგავს. ძალიან მინდა, რომ ოდესმე ისე დალაგდეს ჩემი და შარლეს ცხოვრება, რომ სოფელში წავიდეთ და სიმინდი და ლობიო თუ არა, ბალახი მაინც გავზარდოთ. ცხოველებსაც სიამოვნებით გავზრდიდი, თუმცა მე მაინც მცენარეები უფრო მიყვარს. თან ჩემი სოფელი, ორბელი, ძალიან მიყვარს, ბავშვობიდან ყოველ ზაფხულს იქ ვატარებ. მართალია, ზაფხული თანდათან პატარავდება და სამთვიანი არდადეგები ორკვირიანმა შვებულებამ შეცვალა, მაგრამ ეს ორი კვირაც საკმარისია იმისთვის, რომ სულ მახსოვდეს, თუ როგორ მაგრად მინდა იქ გადასვლა და მიწის ჩიჩქნა.

შენს მოთხრობებში, ერთი შეხედვით, უარყოფითი გმირიც კი რაღაცნაირად დადებითია – ეს გამიზნული ამბავია თუ ასე გამოგდის?

იმისთვის, რომ ამბავი დამაჯერებელი გამოვიდეს, ვცდილობ, პერსონაჟები დაწვრილებით აღვწერო. ეს თავისთავად გულისხმობს, რომ მათ დასახასიათებლად მხოლოდ უარყოფით მაჩვენებლებს ვერ გამოვიყენებ. თან აბსოლუტურად ცუდი არავინაა, კორკოტაც კი. ზოგიერთ პერსონაჟს საოცარი ნიჭიც აღმოაჩნდება ხოლმე. დავიწყებ იმით, რომ სულ ერთი გვერდი მჭირდება, რამე საზიზღრობა რომ გავაკეთებინო და მერე მთავარ გმირს დავაბრედინო, მაგრამ მერე თითქოს თავს მაცოდებს და მთხოვს, მასზე ცოტა მეტი ვიფიქრო, კიდევ ერთი შანსი მივცე და მხოლოდ მერე მოვკლა. ამასობაში კი საჭირო კაცი ხდება და

ხანდახან მთავარ პერსონაჟზე საინტერესოც. თუმცა ბოლოს მაინც ყველა კვდება.

თითქოს სულ შენი ასაკის ხალხსა და მათ ამბებზე წერ. ეს რატომ, მათ უკეთ იცნობ, თუ?

ხო, სხვებზე ბევრი არაფერი ვიცი. ძირითადად ჩემი მოთხრობები რეალურ ამბებზეა აწყობილი, ისეთებიც კი, რომლებიც ერთი შეხედვით ძალიან აბსურდულად გამოიყურება. მაგალითად, «სასაუზმე ბუდაპეშტი» რკოს მოყოლილი ისტორიაა და თუ არ მატყუებს, რეალური ამბავია. ისტორიის მიხედვით, კრიმინალებმა ქუთაისში გასტროლებზე ჩასული თეატრის დასი მოიტაცეს და მერე გამოსასყიდს ითხოვდნენ. დაახლოებით ასეა შექმნილი სხვა მოთხრობებიც.

როგორ გგონია, დღემდე დაწერილი ტექსტებიდან რომელი უფრო გამოგივიდა? ან ასე – რომელი ტექსტი მეტად გიყვარს?

ყველაზე მეტად ორი მოთხრობა მიყვარს: «მუშები» და «დაცემა». ეს ორიც რეალური ისტორიაა. «მუშების» მთელი დავიდარაბა ჩემი სახლის, კონკრეტულად კი რუსთავის ბინის 6 კვადრატული მეტრი სააბაზანოს რემონტისას მოხდა. მაშინ ორი პარტია მუშები გავუშვით და მესამემაც რაღაცები ცუდად გააკეთა, თუმცა ისე გვენატრებოდა საკუთარ უნიტაზში მოფსმა, რომ დავიკიდეთ, ფული გადავუხადეთ და მადლობებით გავუშვით. «დაცემის» მთავარი პერსონაჟი, კომისარიატის თანამშრომელიც, ჩემი ძველი ნაცნობია, რომელმაც უნივერსიტეტის სამხედრო კათედრიდან გამომაგდო. მე ამ გამოგდებას ვიმსახურებდი, რადგან თმას და წვერს არ ვიპარსავდი და ლექციებსაც იშვიათად ვესწრებოდი. თუმცა მახსოვს, მერე ჯგუფელებმა მითხრეს, კომისარს რუსთაველები არ

უყვარს, ერთხელ ვიღაც ძველ ბიჭს გაწვევის ფურცელი მიუტანა და მაგრად ცემესო.

შენი ტექსტების პირველი და მთავარი შემფასებელი ვინ არის?

შარლე. შარლე რომ არა, ჩემი ტექსტები წასაკითხად უვარგისები იქნებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებო, ჩემი ტექსტების პირველი რედაქტორიც შარლეა. თან თავიდანვე ასე იყო, მაშინაც კი, როდესაც ერთად არ ვიყავით.

არსებობს ისეთი მწერალი, რომლის მსგავსიც გინდოდა ადრე ყოფილიყავი? და ახლა?

ფილიპ დიკი. ტიპმა იმდენი სამყარო შექმნა, რომ ღმერთსაც კი აჯობა. ტოლკინი, ლავკრაფტი... მოკლედ, ასეთი ბევრია. თუმცა ძირითადად სამეცნიერო ფანტასტიკის და ფენტეზის ჟანრის მწერლების მშურს. იმენნა მშურს, ძალიან მინდა, რომ მეც შემეძლოს და მათ მსგავსად ვქმნიდე სამყაროებს, რომელიც ამ მოსაწყენი დედამიწიდან დროებით გაქცევაში მაინც დაგვეხმარება.

რა გიყვარს ზოგადად ლიტერატურაში და პირიქით, რა არ გიყვარს?

ისტორია, ამბავი, რაღაც, რასაც აქვს დასაწყისი და დასასრული. არსებობს ბევრი ტექსტი, რომ ძალიან მხატვრულად და მაგრადაა დაწერილი, მაგრამ არაფერს გიყვება. მსგავსი ლიტერატურის წაკითხვა ძალიან მეზარება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მიყვარს ფენტეზი და ფანტასტიკა. მიყვარს, როდესაც ძალიან დამაჯერებლად მიყვებიან ძალიან დიდ ტყუილს, ისე დამაჯერებლად, რომ მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე ვიცი, ყველაფერი გამოგონილია, მაინც ბოლომდე მჯერა.

იუმორი, ცოტა თვითირონია და ხანდახან სარკაზმი, კიდევ რა ახასიათებს შენს ტექსტებს?

ბევრი სისხლი, ძალადობა, უცენზურო სიტყვების და ტრუპების გროვა. ნამდვილი ადამიანები, რომლებშიც ადვილად ვცნობთ ჩვენს მეზობლებს, თანაქალაქელებს ან, სულაც, პოლიტიკოსებს. რაც მთავარია, ჩემს ტექსტებს ახასიათებს გულწრფელობა, მათ მკითხველს ისე ვაწვდი, როგორც ნებისმიერ მეგობარს მოვუყვებოდი, შეულამაზებლად და ნატურალური ენით.

ღია ფინალები რატომ გიყვარს? ხშირად იყენებ ხოლმე.

მოთხრობების დასრულება ძალიან მიჭირს და სიმართლე რომ ვთქვა, ისე ვასრულებ, როგორც მომიხერხდება. თითქოს სხვა გზა არც მაქვს ხოლმე. ხანდახან მეუბნებიან კიდეც, რომ ჩემს მოთხრობებს დასასრული საერთოდ არ აქვს და ბოლოში რამე სჭირდება, მაგრამ რაცაა, ეგაა. თავს ზემოთ ძალა არაა.

რამე ძალიან მწერლური მიზანი თუ გაქვს? აი, ამას და ამას დავწერ და ბლა ბლა...

მინდა, რომ ოდესმე 100 გვერდზე მეტი დავწერო. ერთი შეხედვით ძალიან ჩვეულებრივი და საწყალი სურვილია, მაგრამ მართლა მინდა. რამდენჯერმე ვცადე მცირე რომანის დაწერა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, სადღაც 30-35 გვერდის მერე ვიჭედები და იძულებული ვხდები, მოთხრობა რამენაირად დავასრულო. ძირითადად ყველა პერსონაჟს ვხოცავ და მერე ყველაფერი მარტივდება.

რა ჰქვია იმ ჟანრს, რომელშიც შენი მოთხრობები იწერება?

წარმოდგენა არ მაქვს. სხვისგანაც არ მომისმენია რამე შეფასება. ეგეთი ჟანრი რომ არსებობდეს – გეტოს რეალიზმი, მაგრად გაასწორებდა და ვიტყოდი, რომ მაგ ჟანრში ვწერ.

ვინ გინდა, რომ ერთ დღეს შეგაქოს, რომელმა მწერალმა?

ცოცხალი რომ იყოს, ქარჩხაძემ. ჩემი აზრით, საუკეთესო ქართველი მწერალია. კონკრეტულად, მისი ერთი, მოხუცი მსახიობი «ქარავნიდან», გედეონ რევია ალბათ საუკეთესო შემფასებელი იქნებოდა და მისი შექების მერე ნებისმიერი გემრიელად გაიბღინძებოდა. დღევანდელი ჯიგრებიდან ბესო ხვედელიძის აზრს ვაფასებ. ყოველთვის ჩესნად მეუბნება, როდესაც მოთხრობა ცუდი გამოდის.

როგორ გგონია, კომპრომისი ლიტერატურაში რამდენად დასაშვებია?

დაუშვებელია. თუმცა პირადად მე მქონია შემთხვევა, როდესაც ერთი კონკურსისთვის დაწერილი ერთგვერდიანი მინიატურიდან ყველა გინება ამოვიღე, რადგან ჩავთვალე, რომ სხვანაირად გაგზავნას აზრი არც ჰქონდა. არადა, ფულის მოგება მინდოდა, მინდოდა რა, ახლაც მინდა – ის კონკურსი ჯერაც არ დასრულებულა. თუმცა ყველაზე მეტად არ მოსულა კომპრომისი მთავრობასთან, არ შეიძლება მწერალი მეხოტბედ იქცეს

და, საერთოდ, მწერალმა მთავრობა არ უნდა აქოს. თუ ვერ ხედავ პრობლემას, სჯობს, საერთოდ არ დაწერო, რადგანაც პროსტა დაწერილი რაღაცები მაგარი კვერცხობაა.

ინტერნეტმა რამდენად მოახდინა შენზე, როგორც მწერალზე გავლენა? lit. ge-მ და ასეთმა სივრცეებმა?

lit.ge-მ ისეთი მაგარი საქმე გააკეთა, რომ არ ვიცი, ოდესმე თუ შევძლებ ადარნასესთვის (lit.ge-ს ადმინი და დამფუძნებელი ავთო სულაძე) შესაფერისი მადლობის გადახდას. lit. ge-მ ძალიან ბევრი ადამიანი დაარწმუნა, რომ წერა შეეძლო, ბევრი კრიტიკის მოსმენას მიაჩვია, ბევრი კი მიახვედრა, რომ დროს ტყუილად კარგავდნენ და ესეც ძალიან კარგია. ინტერნეტმა ახალგაზრდა ავტორებს საშუალება მოგვცა ადვილად მიგვეტანა მკითხველამდე ჩვენი ტექსტები, გაგვაცნო უამრავი ადამიანი, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც აგრძელებს ურთიერთობას.

ვინ არიან შენი გმირები, რა ადამიანები? შენი და მათი დამოკიდებულება როგორია?

ჩემი გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებსაც ცხოვრებაში რაღაც კარგად არ გამოუვიდათ და დასასჯელად ჩემს მოთხრობებში მოხვდნენ. ხშირად ჩემი გმირები ჩემი ნაცნობები, ან მინიმუმ, მეგობრის ნაცნობები მაინც არიან. ჩემი გმირები სუპერგმირები არ არიან.

რამდენად ხარ ხოლმე შენ თავად შენს ტექსტებში?

დაახლოებით იმ დოზით, როგორც სტენ ლიი მარველის ფილმებში.

ცოტა წარსულში რომ მივბრუნდეთ, არყის ბიჭს რატომ გეძახოდნენ-მეთქი, რომ გკითხო, ვინმეს შეიძლება გაეცინოს, იმდენად პირდაპირი მინიშნებაა, არადა, იქნებ სულაც სხვა ისტორიაა?

არა, ზუსტად ეგ ისტორიაა. პრინციპში, ჯერ ისტორია არცაა და ისევ სმის ფორმაში ვარ.

რუსთავის «გეტო» ხშირად და სხვადასხვა დოზით სულ არის შენს მოთხრობებში და სინამდვილეში როგორი იყო იქ ცხოვრება?

რუსთავი ძალიან მიყვარს. ჩვენს სახლს უმაგრესი ეზო ჰქონდა, სადაც დღესაც ძალიან ბევრი მეგობარი ცხოვრობს. უბრალოდ 90-იანი წლები მურტალი პერიოდი იყო საქართველოს ისტორიაში და რომ არა ეს ხალხი, ჩემი ბავშვობა ჯოჯოხეთი იქნებოდა.

როდის და სად დაიბადე, მერე შენებმა როგორ მოიტანეს შენამდე ეგ დაბადების ამბავი?

საბჭოთა კავშირში დავიბადე. თბილისის პირველ საავადმყოფოში, ნახალოვკაში. როგორც ვიცი, ადგილები არ იყო და მშობიარობამდე დედაჩემი პალატის ნაცვლად დერეფანში იწვა. მე რომ დავიბადე, იმ ღამეს ქვეყანას მილიარდობით ვარსკვლავი დანათოდა, თუმცა დედაჩემის სანახავად მოგვები მაინც არ მისულან, მარტო ბებიაჩემი ელოდებოდა ქვემოთ და ცდილობდა, მამაჩემს დაკავშირებოდა, რომელიც იმ დროს მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა. როცა დაუკავშირდა, ისიც ჩამოვიდა, ვიღაცებს მაყუთები გაუმაზა და ჩემს სანახავად ამოვიდა. მერე წავედით რუსთავში და ვცხოვრობდით საკმაოდ დიდხანს და ბედნიერად.

ბავშვობიდან ყველაზე მძაფრად რა გახსოვს?

წინა კორპუსში შუქი რომ მოდიოდა, მე და ჩემი ძმა ფანჯრიდან ვუყურებდით და მაგრად გვშურდა ხალხის, რომელიც ჩვენგან სულ რაღაც 20 მეტრში ცხოვრობდა. ერთი საათის მერე შუქი უკვე ჩვენთან მოდიოდა და იმათთან ქრებოდა. არ ვიცი, მაშინ ვინ იყო ენერგეტიკის მინისტრი, მაგრამ რაც მას ჩვენგან გინება ჰქონდა, ახლაც არ აცდეს ერთი. კიდევ მახსოვს, რომ 10 წლის დაბადების დღეზე სიუბორი მაჩუქეს, ერთგვარი სათამაშო კომპიუტერი, რომელიც დენდის ნაკლებად ნავაროჩენი ვარიანტი იყო და ისიც მახსოვს, რომ მარიო ვერასდროს დავხურე ბოლომდე, რადგან კომპიუტერიც ელექტროენერგიაზე მუშაობდა. მახსოვს, როგორ ასწორებდა რუსთავში თოვლი. მამენტ, ცოტა სტრანნი კია ნახევარუდაბნოში თოვლი, მაგრამ ნამდვილად მოდიოდა და ბავშვები გორებზე მივდიოდით, თან ცელოფნები მიგვქონდა. ვიფენდით ძირს და ძალიან სწრაფად მოვსრიალებდით. ისე, უშუქობას დადებითი მხარეებიც ჰქონდა. სახლში არავინ იჯდა და ყველა ეზოში ცდილობდა დროის გაყვანას. ბავშვები ათას რაღაცას ვთამაშობდით. ომობანას, შვიდქვაობანას, პაროლობანს, მეტ-ნაკლებად აზარტულ თამაშებსაც, როგორიცაა დომინო, ბურა და ჯოკერი. ადრეულ ასაკში ავითვისე და მშვენივრად ვიყენებდი ჯიბის ფულის შესავსებად. ხანდახან მსოფლიოს ყველაზე სუფთა მდინარე მტკვარზე სათევზაოდ დავდიოდოთ და იქვე ვცურავდით კიდეც. ზეპირად ვიცოდით, სად უნდა გვეჭამა ქლიავი, ყურძენი, თუთა და ფშატი, თუმცა ფშატი ყველგან იყო, სანამ ერთ დღეს შუქთან ერთად გაზიც არ გაითიშა და თითქმის ყველა ფშატი არ მოჭრეს. ყველაზე მძაფრად კი მაინც ერთი მოგონება შემომრჩა. წყალი გაითიშა დაახლოებით ერთი თვით. მე და მამაჩემი გარაჟის სახურავზე ავძვერით, შედარებით სუფთა თოვლი ტაშტებში და ვედროებში

ჩავყარეთ, სახლში ავიტანეთ და ვანაში ჩავყარეთ. მერე თოვლის დადნობას დაველოდე, მოვჯვი და მშვიდად ჩავრეცხე.

დედაშენზე და მამაშენზე როგორ ჰყვები ხოლმე ამბებს?

უფრო მამაჩემზე ვყვები. მკვდრებზე ლაპარაკი აუცილებელია. ისინი ხომ მარტო ჩვენს მოგონებებშიღა აგრძელებენ არსებობას. მთელი ცხოვრება ვკამათობდით, სიკვდილამდე რაღაც პერიოდით ადრე ლოგინად ჩავარდა და რაღაც პერიოდი საერთოდ ვერ იძინებდა. ხანდახან მასთან ერთად ვრჩებოდი, ღამე გადაცემები აღარ იყო და «რუსთავი ორზე» ფეშენ ტივის ვუყურებდით, თან ათას უაზრობაზე ვლაპარაკობდით და ამ ლაპარაკ-ლაპარაკში აღმოვაჩინეთ, რომ ერთმანეთს ძალიან ვგავდით. დედაჩემი ჩემი ძმაკაცი იყო, ყოველთვის ასე იყო.

საბავშვო ბაღში დადიოდი? მაგ პერიოდის მიშაზე მომიყევი.

ბებიაჩემი მასწავლებელი იყო. ჭამა არ მიყვარდა და ჩემთვის ლავაში მოჰქონდა. მერე ბებიას ეჩხუბებოდნენ, ცუდი მჭამელი გამოვაო, მაგრამ ახლა კარგი დიეტა არ მაწყენდა. ლავაშის გარდა ერთადერთ რამეს ვჭამდი, გაროხის სუპს, რომლის გაკეთებაც 2-3 წლის წინ ვისწავლე და ახლაც ხშირად ვჭამ. ზეიმებიც არ მიყვარდა, ხანდახან ახალი წელი ვიყავი და შავ ნაჭერზე დაკერებული წვიმებით აწყობილი ფორმა მეცვა. ეს წვიმები სულ ყელში მერჭობოდა და ნერვებს მიშლიდა, მე კიდევ ამ დროს ლექსები უნდა მეთქვა. ორი შეყვარებული მყავდა. ერთის გამო ჯგუფელთან ვიჩხუბე და ორივეს ტანსაცმელი დაგვეხა, მერე გვეშინოდა, რომ დაგვსჯიდენ და ლოგინის ქვეშ ერთად ვიმალებოდით.

შარლე როგორ შეგიყვარდა?

ვკითხე და არ ვიციო, ალბათ, მართლა არ იცის, ან ეწყინა, რომ აღარ მახსოვს და არ მითხრა. შარლე დიდხანს მიყვარდებოდა, მთელი შვიდი წელი და მერე ერთბაშად შემიყვარდა.

მამა რომ გახდი, რა შეიცვალა შენში?

გავსუქდი, თმის ცვენამ პიკს მიაღწია, უფრო ხშირად ვიგინები, უფრო იშვიათად ვწერ. უამრავი საბავშვო სიმღერა ვისწავლე და ქუჩაშიც კი მაგათ ვღიღინებ. ყველაზე მეტად ძილი მენატრება. თან ყველაფრის დამალვა და მაღალ თაროებზე შემოწყობა მიწევს. მაგრამ ბევრი ძალიან მაგარი რაღაცა მოხდა, მაგალითად ის, რომ რაღაცნაირი პასუხისმგებლობის გრძნობა გამიჩნდა. პირველად ცხოვრებაში სტაბილურად მუშაობის სურვილი მაქვს. სახლში დიდ დროს ვატარებ, ბავშვებთან ერთად ბევრ რაღაცას ვიხსენებ და თვითონაც ბავშვი ვხდები.

შენი შვილები როგორები არიან, გიყვარს მათზე დაკვირვება?

უფროსი ჩემი ასლია. რაღაც ქმედებებით ისე მგავს, რომ სულ ჩემს თავს მახსენებს. ამას წინათ შევთავაზე, რომ ფეხბურთზე შევიყვანდი. ფეხბურთელობა ჩემი ოცნება იყო, მაგრამ ჩემმა შვილმა დაიკიდა და ხატვაზე შემიყვანეო, მთხოვა. მეც ეგრევე დავთანხმდი, რადგან არ მინდა, ჩემმა შვილმა ჩემი ოცნებები აიხდინოს. სხვათაშორის, საკმაოდ კარგად ხატავს. უმცროსი საყვარელი დათვის ბელია. იდეალური ბავშვი იქნებოდა, ღამით ძილში ხელს რომ არ გვიშლიდეს. ძმისგან განსხვავებით, ყველაფერს ჭამს, რასაც საერთო მაგიდაზე წააწყდება და ძაღლივით იკბინება.

შენი ოჯახის წევრები შენს ტექსტებზე რას ამბობენ?

დედაჩემს და შარლეს მოსწონთ, ბებიაჩემს – ისე რა, ჩემს ძმას, კონკურსებზე რომ იმარჯვებს, ის მოთხრობები უყვარს.

ახლა სადაც მუშაობ, მოგწონს ეგ საქმე?

«ჰოლმსების» კოპირათერი ვარ, ჩვენებურად სცენარისტი, შესაბამისად, იქაც წერა მიწევს. არის პროექტები, რომელზე მუშაობაც ძალიან ასწორებს, თუმცა პირიქითაც ხდება. ერთი მხრივ, მუდმივად წერა რაღაცნაირად კარგ ტონუსში გამყოფებს, მეორე მხრივ, ცოტა ხელი გიფუჭდება. ის, რომ მწერალი ვარ, ჩემს საქმეს ძალიან ეხმარება, თუმცა ხანდახან ზედმეტად მხატვრული სცენარი გამომდის და მერე ვცდილობ, რომ ცოტა უფრო დავამიწო და უფრო რეკლამური გავხადო.

როგორ გგონია, რა ეტაპზე ხარ შენი მწერლობის?

ცოტა ხანში რომანი თუ არ დავწერე, დამერხევა. ასე მგონია, რომ რომანი იქნება ის, რაზეც ვამბობ ხოლმე, რომ რაღაც ახალი მჭირდება. თუმცა, შეიძლება, მოთხრობების წერაც საკმარისი იყოს. მთავარია, დუხი არ დავკარგო და მოთხრობებიც მოსაწყენი არ გახდეს.

წიგნებს მაღაზიაში ყიდულობ თუ ონლაინ და «კინდლის» სიკეთეები უფრო დააფასე?

ორივე ბიბლიოთეკას სისტემატურად ვანახლებ, თუმცა უფრო ხშირად მაინც ტრადიციულად, ფურცლებისგან აკინძულ წიგნებს ვეტანები. «იოტა რიდერს» ძირითადად მოგზაურობის დროს ვიყენებ ან სოფელში მიმაქვს.

კითხვას შენი დღის რამდენი პროცენტი უჭირავს? ნუ, მიახლოებით.

ისე სწრაფად ვკითხულობ, როგორც ვლაპარაკობ. თუ რამის კითხვა დავიწყე და დამაინტერესა, შეიძლება, სამსახურშიც არ წავიდე, სანამ არ დავამთავრებ. ერთი პერიოდი გლდანში ვცხოვრობდი და მეტროთი ვმოძრაობდი და მაშინ ტრანსპორტშიც ხშირად ვკითხულობდი. თუმცა ხანდახან შეიძლება ერთი კვირა ისე გავიდეს, რომ საერთოდ არაფერი წავიკითხო «მსოფლიო სპორტის» გარდა.

ყველაზე მალე რა გბეზრდება?

პერსონაჟები და ასე ხშირად იმიტომ ვხოცავ ხოლმე. ჯოკერის თამაში ადამიანებთან, რომელთაც თამაში არ იციან. ფეხბურთის ყურება, თუ რომელიმე იტალიური გუნდი ან საქართველოს ნაკრები არ თამაშობს. მუშაობა 6 საათის შემდეგ.

სიყვარულებში განსაცდელები თუ გამოგრევია? და როგორ უმკლავდები ხოლმე?

აღარც კი მახსოვს ბოლო განსაცდელი როდის იყო. ისე, ადრე ყველაფერს ალკოჰოლით ვუმკლავდებოდი.

გინდა ხოლმე, რომ უფრო პოპულარული იყო?

რატომაც არა. საერთოდ იდეალური იქნებოდა, რომ მწერლობით იმდენ ფულს ვაკეთებდე, რომ სხვა საქმის კეთება აღარ მიწევდეს.

როცა იგებ, რას ფიქრობ ხოლმე და როცა აგებ – მაშინ?

ორივე შემთხვევაში ვიგინები. როცა ვიგებ – გახარებული, როცა ვაგებ – ნერვებმოშლილი. ისე, ყველაზე ძალიან ის მომენტი მიყვარს, სანამ გამარჯვებული გამოცხადდება და საკუთარ თავს ისე წურავ, როგორც ტოტალიზატორის ბილეთს.

წერასთან დაკავშირებით უფრო გაქვს გეგმები თუ უფრო სხვა რამეა, რისკენაც მიშა ბახსოლიანი მიდის?

მინდა, რომ სერიალის სცენარი დავწერო, ოღონდ რამე ისეთი, რასაც მე თვითონ სიამოვნებით ვუყურებდი და არა «ბლანკოს ქვრივი». კიდევ მინდა, რომ ფენტეზის ჟანრში მოვსინჯო ჩემი თავი, მაგრამ ეგ ნაკლებად რეალური მგონია.

სადღაც 20 წლის მერე სად ხარ, როგორ გგონია?

მთავარია, ვიყო.

სიკვდილის მუზეუმი

* * *

მინის ტიხარს შუბლით ვეყუდები. მინა ცივია და მიხარია, რომ კიდევ შემიძლია სიცივის შეგრძნება. უაზროდ ვიყურები. დარბაზში ბნელა და დილის 8 საათამდე არაფერი გამოჩნდება. რვაზე საუზმეს მომიტანენ, შვრიასა და ერთ ნაჭერ უცხიმო ყველს. მეზობელი ოთახიდან ხველების ხმა ისმის. იქ რობერტი წევს, მეხანძრე, რომელსაც სიგარეტი ძალიან უყვარდა და ახლა ფილტვის კიბოს ებრძვის. თუმცა არა. ბრძოლა მაშინ დაასრულა, როცა აქ გადმოიყვანეს. ახლა უბრალოდ წევს და სიკვდილს ელოდება. მთავარი ექიმის ვარაუდით 27 ნოემბერს, დილის ხუთ საათზე მოკვდება. მთავარი ექიმი იშვიათად ცდება. თუმცა ჩვენ, მოწყენილ ექსპონატებს, საქმე არაფერი გვაქვს და ხანდახან მომვლელებთან სახალისო ნიძლავებს ვდებთ. მაგალითად, რობერტი თუ ექვსის ნახევარზე მოკვდება ან სულაც ექვსზე, დიანა ბერიძე 2 კილო ვაშლს მომიტანს, თან გოლდენს. თუ არადა, შვილისთვის თემას დავუწერ. მისი შვილი იურისტია. ამჟამად რომის სამართალს სწავლობს. რომი ჩემი საყვარელი თემაა. აქ მოსვლამდე მეც იურისტი ვიყავი. ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატი. ჩემს კლიენტებს შორის თვით პრემიერიც იყო, თუმცა მანამდე, სანამ პრემიერი გახდებოდა. მაშინ ის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი იყო და დიდი რაოდენობით ჯართის გაყიდვაში ედებოდა ბრალი. მისი უდანაშაულობა ადვილად დავამტკიცე და მერე დიდხანს ვმეგობრობდით კიდეც. ხო, მართლა, ჩვენზე ფულის დადება ტოტალიზატორშიც შეიძლება, ერთადერთი, ვისაც თამაში ეკრძალება, ექიმები და მუზეუმის ადმინისტრაციაა.

რობერტის ხველა მატულობს. ასე თუ გაგრძელდა, 27 ნოემბრამდე ვერ მიაღწევს. თავის ტკივილი მეწყება, საწოლთან მივდივარ და ბალიშის ქვეშ დამალულ აბებს ვიღებ. ისინი შვილმა მომიტანა, ერთგვარი ნარკოტიკია, ტკივილს მიყუჩებს, მამშვიდებს და ძილს მგვრის. ერთადერთი ცუდი ის აქვს, რომ საშინელ სიზმრებს ვნახულობ და დილით დაღლილი ვიღვიძებ, მაგრამ საერთოდ უძილობას ისევ ეს ჯობს. აბი თეთრია, ნახევარმთვარის ფორმა აქვს და ენის ქვეშ იმდენ ხანს ვიჩერებ, სანამ ბოლომდე არ დადნება. მერე ვწვები და ვიძინებ.

* * *

წყალში ვარ. აკვალანგით და მხარზე გადაკიდებული ჰერმეტული ჩანთით დამძიმებული სიღრმეში ვეშვები. წყალი მუქდება, თუმცა ქვემოთ უცნაურ ნათებას ვამჩნევ, როგორც ჩანს, ზუსტად მისკენ მივდივარ. არ ვიცი რატომ, მაგრამ ძალიან მშვიდად ვარ და მჯერა, ცუდი არაფერი მოხდება. ფეხებს ფსკერზე ვადგამ, უცნაურია, მაგრამ ძირს ასფალტია, ის კი არა და მკრთალი ღერძული ხაზიც ეტყობა. როგორც ჩანს, ოდესღაც დიდი, ჩქაროსნული ავტობანი იყო. მარჯვნივ მინის გუმბათი დგას, შუქი იქ ანთია. გუმბათს კარი აქვს. როდესაც ახლოს მივდივარ, კარები იხსნება და შიგნით შევდივარ. პატარა ოთახია, მთლიანად წყლითაა სავსე. კარი იხურება და ოთახი წყლისგან იცლება. შემდეგ მეორე კარი იხსნება და კიდევ უფრო ღრმად შევდივარ. ჩემს წინ ტყეა, წიწვოვანი ხეების ტყე. მინდორი ყვითელი წიწვებითაა დაფარული. ერთ-ერთი ხის ძირას ლურჯი პლედია გაშლილი, პლედზე შიშველი და ავადმყოფურად თეთრი გოგონა წევს, წიგნს კითხულობს და ნაზუქს ჭამს.

– რა მომიტანე? – მეკითხება ისე, რომ წიგნს თვალს არ აშორებს და უცბად ყველაფერი მახსენდება.

აკვალანგს ვიხდი და მუცელზე მიკრულ წიგნს ბალახზე ვდებ. ვტრიალდები და ტყისკენ მივდივარ. თან ჩანთას მივათრევ, ჩანთა პროდუქტებითაა სავსე, რომელიც გოგოს ერთი კვირა უნდა ეყოს. ის ქალაქის მერის შვილია, რომელმაც სულელური ექსპერიმენტის გამო ტუბერკულიოზი აიკიდა და ახლა სრულიად საიდუმლოდ სურამში მკურნალობს. ხო, ეს სურამია, უფრო სწორად კი სურამის ტყის პატარა გზისპირა მონაკვეთი. სურამი ხაშურჰესის მშენებლობის შემდეგ წყალმა დაფარა, ისევე, როგორც საქართველოს ტერიტორიის 82%. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რუსეთმა გაზის მიწოდება შეგვიწყვიტა, აზერბაიჯანში კი გადატრიალება მოხდა და მურთაზ ალიევმა საქართველო აირჩია თავშესაფრად. საბოლოოდ ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისი დაიწყო და ხალხმა გასათბობად ტყეების უდიდესი ნაწილი გაჩეხა. მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ქვეყანა ზემძლავრ ენერგოგიგანტად ექცია და დაიწყო ერთადერთი ხელმისაწვდომი რესურსის, წყლის გამოყენება. პირველი ხუდონჰესი აიგო, მას მოჰყვა ნამოხვანჰესი, შემდეგ კი მთელი საქართველო კაშხლებმა დაფარა. საცხოვრებლად დარჩა უზარმაზარი კედლებით შემოღობილი ხუთი ქალაქი: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი და ახალციხე. ჩაძირვას გადაურჩა რამდენიმე დაცული ტერიტორია, ძირითადად მაღალმთიან რეგიონებში. ქალაქებს შორის მთელი სივრცე წყლით დაიფარა და გადაადგილების ყველაზე პოპულარულ საშუალებად იალქნიანი ტრანსპორტი იქცა. კაშხლების მშენებლობის პროცესში იუნესკომ საქართველოს მთავრობას 400 უზარმაზარი მინის გუმბათი აჩუქა. ისინი ყველაზე მნიშვნელოვანი

ობიექტების დასაცავად დამონტაჟდა, მაგრამ მოგვიანებით მათი მოდიფიცირება მოხდა, გუმბათებს ჟანგბადისა და ელექტროენერგიის მიწოდების სისტემები დაუმონტაჟდა, რამაც წყალქვეშა ტურიზმის განვითარებას შეუწყო ხელი. თბილისთან გაერთიანდა მცხეთა და რუსთავი. აშენდა ოთხიარუსიანი და 3 მილიონ მცხოვრებზე გათვლილი მეგაპოლისი. პირველ იარუსი ჯურღმულია, სადაც მოსახლეობის 70 % ცხოვრობს. მეოთხე იარუსზე კი მერიაა და უზარმაზარი ბოტანიკური ბაღი. თუმცა ხალხს ეს ფეხებზე ჰკიდია, მთავარია ყველა დასაქმებულია და მშიერი არავინ კვდება. მერის გოგო, რომელსაც მადლიერი ხალხი მადონას ეძახის და რომელიც მთელ ქალაქს გვიყვარს, ოჯახიდან წავიდა და ექვსი თვე პირველ იარუსზე იცხოვრა. მას სურდა მამისთვის დაემტკიცებინა, რომ იქ გაუსაძლისი პირობებია და საჭიროა სერიოზული სარემონტო სამუშაოები, მაგრამ ტუბერკულიოზმა ისე შეაშინა, რომ იძულებული გახდა, მშობლისთვის დახმარება ეთხოვა. მერი დათანხმდა, წყალქვეშა სურამში გამოუშვა და ცხოვრებისთვის ყველა პირობა შეუქმნა, ქალაქს კი განუცხდა, რომ ქალიშვილი დაეღუპა. დღეს ის უკვე წმინდანადაა შერაცხული და პირველ იარუსზე მისი სახელობის ეკლესია შენდება. გოგომ ეს არ იცის და ვერც ვერასდროს გაიგებს. მამამისი კი სავარაუდოდ არჩევნებს დიდი უპირატესობით მოიგებს. მე მყვინთავი ვარ და იმის გამო, რომ წყალქვეშ ტურიზმი ძალიან პოპულარულია, მეორე იარუსზე ვცხოვრობ. ამ მისიისთვის რატომ შემარჩიეს, არ ვიცი, ყოვლად ჩვეულებრივი გიდი ვარ, მწვანე მონასტერში დამყავს ხალხი და ხანდახან პირველი იარუსის შავი ბაზრისთვის წყალქვეშა ნაპოვნი ძველი ნივთები ამომაქვს და მსუბუქ ნარკოტიკებზე ვცვლი. მერი არ მიყვარს, მაგრამ როგორც ყველას, მეშინია და ბრძანებას უსიტყვოდ ვასრულებ.

ტყის სიღრმეში სახლი დგას, სახლში მზარეული მხვდება, პროდუქტებს ვუტოვებ და მოვდივარ. მზარეული მტრულად მიყურებს, რატომღაც ძალიან არ მოვწონვარ. უკან ვბრუნდები, გოგო ჩაცმული მხვდება. მიღიმის, ვატყობ, ჩემი არჩეული წიგნი მოეწონა.

* * *

დიანა ატირებული შემოვიდა, შვრიისფაფიანი თეფში ხმაურით დაახეთქა მაგიდაზე და მაშინვე გავარდა. სამწუხაროა, უცხიმო ყველი დაავიწყდა, არადა ძალიან მიყვარს. ჭამას ზუსტად 7 წუთში ვამთავრებ, შეზლონგი ტიხართან ახლოს მიმაქვს და ჩვეულ პოზაში ვჯდები. ნახევარ საათში მუზეუმი იხსნება და მზად უნდა ვიყო. სასაცილოა, მაგრამ მინდა დამთვალიერებლებს მოვეწონო. ჯერ პოპულარობა ვერ მოვიპოვე და გამვლელები ჩემს ვიტრინასთან რამდენიმე წამით თუ შეყოვნდებიან ხოლმე, ალბათ იმიტომ, რომ სხვების ფონზე ზედმეტად ჯანმრთელად გამოვიყურები და მომაკვდავს არაფრით ვგავარ. დილის ცხრა საათზე პირველი ჯგუფი შემოდის. როგორც ყოველთვის, სკოლის მოსწავლეები არიან, მათთვის მუზეუმში შემოსვლა უფასოა. წინ მასწავლებელი მოუძღვებათ, სავარაუდოდ, ის მუზეუმის მნიშვნელობაზე ლაპარაკობს, უხსნის, რომ ვალდებულნი არიან, ბავშვობიდანვე თვალი გაუსწორონ რეალობას. ასეა, ადამიანი მოკვდავია. ეს ყველაზე უტყუარი ჭეშმარიტებაა, ამავდროულად არაფერია ისე საინტერესო, როგორც მომაკვდავი ადამიანის უკანასკნელი ამოსუნთქვა ან უკანასკნელი გამოხედვა. თანაც ადამიანებს ყოველთვის სურდათ მათი სიკვდილი მნიშვნელოვანი ყოფილიყო და, ასე რომ ვთქვათ, ტყუილად არ მომკვდარიყვნენ. მუზეუმი კი ყველაზე უმნიშვნელო ადამიანსაც საშუალებას აძლევს

მაყურებლებით გარშემორტყმული ნამდვილი ვარსკვლავივით მოკვდეს. მასწავლებელი ხანდახან ყველაზე საინტერესო ექსპონატებთან ჩერდება და ბავშვებს სთხოვს, ყურადღებით დააკვირდნენ მომაკვდავ ადმიანებს. ბავშვები რობერტის ვიტრინასთან ჩერდებიან, რობერტი იგინება, მაგრამ ხველა ეწყება, ისე ახველებს, შეიძლება დაიხრჩოს კიდეც. ბავშვები თვალებგაფართოებულები უყურებენ, ძალიან შეშინებულები არიან, მასწავლებელი კი ისევ რაღაცას ლაპარაკობს. სისულელეა ეს ყველაფერი, მე მგონი დროა, კანონი გადაიხედოს და 14 წლამდე ასაკის ბავშვების შემოსვლა აიკრძალოს. რატომღაც ამაზე ფიქრი მახარებს, კალამი რომ მაშოვნინა, პატარა ნაშრომს დავწერდი, სადაც დასაბუთებული იქნებოდა ჩემი მოსაზრება, შემდეგ დიანას ბიჭს მივცემდი და ის პარლამენტში გააგზავნიდა. იქ ჭკვიანი ხალხი ზის და აუცილებლად მიხვდებოდნენ, რომ მართალი ვარ. რობერტი თუ მართლა 26-ში მოკვდება, თემის ნაცვლად დიანას ბიჭი ამ ნაშრომს მიიღებს. ბავშვები ჩემს ვიტრინასთან გულგრილად ჩერდებიან, უინტერესოდ, მოვალეობის მოხდის მიზნით მათვალიერებენ და გზას აგრძელებენ. ჩემს შემდეგ ნუცაა გამოფენილი, 22 წლის გოგონა. აქ მოხვედრამდე მუსიკოსი იყო, სატელევიზიო შოუში გაიმარჯვა და მოგებული მანქანით ავარიაში მოყვა. თურმე ტარება არ იცოდა, მაგრამ ამის აღიარება შერცხვა და საჭესთან დაჯდა. ნუცა კომაშია, შეიძლება გადარჩეს კიდეც, მაგრამ მუზეუმს ვერასოდეს დატოვებს, ის სიკვდილამდე მინის ვიტრინის მიღმა იწვება. 10 საათზე ჩემი შვილი მოდის, ეს აკრძალული არაა, მაგრამ შიგნით შემოსვლის უფლება არ აქვს. ვიტრინასთან დგას და სევდიანად მიყურებს, სალაპარაკო ბევრი არაფერი გვაქვს. სანამ აქ მოვხვდებოდი, მაშინ უფრო იშვიათად ვხედავდით

ერთმანეთს. რამდენჯერმე ვეჩხუბე და სახლიდან წავიდა. ახლა ვეცოდები და ყოველ დილით მნახულობს. ნარკოტიკს მომვლელს აძლევს და ცოტა ფულსაც უტოვებს, რომ ყურადღება მომაქციოს. ფული ბევრი აქვს, ნარკოტიკებიც. ცოტა ხანში დიანა შემოდის. დილით მოწყობილი წარმოდგენისთვის ბოდიშს მიხდის და ყველის ნაჭერთან ერთად რამდენიმე აბი ნახევარმთვარეც შემოაქვს. როგორც ჩანს, ჩემს ბიჭს ქალაქგარეთ უწევს გასვლა და მარაგს მიტოვებს. საინტერესოა, დილით რომ მივიღო, ისევ დამაძინებს, თუ უბრალოდ ხასიათს შემიცვლის და დღის გადატანაში დამეხმარება.

* * *

– წაკითხული გაქვს? – მეკითხება გოგო და ჩემს ჩამოტანილ წიგნს მაჩვენებს.

მასთან ლაპარაკი აკრძალული მაქვს. თითქოს ვინმე გაიგებს, მზარეული სახლშია და სადილს უმზადებს, მაგრამ არაა გამორიცხული, სადმე კამერები ეყენოს. თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ და აკვალანგის ჩაცმას ვიწყებ.

– შეგიძლია, ცოტა ხანს დარჩე?

ისევ არ ვპასუხობ და ჩაცმას ვაგრძელებ. მიახლოვდება, მხარზე ხელს მადებს, თითქოს ჩაცმაში მეხმარება და თან ჩურჩულით ამბობს.

– აქედან უნდა გამიყვანო.

მშორდება და იქვე დგება.

მის ნათქვამზე ვფიქრობ. დარწმუნებული ვარ, არ მეთამაშება და აქედან გასვლა მართლა უნდა. მეც მინდა, რომ წავიყვანო და ეს სულაც არაა ძნელი საქმე. საჭიროა

იახტაზე დავბრუნდე და სათადარიგო აკვალანგი ჩამოვიტანო. მაგრამ ეს შეუძლებელია. მერი ორივეს მოგვკლავს, ან მე მომკლავს, მას კი აქ დააბრუნებს და ჩემზე ერთგულ მყვინთავს გამოუშვებს. ჯანდაბა, სჯობდა ამ ამბავში საერთოდ არ გავრეულიყავი. აკვალანგის ჩაცმას ვასრულებ და კარისკენ მივდივარ, სიჩქარეში ჩანთა მრჩება. გოგო გახსნილ კართან მეწევა და გასასვლელ ოთახში ჩემთან ერთად შემოდის.

– აქ კამერები არ აყენია, – ვამბობ ჩუმად და ალბათ ამ ბაჯბაჯა აკვალანგში ძალიან სასაცილოდ გამოვიყურები.

– როგორღაც ქალაქში უნდა მიმიყვანო, მამაჩემი მონსტრია, არჩევნები თუ მოიგო, არაფერი შეიცვლება და უამრავი ხალხი დაიხოცება. უკვე იხოცებიან კიდეც, თვითონ ვნახე, რაც ქვემოთ ხდება. არ ვიცი, რა გითხრეს, მაგრამ აქ ჩემი ნებით არ წამოვსულვარ. ღამე ნიღბიანებმა მომიტაცეს და აქ მომიყვანეს, მამაჩემიც აქ დამხვდა და დამპირდა, რომ აქედან გასვლას თუ ვეცდები, მომკლავს.

– ისედაც ყველას მკვდარი ჰგონიხარ, ქალაქში შენ სახელზე ეკლესიას აშენებენ.

– ნაბიჭვარი. ყველაფრით ქულებს იწერს. გთხოვ, მოიფიქრე რამე. მთავარია, ქალაქამდე მიმიყვანო, იქ ბევრი მომხრე მყავს და ყველაფერს გამოვასწორებ.

– არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებ?

– აუცილებლად. რეალურად მამაჩემს ჩემ მეტი ვერავინ დაამარცხებს.

– კარგი, ავალ, აკვალანგს ჩამოვიტან.

– მაგის დრო არ არის, ახლავე წავიდეთ, უბრალოდ ხელი მომკიდე და ზემოთ ასვლაში დამეხმარე.

– ზედაპირამდე 20 მეტრზე მეტია.

– არაუშავს, რომ გამიჭირდება, შენი ნიღაბი მათხოვე.

– მაშინ შენ ჩაიცვი აკვალანგი.

– ხომ გეუბნები, დრო არ გვაქვს, ალბათ უკვე დააფიქსირეს, რომ ტყეში არ ვარ და ვინმე გამოაგზავნეს.

ხელს მკიდებს და კარისკენ თამამად მიდის. კარი იღება და ოთახში წყალი შემოდის.

* * *

სამი საათია, თვალს ვახელ და ვიტრინის წინ ოცამდე ადამიანს ვხედავ. ამჩნევენ თუ არა, რომ გავიღვიძე, მათ სახეებზე რაღაც იმედგაცრუების მსგავსი ისახება და აქეთ-იქით იფანტებიან.

ცოცხალი ყოფილა, – უკმაყოფილოდ ამბობს ერთი და რობერტისკენ მიდის.

უცნაურია, მგონი მუზეუმი ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. რაღაც მეეჭვება, აქ მოსვლით, ადამიანები თანაგრძნობას სწავლობდნენ, პირიქით, სვავებივით არიან, ერთი სული აქვთ, დავიხოცოთ, რომ ჩვენგან გამოთავისუფლებული ენერგია მიითვისონ და ახალი ემოციით გაძღნენ. არადა, ხომ უნდა ხვდებოდნენ, რომ დღეს თუ ხვალ თვითონაც აქ მოხვდებიან. პრინციპში, ერთის ან თუნდაც ოცის მაგალითზე საბოლოო დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რომ ჩემი გაღვიძება ამდენ ადამიანს ეწყინა.

დარბაზში ჩემს ყოფილ მდივანს, ლიზას ვამჩნევ, შეშინებული სახე აქვს და ვიღაცას დაეძებს, შეიძლება ეს ვიღაც მე ვიყო. ასეცაა. მოდის და მინას ხელს ადებს, ხელზე რაღაც აწერია, მაგრამ ეტყობა, წარწერა ოფლმა



დაასველა, გადაიდღაბნა და წაკითხვა მიჭირს. გაკვირვებული მხრებს ვიჩეჩავ და მინასთან ახლოს მივდივარ. აქედან უკეთ მოჩანს. წარწერას ვკითხულობ, მაგრამ ვერაფერს ვხვდები. არენდოგიას – ზუსტად ასე, ერთად წერია. გია ჩემს ბიჭს ქვია. მეტი არავინ მახსენდება. ლიზას თავის დაქნევით ვანიშნებ, რომ ყველაფერს მივხვდი, მაგრამ სინამდვილეში სულერთია. ლიზას თვალებში სიხარულს ვამჩნევ და როცა მიდის, ინსტინქტურად საჯდომზე ვუყურებ. ტუალეტში გასვლის დრო დგება, ღილაკს თითს ვაჭერ და მომვლელს ვიძახებ. ტუალეტი ერთადერთი ადგილია, რომელსაც გამჭვირვალე კედლები არ აქვს. უნიტაზზე მყუდროდ ვჯდები და დახურულ კარს ვუყურებ, კარი სარკიანია. კარგია, ჯერ ისევ სიმპათიურად გამოვიყურები. ხელებს ვიბან და ვიტრინაში ვბრუნდები. მალე პიკის საათი დაიწყება, სამსახურებიდან დაბრუნებული ხალხი მუზეუმს მოაწყდება და ამ დარბაზში ტევა არ იქნება. 4 წლის წინ მუზეუმის მარკეტინგის ჯგუფმა ექიმებთან კონსულტაცია გაიარა და პატარა სარეკლამო რგოლი გააკეთა. იქ სტატისტიკა იყო ნაჩვენები, საიდანაც ვიგებდით, რომ ყველაზე ხშირად ადამიანები საღამოს 7-8 საათის შუალედში იხოცებოდნენ. მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს თაღლითობა იყო. ადამიანები ყველაზე ხშირად გვიან ღამით ან დილაუთენია იხოცებიან, მაგრამ ამ დროს მუზეუმი დახურულია. მოკლედ, ცოტა ხანში ხალხი

მოგვაწყდება, მე კი რაღაც ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ, თითქოს თავის ტკივილი დამეწყო და გულიც მერევა. კიდევ ერთ ნახევარმთვარეს ვიღებ, მეჩვენება, თითქოს სხვა გემო აქვს, ოდნავ მომწარო, ალბათ აბები კუჭს მიღიზიანებს, უფრო სწორად, იმას, რაც კუჭიდან დარჩა.

* * *

ქალაქისკენ მივცურავთ. მარი კაიუტაშია და გაბმულად ახველებს. მადონა არ დამიძახოო, ამიკრძალა. კარგად იცურა. არ ველოდი. იოლად ამოვედით. ქალაქში მისვლამდე ერთგან უნდა ჩავყვინთო და რაღაც ამოვიტანო. გული მიგრძნობს, დღის ბოლომდე გამომადგება. მარიმ მითხრა, მზარეულს ისე შეეშინდება, არავის არაფერს ეტყვისო. არ მჯერა, მაგრამ ფაქტია, ჯერ არავინ მოგვდევს. ყველაფერი თუ კარგად წავიდა, 10 საათისთვის, მეთევზეების უბანში ვიქნებით, მარის იქ მეგობრები ჰყავს და საარჩევნო შტაბის მოწყობას აპირებს. დარწმუნებულია, რომ მოიგებს. მის ოპტიმიზმს ბოლომდე არ ვიზიარებ, მაგრამ შანსი არის. არ ვიცი მესამე იარუსზე რა ხდება, სადაც პოლიცია და ჯარი ცხოვრობს, მაგრამ წესით მერი არც მაგათ უნდა უყვარდეთ. ზედმეტად თვითკმაყოფილი ნაბიჭვარია. მთავარია ხალხმა დაინახოს, რომ მერმა შვილის სიკვდილი დადგა და მერე ცხელ გულზე ყველაფერს დაიჯერებენ. კაიუტაში ჩავდივარ, გოგო წიგნს კითხულობს, როგორც ჩანს, ჩემს ჩანთაში ჩააგდო, უკან რომ მომდევდა.

– მართლა წაკითხული გაქვს?

– კი, მაგრამ დიდად არ მომწონს, რაღაცნაირი წიგნია, მოსაწყენი.

– მე ძალიან მომწონს.

– დასასრული აქვს მურტალი.

– არ მითხრა, მაგრამ მგონი ვხვდები, მამამისის მოკვლა უნდა ხო?

– არ გეტყვი, რაღა დაგრჩა, მალე გაიგებ. აუ, მოდი, ცოტა ხანს ზემოთ გაჩერდი. აქ უნდა ჩავყვინთო. 20 წუთში ამოვალ.

მარის ჩემი ტანსაცმელი აცვია, ცოტა დიდი აქვს, მაგრამ უხდება. ჩაშვებას რომ ვიწყებ, ხელს მიქნევს. რაღაცნაირი გოგოა, ზედმეტად საყვარელი. ახლა გორის თავზე ვარ. აქ ადრე სამხედრო ბაზები იყო. ერთი ახლაც ხუფქვეშაა. მართალია ძირითადად ძველებური, სამუზეუმო იარაღები ინახება, მაგრამ რამდენადაც ვიცი, კალაშნიკოვი არასოდეს ფუჭდება და ვაპირებ, ორი-სამი ცალი გავიყოლო. მეთევზეების იმედზე ვერ ვიქნები. რამე რომ იყოს, პირველი იარუსის პოლიციას მაინც გავექცევი და საზღვარზე გადავალ. იმედია, მარიც გამომყვება.

* * *

უცნაურია. ეტყობა ლიზას ნახელავი მესიჯი ჩამყვა. არა, შეუძლებელია გიას ჩემი მოკვლა უნდოდეს. რატომ? რატომ? სიგიჟეა, მე ხომ ისედაც ვკვდები. მართალია, დრო კიდევ მაქვს, თითქმის სამი თვე. ისე, თითო დღე წელიწადივით ნელა გადის.

ვიტრინაში ბოლთას ვცემ, ხალხი გაკვირვებული მიყურებს.

პატარა რომ იყო, მათემატიკა უყვარდა, მერე ნარკოტიკების გაყიდვა დაიწყო და ჩემზე მეტი ფული იშოვა. არა, მეც ბევრი მქონდა და სამწუხაროა, რომ ვერავისთვის დატოვება ვერ მოვასწარი. აქ როდესაც ხვდები, მთელ ქონებას სახელმწიფო უკეთებს კონფისკაციას. უფრო სწორად კი მთელ ფულს მუზეუმი

იღებს და მერე ამ ფულის ნაწილი შენზევე იხარჯება. ვერაფერს იტყვი, სამართლიანია. მაგრამ ჩემი მოკვლა რატომ უნდა უნდოდეს. ვარინტი არაა, უბრალოდ, ლიზამ რაღაც უაზრო ჭორი გაიგო და ვერ მოითმინა, ჩემთვის არ ეთქვა.

ცოტა ხანში მუზეუმი დაიკეტება და ექიმების შემოვლა დაიწყება. ჩემს ექიმს დათო ჰქვია. კარგი ბიჭია, ხანდახან ტკივილგამაყუჩებლებს მჩუქნის. არადა, მათი მიღებაც აკრძალულია. ჩვენ ხომ ზუსტად იმიტომ ვართ გამოფენილები, რომ ხალხს ჩვენი ტკივილი ვაჩვენოთ. ცუდი ექსპონატი ვარ, ნარკოტიკებით და ტკივილგამაყუჩებლებით გაბრუებული ვის უნდა მოვეწონო. ბარემ ექიმს წამალს გამოვართმევ, რაც დამრჩა, ყველაფერს ერთად მივიღებ და ხვალიდან არაფერს გავეკარები. ცუდი დღე იყო და ბოლომდე უნდა დავისვენო.

* * *

ქალაქში ბნელა. პირველ იარუსზე ყოველთვის ასეა. 10 საათზე შუქი ითიშება. უცნაური კია უშუქოდ ყოფნა, როდესაც უზარმაზარი კაშხლის შუაგულში ცხოვრობ. თუმცა პირველი იარუსის ქუჩები მაინც ყოველთვის სავსეა, აქა-იქ ცეცხლიც ანთია, ძირითადად ნაგავს წვავენ და მყრალი სუნი დგას. სადაც ჩვენ მივდივართ, იქ ყველას სძინავს. მეთევზეები დილაუთენია დგებიან, მთელი დღე თევზაობენ და საღამოს ადრე იძინებენ. ჩვენს მასპინძელს პეტრე ჰქვია. ის მეთევზეთა უბნის წარმომადგენელია ქვემო ქალაქის საბჭოში. ქვემო ქალაქის საბჭო არჩევნებზე თავის კანდიდატს ასახელებს. ზოგადად ეს ფორმალობაა, რადგან არასოდეს ქვედა ქალაქელს არჩევნებში არ გაუმარჯვია, მაგრამ ახლა ჩვენ შანსი

გვაქვს. ვაკაკუნებთ. კარს პეტრეს მეუღლე გვიღებს, გვიღიმის და სასტუმრო ოთახისკენ გვეპატიჟება. იქ პეტრე ზის და ქალაქის მერი. მერს შავი მოსასხამი აქვს მოხვეული და სახეზე არლეკინის ნიღაბი უკეთია.

– გამარჯობა, ლამაზო, რას შვები, კიდევ ახველებ? – სიცილით ეკითხება შვილს.

მე ზედაც არ მიყურებს, თითქოს არც ვარსებობს. ვხვდები, რომ შარში ვარ, ქურთუკში საგულდაგულოდ დამალულ კალაშნიკოვს ვიღებ და ერთი გრძელი ჯერით ჯერ მერს ვაწვენ, შემდეგ პეტრეს, ბოლოს კი პეტრეს ცოლს და ცოლთან ერთად შემოვარდნილ 2 მამაკაცს, სავარაუდოდ მერის პირად მცველებს. თვითონაც არ ვიცი როგორ ვახერხებ, ავტომატი ხელში მეორედ მიჭირავს. გოგოს ხელს ვკიდებ და ქუჩაში გამოვრბივარ, სახეზე სისხლს ვამჩნევ, მგონი ცხვირიდან მოსდის. მეთევზეების შუქურასკენ გავრბივარ, იქ მუდმივად თევზაობს რამდენიმე მოცლილი. ვფიქრობ, ნავი დავითრიო და თავს ვუშველო. ჩემი იახტა ქალაქის სხვა ნაწილთან დავტოვეთ, იქამდე ვერ მივალ. თან ალბათ მალე განგაში გამოცხადდება და ქალაქიდან გასასვლელ ყველა გზას გადაკეტავენ. შუქურამდე სირბილით მივდივარ. იქ არავინაა, არც ნავები მოჩანს სადმე. მარის ცხვირიდან სისხლი სდის, თან უფრო ძლიერად, პირღებინებაც ეწყება და პირიდანაც სისხლს ანთხევს, იჩოქებს, მის წინ სისხლის პატარა გუბე ჩნდება. ხელს ვკიდებ და შუქურაში შემყავს. ხვეული კიბე ზემოთ ადის. ავდივართ და ქვის იატაკზე ვაწვენ.

– აქ ვერავინ მოგვაგნებს – ვამშვიდებ მარის.

– მადლობა, შენ უკვე ყველაფერი გაკეთე, ახლა მთავარია, დილამდე გავძლო და ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია, ხალხმა მნახოს, ბევრმა ხალხმა.

სისხლდენა არ უჩერდება. თავს უკან ვაწევინებ და თვალებში ვუყურებ. მეჩვენება, რომ თვალებში შუქი უქრება.

– ის წიგნი როგორ მთავრდება, სიკვდილის მუზეუმი, რას შვება გია, კლავს მამას?

– ვერა, მოხუცის ორგანიზმი ნარკოტიკს უმკლავდება. შემდეგ ირკვევა, რომ შვილს ტოტალიზატორში აქვს დადებული, მამამისის სიკვდილამდე სამი თვე რჩებოდა და ვადამდე ერთი თვით ადრე სიკვდილზეც კი კოეფიციენტი 500-ზე მეტი იყო. 20 ათასი დოლარით მილიონის მოგება უნდოდა.

– ზღაპარია, მაგრამ მომწონს რომ გადარჩა.

– მე კიდევ პირიქით, რეალურად მუზეუმში ყოფნა სიკვდილზე უარესია. იცი, წიგნი როგორ მთავრდება? ლევანი, ასე ჰქვია მთავარ გმირს, შვილის სიკვდილის ამბავს იგებს. შვილს დიდი ვალები აქვს და თავს იკლავს. ის თავის გადარჩენას მამის სიკვდილით აპირებდა. მოკლედ, ბოლო თავი საერთოდ საშინელებაა, აღწერილია 24 საათი ლევანის ცხოვრებიდან. მას არ აქვს ნარკოტიკი, აღარც ტკივილგამაყუჩებელს უტოვებენ, ეს 24 საათი არის ყველაზე მოსაწყენი და გაუსაძლისი 24 საათი, რაც კი ოდესმე ვინმეს აღუწერია. ბოლოს კი ლევანი ამბობს, მე კიდევ 1860 საათი დამრჩა, თუ რაღაც ეგეთი, ზუსტად არ მახსოვს.

– არ ვიცი რატომ, მაგრამ მაინც მომწონს.

მარი დილით მოკვდა, ზუსტად ექვს საათზე. მკვდარი დაბლა ჩავიყვანე და მეთევზეების უბანში დავტოვე, ცხრა საათზე უკვე თავის სახელობის ეკლესიაში ესვენა. იქ

უამრავი ხალხი შეიკრიბა, იმაზე მეტიც კი, ვიდრე მარის უნდოდა ენახა.

მე არავის გავხსენებივარ. გამოვიძინე, მეორე დილით იახტა ნავსადგურში გავიყვანე და ტურისტებს დავუწყე ლოდინი.

არჩევნები საერთოდ არ ჩატარდა, საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს და მერის პოსტი გენერალმა ძიბძიბაძემ შეითავსა.

* * *

დღეს 27 ნოემბერია. დილით რობერტი მოკვდა. სამწუხაროა, რომ ვაშლის გარეშე დავრჩი, მაგრამ სამაგიეროდ, კალამს ვიშოვი. რაღაც გეგმა მაქვს. გადავწყვიტე, ნაშრომი დავწერო. არა, 14 წლამდე ბავშვები არაფერ შუაშია, საბოლოოდ მივხდი, რომ სიკვდილის მუზეუმი ნეგატიურ გავლენას ახდენს ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაზე და დროა, დაიხუროს. თუ საჭირო იქნება, პრემიერსაც დაველაპარაკები, იმედია, ძველ მეგობრობას არ დაივიწყებს.

ანდრეი სენ-სენკოვი

ბიოგრაფია – ანდრეი სენ-სენკოვის ლმობიერად სასტიკი თამაშები

ინტერვიუ ნენე გიორგაძესთან

დაიბადა 1968 წელს. დაამთავრა იაროსლავის სამედიცინო ინსტიტუტი. მუშაობს ექიმად. გამოცემული აქვს 12 პოეტური და პროზაული კრებული. აღებული აქვს პრემია «Московский счет», არის ნომინანტი «ტურგენევის ფესტივალის» მცირე პროზაში, შესულია ანდრეი ბელის პრემიის შორტ-ლისტში. მისი პოეტური კრებულის Anatomical Theater ინგლისური თარგმანი დასახელდა the Northern California Book Award 2015-ის შორტ-ლისტში და ამავე წელს აიღო the PEN USA-ს ჯილდო თარგმანის ნომინაციაში. მიღებული აქვს მონაწილეობა მრავალ ლიტერატურულ ფესტივალში, ვიზუალური

პოეზიისა და ექსპერიმენტული მუსიკის პერფორმანსებში. მისი ტექსტები თარგმნილია 21 ენაზე. ცხოვრობს მოსკოვში.

ნენე გიორგაძე: პროფესიით ექიმი ხარ. რამდენად ეხმარება ან ხელს უშლის ეს წერას?

ანდრეი სენ-სენკოვი: რა თქმა უნდა, უშლის. კვირაში 50 საათი მუშაობა ვერავის დაეხმარება. გასაკვირიც არაა, რომ ბევრი სამედიცინო თემაა ტექსტებში. ბალეტის კრიტიკოსი რომ ვყოფილიყავი, მრავლად იქნებოდა პუანტები, პა-დე-დეები და გედების ტბები.

ნ.გ. გქონია თუ არა საექიმო პრაქტიკის პოეტურ პრაქტიკასთან დაკავშირების მცდელობა? შოთა იათაშვილმა გაიხსენა, თუ როგორ გაუკეთე ნაღვლის ბუშტის ექოსკოპია.

ა.ს. მეგობრების, და განსაკუთრებით – პოეტების დახმარება დიდი ბედნიერებაა. ჩემს საექიმო ტახტრევანს ლიტერატურის მუზეუმს ვაჩუქებდი, მასზე ნახევარი რუსული პოეზია იწვა. და არა მარტო რუსული, – ქართულიც...

ნ.გ. ხშირად გამოდიხარ მუსიკოსებთან ერთად, მათი კომპოზიციების ფონზე კითხულობ შენს ტექსტებს. ჩაწერილი გაქვს არაერთი ალბომი. პოეტურ კრებულს, «ღმერთი, რომელიც ასტროფილიით იტანჯება» თან ერთვის კომპაქტ-დისკი შენ მიერ წაკითხული ტექსტებით პაველ ჟაგუნის მუსიკაზე. რამ განაპირობა ის, რომ შენი პოეტიკისათვის მუსიკა ასეთი მნიშვნელოვანი კომპონენტია?

ა.ს. მუსიკა ყველაფერზე უფრო მიყვარს, პოეზიაზე და კინოზე მეტადაც კი. აი, სწორედ ცოტა ხნის წინ, სანამ

გიპასუხებდი, მუსიკის გაკვეთილი მქონდა – კონტრაბასზე დაკვრას ვსწავლობ. ჩემი მიზანია, 50-ის როცა გავხდები, ერთ ინსტრუმენტს მაინც დავეუფლო. დროა უკვე... მუსიკოსებთან კი ძალიან ადვილად ვპოულობ საერთო ენას. ხშირად ვმუშაობთ ერთად. ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დიდი გეორგ პელეცისის მუსიკაზე და ჩემს ტექსტზე ლატვიის ნაციონალური გუნდის მიერ შესრულებულმა სიმღერამ.

საერთოდ, ლექსი როცა მუსიკას ერწყმის, რაღაც სხვა ფორმას და შეფერილობას იღებს, – იცვლება რიტმი, ასოთა კუთხეები ხდება უფრო მახვილი ან უფრო გლუვი, მძიმეები ცახცახებენ, თანხმოვნები აღარ ხმოვანებენ... ჰო, ბევრი რამ იცვლება.

ნ.გ. გაქვს ჯაზ-მუსიკოსებზე შექმნილი ტექსტების არაერთი ციკლი. რატომ ჯაზი?

ა.ს. უბრალოდ, როცა 40-ის გავხდი, როგორც იტყვიან, ჯაზმა წამლეკა. რამდენიმე წელი სხვას ვერაფერს ვუსმენდი. ინტენსიურად ვკითხულობდი ლიტერატურას ჯაზის შესახებ ინგლისურ ენაზე. ხოლო როცა ინფორმაცია გროვდება, იგი რაღაცაში უნდა გადაიღვაროს. ჰოდა, გადმოიღვარა.

ნ.გ. ვინილის ფირფიტების კოლექციას აგროვებ. რა არის მასში ისეთი, რაც არ არისს დავუშვათ, კომპაქტ დისკში?

ა.ს. ეს არ არის კოლექცია. კოლექციას ადამიანი აგროვებს არა იმისათვის, რომ მოუსმინოს. მე ვაგროვებ მხოლოდ იმას, რაც მიყვარს. რელიგიური რიტუალია, როცა ვინილს იღებ ხელში: გარეკანიდან (ტყუილად ხომ არ ჰქვია ალბომი) ძალიან, ძალიან ფრთხილად ამოიღებ ფირფიტას, მტვერს აცლი და რადიოლას რთავ. ნემსი ერთი

და იმავე წერტილში ორჯერ ვერასოდეს მოხვდება, ანუ ჟღერადობა ყოველ ჯერზე უნიკალურია. კომპაქტ-დისკი კი შეგიძლია ფეხითაც ჩართო.

ნ.გ. ამ სიტყვებმა გამახსენა, რომ ერთი პერიოდი ნემსით მკურნალობდი. ალბათ არის რაღაც საერთო ამ ორი ტიპის თერაპიაში.

ა.ს. ამაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ ზუსტად ეგრეა.

ნ.გ. ჟურნალისათვის ვთარგმნე ნაწილი ციკლიდან «PorNobody», რომელიც სვეტლანა დოროშევას ილუსტრაციებით snob.ru-ზე გამოქვეყნდა. სხვა ციკლი, «ფეხები, რომელთაც სტკივათ», იგორ ულანგინის გრაფიკითაა შთაგონებული. გაქვს ციკლი «როტკოს საშინელი საკონდიტრო», როტკოს აბსტრაქციების მიხედვით, სადაც თითოეულ ტექსტში სტრიქონების რაოდენობა თანაბარია ნახატებზე გამოსახული ჰორიზონტალური ფერების გამისა. კრებულში «Коленно-локтевой букет» ვიზუალურ მხარეს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა... შენს ტექსტებში, კრიტიკოსების აზრით, არასოდეს სუსტდება ვიზუალური საწყისი. როგორ გგონია, რითია ეს განპირობებული?

ა.ს. ალბათ, ყველა ლექსი ვიზუალურია, ეს ხომ ქაღალდის არქიტექტურაა. რაც შეეხება ვიზუალურ პოეზიას – იქ ხშირად ასეთ ილეთს ვიყენებ: თავად ტექსტი გადაიქცევა სათაურად, (ამიტომა�ა ხოლმე სათაურები ასეთი გრძელი), ხოლო უსათაურო ლექსის *** სამი ვარსკვლავი კი ნახატად ტრანსფორმირდება.

ნ.გ. ციკლებზე მინდა გკითხო, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ შენს ტექსტებში. როგორ იწერება ციკლი,

რამდენიმე ხნის განმავლობაში თუ ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით?

ა.ს. ყოველთვის სხვადასხვაგვარადაა. ზოგიერთი წუთებში იწერება, ხოლო ზოგზე – წლები ვფიქრობ.

ნ.გ. შენი ჩანახატები დემონსტრაციულად ფრაგმენტულია, რეალური მასშტაბები ხშირად ირღვევა და ფოკუსში ექცევა ერთი შეხედვით ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებული საგნები და მოვლენები. ამის გამოსახატავად მიმართავ თუ არა გარკვეულ პოეტურ ტექნიკას?

ა.ს. არ ვრეფლექსირებ ამაზე, როგორც იწერება, ისე იწერება. არასოდეს ვგეგმავ, ხელში როგორი დანა ან ბურღი ავიღო.

ნ.გ. არაერთი ლიტერატურული ფესტივალის მონაწილე ხარ. უამბე ქართველ მკითხველს შენი შთაბეჭდილებების შესახებ. კურიოზებიც შეგემთხვეოდა...

ა.ს. მნიშვნელოვანი იყო როტერდამის ფესტივალი, რომელიც ევროპაში ალბათ ყველაზე მასშტაბურია. გახსნაზე იყო 700 ადამიანი. შესვლა ფასიანია და თავისუფალი ადგილი არ რჩება. სხვა ივენთები უფასოა, ყოველთვის ძალიან ბევრი ხალხი მოდის. ჰოლანდიელ მუსიკოსებთან ერთად როცა გამოვედი, საღამოზე 250 კაცი იყო. რუსეთში ასეთი რამ ძნელი წარმოსადგენია. თავს როკ-მუსიკოსად ვგრძნობდი და არა ადამიანად, პოეტის სამარცხვინო პროფესიით. ამას დავამატოთ მშვენიერი სასტუმრო, ლამაზი ქალაქი და ჰონორარები. ასეთი სიამოვნება ხომ იშვიათად გვაქვს ხოლმე.

კურიოზები კი არ ვიცი. მოულოდნელი შეხვედრები ყოფილა. მაგალითისთვის, პატარა ალბანურ ქალაქში

შენთან მოდის ამერიკელი ქალბატონი და გეუბნება, რომ მისმა ყოფილმა სტუდენტმა თარგმნა შენი წიგნი.

ნ.გ. «ანატომიურ თეატრზე» ამბობ, რომელმაც თარგმანში 2015 წელს ამერიკული პენის ჯილდო მიიღო? ენსლი მურმა და პიტერ გოლუბმა თარგმნეს.

ა.ს. ჰო, პიტერის შესახებ იყო საუბარი.

ნ.გ. შენ თავად თარგმნი ინგლისურენოვან პოეზიას რუსულ ენაზე. ვინ არიან შენი საყვარელი ავტორები?

ა.ს. ბუკოვსკი, სიმიკი, პეჯეტი, ჩ.კ. უილიამსი.

ნ.გ. როცა გარკვეული დროის განმავლობაში ერთსა და იმავე ავტორს თარგმნი, და ამის პარალელურად წერ კიდევაც, მოქმედებს ეს შენს პოეტიკაზე?

ა.ს. რა თქმა უნდა! წერის სტილი იცვლება. მახსოვს, მკითხეს: თარგმნის შედეგად, გააღრმავეთ თუ არა თქვენი ცოდნა ინგლისურშიო. ვუპასუხე, რომ ჩემი რუსული გახდა უკეთესი. როცა თარგმნი, ამჩნევ საიდუმლო შესასვლელებს, საათის შიგნით არსებულ მექანიზმებს, რომლის საშუალებითაც ავტორს ლექსი მოძრაობაში მოჰყავს.

ნ.გ. რამდენად კარგად იცნობენ რუსეთში თანამედროვე ქართულ პოეზიას?

ა.ს. არ იცნობენ კარგად. მიხარია, რომ მონაწილეობა მივიღე «ახალი ქართული პოეზიის ანთოლოგიის»

თარგმანში. მაგრამ ვფიქრობ, რომ იგი წაიკითხა სულ რაღაც ათასმა ადამიანმა. ეს კი ცოტაა 150 მილიონიანი ქვეყნისათვის.

ნ.გ. და ბოლო კითხვა: შენს ლექსებში ძალიან ხშირად გვხვდება თამაშის ელემენტი. როგორ გრძნობ თავს ბავშვების კამპანიაში?

ა.ს. ბავშვებს ვაღმერთებ! სანკტ-პეტერბურგში ამჟამად მუშაობენ მულტფილმზე ჩემი ლექსის მიხედვით. არიან მოხალისეები, რომლებიც დადიან მძიმედ დაავადებულ ბავშვებთან და ასწავლიან მულტიპლიკაციის ანბანს. მართლა ძალიან კარგი ხარისხის მულტფილმები გამოდის. ვწუხვარ, რომ შორს ვარ მათგან, ერთად რაიმეს მოვიფიქრებდით. თუმცა ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ ამ ბავშვებისათვის ცოტაოდენი რამ მაინც გავაკეთე – ალბათ ცოტა უკეთ არიან, ოდნავ უფრო ნაკლებად სტკივათ.

ლექსები

რუსულიდან თარგმნა ნენე გიორგაძემ

რადიოლას სახელურები ვენერა მილოსელის მოტეხილი ხელებია

ერთხელ კინაღამ მომკლა მუსიკამ.
ოთხიოდე წლის ვიყავი.
სკამზე ავძვერი და უზარმაზარ რადიოლაზე ფირფიტა ჩავრთე.
რაღაც მომენტში ფეხი დამიცდა,
ძირს გადავეშვი და რადიოლაც თან ჩავიყოლე.
დავეცით ერთად.
გაჩუმებულმა მელოდიამ საფლავივით ქვეშ მომიყოლა.
ისე შევშინდი, მშვენიერი მუსიკა რომ უეცრად გაქრა,
ისე შევშინდი, არც მიტირია.
ვიწექი და არ ვინძრეოდი.
ოთახში ბებია შემოვარდა და
იკივლა, რადგან მკვდარი ვეგონე.

დღესაც, მუსიკის მოსმენისას,
მეშინია წამის, როცა ის დასრულდება

და ოცი წლის წინ გარდაცვლილი ბებიაჩემი დაიკივლებს.

გუბე ფეხით მოსიარულეთა ზებრაზე

ზებრები ადგილს სწყდებიან
შავ-თეთრი ზოლების მონაცვლეობა ოპტიკურ ეფექტს ქმნის
ამით ისინი ორიოდე წამს უგებენ მტაცებელ ცხოველს

ძუ ლომი მათ ცოტა ხანი ვითომდა მისდევს
სინამდვილეში კი რაც უნდოდა უკვე მიიღო
კიდევ ერთხელ ისიამოვნა
ძვირფასი ძველი შავ-თეთრი ფილმით

ხვადი ლომი გაოცებულია რა ჯანდაბას უყურებ იქ რატომ
დადიხარ ყოველდღე იქით
*პასუხად იღებს **იცი თითქოს ზღვაა იქითკენ***

სახელმწიფო დიეტოლოგია

აღმოსავლეთ გერმანიის შტაზის
ასეთი მეთოდით გადაჰყავდა ჭკუიდან ხალხი
როცა ადამიანები სახლიდან გადიოდნენ
აგენტები მალულად აღწევდნენ შიგნით
არაფერს ამტვრევდნენ
არაფერს აფუჭებდნენ
უბრალოდ ადგილს უცვლიდნენ
ძალიან პირად პატარა ნივთებს
ფოტოებს ფაიფურის ფიგურებს წიგნებს
ასე თვეობით გრძელდებოდა

როცა ნაცრისფერი ცხოველები ერთმანეთს ებრძვიან
საკვების გამო
ისინი რაც შეიძლება სწრაფად ყლაპავენ საჭმელს
მოგვიანებით კი გულს ირევენ
რომ მშვიდად შეჭამონ
ვიღაცის ძალიან პირადი ნივთები
ფოტოები
ფაიფურის ფიგურები
წიგნები

ციფრული კოლუმბია

მცველი ანდრეს ესკობარი
1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში
ამერიკელებთან თამაშისას
გოლს გაიტანს საკუთარ კარში
კოლუმბიის ნაკრები ტურნირიდან გამოვარდება
ათი დღის მერე
ესკობარს კლავენ მედელინში
ნარკოკარტელის მკვლელი
ექვსჯერ გაისვრის ტყვიას
და ყოველ ჯერზე დაიყვირებს:
გოლი! გოლი! გოლი! გოლი! გოლი! გოლი!
ლექსი ყოველთვის ავტოგოლია
რომლის მერეც სხეულში კვდება
ექვსი სანტიმეტრი
ექვსი წამი
ანდა ექვსი მილილიტრი

იგი არავის დაუთმობს ამ თაიგულს

ქორწილში მამაკაცს
შემთხვევით ხელში ჩაუვარდება
პატარძლის ნასროლი თაიგული
კაცი გაკვირვებული უმზერს თეთრ ყვავილებს
მათ ფერმკრთალ სახეებს
სიფრიფანა ადამიანებს
პირობითად გამოსახული კიდურებით
ახსენდება
ასე ხატავდა მათ ბავშვობაში
დამწვარი ასანთის ღერებით სადარბაზოს კედლებზე
ახსენდება
ბომბი როცა სახლს დაეცა
აღმოჩნდა რომ მასში ცხოვრობდა უამრავი მარტოსული
ხელი
მარტოსული ფეხი
ჩუმად მიდის გასასვლელისკენ
მკერდთან მიკრული ცელოფანივით უწონო
ინვალიდის ეტლით

Crossroad Blues

[1]

რობერტ ჯონსონი
61-ე და 49-ე ქუჩების კვეთაზე
სულს ჰყიდის ეშმაკს
რათა მისი გიტარის ხმაზე
ქალები ისე სველდებოდნენ
როგორც კენჭები მისისიპის სანაპიროზე

დიდხანს ვაჭრობენ
საჭირო საბუთები ორ-ორ ცალად
სისხლით გამოყვანილი პაპსა ხელმოწერა
ეშმაკს უბრალოდ მობეზრდა ეს ამდენი პაგანინი
იგი ერთობა და დროს ჭიმავს

მერე მოტელში ბრუნდება და
მელანქოლიურად წვავს ქაღალდებს
ქაჩავს სიგარეტს
ისხამს ბოკალში ბურბონს
ხუჭავს თვალებს
და უსმენს
როგორ შრებიან კენჭები
მისისიპის სანაპიროზე

თარგმანი

ნენე გიორგაძეს

ზოგიერთი ქართული ასო
ჰგავს სილუეტებს ცელქი ბავშვების
რომლებიც ისე ხტიან გრძელი წინადადების ლიფტში
რომ ის ჩერდება
პირველი და მეორე გვერდის
სართულებს შორის
როცა ხვდებიან რომ გაიჭედნენ
ასოები ერთიმეორის მიყოლებით თითს აჭერენ ყველა
უცნაურ ღილაკს
და ლიფტი
მომდევნო გვერდზე იშლება

ეკოლოგიური მოზარდები

გოგო წვიმა და ბიჭი თოვლი
კარტს თამაშობენ გახდაზე
თავგანწირვით ნებდებიან ერთმანეთს
ტანიდან იძრობენ ოქსიდის აზოტის სვიტერებს
ამიაკისა და გოგირდის დიოქსიდის მოდურ მაისურებს
მძიმე ლითონების მარილის შარვლებს
ფოტოოქსიდანტების საცვლებს
და პირველად შიშველნი
დაბნეულები
აჩქარებით ისე სუნთქავენ
თითქოს მთელი სუფთა ჰაერი მიიღეს მხოლოდ ერთი
ფაილით

Montana

დიდი ხნის წინათ 80-იანების დასაწყისში
ბებიაჩემმა
ჩემს პირველ ჯინსებზე
უთოთი იდეალური ნაკეცები გამოიყვანა
ერთნაირი პატიებითი წინადადებები შარვლის ტოტებზე
შვილიშვილებს ხომ ასე უფრო მოუხდებათ
შვილიშვილებს ხომ ასე უფრო მოუხდებათ
დიდი ხანია მასთან უკვე აღარ ვკამათობ
მე კი ერთფეროვანმა დღეებმა
მოტკეცილი ჯინსებივით ამომიცვეს

ქაღალდის მკერდი

თითოეულ პატარა წიგნში
დამალულია
სასირცხვილო ორი წერტილი
რომელთაც ბოლო გვერდზე დალანდავ
რას შეიძლება ეს შეადარო —
კვდება ერთ-ერთი ნათესავი
ყველა გეხვევა გულში გიკრავს
და შენ გრძნობ თუ როგორ გეხება
საუკეთესო მეგობრის ცოლის კერტები მკერდზე

არსაიდან უბრალოდ მოფრინდა

ლენინგრადი, ბლოკადა, 2017

მოხუცი ქალი კვდება და დედას ეძახის
მოფრინავს დედა
მოხუცი კაცი უბრალოდ კვნესის და არავის ეძახის
მოფრინავს არავინ
დედა და არავინ
ჩვეულებრივ ხვდებიან ერთმანეთს
არ ესალმებიან
ყველაფერი თეთრი გვამია
ყველაფერი თეთრი პეპელაა
ყველაფერი უგემური თოვლია
ყველაფერი უბრალოდ ხორცია

ციკლიდან «ფეხები, რომელთაც სტკივათ»

* * *

ბებერი წვიმა
მზის შესახებ ახალგაზრდა ფიფქებს უამბობს
სიტყვებს ენის გასატეხივით
სწრაფად წარმოთქვამს
თითქოს მეტროში
ინვალიდი თავის დაკარგულ ფეხზე ჩიოდეს

ფიფქები ფიქრობენ
თუ რა ლამაზად გამოჩნდებოდნენ
მზის გულზე
თეთრ საცურაო კოსტიუმებში
მთვარის მრგვალი სუპერმარკეტიდან

* * *

საათი თავის ისრებიანად
დანაშაულის ადგილის დამსუფთავებელი პატარა ფირმაა

ისრები წმენდენ
რეცხავენ
აღადგენენ
გააქვთ ლამაზად შეფუთული დროის გვამები

საქმის დასრულების მერე
წამის ისარი
წუთისას სიგარეტს წაპნის
ბოლო ნაფაზს ხარბად ისრუტავს
და უხილავი ფეხისგულით იტკეპნის პირში

* * *

გამთენიისას
ქალი ფანჯრიდან ყრის
მამაკაცის
ტანსაცმელს ფეხსაცმელს და
ფირფიტებს

გამთენიისას ცოდვილს
სუდარაში ახვევენ
კრავენ და მიწაში წელამდე
ფლავენ
ფეხები ძვლებამდე ეყინება
არჩევენ ქვებს
საშუალოს გლუვს
რომ არ მოკვდეს მაგრამ ეტკინოს
ემტვრევა ნეკნები
ერთმანეთში ეთქვიფება თირკმელები ფილტვები ღვიძლი
აგონია რამდენიმე საათს გრძელდება
ადამიანი სისხლს ხროტინით ყლაპავს და კვდება

ღმერთი ჭიანჭველაა
ჩამოდის ქვევით
გადაყრილ ნივთებს და ნასროლ ქვებს
ჩუმად კრეფს თავისი ექვსი ფეხით
მაღლა სწევს სიყვარულს
რომლის წონა
თავად მას ბევრად აღემატება

* * *

საქორწინო სანგრიდან
ფეხები გადადიან მამაკაცურ თავდასხმაზე
წინ მიიწევს ყველაზე პატარა
არავის მოკვლა არ შეუძლია
ირჩევს სიყვარულს

ჩხვლეტს
მხოლოდ მათ
ვინც ფსამს დამჯდარი

ნებისმიერი ჩვენგანი
ამ ბრძოლაში სტუმარია
საპატარძლოს ან სასიძოს მხრიდან

* * *

ფეხი ჩექმაში რომ გაყუჩდეს
უნდა შეიკრა
თითქოს გალიას თავსაფარი
გადააფარეს
თუთიყუშის გასაჩუმებლად

დანების ტრიალის ამკუწავ
სიჩუმეში

ფეხი ეკვრის კედლებს
37 ზომა საფლავის
რომელიც წლების წინ
უკანასკნელი ფულით იყიდა

* * *

სატელევიზიო ამინდის პროგნოზის წამყვანის ფეხები
ამბობენ რომ ხვალ
ვერცხლისწყლის ფეხბურთში
თერმომეტრის ყველა ვენური ბურთულაკი
მიზანში მოარტყამს

თბილი პროგნოზის სახიფათო სიზუსტეს
ამსხვრევენ
შუშის ჩემპიონთა ლიგის მოთამაშეები

ციკლიდან: PorNobody

* * *

შენი ხელი
ჩემს სხეულზე მოძრაობს ნაზად
და უწესრიგოდ,
თითქოს ვიღაც თავის ბინაში
ტელეფონის სიგნალს ეძებდეს.
ჩერდება.
თითის ბალიშები უახლოვდება ვარდისფერ ყურმილს.
მე ხმას არ ვიღებ.

* * *

შაქარყინულის გასინჯვისას
ვეკრობით ტკბილი სარკის ზედაპირს
რიგრიგობით
ერთმანეთის ანარეკლს ვლოკავთ
იქამდე
სანამ ენის წვერები
არ ჩადნებიან სხეულის ჯემში

* * *

პაწაწინა ორთქლმავალი შემოდის შენში ისე, როგორც
ლიფტში — ბავშვი რამდენიმე უცხოსთან ერთად.
თითოეული გორგოლაჭის გულისცემა
სულ უფრო და უფრო ხშირდება.
ბოლო სართულზე ერთად გამოვალთ.
დამშვიდობებისას ოდნავ შევახებთ ერთიმეორეს
ტუჩების გახსნილ ციცქნა ჩემოდნებს.

* * *

გასაღების ღრიჭოს
ოდნავ ქვემოთ გაქვს
ის რაც მაგონებს დედა-შვილის ოთახს გალუმპულ
აეროპორტში
საიდანაც
უამინდობის გამო
გვიანდება ყველა გამოფრენა ჩემიდან შენში

* * *

კარუსელი
რადიომიმღების სახელურივით
ნელა ტრიალებს.
ვეძებთ ტალღას რომელიც გადმოსცემს
სიჩუმის ჰიტ-პარადს.
კარუსელში მჯდარი არდაბადებული ბავშვი
ხელისგულებით იგუბებს ყურებს
უკეთ რომ ჩაესმას შენი შეყვირება,
რომლის გამოც კარუსელი მკვეთრად ჩერდება

ამონარიდები – გამოხმაურებები ჟურნალიდან «Воздух»

ალექსეი ალექსანდროვი, პოეტი

დიდი ხანია, სიამოვნებით ვკითხულობ ანდრეის ლექსებს, მომწონს აზრის სიმკვრივე მის ტექსტებში, მომწონს, რომ თითოეული საგანი პატარა წარმოდგენის ნაწილი ხდება, როგორც ბენეფისზე, — ნიღბები ჯადოსნურად იცვლება, და ზოგჯერ შიშის ჟრუანტელი გივლის, მაგრამ მაინც ცნობისმოყვარეობით ადევნებ თვალს ამ კარნავალს. მასავით რომ აღიქვამდე, განსაკუთრებული, «ლაზერული» ხედვის კუთხე უნდა ჩართო.

ურთიერთკავშირები და მეტაფორები მის ტექსტებში პარადოქსულია, თუმცა გრჩება შეგრძნება, რომ ეს ერთადერთი «მართებული» ხერხია მათ გამოსახატავად. თუკი მის ლექსებს ერთხელ წაიკითხავ, ძნელია მოიშორო შეგრძნება, რომ ტანსაცმლის გარეშე, შიშველი დაინახე ჩვენი რაციონალური სამყარო, თუმცა არც ისე კარგად შეიცანი იგი, როგორც ეს ავტორმა მოახერხა.

ოლგა ზონდბერგი, პოეტი, მწერალი

ჩემი აზრით, ანდრეი სენ-სენკოვის ლექსები ერთ-ერთი ყველაზე ფაქიზი ტექსტებია თანამედროვე პოეზიაში. მათი სტრუქტურა, ერთდროულად მრავალშრიანი და შეკუმშული, ემოციური მიკროაფეთქებების კასკადს იწვევეს. ასეთი შთაბეჭდილება მქონდა, როცა 90-ში პირველად წავიკითხე მისი მინიატურა:

«ძახილის ნიშანი — კვალი,
რომელიც დატოვა ბედნიერებისგან
შემხტარმა წერტილმა.»

იმაზე ფიქრი, რომ წერტილიც შეიძლება იყოს რაიმე მოვლენის კვალი, რომ ლიტერატურა, ჩვენს თვალწინ რომ იქმნება, თავისებული კვალია, რომელიც კი არ მიგითითებს, არამედ გამოხატავს — ეს და სხვა დანარჩენი ინტერპრეტაცია მოგვიანებით მოვიდა, მომენტალური რეაქცია კი იყო წაკითხულისაგან მონიჭებული სიხარულის შეგრძნება.

გრიგორი დაშევსკი, პოეტი, კრიტიკოსი

ანდრეი სენ-სენკოვის ლექსებს ზოგჯერ მინდა, ავადმყოფი იეროგლიფები დავარქვა. შეუძლებელია, მათში თავად შეაღწიო — როგორც ლექსის ჩვეულებრივ გამჭვირვალე კუბიკში, — მათ უფრო ათვალიერებ, ანდა ხელში ატრიალებ. ლექსებს კი შიგნით უკვე ჰყავთ თავიანთი ადამიანი, არა – შენ.

ისინი ზოგჯერ გაგონებენ ვიზუალურ ნიშნულებს, რომელთაც ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, რომელი მიმართულებით წავიდნენ, რას განეკუთვნებიან: მხედველობას, სმენას, შეხებას, პოეზიასა თუ კინოს. მათზე ფიქრობ, როგორც ჩვილების ნახევრადშეშლილ გამტაცებელზე, რომელიც შეპყრობილივით მეტყველებს.

ანა გოლუბკოვა, პოეტი, კრიტიკოსი

ხშირად, სენ-სენკოვის ლექსები გვევლინებიან ესთეტიკური შთაბეჭდილების ემოციურ კომენტარებად. სწორედ ამიტომაც, პოეტისათვის მნიშვნელოვანია ლექსის დაწერის გარეგანი მიზეზი — ფილმები, მელოდიები, სურათები, ფოტოები... ანდრეი სენ-სენკოვს ეხერხება, სიტყვებში მოიხელთოს შეგრძნებათა ისეთი შეფერილობები, რაც თითქოს არ ექვემდებარება სიტყვებით გამოხატვას ან საერთოდ, რაიმე

ფორმალიზაციას. ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ ლექსის დაწერის მიზეზი არსადაც არ ქრება, საგანიც და მასთან დაკავშირებული ემოციებიც არსებობას აგრძელებენ, რაც ლექსიდან საკმაოდ მარტივად იკითხება.

ალექსანდრე მურაშოვი, კრიტიკოსი

ნაწყვეტი წერილიდან «პარალელურ რელსებზე, რომლებიც ჰორიზონტთან იკვეთებიან» (პორტალი syg.ma)

სენ-სენკოვის ზოგიერთ მინი-ციკლს წინ უძღვის პროზაული (მაგრამ ასევე მეტაფორულად ორგანიზებული) პრეამბულა. პროზა შეიძლება ვერტიკალურად, სვეტის ფორმით იყოს მოწოდებული, მაგრამ თუკი მას უშუალოდ პოეტურ ნაწილს შევადარებთ, შეუძლებელია, არ შევნიშნოთ მათ შორის სხვაობა. «პოეტური» და «პროზაული» ნაწილების ერთმანეთთან მონაცვლეობას ავტორი ვიზუალურადაც უსვამს ხაზს: «პროზაული» ფრაგმენტები გამოყოფილია კურსივით, ისევე, როგორც ტექსტის შესავალი. მთლიანობაში, წიგნი («საჰაერო-წვეთოვანი ჩოგბურთი») «პროზაულ-პოეტური» ერთობაა, რომელიც აგებულია პარადოქსულ შედარებებზე.

რა შეიძლება ითქვას ასეთი კომპონენტებით აწყობილ მთელზე? უნდა გავიხსენოთ, რომ ვიზუალურის როლი სენ-სენკოვის პოეზიაში არასოდეს სუსტდება. ვიზუალური საწყისი, რომლიც წარმოადგენს გამოხატვის საგანს, თანაფარდობითია ვიზუალური საწყისისა, რომლითაც თავად გამოხატვის პროცესია გადმოცემული. ეს ხაზგასმულია სტრუქტურულად, მათემატიკურად – კომპოზიციებსა და პროპორციებში. თუმცა ტექსტის შემადგენელ ნაწილთა ასეთი სტრუქტურა სურვილს ბადებს, რომ ეძებო სიგნიფიცატიო მთელი.

2. პოეზია

ბექა ახალაია

გრიგოლ მეხანძრის ცხოვრება

მას ჟამსა ნეტარი იგი გრიგოლ
მოხუცებული იყო ფრიად
და მიახლებულ ხორცთა განსლვად.

მოწეულ იყო აღუსებისა ზატიკი,
იდგა ვნებისა კვრიაკე
(დღე იგი – დიდი ერმისი, დღე სერობისა)
და ნეტარი გრიგოლ იმარხვიდა მძიმედა
და იდგა ლოცვად.

ხოლო მწუხრისა ჟამსა
ყაბზობითა ტანჯული ნეტარი გრიგოლ
ფუჭად იბღინძვიდა
ფიჭვის ბელეშითა ნაგებ
ფეხსალაგსა შინა.
ხმაი მისი,
დია საწყალობელი,
რა წამს მისწვდებოდის სასმენელს
მუნ დაყუდებული ბერებისას,
მყის აღივსებოდნენ ისინი
მწუხარებითა აუწონლით.

ხოლო დღესა შემდგომსა,
ანუ აფროდიტისასა,
მოიწია კარაულითა
ბერი ერთი ჩარადოვანი,
უხემს-უწყლობითა გამოლასტულ-დაქიმითებული,
გარნა ვერავინ მიეახლა
ჩარადოვნებისა შიშითა.

მაშინ დაუტევა
სენაკი თვისი ნეტარმან გრიგოლ
და რქუა შემოჯარულსა ბერებსა მათ:
– რაისა გამო გაშინებთ ძე ღვთისა,
რომელსა განბორებისა სალმობაი აქუნდეს?!
მაშინ რქუა მას მრწემმა ძმამ ერთმა,
სახელ-დებითა ბარძიმ:
– წმიდაო მამაო, შენგან ჯმნულმცა არს შიში,
რამეთუ აწ მიხვალ უფლისა!

შემოჯარულსა მათ ბერებსა
ბაგეებზედ
მცირედ შეეტყობოდიან ღიმი,
ხოლო ნეტარმან გრიგოლ
არღარა წარსთქვა,
თითქო არა აქვნდა სმენაი.

მას ჟამსა
უხემსობითა გამოლასტულმან
ჩარადოვანმან ბერმან
სხვა ბერსა
გამოუღო ხელთა მისთა
პუმპულა კუხე და უმწიფარი,
განსაგდებად ზრახული,
და ჩაასო შუანი თვისნი
და საწყალობლად ღმურძლიდა.

ჯეკმა აღევსო გული სიბრალულითა
წმინდასა მამასა გრიგოლს,
ამბორ უყო პირზედ
და დასთხია ცრემლი ცხარე.
– წარიყვანეთ იგი გემოის ხილვად! –
ბრძანა მან და იგი წარიყვანეს ტრაპეზად.

მას უკან
ჭიაფერ ალიზაკითა ნაგებ გალიაკსა შინა
ქუე წარუგდეს კილიკი ერთი
და სასთაულაკი,
გრწყილი და ტილი მოუგონებელი
ადგილსა მას დასხმულ იყო,
არამედ ბერსა მას ფიქრი არა აქუნდა
და ძილად მივიდა, ვითარც მიცვლილი.

გულსა ეტყოდა ნეტარი მამა გრიგოლ,
ვითარმედ
ბერი იგი ჩარადოვანი
მოარულ იყო როჭიკის თხოვნად,
თუცა დაუკKრდა როჭიკობა
ჟამსა ვნებისა კKრიაკესა,
არამედ არა უწყოდა რა მართლისა.

ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულა,
შევიდა სენაკსა თვისსა მოსასვენებლად,
რაჟამს აღანთო კეროვნი,
ესმა: მსწრაფლ შემო-ვინმე-ვიდა.

მიაპყრო თუალნი თვისნი
ნეტარმან გრიგოლ
და იხილა ბერი იგი ჩარადოვანი
და კითხვაი რქუა.
ბერმან მადლი მისცა
მოწლებისა მისისათვის, ვინაიდგან კეთილად იყო
და იწყო სიტყუად:
– უფალმან შემინდოს
უჟამო ჟამსა ძილად მისვლაი.
– ნუ სწუხ! – რქუა მას წმინდამან გრიგოლ.
– ვსწუხ, რამეთუ ჰაბო ტფილელი განხურდა

და არს ჰაბო ცხელელი,
წმინდა მამაო,
უკეთუ არა განაგრილებ,
მისთა გვამთაგან აღატყდეს ცეცხლი. –
სთქუა ბერმან და ცრემლი დასთხია.
– ნუ სტირა! – რქუა მას მამამან გრიგოლ, –
ესეღა თუმცა მეცნა,
მსწრაფლ წარვიდოდი.
ღმერთსა ასრე უნებს. –
სულთ-ითქუნა
ნეტარმან მამამან
და მღჳძარებდა ღამე ყოველ
და ცისკარ ოდენ იყო,
იახლა თანა ბერი ჩარადოვანი
და მრწემი ძმაი ბარძიმ
და განეშურა განსაგრილებლად ჰაბოისი.

ვლიდნენ დღე ყოველ,
მზე ვარდობაისა
დასთხევდა სხივთა,
სამო საჭვრეტ იყო
სიმწუანე ველთა და ფერდობთა
და ყუავილი ბევრის ბევრეული,
თუცა გულსა ნეტარი გრიგოლისას
არა მიეახლა რა,
თვინიერ ურვისა.

რაჟამს შემწუხრდა,
ნეტარმან გრიგოლ რქვა ბარძიმს:
– იღუაწე ჩუენთვის სადგური!

იყო მუნ ზეპური ვინმე
და ბარძიმმან, მისრულმან მოიკითხა იგი

და გაიხარა ზეპურმან,
დამართ დავარდა და
რქუა მამასა გრიგოლს:
– მაკურთხე, წმინდაო მამაო.
მიცნობიეს საქმენი შენი,
მადლი ღმერთსა,
რამეთუ მოშუერი.

და იყო ჟამი პურისაი
და მოიღეს საზრდელი ბევრეული,
თუცა წმინდამან გრიგოლ
არა იხილა გემო საზრდელთა,
მოუწოდა ძმებსაცა
და ბაღსა შინა მოისთულნა ნაყოფი კუხე.
მაშინ განიწყო გული
სიყმილითა ტანჯულმან მრწემმა ძმამან ბარძიმ
და იწყო უჯეროსა გინებად გულსა შინა:
– «დაამდაბლოს მშობელი ჩემი
ასერგასისმან კარაულმან
და კრულმც იყოს დღე იგი,
ოდეს მე ბერად შევდექ!» – და მისთანანი...

ჟამსა ძილად მისვლისას
მრწემმა ძმამ ბარძიმ
ნაყოფისა კუხესგან
იგრძნო გურემა მუცლისა
და განეშურა ფეხსალაგს.

გზად ესმა უბნობა,
მიეახლა გალიაკსა ერთსა
და იხილა სარკმლითგან:
ვითარ განიბანებოდა
დედაი განმოსილი

და თმაგარდატევებული,
არა ეხილა აქამომდე
სამოსგანძარცვული დედაი.

აუჩუჩუნდა დაფარული ასო
მრწემსა ძმასა ბარძიმს.
– დასცხერ და დაყუდენ, უკეთურო! –
რქუა საწულოსა თვისსა,
თუცა რაოდენ ეცადა დაცხრომას,
უფრორე აღტკინდა.

შემდგომად
იწყო მსწრაფლ ჩუკენობა და ჩუკნიდა,
ვიდრემდინ ნეტარიყუჩა
უცხოის ყივილითა
და სივლტოლად იწყო სწრაფით.

ცისკარ ოდენ იყო,
წმინდამან გრიგოლ
მადლი მისცა ზეპურსა მას
და გზას განეშურნენ.

ოდეს მიიწიეს სამყოფსა
ჰაბო ცხელელისას,
იხილეს კუამლი და ცეცხლი
სამყოფთა და ტყეთა და ველთა ზედა.
– წმინდაო მამაო, მისთა გვამთაგან აღატყდა
ცეცხლი! –
რქუა ჩარადოვანმან ბერმან
და ცრემლი დასთხია.
– ნუ სტირა, უგულისხმოვ, ნუ მძიმე-გიჩნ
დაშრეტა ცეცხლისაი! –
განიწყო გული ნეტარმან გრიგოლ

და რქუა ბარძიმსა:
– მოიწია ჟამმან შენმან, უმრწემესო ძმაო!

და ბარძიმმან განიხვნა
უებრო საბიძალი,
ამოაძვრინა საფსმური თვისი
და გადაახევა
და გადაახევა
და დიდროამ, ანუ ფსელდიდობამან იმან
მსწრაფლ დაშრიტა ცეცხლი იგი.

შემდგომად, ავლის და ნახშირის წიაღ,
იძიეს ჰაბო ცხელელი
და განაგრილა იგი წმინდამან გრიგოლ
და გახდა კუალად ჰაბო ტფილელი.

იდგა დღე იგი კრონოსისა... –

გრიგოლი ანალურმა ქავილმა გამოაღვიძა
ოფლიანი და გაკვირვებული იყო
რადგან ასეთი უცნაური
და დალაგებული სიზმარი
არასოდეს უნახავს

ბოლო რამდენიმე წელი იყო
ანალური ქავილი აწუხებდა
მაგრამ შვილისთვის და რძლისთვის თქმა ერიდებოდა
არადა ხანდახან მეტწილად ღამით
ისე ექავებოდა რომ ჭკუიდან გადადიოდა
მოქავება საოცრად სასიამოვნო იყო
მაგრამ გაჩერება უჭირდა
მანამ იქავებდა
სანამ ტკივილს არ იგრძნობდა

და გადატყავებული ანუსიდან
სისხლი არ წამოუვიდოდა

უკანალთან დაკავშირებულ ამბებზე
ექიმთან მისვლა ყოველთვის ერიდებოდა
ერთხელ ბუასილი დაემართა
და საშინლად სტკიოდა
სიარულში და სამსახურებრივი მოვალეობის
შესრულებაშიც უშლიდა ხელს
ფიზიკური დაძაბვის დროს
როცა შლანგს ექაჩებოდა
ან როცა ქაფით
ფხვნილით
თუ ნახშირორჟანგით სავსე
ცეცხლმაქრებს იღებდა ხელში
სისხლით სავსე წყლული გარეთ გამოდიოდა
რაც საშინლად მტკივნეული იყო

ელოდებოდა თოვლს
რომ ბავშვობაში ბაბუისგან
შემთხვევით მოსმენილი (მეზობელს აძლევდა რჩევას)
მეთოდი გამოეყენებინა
იდგა დეკემბერი და არ მოდიოდა თოვლი
გრიგოლი კი იტანჯებოდა
დადგა იანვარი და არ მოდიოდა თოვლი
გრიგოლი კი იტანჯებოდა
დადგა თებერვალი და ერთ დილით
თვალის გახელისთანავე
ფანჯრიდან შემოსულმა
მხოლოდ თოვლისთვის დამახასიათებელმა
სითეთრემ მიიქცია გრიგოლის ყურადღება

წამოდგა სწრაფად და მიიჭრა ფანჯარასთან
თოვლი მოსულიყო
უფალს წამალი გამოეგზავნა

ჩაჯდა მანქანაში და ქალაქგარეთ გავიდა
სადაც ქარხნის შენობა ეგულებოდა
იქ ერთხელ ცეცხლი გაჩნდა
და მისმა ბრიგადამ ჩააქრო
მას შემდეგ შენობა მიტოვებული იყო

მანქანა ქარხნის უკან გააჩერა
და სახურავჩაქცეულ შენობაში შევიდა
შედარებით მოსწორებულ ადგილას
პეშვით თოვლი მოაგროვა
კონუსისებური ფორმა მისცა
მერე შარვალი ჩაიხადა
და წვეტს ანუსით შეეხო
გრძნობდა როგორ ეყინებოდა
ანთებით გახურებული ხვრელი
და საოცარ ნეტარებას განიცდიდა

კარგა ხანს იჯდა
ფეხები დაუბუჟდა
მაგრამ ცოცხალი თავით არ აპირებდა ადგომას
და ბოლოს შედეგმაც არ დააყოვნა:
გასკდომა არ უგრძვნია
მაგრამ დაინახა
როგორ შეიღება კონუსი სისხლით
და მანამ იჯდა
სანამ სისხლი ბოლომდე არ გამოიწრიტა
მას მერე ბუასილს არ შეუწუხებია

ბაბუას ამ სწავლებამ გაამართლა
მაგრამ მეორე სწავლება

გრიგოლამდე ასევე ირიბი გზით მისული
მცდარი აღმოჩნდა

გაიგონა ბავშვმა გრიგოლმა
როგორ აძლევდა ბაბუა რჩევას
ამჯერად ახალგაზრდა მეზობელს
რომელსაც იმ დღეს ცოლი უნდა მოეყვანა:
ჭიპიდან ქვევით ერთი მტკაველი გადაზომე
და სწორედ იქ შეძლებ შეღწევასო

სულ ახსოვდა ეს გრიგოლს
და რახან ზედმეტი მორიდებულობის გამო
ქალთან არასდროს ყოფილა
ეს ინსტრუქცია პირველი ღამისთვის შემოინახა
და როცა ორმოცის წლის ასაკში
ქალი გაურიგეს იძულებული იყო
სიმორცხვე დაეძლია და ექნა საქნელი
და გაიხადა ცოლმა ლიფი
გაიხადა გრიგოლმა მაისური
გაიხადა ცოლმა საცვალი
გაიხადა გრიგოლმა ტრუსი
გაშალა ცოლმა ფეხები
გაშალა გრიგოლმაც ფეხები
მაგრამ მერე ისევ შეატყუპა და მიჰყვა ინსტრუქციას:
გადაზომა ჭიპიდან ერთი მტკაველი
მიადო და სცადა შესვლა
მაგრამ უშედეგოდ
– ქვევით – უთხრა ცოლმა
«– ბაბუაჩემმა არ იცოდა და შენ იცი?!» – გაიფიქრა
გრიგოლმა
და ისევ იმ ადგილას სცადა
მაგრამ ისევ უშედეგოდ

«ბაბუას დიდი ხელი ჰქონდა» –
გაიფიქრა ბოლოს და უფრო ქვევით სცადა
მერე კიდევ უფრო ქვევით
კიდევ უფრო ქვევით
და ბოლოს მიაგნო
მაგრამ აღმოჩენის სიხარულს
ის ჩრდილავდა რომ ბაბუა შეცდა

«– ნუთუ ბებიას ზევით ჰქონდა?» –
ფიქრობდა მერე კარგა ხანს
მაგრამ ვერ შეამოწმებდა
რადგან ბებია ბავშვობაში დაწვა ცოცხლად

არადა ბებია ძალიან უყვარდა
ბებიასაც უყვარდა
როცა ბავშვ გირგოს (ასე ეძახდა ბებია)
ტრაკს გამოხოცავდა
დუნდულზე აკოცებდა და გაუშვებდა სათამაშოდ

გირგოს კი ცეცხლთან თამაში უყვარდა
გამხმარ ბალახს უკიდებდა ცეცხლს და აქრობდა
გამხმარ დაფნას უკიდებდა ცეცხლს და აქრობდა
საბატეს უკიდებდა ცეცხლს და აქრობდა
ძაღლის სახლს უკიდებდა ცეცხლს და აქრობდა

ერთხელ მეზობელს მეზობელი შემოაკვდა
და ამ უკანასკნელის ნათესავებმა
მკვლელის სახლს ცეცხლი წაუკიდეს
მთელი სოფელი იდგა და უყურებდა
მხოლოდ პატარა გირგო მივარდა ჭასთან
იქვე დაგდებული სათლი წყლით აავსო
ცეცხლისკენ გაექანა და შეასხა
მეორედ მობრუნდა ჭასთან
და როცა სათლს ავსებდა

მძლავრმა პანღურმა
ლითონის ბადის ღობეს თავით მიახეთქა
პანღურის ავტორი
გარდაცვლილის ძმა იყო

მერე გრიგოლი ხშირად დადიოდა
და უყურებდა სახლისგან დარჩენილ კარკასს
და ფანჯრიდან გამოვარდნილი ცეცხლით
გამურულ ბრიზგს
შედიოდა შიგნით
ნახშირით ითხუპნიდა სახეს
ჯდებოდა ხანძარს გადარჩენილ
რკინის ღია სეიფზე და დიად ხანძრებზე ფიქრობდა

ერთხელაც ჩალის გამხმარი ღეროებისგან სახლი ააგო
უკვე ლოგინად ჩავარდნილი
და ლაპარაკის უნარწართმეული ბებია შიგნით შეიყვანა
და სახლს ცეცხლი წაუკიდა
ცოტა ხანს აცალა
მერე კი შიგნით შევარდა
კვამლით და შიშით მიბნედილი ბებია
გარეთ გამოიყვანა და ხანძრის ჩაქრობა დაიწყო

მოეწონა და კიდევ ააგო ჩალის ღეროების სახლი
კიდევ შეიყვანა ბებია
მაგრამ ამჯერად ვერ გამოიყვანა
ჯერ იტირა
მაგრამ მერე თავის გადარჩენაზე დაიწყო ფიქრი:
ბებიას ნარჩენები სამზადში შეიტანა და სამზადი დაწვა
ვერავინ ვერაფერს მიხვდა

სკოლა რომ დაამთავრა
რაიონის სახანძრო სამსახურში დაიწყო მუშაობა
და მანამ მუშაობდა

სანამ კურიოზი არ მოხდა და სახანძროს შენობა
სახანძრო ინვენტარიან-მანქანებიანად არ დაიწვა

მერე გრიცკო (ასე ეძახდნენ ბიჭები)
პატარა ქალაქში გადავიდა
საცხოვრებლად და სამუშაოდ
ბევრი ხანძრის ჩაქრობაში მიიღო მონაწილეობა
ბევრი სიცოცხლე გადაარჩინა
ბევრი ჯილდო დაიმსახურა
და პენსიაზე გავიდა

გრიგოლს
და კიდევ რამდენიმე ვეტერან მეხანძრეს
ყოველ წელიწადს იწვევდნენ
მეხანძრე-მაშველთა პროფესიულ დღესთან
დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე

«დიახ, ხანძარი ღამე ლამაზ სპექტაკლს წააგავს!» –
ამოიკითხა ერთხელ გრიგოლმა
შვილიშვილის მაგიდაზე ნაპოვნ წიგნში
სადაც რატომღაც წიგნებს წვავდნენ
ეს ფრაზა სულ ახსოვდა
ახლაც გაახსენდა და თვალწინ დაუდგა
ღამით დადგმული ყველა ლამაზი სპექტაკლი
რომლის შეწყვეტაშიც მონაწილეობა მიუღია
და თავი ცოტა უხერხულად იგრძნო

ფანჯარაში განთიადის ცა ჩანდა
გრიგოლმა ცოლის სურათს ახედა
მაგრამ ბნელოდა და ვერაფერი დაინახა
ადრე უყვარდა ახალამდგარი ცოლის ლოგინზე
მარცხენა ხელის დადება
ლეიბზე შერჩენილი სხეულის სითბო

ხელის გავლით გულამდე აღწევდა
და გრიგოლს რატომღაც ცრემლები აწვებოდა

ოდნავ შეღებული ფანჯრიდან
სახანძრო მანქანის სირენის ხმა შემოვიდა და
უცებვე მიწყდა
ადრე ასაკის მიუხედავად სისხლი აუდუღდებოდა
ხოლმე
მაგრამ ახლა ყლეზე დაიკიდა

მიწყნარებულმა ანალურმა ქავილმა
უფრო მწვავედ შეახსენა თავი
სხვა გზა არ იყო
უნდა ამდგარიყო და ადგა
შუქი აანთო
და ბებრული ნაბიჯებით სააბაზანოში გავიდა
პიჟამო ჩაიხადა
უნიტაზზე დაჯდა
ტუალეტის ქაღალდის რულონს
მოზრდილი ნაწილი მოახია
დაკეცა და მოიქავა
ქაღალდი იაფფასიანი და ხაოიანი იყო და სიამოვნებდა
იცოდა რომ უნდა შეჩერებულიყო
მაგრამ უფრო და უფრო უმატებდა ტემპს
კიდევ და კიდევ
კიდევ და კიდევ
კიდევ და კიდევ

უცებ სუნთქვა შეეკრა
მკერდში საშინელი ტკივილი იგრძნო
და საშხაპე კაბინისკენ გადავარდა
უკანასკნელი რაც დაინახა

ჩამოვარდნილი საშხაპე ონკანის
საფრქვეველი იყო

გამოყენებული ლიტერატურა:

გიორგი მერჩულე – «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება»

იოანე საბანისძე – «აბო თბილელის წამება»

იაკობ ხუცესი – «შუშანიკის წამება»

უცნობი ავტორი – «ცხრა ყრმა კოლაელთა წამება»

შოთა რუსთაველი – «ვეფხისტყაოსანი»

სულხა-საბა ორბელიანი – «სიტყვის კონა»

იოანე ბატონიშვილი – «კალმასობა»

ფრანსუა რაბლე – «გარგანტუა და პანტაგრუელი» (გურამ გოგიაშვილისეული თარგმანი)

დათო ბარბაქაძე – «ტრფობა წამებულთა»

რეი ბრედბერი – «451º ფარენჰაიტით»

გამოყენებული ვიდეომასალა:

საზ. მაუწყებლის, რუსთავი 2-ის, ტელეკომპანია «იმედის», TV პირველის რეპორტაჟები «ბავშვთა სამყაროში», ელიავას ბაზრობაზე, ფოთის ბაზრობაზე, მთაწმინდის ფერდობზე, აეროპორტის გზაზე მდებარე სტამბაში, ისნის ბაზრობაზე, ბორჯომის ხეობაში, ატენის ხეობაში გაჩენილ ხანძრებზე.

გამოყენებული ონლაინმასალა:

ფეისბუქ-მეგობრების სტატუსები.

23-24-25 აგვისტო. 2017 წ.

გიორგი ჩუთლაშვილი

სამი თეფში

1

სათვალის მინები გაწმინდა,
კონვერტზე დაკრულ მარკას დახედა
და ოთახი დაცალა.
მერე არავის აღარ უნახავს...
სხვა ქვეყანაში გაიქცაო.
მეზღვაური არ ყოფილა.
მთასვლელი არ ყოფილა.
პილოტი არ ყოფილა.
მაგრამ რაღაც იყო...
«პირში წყალს რომ არ იგუბებდა
აქ ვეღარ გაუძლო და
მგონი წყალმა ჩაიგუბა პირში» –
ასე ლაპარაკობდნენ ნაცნობები.

2

«კონვერტში ჩადებული წერილი,
რომელიც თეთრ ლექსს ჰგავს»

პირველ თეფშზე დავასხი წყალი და შევურიე
ზიზღი საკუთარი თავის.
მეორე თეფშზე დავასხი წყალი და შევურიე სიყვარული
შენთვის და ჩიტებისთვის,
შენთვის და აკვარიუმის თევზებისთვის.
მესამე თეფშზე დავასხი წყალი და წყალში
გავაცურე ჩემი გამჭვირვალე ტკივილი.
გავაცურე შენი გამჭვირვალე ტკივილი.
ამით ალბათ საკუთარი თავი გავაცურე...
წამწამი თვალში ჩამიბრუნდა,

როგორც მდინარეს ჩაუბრუნდება ხოლმე თევზი და ნავი.
სამივე თეფშზე წყალი დაშრა.

ახლა გამორთული ტელევიზორის წინ
ვზივარ და ფეხი ფეხზე მაქვს გადადებული.
თითების გადაჯვარედინებაც შემიძლია, მაგრამ
ახლა ასე მირჩევნია, მარჯვენა ფეხი მარცხენაზე.
გუშინ ძველებური ფირსაკრავის წინ
ვიჯექი და ბენ ვებსტერის მუსიკას ვუსმენდი,
ყველაფერი რიგზე იყო და თბილად ჩაცმული
თითქოს, რიგში ვიდექი სიკვდილ-სიცოცხლის,
რომელიც ორცხობილის
და პურის რიგში დგომაზე სასიამოვნო იყო...
ახლა გამორთული ტელევიზორის წინ ვზივარ
ფეხი ფეხზე მაქვს გადადებული და ვფიქრობ,
სამი თეფშიდან რომელი გავტეხო...

ღილი

ღრუბელი აუწყდა ცას ღილივით.
მტრედი აუწყდა ჰაერს ღილივით.
ღილი გადაეყლაპა ბავშვს ჰაერივით.
სიზმარი აუხდა ბავშვს.
სიზმარი აუხდა ქალს.
სიზმარი აუხდა კაცს.
მდინარე არ ეყო თევზს.
თევზი არ ეყო წყალს.
თვითმფრინავს არ ეყო ცა.
ღრუბელი არ ეყო ცას.
ცა ეყოთ ანგელოზებს.
კაცი არ ეყოთ ანგელოზებს.
ქალი არ ეყოთ ანგელოზებს.
ბავშვი არ ეყოთ ანგელოზებს.
სარდაფი არ ეყო ნესტს.
ჭერი არ ეყო სახლს.
ღილი აუწყდა ქალს.
ღრუბელი აუწყდა ცას.

«მე ნუცუბიძის პირველ პლატოზე
მივაბიჯებ და ვფიქრობ
ქალის პალტოდან აწყვეტილ ღილს
და ციდან აწყვეტილ ღრუბელს
ჩემი ახალი ლექსის
სტრიქონზე როგორ მივაკერებ...»

თვითმფრინავის ფრთა. ჩიტის ფრთა.

1

რაღაც გამოვტოვე,
რაღაც მნიშვნელოვანი გამოვტოვე.
სანამ სატვირთო მანქანა მოტოციკლეტს
შეეჯახებოდა,
სანამ განათების ბოძზე მიკრული განცხადებიდან
მოხუცი ქალი ტელეფონის ნომერს ჩაიწერდა
უბის წიგნაკში და წნევის წამალს დალევდა უწყლოდ.
სანამ თვითმფრინავს ფრთა დაუზიანდებოდა და
თვითმფრინავის ფრთაზე ჩიტი ფრთას მოიტეხდა,
რაღაც მოხდა. რაღაც გამოვტოვე...

2

იქნებ სატვირთო მე დავტვირთე ცემენტით...
იქნებ მოტოციკლეტი მე შევაკეთე...
იქნებ განცხადება მე მივაკარი განათების ბოძზე...

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა:

ვარ დრო...
ვარ სიკვდილი...
ვარ სიცოცხლე...
ვარ სიცარიელე...
ტელ: 12345678...

თვითმფრინავის ფრთამ ცა ვერ გაჭრა...
ჩიტის ფრთამ ცა ვერ გაჭრა...
მე რაღაც გამოვტოვე...
რაღაც მნიშვნელოვანი გამოვტოვე...

ორი მოგონება

თვალებს ვახამხამებ, მაგრამ მოგონებებს ვეღარ.
გუშინ ორი მოგონება ამოვითხარე.

პირველი მოგონება:

მეორადი ტანსაცმლის მაღაზიის გასახდელში
ჩაგვეძინა...
იქამდე, სანამ ის გოგო შარვლის ტოტების
სიგრძის სიზუსტეში
მარწმუნებდა, რომელიც ოცწუთიანი
თვალიერების შემდეგ ჩავიცვი,
მე ჩემს თითებს მის სხეულზე ვანაწილებდი.
ის არ წითლდებოდა და ვაგრძელებდი,
მის მკერდთან შრამი იაპონურ იეროგლიფს ჰგავდა...

მეორე მოგონება:

«სატელეფონო ჯიხური»

სანამ მე და ჩემი ბავშვობის მეგობარი
ტელეფონით
ჩემს უცნაურ უსათაურო სიზმარზე
ვლაპარაკობდით რომელიც წლის
საუკეთესო სიზმრებს შორის მოხვდა,
ვიღაც ქარხნის უზარმაზარ კარზე
ჩემს ერთ-ერთ ლექსს ყვითელი
საღებავით წერდა...

Woody

კაცი, რომელიც ვუდი ალენის ფილმის ყურებისას
გარდაიცვალა
ახლა, მუხის კუბოში წევს და მწიფე ქლიავის ფერი აქვს...
კაცი, რომელიც ქლიავის კრეფისას კიბიდან გადმოვარდა,
ვუდი ალენის პიესის პერსონაჟს, ნეტ ეკერმანს
ჰგავს, რომელთანაც სიკვდილი აკაკუნებს...

3. პროზა

შალვა ბაკურაძე

ამარ ვორეთ, შიილებუ პილეთინ

1.

ომში მხოლოდ სიკვდილები არაა, გაცილებით მეტია გადარჩენები.

მხოლოდ ცრემლები არაა, სიცილიც მაგდენივეა. ან უფრო მეტიც.

ვინც გადარჩა, მან ეს კარგად იცის.

მე ერთხელ ჯარისკაცი ვიყავი ომში.

1992 წლის რომელიღაც აგვისტოს სოხუმში თბილისის სამთავრობო ჯარი შემოვიდა, ერთ თვეში ნახევარი ქალაქი გაიკრიფა, ყველა დაწესებულება გაჩერდა, დაიწყო უმისამართო მაროდიორობა, უბნის ქუჩები გაივსო უსამსახურო მამიკოებით და ბაბუებით, პირველ ეტაპზე მათ დაიწყეს სადღეღამისო მორიგეობა ნარდის დაფებთან, შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბევრ მათგანს ჯოკერისა და კინგის თამაშიც შესძლებია. ვიღაცამ გეკოს თოფი მოიტანა, ვიღაცამ მორჩენილი ღვინო და ჭაჭა გამოიტანა. ჩემი ხნის ბიჭებმა ჯერ პურის ქარხანას შემოარტყეს ალყა, შემდეგ ღვინის ქარხანა აიღეს შტურმით. დედიკოები ამ დროს ეზოებში ისხდნენ, მსხალს ჭამდნენ და წყევლიდნენ მტერს და დამაქცევარს. მამიკოებმა და ბაბუებმა ბოცებით და კანისტრებით აავსეს ღვინის ქარხნისკენ დაქოქილი მანქანები. საღამოს მთელი ქალაქი რამდენიმე დღით დათვრა. ერთმა ლოთმა ოცნება აისრულა, აბაზანა კონიაკით აავსო, ჩაწვა და დაიხრჩო თავი. მერე ასეთი სიკვდილი კარგ ტონად ჩაითვალა და რამდენიმემ იგივე გაიმეორა. ჩვენ კი რახან ალკოჰოლმა

ვერ მოგვკლა, გადავწყვიტეთ, ბედი სხვა ფრონტზე გვეცადა. პირდაპირი გაგებით.

ერთხელაც უსაქმურობისა და ლოთობისგან დაღლილებმა კიდევ ერთხელ დავლიეთ და ომში წასვლა გადავწყვიტეთ. შეგვპირდნენ, ხელფასი გექნებათო, იარაღიცო, ვიღაცამ ქალებიც ახსენა. ხოდა ტურბაზის ტანკსაწინააღმდეგო ასეულში ჩავეწერეთ. გაირკვა, რომ ძალიან გაგვიმართლა. ასეულში მოხვედრა სოხუმელი მამიკოებისათვის სამსახურში მოწყობასთან იყო გათანაბრებული და ჩაწყობა სჭირდებოდა. ეტყობა, ბაბუსაც ჩვენსავით ვიღაცამ ჩაუწყო, თორემ ეგეთი არსება ომში რატომ უნდა წაიყვანო?

ასეულში, ასე თუ ისე, ყველას ვიცნობდით. თუ არ ვიცნობდით, ქუჩაში მაინც გვყავდა ნანახი. ბაბუს კი არავინ იცნობდა. არც მეთაური და არც კადრების გამგე. სახელიც ბაბუ იმიტომ დავარქვით, რომ საერთოდ ხმას არ იღებდა და ერთადერთი, რაც მის შესახებ დავადგინეთ, იყო... თუმცა მანამდე კალაშნიკოვის ავტომატები დაგვირიგეს, რაღაც საბუთებს ხელი მოვაწერეთ და დილამდე სახლებში გაგვიშვეს გამოსაძინებლად.

დილის 7 საათზე შტაბის ავტობუსმა სახლებში მოგვაკითხა. ადრე გაღვიძებას გადაჩვეულებმა ნახევრადდახუჭული თვალებით ძლივს ჩავიცვით მშობლების გამზადებული თბილი ტანსამცმელი. ბიძაჩემის ნაჩუქარი ტყავის ჩექმა ამოვიცვი და ერთ საათში უკვე ვიყავი «ნა სამი სამი ფრონტ». მთას, რომლის წვერზეც რამდენიმე ნახევრადგათხრილი სანგარი და ორიოდე მიტოვებული ქოხმახი დაგვხვდა, «ცუგუროვკა» ერქვა. ეს ადგილი ქალაქიდან საკმაოდ ახლოს იყო, თუმცა თითოეული ჩვენგანი აქ პირველად მოხვდა. თოვლი ალაგ-ალაგ იდო,

მიწა კი ისეთი ატალახებული იყო, რამდენჯერმე ავსრიალდი და კინაღამ კისერი მოვიტეხე, რაზეც ძალიან ბევრი დამცინეს. მთელი დღე ჭიანჭველებივით ვფუთფუთებდით, მახუტისა და კიაზოს (მეთაურების) მითითებით შევაგროვეთ შეშა, სანგრები გავაღრმავეთ და შევამოწმეთ ავტომატები. ბაბუს ავტომატი მანამდე არასდროს ენახა. მასზე თითის შეხებისაც ეშინოდა, ამიტომაც ავტომატი სახლში დატოვა და ნაცვლად ნაჯახი, წერაქვი და ნიჩაბი წამოიღო. ჩეხა შეშა და თხარა მიწა. საღამოსკენ დაიღალა და საჭმელი და კარავში ღუმელთან გათბობა მოითხოვა. მაშინ კიაზომ უთხრა ბაბუს: მა ვამიჩქუ შენ როგორი ბაევიკი ხარ, მაგრამ ნამდვილი მუჟიკი რომ ხარ, უკვე მჯერაო და გაიცინა.

შევიდა ბაბუ კარავში, ჭამა, ორი ჭიქა არაყი დალია და მივხვდით, რომ უკეთესი შანსი არ მოგვეცემოდა. კიაზომ ჰკითხა, სადაური კაცი ხარო. წალენჯიხელიო – უპასუხა ბაბუმ მეგრულად. მერეო? მერე და ისა, რომ ბავშვობიდან მწყემსი ვიყავი და მთელი ცხოვრება მთაში მაქვს გატარებულიო. ხოდა, ახლა კოლმეურნეობის თხები სხვამ იყიდა და სოხუმში მომიწია ოჯახით ჩამოსვლაო, ნათესავთან ვცხოვრობ ცოლით და ოთხი შვილით. ომი რომ დაიწყო, ნათესავმა მითხრა, ომში თუ წახვალ, ფულს მოგცემენ, ფულს სახლში მოიტან, სხვა რაღაცებიც შეგხვდება, იმასაც სახლში მოიტან და ოჯახიც არ დაგეხოცებაო.

ცალკე თემაა, როგორ გამოიყურებოდა ბაბუ, თუმცა ჩვენი სოხუმური მეგრულითაც მივხვდით, რომ ეს კაცი ვერც მეგრულად საუბრობდა გამართულად, ერთმანეთს გადავხედეთ, გაგვეცინა, კიაზომ კი უთხრა: ხვალ დილისთვის თუ რამე ოჭკომალი დარჩება, სახლში წაუღეო ბავშვებს.

გარეთ ციოდა, უკუნეთ ტალახში დგომა და გაურკვეველი მტრის ლოდინი ნებისმიერს ადვილად გვღლიდა, შიში და სიცივე მაიძულებდა, გოგოებზე მეფიქრა, ამოვიჩემე ერთი გოგო, რომელიც მეგობრის ქორწილში ვნახე, გამახსენდა, რომ ძალიან ლამაზი იყო, გავიხსენე, როგორ მიარხევდა თეძოებს, მხრებს და გრძელ ცხვირს, მერე გონებაც გამინათდა და მივხვდი, რომ ეს გოგო მიყვარდა. გულაკანკალებულმა წარმოვიდგინე მასთან კიდევ ერთხელ შეხვედრის წამები. დარწმუნებული ვიყავი, რომ მიცნობდა, მერე ალბათ ცოლადაც მოვიყვანდი და თუ ცოლად მოვიყვანდი, ეს ნიშნავდა, რომ არამარტო ვაკოცებდი, არამედ მისი მხრები, თეძოები და ძუძუებიც ჩემი გახდებოდა. ღმერთო ჩემო, მადლობა, რომ ამ ჭეშმარიტების მისახვედრად აქ, ამ სიმაღლეზე, ამ კუნაპეტში, ტალახში, სიცივეში ამომიყვანე, სხვაგან სად უნდა მივმხვდარიყავი ყველაფერ ამას? აღარ მციოდა, მაგრამ ტყიანი სიბნელიდან უეცრად ფეხის ხმა მომესმა, გავიტრუნე, ჩემგან ათ მეტრში მახუტი იდგა და ჩუმად გამომძახა, ვიღაც მოდისო. ეჰეეეეე, ახლა კი დამერხა- მეთქი, ვიფიქრე, საერთოდ არაფერი ჩანდა. საკუთარ ხელებს და ავტომატს ძლივს ვხედავდი. აქ კი ვიღაც მოდის და აშკარად გვიახლოვდება, წესით უკვე 5 მეტრში უნდა იყოს, მაგრამ ვერ ვხედავ. ცოტა ხანში მესმის მისი სუნთქვის ხმა, სუნთქავს ძაან სწრაფად, სიცხიანივით, მახუტისაც ესმის ეს სუნთქვა და გაბმულად ესვრის. ტურა წკმუტუნით მეჯახება ჩექმებზე და გარბის, უფრო შორს გარეული ცხენები ჭიხვინებენ. ეჰ, სიყვარულო, შენ ხომ მარადიული ხარ, შენ ხომ შიში ვერაფერს გაკლებს, შენ ხომ უშიშარი ხარ შეყვარებულო შაკო. მე შაკო მქვია, მახუტი მამაჩემის მეგობარი და ჩემი აღმზრდელია, ომშიც მან წამიყვანა, თუმცა ახლა ძალიან ნანობდა, ამ დღეში რომ ჩამაგდო, აკანკალებული კარავში შემიყვანა, ბიჭებს

უთხრა, ამას ტურა დაესხა თავსო და ყველა სიცილით გაიგუდა ბაბუს გარდა – ტურამ ღამით იცის მოპარვა და მაგიტომ ბავშობიდან ხეზე მძინავსო.

– ხის ტახტს გულისხმობთ თუ მართლა ხეზე გძინავთ-მეთქი – ვკითხე აკანკალებული ღიმილით. სულ ხეზე მეძინაო, – ასე მიპასუხა. ამაზეც ყველამ ერთად ბევრი იცინა. მერეო? – ჰკითხა კიაზომ. ერთი გოგო ჰყავდა ვიღაც მწყემსს, კარგი გოგოო, ღამით ხეზე ავიყვანე, ჩურზე ვაკოცე და მოვტყანიო.

ამაზე ხომ ყველა დავიხოცეთ, და მერე მიამატა, «ხო, ხო, ხეზე მოვტყანიო» და ჩვენც მოგვეტყნა სიცილისგან გულ-ფილტვი. ჩემი სანგარში დაბრუნების დრო იყო. ავიღე ჩემი ავტომატი, ვდგავარ შუაგულ ღამეში და ვფიქრობ: შეყვარებულისთვის დიდი მადლობა ღმერთო! რომ გადავრჩი, დიდი მადლობა, მაგრამ ხეზე ტყნაური მაინც სხვაა, ახლა მხოლოდ მაგაზე ფიქრი თუ გამათბობს.

2

მახუტი ძალიან შეწუხებული იყო ბავშვების ბედით, თან სიცივიან-ტალახიანი ომის პერსპექტივა საერთოდ არ ხიბლავდა – იტყოდა, ამისთვის წამოვედით, ბლიად, ომშიო? ამიტომაც იჩალიჩა, იჩალიჩა და ჩვენი ასეული ცენტრალური სამხედრო შტაბის დაცვად გადააკეთეს. აქ შეგვეძლო, მშვიდად გაგვეგრძელებინა მეომრის გმირული ცხოვრება სამჯერადი კვებით და ამდენჯერადივე ჭაჭის სმით. ბაბუ კმაყოფილი იყო, იარაღი სადღაც სხვაგან ეგდო, თავად კი ხან ევკალიპტის ქვასავით მაგარ შეშას გვიჩეხავდა, ხან დროებით ქოხებს გვირემონტებდა, ხან ლიმონს და მანდარინს კრეფდა ოჯახისთვის. «მუ ჯგირ დიშკა რე თე ეკვალიტიშ დიშკა» – იმეორებდა ლოცვასავით, თუმცა ომი იყო და ხიფათს არ ეძინა. ბაბუს

სამორიგეო პოსტი შტაბთან ყველაზე ახლოს, გზის პირას, დიდი ევკალიპტის ძირში იყო. იქ მან სატყეო დროებითი არქიტექტურის შედევრი ააშენა, ორსართულიანი, თხმელისა და ევკალიპტის ტოტებით გადახურული ოდა. პირველ სართულზე ღუმელი და სამზარეულო ჰქონდა, მეორეზე საძინებელი, რადგან იქ უფრო თბილოდა, ფანჯრიდან კი ევკალიპტის ხეზე გადამყვანი კიბე. ბევრჯერ შეჩერებულან ბაბუს კოშკთან გენერლები: კამკამიძე, დათუაშვილი, ქვარაია და გიორგი ყარყარაშვილი. ეს უკანასკნელი ბაბუს სამზარეულოდან გამოსულმა მთვრალმა გივი მოისწრაფიშვილმა ტყვედ აიყვანა. გიას ეს სასაცილოდაც არ იყო, მაგრამ მოისწრაფიშვილისა და ბაბუს ქოხის ამბავი მთელ ფრონტს მოედო, გაპიარდა და უკვე ბაბუსთან სამზარეულოში შეხვდებოდით შავნაბადასა და თეთრი არწივის პოლკოვნიკებს, თავად მახუტისა და სხვათა ლოთთა მრავალთა, თუმცა იმ წელს 28 დეკემბერს რომ დაიწყო ბარდნა, ახალ წლამდე არ გადაუფიქრებია. ამხელა თოვლი სოხუმში მოხუცებსაც არ ახსოვდათ, დაიწყეს მსხვრევა თოვლშეუჩვეველმა ევკალიპტებმა, დაიმსხვრა ბაბუს პრეისტორიული ევკალიპტი და უზარმაზარი თოვლიანი ტოტები თავზე დაეყარა ბაბუს ნაგებობას. ყველა მისკენ გავიქეცით, გენერალი დათუაშვილიც მოვიდა და ხედავს, ბაბუს საამაყო კოშკის ადგილზე თოვლის ყორღანი დგას. გაისმა კიაზოს ფრთოსანი შეძახილი» «სორე ბაბუ?» და პასუხმაც არ დააყოვნა: «თილიშა». სამაშველო ოპერაციამ 15 წუთამდე გასტანა. ბაბუ თოვლიდან გამოთხარეს და შეშინებულ-გაყინულს პაატა დათუაშვილი მიუახლოვდა, დახედა და თქვა: არაუშავს, გადარჩებაო. ბაბუ მაშინვე წამოხტა და უპატაკა: «ტავარიშ ღერენალ, ეტატ ეკვალიტ ტაკ უპალ, ჩუტ გოლავუ ნე სლამალ».

ახალი წელი ახლოვდებოდა და ქართული არტილერია მოწინააღმდეგისთვის საახალწლო საჩუქრების მობილიზებითა და შეგროვებით იყო დაკავებული და როგორც აღმოჩნდა, მოწინააღმდეგეც. ჩამოკრა თუ არა თორმეტმა, ორლულიანი თოფებისა და მაშხალების ნაცვლად სოხუმის თავზე ჰაუბიცებმა და გრადებმა იქუხეს. ვიღაცამ მიაძახა კიდეც «ს ნოვიმ გოდამ». რამდენიმე წამში სოხუმის დაბომბვაც დაიწყო და უკვე აღარავის გვახსოვდა არც ბაბუს ქოხი და არც ის, რომ მთელი 20 ლიტრი ჭაჭა იყო დამარხული თოვლის ქვეშ.

3

ბატალიონში გატარებულმა სამმა თვემ ოდნავადაც ვერ შეარყია ბაბუს მშვიდობისმოყვარე სულისკვეთება, თუმცა ცვლილებები მაინც იყო. ჯერ ერთი, თოვლიანი ევკალიპტის ნანგრევებში მოყოლის შემდეგ ბაბუს სახელი გადაერქვა და ეწოდა მას «ეკვალიტი», რაც ეკვალიტის ენაზე ევკალიპტს ნიშნავდა. მეორე კიდევ ის მოხდა, რომ ეკვალიტი დაუმეგობრდა ბადრი მეხუზლას. ბადრი მაღალი, თეთრი, სანდომიანი მამაკაცი იყო, ცნობილი მეცნიერ-მუშაკი, მრავალი სამეცნიერო სტატიისა და კვლევის ავტორი, დოცენტი. ბადრი ერთადერთი იყო ასეულში, ვინც ეკვალიტის სალაპარაკო ენის სინტაქსსა და ლექსიკის წარმომავლობას იკვლევდა. საქმე მეტი არც არაფერი გვქონდა, ბრძოლები არ იყო (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ იქ არავის მივყავდით). იყო ცოტა არაყი, მოსაწევი, კოცონი, გასათევი ღამე, ბაბუ, იგივე ეკვალიტი და ბადრი, იგივე პროფესორი მეხუზლა. ერთხელ სავსემთვარობისას მე და ბადრის ერთი სოხუმელი ბიზნესმენი ბიძა შემოგვაკვდა, კინაღამ. შტაბის გარშემო ვპატრულირებდით, შავი ვოლგა არ დაგვემორჩილა და ბადრიმ ეგრევე მიაყარა აკაემის ტყვიები. ის კაცი კი

გადარჩა და ბევრი ბოდიშებიც გვიხადა, მაგრამ ბადრი იმ ინციდენტის მერე ძალიან შემოწყრა თავის ავტომატს. მხოლოდ მხარზე თუ გადაიკიდებდა. ამის გამომგონებელს მოუტყან დედის ტრაკიო – იტყოდა და ბაბუზე გვანიშნებდა. «აი, კაციო», ჩაიცინებდა და ჩაიბუტბუტებდა «Ecce Homo». ეკვალიტი პირიქით, გაუთამამდა ავტომატს და როდესაც რამე დავალებაზე აგზავნიდნენ (ძირითადად შეშის მოსაგროვებლად), იარაღს მხარზე გადაიკიდებდა ხოლმე – რა იცი, რაში გამოადგებოდა. კონდახით კაკლის მტვრევა შეიძლებოდა, ლულით ეკალ-ბარდის აშორება. ტყვიებს კი ავტომატში არასდროს დებდა, მისთვისაც ეგრე იყო უკეთესი და ყველასთვისაც. ერთხელ კი ბაბუს იარაღმა პირდაპირი გაგებით შეასრულა თავისი საბრძოლო დანიშნულება. ეს მოხდა თებერვალში, ტამიშთან. იქ გაურკვეველი წარმომავლობის პარტიზანული ჯგუფები გააქტიურდნენ და ჩვენი ასეულიც ბოლო 3 თვის განმავლობაში პირველად მოხვდა ფრონტის ხაზზე, თუმცა ხაზი ამას ნაკლებად ერქვა, ეს იყო მიტოვებული და ბრძოლებისგან კარგა მინგრეულ-მონგრეული სოფელი. სარდაფები უკვე გადაჭმული იყო, პამიდვრის მწნილიც ვერსად ვიპოვეთ. არც მოწინააღმდეგე ჩანდა, სოფლის მომიჯნავე ტყიდან, სადაც ჩვენი გენერლების ვარაუდით პარტიზანები იყვნენ გამაგრებულნი, ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ვერც შეტევაზე ვბედავდით გადასვლას. ვაითუ, რამე ხაფანგი აქვთ დაგებული. თან მახუტი ამტკიცებდა, ტყისპირა მინდორი დანაღმულიაო. ასე გათენდა პირველი დილა, მერე დაღამდა და ისევ ასე გათენდა და აპოლონმა გაბედა და თქვა – მშიაო. ამაზე ერთხმად ბევრი ვიცინეთ, აპოლონსაც გაეცინა და საკუთხარი პოზიცია არგუმენტებით გაამყარა. «თქვენ რა იცით, მე ორი დღის წინ სამი დღის მშიერი ვიყავიო». ისეთი სიცილი ავტეხეთ, მეთაური შემოვარდა ოთახში – რა გაცინებთ, ფრონტზე

ხართ თუ კინოშო. ჩვენც მოვუყევით, თუ რა მიზეზის გამო შიოდა აპოლონს და მანაც ჩვენზე მეტი იცინა. არ ეცინებოდა მხოლოდ ბაბუს, მასაც ძალიან შიოდა და შიმშილის დასამარცხებლად დიდ, მზაკვრულ გეგმას ადგენდა. ეკვალიტმა დილიდანვე შეამჩნია, რომ ტყისპირას, დანაღმულ მინდორზე ბალახობდა ძროხა. ძროხა კიაზომაც დაინახა და გასცა ბრძანება: «პა კაროვე ნე სტრელიატ, ბლიად». და ეს ბრძანება ბაბუსთვის იყო ნიშანი, რომ უნდა გადასულიყო აქტიურ ქმედებაზე. ტყვიაგამოცლილი ავტომატი მხარზე გადაიკიდა და მანდარინებში ვითომ მოსაფსმელად გავიდა. იქიდან მეზობელ ეზოში გადაძვრა და მერე ხოხვა-ხოხვით მიუახლოვდა დანაღმულ მინდორში მობალახე ძროხას. სოხუმში ცხოვრების 6 თვის თავზე ბაბუს რამდენიმე ჭეშმარიტებაზე აეხილა თვალი, ერთ-ერთი იყო ის, რომ აქაურ ცხოველებს საერთოდ არ ესმოდათ მეგრული, და ამიტომ ეკვალიტმა ძროხას რუსულად მიმართა: «ეი, ტი, კაროვ, დაიოშ მალაკო, ნე სტრელიატ კაროვ, ია ქაცარი ზნაიუ, იდი სიუდა.» ან ძროხა იყო გაუნათლებელი, ან ბაბუს შელოცვა ძნელი გასაშიფრი, ან ცხოველებს ჰქონდათ ადამიანის ნდობა დაკარგული. ყოველ შემთხვევაში, ძროხამ ბაბუს ყური არ უგდო და ძოვა განაგრძო. მაშინ ბაბუმ იმარჯვა ავტომატი, მივარდა პირუტყვთან, რემენი რქიან თავზე გადააცვა და ექაჩება: «იდი სიუდა, გავარიატ», ხოდა, ძალიან რომ მოქაჩა, ძროხა დაფრთხა, გაიქნია თავი, წაართვა ბაბუს ავტომატი და ეგრე იარაღასხმული გაიქცა პარტიზანების პოზიციებისაკენ. ეკვალიტმა კარგად იცოდა, ავტომატის დაკარგვას ასეულის მეთაურები არ აპატიებდნენ, გარიცხავდნენ, ვეღარ მიიღებდა კუთვნილ ხელფასს, ვეღარ მიიტანდა ოჯახში ათასგვარ შემორჩენილ სასუსნავს, მოკლედ, მიხვდა, რომ მისი ცხოვრება ბეწვზე ეკიდა, გაუქრა ყველა შიში და ოჩოკოჩის ხმით უღრიალა

ძროხას: «ეეი, სტოი, სტოი.» ხმამ ჩვენამდეც მოაღწია, ვხედავთ, ბაბუს ხელები მაღლა აქვს აღმართული და გარბის მოწინააღმდეგისკენ. ჯარისკაცებმა ჩათვალეს, შეტევაზე გადასვლის ბრძანებაა მოსული. ბაბუმ მთელი დანაღმული მინდორი გაირბინა და ფაქტიურად უკვე მტრის ზურგშია, წინ ავტომატიანი ძროხა გარბის, ბაბუ ყვირილით უკან მისდევს, ბაბუს კი მთელი ბატალიონი მისდევს სროლით, ყიჟინით. ეს იყო ჩვენი ასეულის პირველი ბრწყინვალე გამარჯვება. მართალია, ტყეში ადამიანის ჭაჭანებაც არ იყო, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ, გამარჯვების სულისჩამდგმელი ძროხა ასიოდ მეტრში იდგა, ბაბუ ისევ რაღაცებს ეჩურჩულებოდა, ოღონდ ამჯერად მეგრულად, მერე მიუახლოვდა, ავტომატი რქებიდან გამოაცალა და როცა ჩვენთან დაბრუნდა, ასე გვითხრა: «პა კაროვე ნე სტრელიატ, ჩვენიანია, მეგრული იცის.»

4

ბადრი მეხუზლა დანარჩენებისგან კიდევ იმით განსხვავდებოდა, რომ ლიტერატურული ქართულით შეეძლო საუბარი. შეეძლო და საუბრობდა მანდარინისა და ფორთოხლის წვენების ახალ, ეკოლოგიურად სუფთა დამზადების ტექნოლოგიებზე, ან ზეთისხილის როლზე ანტიკურ სამყაროში, ან მუხისა და ცაცხვის კულტის შესახებ კოლხეთში. ბაბუ თვალისდაუხამხამებლად ისმენდა ყველაფერს. ყველამ ვიცოდით, რომ ვერაფერს იგებდა, მაგრამ ბაბუ ბედნიერი იყო. ერთხელ ბადრიმ ბლოკნოტი გახსნა და ფურცელზე დაკრული რომელიღაც წიგნიდან ამოხეული გვერდი გვაჩვენა – სულ წაბილწეს იქაურობა, იძულებული ვარ წიგნები მოვიპარო, ან უბრალოდ ასე ფურცლები ამოვხიო და გადავარჩინოო. საქმე ეხებოდა «კომპოზიტორთა სახლის» (რომელშიც

განთავსებული იყო სამხედრო შტაბი) ბიბლიოთეკას. გამომდინარე იქიდან, რომ იქ ქაღალდი მოიპოვებოდა, ჯარისკაცებმა ბიბლიოთეკა აპოკალიფსურ ტუალეტად აქციეს. ფანჯრები ჩამტვრეული იყო, ციოდა და წიგნებით გამოტენილ დარბაზში ადამიანური განავლის მწარე, არცთუ გულისამრევი სუნი ტრიალებდა. საათობით დაეხეტებოდა ბადრი თაროდან თარომდე სასურველი წიგნის ძიებაში. ჯარისკაცების მიერ ბოსლად გადაქცეულ ბიბლიოთეკაში. ყოველ საღამოს მთელი ზურგჩანთა წიგნები ამოჰქონდა. მერე ვიჯექით კოცონთან და ვუსმენდით ბადრის მე და ბაბუ.

– აი ნახეთ რა წერია, არადა შეიძლებოდა ეს ვიღაცას ძღნერიან ტრაკში გამოესვა:

«ადამიანისთვის არყოფნა უფრო ახლოა, ვიდრე ყოფნა, რადგან ის არყოფნიდანაა მოსული და ფიქრიც, რაც მას მისი აზრით განარჩევს სხვა არსებებისგან, არყოფნისაგან ისწავლა და არყოფნის შესახებაა. ადამიანი იმდენადაა არყოფნისაგან მონუსხული, რომ ღმერთსაც არყოფნაში ყოფნა დაარქვა. მისი სხეულიც არყოფნისგანაა აშენებული, მისი იმედიც არყოფნაში დაბრუნებაა. შენ მეტყვი, ლუციუს, რომ ჩვენ ყველას სიკვდილის გვეშინია და არც ვიცი რა გიპასუხო, მაგრამ მიხვდები, რომ მართალი ვარ, როცა ჩვენს ყოფნას გაიხსენებ, ადამიანების ყოფნას და მათ შორის მე და შენს ყოფნას. ყველაფერი მთავრდება ლუციუს, ალბათ იმიტომ, რომ გვინდა, დასრულდეს. ომი ხომ მაშინ იწყება და მთავრდება, როდესაც პირველ ადამიანს მოკლავ ან მოგკლავენ. მთავრდება იმიტომ, რომ მალე გვინდა დამთავრდეს. განა შენ არ იცი, რომ ყველაზე მეტად ომის დასრულებას მეომარი ელის? დიახ, მეც ვკითხავდი საკუთარ თავს: «გამარჯვება?» გწერ, რომ არ გამაჩნია ამ კითხვაზე პასუხი, რადგან გამარჯვება უკვე

პასუხია და როგორც ეპიკურე წერდა, «ყველა პასუხი დასმულ კითხვას მოითხოვს». გწერ, ჩემო ლუციუს, რომ ამ კითხვას «არაფერი» ჰქვია. ცხოვრების უდიდეს მიზანში, გამარჯვებაშიც კი ჩვენი მუდმივი სწრაფვაა არყოფნისაკენ, ან როგორ შეიძლება გიყვარდეს ყოფნა, როდესაც მას ყოველდღიურად საფრთხის ქვეშ ვაყენებთ. ვინც ამბობს, სიკვდილის არ მეშინიაო, გულისხმობს, რომ არყოფნა უფრო იზიდავს, ვიდრე ყოფნა. ვიხსენებ შენს წერილს, სადაც მწერ, რომ შიში სიყვარულისგან დაცლილი ადამიანების მოგონილიაო და აქ გიპასუხებ, შიში სიყვარულს შეიქმს, სიყვარული კი ისეთივე კითხვადასასმელი პასუხია, როგორც გამარჯვება, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი «არყოფნიდან» შემორჩენილი სიტყვა, რომლის მნიშვნელობაცაა «ნდობა», მის გარეშე არც არყოფნა არსებობს და არც სიყვარული, თუნდაც ჩემი და შენი სიყვარული».

ბაბუ კოცონში ნაკვერჩხალს უჩხიკინებდა და ეშმაკურად იღიმოდა.

– ეჰ, შენ რა გიჭირს გურამ – გადახედა ბადრიმ ბაბუს, ბაბუმ კიდევ უფრო ეშმაკურად ჩაიღიმა და უპასუხა:

– ჰო.

– ა, ხომ გითხარი შაკო, ჩვენ ვიკითხოთ, თორემ ბაბუს ხომ ხედავ, ეგაა კაცი.

– ბადრი, ვისი წერილი იყო ეს? – ვიკითხე და ჭაჭა ჩამოვასხი. ბადრიმ არაყი ეგრევე გადაკრა, ჭაღარა კეფა მოიფხანა და უხერხული გაუბედავობით თქვა: ჩემი აზრით მარკუს ავრელიუსი უნდა იყოსო. და რა გამოდის-მეთქი? – გამოდის ის, რომ არანაირი განსხვავება არაა მათ შორის, ვინც ამბობს სიკვდილის არ მეშინიაო და ვინც ამბობს

მეშინიაო, ერთი სიყვარულია ორივე, მე ეგრე გავიგე, სულ იბრძოდა ის დალოცვილი და მგონი მართლა მაგის დაწერილი უნდა იყოსო. მე ვიკითხე: ბადრი, მაშინ ის როგორ გამოდის, რომ ომში მნიშვნელობა არა აქვს, შენ მოკლავ თუ შენ მოგკლავენ-მეთქი? რა ვიციო, გაიცინა, ოდესმე თუ მოვხვდებით ომში, გავიგებთო.

ბაბუ ნაკვერჩალს უჩხიკინებდა და მთელი თავისი გაუპარსავი სახით იღიმოდა. ერთ კბილი ვერცხლისფერი ქონდა, დანარჩენი ჩვეულებრივი.

– ღმერთზე ფიქრი კარგია – ღიმილითვე თქვა.

– აი, ხომ ხედავ შაკო, ხომ გაიგე, ღმერთი უამრავი ღმერთისაგან შედგება, და შემადგენელი ღმერთები თავად შედგებიან ღმერთებისგან და ასე უსასრულოდ, ორივე მიმართულებით. ადამიანების ღმერთიც ღმერთია, ისეთივე ღმერთი, როგორც სხვა დანარჩენი, ან სხვა არცერთი. «არცერთში» კატეგორიულობა არ იგულისხმება. თუ უსასრულობას ეხები, «არცერთი» მისი დამახასიათებელი სახელია. უსასრულობა არის ის, რასაც ქვია «არცერთი», თუმცა მასში ერთი მთავარი ღმერთი იგულისხმება. ეს ყველაფერი სიცოცხლეში ხდება და ამიტომაც სიცოცხლეს, ყოფნასაც ჰყავს თავისი ღმერთი და მას ჰქვია «რწყევა». რწყევის ღმერთობა უკვე დიდი ხანია შეიმჩნევა ცოცხალ არსებებში, თევზები რომ თევზებია, ისინიც არწყევენ და მოლეკულურ დონეზე რწყევა მართლაც ღმერთივით ყოველწამიერი მოვლენაა. არსი საკუთარი თავიდან განაგდებს ანტიარსს, თითქოს გონებიდან ზედმეტი აზრები გამოგერეკოს, როგორც სხეულში მოხვედრილი ზედმეტი სხეული (ვიტყვი, რომ არყოფნიდან გამოდევნილი ზედმეტი სხეული) განდევნოს,

გამორიყოს სხეულიდან, სიცოცხლის სხეულიდან. აი, რაღაც მსგავსი რამ არის რწყევა.

თუმცა როგორც ყველა ღმერთს, რწყევასაც აქვს თავისი იერარქიები. აი, ხომ გახსოვთ, დათო ხიდაშელმა არყის ნაცვლად სკიპიდარი რომ დალია და ეგრევე არწყია, ეგ იყო რწყევის ყველაზე დაბალი კატეგორია. აი, გუშინ კიაზომ არაყს და ღვინოს მანდარინი, ბენოს ძღნერი და მოისწრაფიშვილის ტვინის ტყვნა რომ აურია და დილის 5 საათზე არწყევდა, ეგ რწყევის სხვა კატეგორიაა. ტრაკიდან რწყევას კუჭის აშლა ეწოდება და ისიც ადამიანის ყოფნის დასაცავადაა, რწყევისა და კუჭის აშლის ღმერთები მთელი სიცოცხლის განმავლობაში თან გვდევენ, გვიცავენ, წარმოიდგინე შაკო, რომ ხვალ ბრძოლაში მოგიწიოს გასვლა და შუბლში ბომბის ნამსხვრევი შეგერჭოს...

ამ დროს მე გავაჩერე ბადრი და ვთხოვე, ეგეთ რამეებზე აღარ ესაუბრა, მაგრამ ბადრი მთვრალი იყო და გააგრძელა: აი, ხომ არწყევს შენი შუბლი, აი, ხომ არწყევს შენი შუბლიო. რწყევა ზოგჯერ წლობით არ წყდება. აი, მამაჩემს ომის დროს მოხვედრილი ნამსხვრევი შარშან ამოუვარდა ზურგიდან. ორმოცდახუთი წელი არწყევდა მამაჩემის სხეული და ბოლოს ამოარწყია ეს ჯოჯოხეთის ნამსხვრევი. კი მოკვდა მერე მალევე, მაგრამ სანამ არწყევდა სხეული, სიცოცხლე სიცოცხლობდა, მორჩა რწყევა – მორჩა სიცოცხლე. იძახოდა, ოპერაციის წინ და ოპერაციამდეც – იყოსო, ნუ ამომაძრობთო, არადა უკვე ამოვარდილი პეტლივით ეკიდა ზურგზე. ამ ვითომ ომსაც მალე არწყევს ჩვენი სიცოცხლე. ნახავ, აგერ მე და აგერ შენი შუბლიო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ზურაბ გოგიძე

მუშა და ფეხსაცმლის ზონარი

ადამიანი თოკზე მოსიარულე ჟანგლიორსა ჰგავს
(ერთი უსახელო თამადის სადღეგრძელოდან)

ზურაბ გოგიძე

საკუთარ გახსნილ ზონარზე დაუბიჯებია ფეხი და შემდეგი ნაბიჯი, ის იყო სიფრთხილით გაზომილი და გამიზნული, უხეში გაკვრით შეუწყდა, ვეღარ გადადგა. იმ ჩაშლილ ნაბიჯზე დასაყრდნობი მთლიანი სხეულიდან წონასწორობა გამოეცალა და ცუდად დაქანდა.

მყრალი განცდის ერთი წამია, როცა გარდაუვალ ხიფათს თავ-პირით აწყდები. როცა სიმაღლიდან მოწყვეტილი თავდაყირა ფრენ დასანარცხებლად, ან, გინდაც, როცა უტვინო ქოფაკი თუ მტაცებელი მხეცი დაღებული ხახით, კბილების გაელვებით იფრენს შენზე, ანდა კიდევ კუნძზე კისერდადებულს ჯალათის მოქნეული ბასრი ფოლადის პირი დაგიქროლებს თავზე. ჯერაც საღ-სალამათი სულ მოკლე დროში ხვდები მარცხის გარდაუვალობას, დროის შეუქცევადობას და სრულ უმწეობას ამათ წინაშე.

ჰოდა იმ მოკლე წამში დაინახა მუშა დაბნელდარიძემ, თუ როგორ უნდა დაენარცხოს მიწას, როგორ უნდა შეაზანზაროს დაცემის დარტყმამ ყოველი ძვალი და სახსარი, როგორ დახიოს რბილი შიგნეული. სრულ გაოგნებად თავის თავში აღიარებდა რომ უკან ვეღარასდროს დააბრუნებდა გარემოებას, ვერ გადაიფიქრებდა წყეულ ზონარზე დაბიჯებას. რომ სულ ბოლოთბოლო გაელვებაღა ყოფილა გასალევი აღსასრულამდე.

იმის მეორე წამში მთლად დაუბნელდა ხედვა, თავში უკუღმა ტრიალი შეიგრძნო, ხელ-ფეხში კი ერთგვარი გაუაზრებელი ტანვარჯიშული კლაკვნა. და ეჰა, საოცრება: თვალთაგან ბინდის გაფანტვასთან ერთად ისევ წონასწორობა იგრძნო ფეხქვეშ. დაიხედა და დგას ისევე იმ კედელზე, იმავ გახსნილი ზონარით.

– ვახ, მასხარა კოლიავ, შენი დედა კი ვატირე! – ხმამაღლა გამოთქვა რატომღაც და ფრთხილად შეისწორა დგომა მეტი უსაფრთხოებისთვის.

ეს რამსიმაღლე ყოფილა კედელი. თავიდან არა ჩანდა ასე მაღალი. ნეტავ სულ თავიდან ეთქვა უარი ამ საქმეზე. ახლა რაღა, ხომ ვერ იტყვის, შემეშინდაო, ჩამომიყვანეთო, შინ გამიშვითო? ყველაზე მეტად სიმაღლეებზე მუშაობა არ უყვარდა თავის მოღვაწეობაში, აყუდებულ კიბეს არ ენდობოდა და თუკი უფრო მყარი საყრდენის არჩევანი ჰქონდა, კიბეზე არაფრით დადგებოდა. ახლაც, აკი ზედ ღობე-კედლის თავზე აძვრა – იქიდანვე გაკრიჭოს უზომოდ გაზრდილი მცოცავი სარეველა და უსახური ფოთოლნარი.

მაშ გადარჩა, მაგრამ შიში გაუჩნდა წეღანდელი ბარბაცისგან. ხელის გაწვდენას ვეღარა ბედავს მცენარეთა საკრეჭად, ზონარის შესაკრავად. გრძელცხვირი მაკრატელიც, როგორცა ჩანს, ხელიდან წეღანვე გავარდნია. ისევ მყრალი გრძნობა დაეუფლა. ახლა ბარემ ყაბულსაც არის შველა ითხოვოს, აქედან უსაფრთხოდ ჩამოხსნა, ოღონდ კი მუშა ამხანაგი იგულოს ახლომახლო. მიმოიხედოს. მაგრამ კისრის მობრუნებაც ძალიან უჭირს – ისევ არ დაჰკარგოს წონასწორობა.

ხმამაღლა უხმო ამხანაგს, თან იმედიც არა ჰქონდა: რეჟიკა ახლა სხვა მხარეს მუშაობდა და კაი ხანს აქეთ არ გამოივლიდა. მაშ რა ქნას? კიბე სად არის? აკი კიბე მოიდგა

კედელზე ამოსასვლელად. აქეთა მხარეს არ ჩანს, ესე იგი უნდა მობრუნდეს, მეორე მხარეს ნახოს. ფრთხილად ჩაიმუხლა, ხელითაც კედლის თავს დაეყრდნო და ზურგსუკან ისე გაიხედა. და ვერც იქით დაინახა.

ისევე, ჩაცუცქული კედელს ებღაუჭება, სიფრთხილით მოახერხა და მოტრიალდა მთელი ტანით, დაჰყურებს სივრცეს მეორე მხარეზე და აქეთაც კიბე და საშველი არაფერი მოუჩანს. აქეთ არაფერი, იქით არაფერი, უკაცრიელება და გამოუვალობა, თანდათან ამან დაავიწყა დაბნელდარიძეს წონათა სწორობის შიში: ახალი შიშისგან დევნილი ახლა უფრო ადვილადამოძრავდა, ბედავდა იქით თუ აქეთ მობრუნებას, ნაბიჯის წადგმას კედლის თავზე. იარა და, შიშით დევნილმა იძუნძულა კიდეც, აქეთ იყო თუ იქით, იქნებ გინდაც უცხო სულიერი ნახოს დაბლა, მიწაზე, შველა სთხოვოს.

კედელს კი ბოლო არ უჩანს, მაღლიდან დაჰყურებს უკაცრიელებად ქცეულ ხმელეთს. გეგონება მთლიანი ქვეყნიერება ერთი უკიდეგანო ორმოა მის ქვეშ ფენილი და ამ უსასრულო კედლითარის შუაზე ყრუდ გაყოფილი. არა სჯერა, აქ არ ამოსულა თვითონ, აკი ერთ ჩვეულებრივ ეზო-ბაღში იყო შესული, იმის ჩვეულებრივ, აგურის გალავანზე შედგა მცოცავი მცენარის საკრეჭად, აქ კი რასა ჰგავს გარემოება? არ მოსწონდა, გაღვიძებაც კი დააპირა. მაგრამ იმ სიარულ-სიარულში, სწორედ მაშინ დაინახა რაღაც ხალხი, დაბლა, ხმელეთზე.

ხედავს ორმო-ქვეყნიერების ერთ მხარეზე, გამყოფი კედლის ძირთან ყრიან აქა და იქ. მიაშურა იქით, ახლოს იარა და, თურმე კი არა ყრიან, კარგა მოხერხებულად წვანან, ვინ მხართეძოზე, ვინ გულაღმა, თითქოს სძინავთ. და რაც მეტს გაივლიდა, წინ და წინ უამრავსა და უთვალავს

ხედავდა ასეთს. იქ უკვე გროვებად დახვავებული იყვნენ მძინარეები. ხვრინავდნენ. დასძახოს, გააღვიძოს ვინმე. მაგრამ ახლა კედლის მეორე მხრიდან ესმა ხმები, იყურა და ჰკიდა იქ თვალი ცოცხლებს, ფხიზლებს, ადამიანებს.

ახლა აღარა ცდილობდა გაღვიძებას, არა ჩქარობდა, სიფრთხილით, უნდობლობით აკვირდებოდა სანახაობას. დაჰყურებს უძილოთა მხარეს, დადიან ისინი, მოძრაობენ, სხდებიან, დგებიან, დაძრწიან, დაყიალებენ და იცინიან უკლებლივ. უყურებს დაბნელდარიძე, არავის უხმობს, უჩუმრად აკვირდება იმათ უსუფთაო სიცილს. ისინი კი მოძრაობენ, იცინიან, საქმეში არიან. მაგრამ ტირიან, უკლებლივ.

მიდის, ათვალიერებს და სავალის კვალად ბევრდება, მჭიდროვდება მოსახლეობა ორმო-ქვეყნიერების ორივე მხარეზე. მძინარეებს თვალუწვდენელ გროვად სძინავთ. ერთმანეთზე სართულებად, ფენებად წამოწოლილან და ხვრინავენ. კარგა ლაზათიანად, ხმამაღლა სძინავთ, ფეხებზე ჰკიდიათ. თანსაუკეთესო საკუბოე ტუფლები და შარვალ-კოსტუმები აცვიათ. ხანდახან ძილში გვერდს თუ იცვლიან, ისევ მოხერხებულ მდებარეობას ირჩევენ და უშფოთველად ძილს განაგრძობენ. არავინ იღვიძებს, არასდროს. უძილოებიც უკვე თვალუწვდენელ გროვად ფხიზლობენ ორმო-სამყაროს თავიანთ ნახევარზე. მოძრაობენ, დადიან, ესენიც უკვე მჭიდროდ, ფენებად, ერთმანეთის თავებზე დადიან. და უკლებლივ იცინიან, მაგრამ ტირიან უკლებლივვე.

ძალიან უკვირს ეს სანახაობა დაბნელდარიძეს: ყველა იცინის და ყველავე ტირის. აბა თვითონ როგორ მოიფიქრებდა თუკი შესაძლებელი იყო სიცილ-ტირილი! ვერ გაუგია: ისეთი გულმოდგინე მოგიჟიანებით

ხარხარებენ, ძალაუნებურად დაეჭვდები, იქნებ არცა ტირიანო. აკვირდება თვალებისა და გამოცნობის დაძაბვით, მაგრამ მაინც ჯიუტად ორივე: იქნებ თვითონვე ვერა ხვდებიან, მაგრამ რომ იცინიან, ტირიან კიდეც უსათუოდ.

მაშცალ ყურში უთვალავთა ხვრინვა აყრუებს, მეორეში უთვალავთა სიცილ-ტირილი. გზას გახედა, უსასრულო კედელ-სავალს, ნეტავ სად მიდის, გზა სადა მთავრდება? ახედა, დახედა და ზედ თავის ფეხებთან ნახა გზათა მაჩვენებელი, კედელშივე ჩატანებული ბრტყლად გათლილი ქვა, მაჩვენებელი ისრებითა და მიმართულებათა განმარტების სიტყვებით: «მკვდრეთი» და «ცოცხლეთი». მკვდრეთი მძინარეთა მხარეს ეწოდებოდა, ცოცხლეთი კი ფხიზლებისას, მტირალა მხიარულების მხარეს.

ფიქრობს დაბნელდარიძე. ახლა სულ ადვილია კედლიდან ჩასვლა: ორივე მხარეს, მკვდრეთის და ცოცხლეთის ყოფა იმდენ ფენადა ფუთფუთებს, კედლის სიმაღლეს შუაზე უფრო მაღლაც მოსდგომია, სულ ადვილია, ჩახტე და ზედა ფენას დაეშვა, გინდა აქეთ, გინდა იქით. მაგრამ ვერა ბედავს. ფიქრობს და დიდხანს ფიქრობს. ვერა ხიბლავს გაუთავებლად, უსასრულოდ ხვრინვა, თუნდაც უდარდელ, მაგრამ მარადიულ სიყრუეში თავის ჩაკარგვა და კიდევ უფრო მეტად აშინებს ცოცხლეთის სიცილ-ტირილი, ეს შემზარავი სანახაობა ცოცხალთა ყოფის.

მაშ ცხვირწინ, ფეხმისაწვდომად გაჰფენია «ხსნა», გადმოხდომა კედლის სიმაღლიდან, ისევ ცოცხლეთში შესვლა და შერევა, მაგრამ ვერა ბედავს, ვერას ძალისხმევით ვერა ბედავს. თავის განსჯაში, იმ სიმახინჯის ჭვრეტაში ფიქრიც კი გაუელვებდა მკვდრეთის ხიბლისა

ცოცხლეთის წინაშე და ნაბიჯის გადადგმა კი არსაით გადაეწყვიტა.

და ხანგრძლივი გამოუვიდა განსჯა და გონების სასწორში არჩევანის აიწონა-დაიწონა.

ბინდი შემოადგა არემარეს, საგნების დანახვა დაუმოკლდა დაბნელდარიძეს. დაღალა ფიქრმა, ხმაურმა, გამოუვალობამ და ამაოებამ. და რაკი ვერც გაიღვიძა და ვერც არჩევანი გაბედა, ისევ კედლის გზას დაადგა ბინდისგან ხელახლა შეშინებული – იქნებ-და სად მიდის ეს გზაც. ფეხქვეშ იყურება, სიფრთხილე მართებს იმ დამოკლებულ დანახვაში, აკი წონათა სწორობა კვლავაც საზრუნავი აქვს. და რაკი ერთხელაც თავი ასწია წინ დასანახად, ძარღვებში შეაცია იქ აღმართული სანახაობისგან: თავისი თავი მიუძღვოდა წინ, არც მეტი და არც ნაკლები! ალბათ რაღაც ათამდე ნაბიჯში.

ადვილად იცნო, ბინდშიც, ზურგიდანაც კი ადვილად გამოიცნო თავისი თავის მოხაზულობაცა და მოძრაობაც. მიდიოდა თავისი თავი და ამისკენ არ იყურებოდა. ფეხი გაუშეშდა ამას, ნაბიჯი ვეღარ ქნა. ეს იდგა, მიდიოდა თავისი თავი და მანძილი კი თითქოს მაინც არა გრძელდებოდა ამათ შორის.

და ისევ, ძველი შიში ახალმა შიშმა გადაწონა. გახევებულსა და გაოგნებულს ზურგიდან დაჰბერა ახალმა განგაშმა: ზედ კეფასთან ჩაესმა ღრენანარევი სუნთქვა, თითქოს უტვინო ქოფაკისა თუ მტაცებელი მხეცის. ხერხემალში ყინვამ დაუარა, მთლად ანგარიშმიუცემელი იქმნა დაბნელდარიძის ყოველი მოძრაობა, მთლად ერთ წერტილად შეეკუმშა სულიერებაცა და ცნობიერება. გაუაზრებელი მორჩილებით, სიფრთხილის გარეშე აუწყო ფეხი და იარა იმ თავისი თავის კვალად. მაშ წინ

მიუძღვოდა საკუთარი თავის სიმახინჯე და კეფაში მისდევდა ღრენანარევი უცხო სუნთქვა უმწეო ტყვეს, და ნეტავ საით მიაცილებდა ესოდენ მსვლელობა?

*

– ვა, აბა უყურე, როგორ გაბრტყელებულა! – ცნობისმოყვარე ამბობდა ერთი.

– მოკვდა? აღარა ფართხალებს? – მეორე ცნობისმოყვარე იკითხავდა.

– განა ეს რა სიმაღლეცაა, აქედან დავარდნილი კი არც უნდა მოკვდე, თავმოყვარეობა თუ გაქვს, – მესამე ცნობისმოყვარემ დაიწყო თქმა – აი, მე რომ ჯეელობაში კინაღამ გადმოვვარდი, ორი ამსიმაღლე მაინც იყო. ბიჯო, რა შიში კი ვჭამე! როგორ იყო, იცი?..

– აქედან გაიწით, ხელს ნუ გვიშლით! – პოლიცია იგერიებდა ამათ და საჭირო ადგილს ნიშნავდა გამოძიებისა და თეთრი ხალათების სამოღვაწეოდ.

მაშ, როგორცა ჩანს, მართლაც გადმოვარდნილა კედლიდან დაბნელდარიძე და სულ ტყუილადა სჯეროდა, თითქოს ბოლო წამში თავი შეიმაგრა და წონასწორობა აღიდგინა. ჰოდა, ახლა იმისი სხეულის გარშემო გამართულიყო ეს სანახაობა: გამოძიება, ცნობისმოყვარეები, გამოკითხვები. თეთრი ხალათებიც მოსულიყვნენ და რაკი აქ იყვნენ, ბარემ ცოტაოდენ გაცოცხლებასა ცდიდნენ ამის სხეულზე.

– ეს შენა ბრძანდები-მეთქი ბიჯო რეჟიკა, ამ დაღუპულის თანაამხანაგი მუშა? – გამოძიებას რეჟიკაც აქ მოეყვანა და ყოველი შემთხვევისთვის მკაცრადა ჰკითხავდა.

– დიახთ. მეთ. სწორედ გახლავართ, – მორჩილად პასუხობდა მუშა ამხანაგი.

– ჰოდა წვრილად მოჰყევი, რა და როგორ მოხდა.

– მე აკი არაფერი დამინახავს ბრწყინვალებავ. მოგეხსენებათ, აკი ღობესა ვღებავ წინა ქუჩის მხარეზე. აით, – და საღებავით დაწუწულ შარვალ-ხალათზე უჩვენებდა ნათქვამის დასტურად.

– თავს ნუ იმართლებ. ჩვენ მაინც ვერაფერს მოგვატყუებ. ბოლომდე მოგვიყევი რაც იცი!

– ბატონი ბრძანდები, რაც ვიცი. ამე, კედელზე იყო ასული ცხონებული. ჰოდა ჩამოვარდნილა, რაღა.

– თავისით რად ჩამოვარდებოდა, გიჟი ხომ არ იყო? შენ სად იყავი?

– ნახეთ უფროსო, ცალ ტუფლზე შნურუკი აქვს გახსნილი. შეიძლება შნურუკზე დაედგა ფეხი. თუ დაიბიჯებ, მერე ადვილია წაქცევა, კისრის მოტეხვა და კედლიდან გადმოვარდნაც.

გამოძიება ზონარს დააკვირდა. კარგა ხანს ათვალიერა. მართლაც გახსნილი ყოფილიყო. ოქმშიაც შეიტანა ეს აღმოჩენა და გამოკითხვას დაუბრუნდა.

– მერედა ზონარი თვითონ გახსნა? გიჟი ხომ არ იყო?

– რავიცი-რავქნა! არაფერი დამინახია ღმერთმანი. იქნებ მასხარა კოლიამ შეუხსნა ადრე დილით, საიარაღოში, სანამ ყველა ერთად ვიყავით. ესეც შეიძლება.

– აბა-აბა, კარგად მოჰყევ, – ყურები ცქვიტა გამოძიებამ – ვინ კოლია? ეგ ვინღაა?

– ჩვენი ამხანაგია, მუშა, ერთი აბეზარი. ხუმრობა უყვარს, ოინების გათამაშება.

– ოქმში ჩასწერეთ! მასხარა კოლია, – ხმას იმაღლებდა გამოძიება – სად არის?

– მე არ ვიცი, დღეს სად უწევს ყოფნა. კანტორაში ეცოდინებათ.

– წაგვიყვა. კანტორაში უნდა წამოგვყვე.

ხომ თავიდან ვერ მოიშორა რეჟიკამ გამოძიება, ხელი ჩაიქნია, წაჰყვა. წავიდნენ.

*

კედელი აღმართად მიდის, სულ უფრო ღრმავდება ორმო-სამყარო იმის დაბლა, უფრო მაღალ-მაღალ მთებად დახვავებულა მკვდრეთისა და ცოცხლეთის უთვალავი მოსახლეობა და თავისას ხმაურობენ გაუსაძლისად. ბინდი გასქელებულა, სულ ცოტა დარჩენილა სადმე რამის დანახვა. და აღმართს მიუყვება დაბნელდარიძე და იმისი მეგზურობა. ახლა რომ ჰქონდეს წეღანდელი არჩევანი, დაუფიქრებლად გადახტებოდა გინდა ცოცხლეთში და გინდაც მკვდრეთში, სულ ერთია, ოღონდ სადმე, ოღონდ აქედან. მაგრამ უხილავი ბორკილი ბოჭავს, კეფაზე დაჰღმუის გამოუცნობი მრისხანება, თავი ვერსაით დაუღწევია.

და ერთიც ვნახოთ, სხივსა ხედავს, წინ, თავის სავალ გზაზე. გამჭვირვალეა წინ მიმავალი მახინჯი თავისი თავი და იმის გამჭოლად, აღმართის თავში, სულ უფრო გარკვევით ჩანს სინათლის წყარო გასქელებულ გარემო სიბნელეში. ნუთუ იმედი? ნუთუ რამ სიკეთე? განა შეიძლება, სიკეთეს რამე მოასწავებდეს აემ ადგილში?

თურმე ქვის დიდი კოშკია კედელ გზაზე, იმის მაღალ ფანჯარას მისდგომია გზა-აღმართი და იმ ფანჯარაშია რომ მშვიდი ნათებით სინათლე ანთია. კარგადა ხედავს დაბნელდარიძე, თუმცა კი გახევებულ მორჩილებად ქცეული. ეს-ესაა ფანჯარაში შევლენ დარაზმულები, თავისი თავი, თვითონ და უხილავი ქოფაკი, მისი მდევნელი. მაგრამ ზედ ზღურბლზე გაჩერდა და აქეთ მოუტრიალდა თავისი თავი. ბოროტი სიცილით დასცინა, როგორც რომ თავბედნიერი კმაყოფილებით დასცინებ შენს გაოგნებულ მსხვერპლს, რომელიც ეს-ესაა ძლევამოსილი ვერაგობით ბოლომდე გაძარცვე, მოსპე, ძირს დაეცი ისე, რომ ვეღარასოდეს წამოდგეს. სიკვდილი და ორიოდე მყრალი სიტყვა დაუბარა თავისმა თავმა ბოროტი გამარჯვებულის სიმაღლიდან, მოვამთავრეო შენთან საქმე და ანგარიშები, მკვდრეთისა ხარო ამიერიდან. და წუთში, ისედაც გამჭვირვალე, მთლად ჰაერზე გაიფანტა, გაქრა, გაქარდა.

მაშ სინათლეში შესვლას აღარ უღობავს თავისი თავი, მაგრამ შევიდეს? დადგეს? რა ქნას? და ყოყმანიც კი ვერ მოასწრო დაბნელდარიძემ რომ კეფაში ხმამაღლა დაღრინა უცხო ქოფაკმა და ესეც ძალაუნებური აჩქარებით შევარდა სინათლის ფანჯარაში.

თბილი იყო და რბილი იქაური ნათება და სიმყუდროვე. სულგამოლეული დაბნელდარიძე რბილ ხალიჩაზე პირქვე დაეცა. მაშინვე სიმშვიდე გამოიცნო, აქ კეფასთან აღარა ღრენდა უცხო ბოროტება, არ მოისმოდა არც მკვდრებისა და ცოცხლების სმენისწამღები მხიარულება. ტირილი დაიწყო: წეღანდელი შიში და უმწეობა სწყინდა და სტკიოდა. იმ შიდა სუფევას შესვლისთანავე ჰკიდა თვალი, ქალი იჯდა იქ, ტახტზე, გრძელ, მოხატულ, ნათელსამოსში, ფეხებმოკეცილი, მუხლებზე შემოხვეული ხელებით. ოღონდ მაშინ ვერაფერი გაიფიქრა ამან, ვერაფერი

მოიფიქრა, ვერაფერს მიხვდა სულგაყინულ თავის თავში. ეგდო დამხობილი იმ ტახტის ფეხებთან. ტიროდა, ფორთხავდა, ღმუოდა, იკუმშებოდა. ბევრი გავიდა თუ ცოტა, რაკი ტირილით გული იჯერა, უცხო დაიხარა და თმაზე დაუწყო მოფერება. მაშინვე მორჩა სლუკუნს დაბნელდარიძე, გაიტრუნა, უზომოდ ეამა ალერსი.

– ადექ, აიმართე, ტახტზეც ჩამოჯექი. ნუღარ გეშინოდეს დაბნელდარიძევ, – უცხოს ხმა ჩაესმა და ვერც გაიგებდი, ხმა მართლა უცხო იყო თუ პირიქით, ძალიანაც ახლობელი.

ახლაღა უნდა გაიკვირვოს და გამოიცნოს ტირილის დაწყებამდე დანახული გარემოება. ეს უცხოსებური ქალი, თან ძალიან რომ ჰგავს და მაინც ის არ არის არამც და არამც. მაშ ნეტავ ვინ? ნეტავ სად არიან? ნეტავ რადა? არ ამდგარა დაბნელდარიძე, არც ტახტზე მოწყობილა, რცხვენოდა. ხალიჩაზე დარჩა მჯდარი, იქიდან უყურა. იმ ქალის ტახტირბილი ბალიშებით ყოფილიყო გაწყობილი, იმის თავთან პატარა მაგიდა იდგა, დოქში ჩარჭული რაღაც დამჭკნარი მცენარის ტოტებითა თუ ფრინველის ბუმბულებით – დაბნელდარიძისთვის სულერთი იყო. ფეხების მხარეზე, უფრო მოშორებით, კედელში ბუხარიც ჩანდა, თუმცაღა ჩამქრალი. დიდი ხავერდის ფარდა იყო დაშვებული ტახტის უკან, ისიც ნათელი ფერისა. და მთლიან სუფევას კედელში დამაგრებული ჩირაღდნებიანათებდნენ, არც თუ ძლიერი ნათებით. კაი მყუდროდ იყო მოწყობილი ყოველივე.

– მაშ აღსასრული დამიდგა განა? – უცხოსა ჰკითხა, თან ბინძური სახელოებით სახეზე სისველეს იმშრალებდა.

– დიახ, – იმანაც უპასუხა.

– და აქედან მკვდრეთში მაქვს მარტო ერთი გზა, მარადიულ ხვრინვაში?

– დიახ.

– შენ კიდევ, სიკვდილის ანგელოზი ბრძანდები რა საკვირველია?

– ანგელოზი არა, შენი სინდისი ვარ მხოლოდ, – გაუღიმა უცხომ.

ნუთუ სინდისი? სხვა დროს ხომ იწყენდა და იუკადრისებდა ამის გაგონებას, მაგრამ ახლა ადვილადა ყლაპა ეს გაუგონარი ოინი დაბნელდარიძემ. წეღანდელი შიშებით და წყენით დაპატარავებულ გუნებაზე ვეღარ პოულობდა უწინდელ სიამაყეს თავის თავში. მხოლოდ უკვირდა და არ კი ბრაზობდა თავისი სინდისის თურმე ქალობაზე.

– ჩემი სინდისი შენ რანაირად იქნები? აკი შენ ქალი ხარ? მე ხომ ქალი არასდროს ვყოფილვარ, სინდისად შენ რანაირად მერგები?

– მაგიტომაც, – მხიარულად გაეცინა იმას, თითქოს ამისი გაკვირვება ამხიარულებდა – იმიტომაც მე ვარ, რომ შენი უსინდისობაა მამრობითი გვარისა და იერის. მე ხომ ყველაფერში იმის პირიქით უნდა ვიყო. ჰოდა აჰა, მიცნობდე.

– ჩემი უსინდისობა? ნუთუ ისა? – ახლა მიხვდა დაბნელდარიძე. ცერა თითით ზურგსუკან, შემოსასვლელ ფანჯარაზე ანიშნა. თავისი წეღანდელი მეგზური გაახსენდა, უსულგულო თავისი თავი და სიმახინჯე.

– დიახ. სწორედ.

– და ის ვინღა იყო, კეფაზე რომ დამღმუოდა გზადაგზა, აგრემც თვალი რომ ვერა ვკიდე? – ის მეორე ბოროტებაც

გაახსენდა.

– გრძელი სახელი ჰქვია, თუ რამეს მიხვდები. რა და, მოკვდავის თავზე დაუსაბამო წყვდიადის და გამოუცნობის უსულგულო მუქარა და მარადიული დევნა ეწოდება მაგას. უფრო მოკლე სახელი არ გამოუდის, – კიდევ გაიღიმა და მოხდენილად მხრებიც აიჩეჩა სინდისმა, თითქოს ბოდიშს უხდისო ამ სახელწოდების მოუხერხებლობის გამო.

იმათ გახსენებაზე უსიამოდ გააჟრჟოლა დაბნელდარიძეს. წეღანდელი გზის მაგივრად, გამოვლილი მთლიანი თავისი ყოფა დაინახა, სად მუდამ მეგზურად საკუთარი უსინდისობა მიუძღვოდა და კვალში კიდევ ეს გამოუცნობი წყვდიადის ჯღანვაა, რაღაცაა, სდევნიდა! სინდისი კი სად იყო მაშინ? ეს ტურფა არსება? ახსოვს, როგორ არ ახსოვს, აკი მუდამ თან ახლდა, უხმო მრჩეველად დაჰყვებოდა გულში, რომელს იშვიათად თუ გაუგონებდა, დაეკითხებოდა და დაეთათბირებოდა თვითონ დაბნელდარიძე.

– მაშ ყოფის მიწურულზე საყვედურები უნდა წამიკითხო? უნდა ჩამომითვალო ყველა ძველი გადაცდომისა? – უსიამოდ დაიჯღანა, უხალისოდა ჰკითხა.

«რაღა დროს საყვედურებია? რა ჩემს ფეხებად მინდა? აკი მოვმკვდარვარ და, ახლაღა მინდა აღზრდა-დარიგება?» თან თავის თავში თქვა და გულის სიღრმეში კიდეც გაეცინა ამ ამბის უადგილობაზე.

– არც მე მინდა საყვედურები, – ისევ გაუცინა სინდისმა – არც მიფიქრია. მართლაც რაღა დროს საყვედურებია. უბრალოდ დრო გიწევს ჩემთან დასარჩენად, სასაუბროდ. აღსარება თქვი, თუკი გსურდეს, ამოთქვი რისიც კი დარდი გაწუხებდეს ყოფის მიწურულზე.

სიჩუმე დაუდგათ ერთმანეთში. კაი ხანს ასე. ეს ახლანდელი სიმშვიდის გარემოება არსაით ერეკებოდა და აჩქარებდა მკვდარ მუშას. თამამად აკვირდებოდნენ ერთმანეთს უტყვი თანამოსაუბრეები. აქ, ახლა, რაკი მახინჯი მეგზური უსინდისობა აღარ ახლდა, სულ სხვანაირადა გრძნობდა თავის მოწყობილობას, თავს ვეღარა ცნობდა. სულ აღარ ეშინოდა არც მკვდრეთის, არც ცოცხლეთის, მხოლოდ გული სწყდებოდა მაცდური მეგზურის კვალად გავლილ ყოფაზე. უკვირდა კიდეც, რატომ ეშინოდა წეღან, კედელზე მოსიარულეს, მახინჯი მხლებლებისა და მთლიანი გარემოების, გინდაც რატომ ეშინოდა თუნდაც ოდესმე და რატომ მორჩილებდა უსინდისობას. რატომ მოიგიჟიანებდა ხოლმე იმის საამებლად.

– აკი ზუსტად ისე მიღვაწია ყოველივე, როგორადაც უცხო განგებას მოვუფიქრებივარ, ავუწყვივარ და დავუწესებივარ. განგებას, ჩემგან უცხოს, ჩემზე მეტს. აბა უსინდისობად დაწესებული კეთილპატიოსნად ხომ ვერ ვიარსებებდი? ეს ყველაფერი ბოროტ წყევლასა ჰგავს ჩემო კეთილო სინდისო, დამცინავ ბედისწერას. აბა, მე რა ვიცი, ვინ მომიჩინა მეგზურად ის მახინჯი უსინდისობა, რა ძალამ ჩამიღვარა სულში ეს სიბინძურე. მე სადღა დავრჩი შენსა და იმას შორის? ან რა გასაქანი მომრჩა არჩევანისთვის? შენ ვარ? ის ვარ? უფრო რომელი? თუ კიდევ სხვა ვინმე, შუა მერყევი, თქვენ ორით შემოზღუდული?

– დიახ წყევლაც, დიახ უცხო განგებაც შენზე ძლიერი ყოფილან, მაგრამ ზოგჯერ მაინცა გქონდა არჩევანი, როცა უკეთესს მოელოდნენ შენგან. ვისაც უყვარდი, – თითქმის აღარ უღიმოდა სინდისი. ფრთხილად, ალერსიანად

ეუბნებოდა, თითქოს-და, არაფერი ვატკინოო ამ შეხსენებით.

მაშინ კი დაქროლა დაბნელდარიძის მეხსიერებაში და აუფრიალა გახსენებები, გონებაში სულ ამოეწეწა და თვალწინ დაუდგა ძველი ამბები თავისი უსინდისობისა. უკვირდა კიდეც, ამდენი რანაირად ახსოვდა. მაგრამ ის წამოშლილი მოგონებები ნელ-ნელა ისევე ისე ლაგდებოდნენ მეხსიერების ფსკერში, როგორც ეს-ესაა ამოფარფატდნენ. მიდიოდნენ, ქრებოდნენ უსინანულოდ, უსაყვედუროდ: დიდი რამეა, თუკი უსინდისო სამყაროს მეც იმითვე ვუპასუხებდიო, ადვილად გაივლებდა თავში. მაგრამ რაც მეტად იშორებდა სხვებს, მით მეტად აწუხებდა ის ერთი მოგონება და იმ ერთის გამო სინანულს ვეღარსაით ემალებოდა.

– ვისაც ვუყვარდი? იმიტომაც ასე ძალიან დამსგავსებიხარ იმას!

არა, უპასუხა ქალმა სინდისმა. ვგავარო იმას, ვისთანაც ყოფნით იყავიო უფრო წრფელი, ვიდრე ოდესმე – ხმით ახლა ჩუმად იყო, მაგრამ პასუხად მაინც ეს გამოიცნო დაბნელდარიძემ. თითქოს წამი შეიკრა, როცა საუბარი აღარა სჭირდებოდათ ერთმანეთში, წამი კარგა იშვიათთაგანი, როცა ერთნი იყვნენ ერთმანეთში სინდისი და ადამიანი და უთქმელადვე იცოდნენ ერთმანეთი. და დრო გაახსენდა დაბნელდარიძეს, როცა ერთსულად იყო შეზრდილი იმ ერთადერთთან, ზუსტად ასე, როგორც ახლა თავის სინდისთან...

– შენ სულ ზრუნავდი, მე კი მუდამ მავიწყდებოდი, – სინდისს უთხრა და ვინ იცის, იქნებ იმას გულისხმობდა, დაკარგულ სატრფოს მიმართავდა. ორივეს კი ერთნაირად მოერგებოდა ეს ნათქვამი და – ჩემთანა რჩებოდი.

განაჩენად გაგიხდი: ეს უკუღმართობა და სიყრუე შენად გდომებოდი, ვიდრე ბოლომდე, ვიდრე აი, აქამდე!

– შენ კი შენი უსინდისობა გაგიხდა განაჩენად, – ისევ არ იღიმოდა სინდისი.

– მაგრამ შემეძლო სხვანაირადაც. როცა უკეთესს მოელოდნენ, ვისაც ვუყვარდი! – მოუსვენრობამ მოიცვა დაბნელდარიძე. ფეხზე წამოდგა, ბოლთასა სცემდა რბილ ხალიჩაში – დავთმე, გავცვალე! ასე ადვილად! ასე უსულგულოდ! როგორ შემეძლო? შენ მაინც სად იყავი? ხმა ამოგეღო, – ახლა კი უსათუოდ მხოლოდ სინდისს მიმართავდა.

ისევარ უპასუხა სინდისმა და დაბნელდარიძემაც იცოდა, მაშინ ხომ თვითონვე გაურბოდა და ემალებოდა ამის რჩევა-დარიგებას.

– სად არის? – ჰკითხა დაბნელდარიძემ.

– ვინ?

– რაღა ვინ?! – უკვირდა ამას.

– თავისთან, ცოცხლეთში.

– როგორ არის?

– ჯანმრთელად სუფევს. ჯერაც ბევრი მოუჩანს საცოცხლებელი.

– უნდა ვნახო.

– ვეღარ.

ეს ბოლო პასუხი აღარ გაუგია დაბნელდარიძეს, ბოლთასა სცემდა, შუბლსა ჭყლიტავდა და ხმამაღლა ფიქრობდა:

– იმიტომ რომ... ნახე რა გამოდის, მკვდრეთში თუ ჩავედი, იქიდან სულ ვეღარ მოვაწვდენ. არადა ხომ უნდა იცოდეს, რაც ტუტუცი და უსინდისო ვიყავი!

– იცის. მაგის მეტი რა იცის.

– ეგ სულ სხვა ცოდნაა. ეგ არ ეყოფა. ჩემგან უნდა იცოდეს. წამო, შენც წამო, – სინდისს უთხრა – ერთად წავიდეთ.

– რაღა გესაქმება, დიდი ხანია სხვა ჰყავს, რაღა დროს შენა ხარ იმისთვის? რაღად აშფოთებ?

– სხვა ჰყავს? არა უშავს სხვას. თავში ჩავარტყავ, მოვკლავ, გავაგდებ იმ სხვას. ეგ არაფერია. წამო.

– მაგრამ აქედან წასვლა არ არსებობს.

– გზა მე ვიცი. კედელ-კედელ უნდა ვირბინოთ, ვიდრე ზედ მიყუდებულ კიბემდე და იქიდან ცოცხლეთში ჩავიდეთ... ანდა შენ დარჩი, – უცებ რატომღაც მოიფიქრა – აქ დამელოდე, სანამ კიდევ მოვკვდები. მარტო მე წავალ.

*

მასხარა კოლიაც იქ იყო. ვიდრე გამოძიების ხალხი მიაგნებდნენ, თვითონ მოსულა სხვა მუშა ამხანაგებთან ერთად – თავისი თვალითა ნახოს სეირი. და გამოძიებასაც მეტი რა უნდოდა, ჰკითხავდა გახსნილი ზონარის თაობაზე.

– აბა, რასა ბრძანებთ ბრწყინვალებავ, – პასუხობდა მასხარა კოლია – ოინბაზობა მხიარულებისთვის არის, აქ კი კაცი, ხედავ, თურმე სიკვდილს აპირებს, მე კიდევ იმას შნურუკს შევუხსნიდი, ოხუნჯობას ვუთამაშებდი?

– სიკვდილს აპირებდა? შენ რა იცი, რას აპირებდა?

– ამე, თუ არ აპირებდა! – მკვდარზე იშვირა თითი მასხარამ.

– ჰოდა წინასწარ რა იცოდი რას აპირებდა?

– როდის წინასწარ? – უკვირდა კოლიას.

– როცა ზონარს უხსნიდი.

– აკი მე არ გამიხსნია?

– მაშ ვინ გახსნა?

– ვაჰ, აკი არაფერი ვიცი, – თვალები გადმოკარკლა, მხრები აიჩეჩა ალალმართლურად.

თვითონ დაბნელდარიძე მიწაზე ედოთ გულაღმა. თავიანად ზეწარი ეფარა, მარტო ფეხები მოუჩანდა. გამოძიება უკვე ამთავრებდა ადგილის სწავლას, საჭირო ქაღალდების შედგენას. თეთრი ხალათებისგან უკვე მიეღოთ გარდაცვალების დასკვნა და წვრილფეხა ოფიცერსაც ის-ის იყო დაემთავრებინა გარდაცვალებისავე ოქმის შედგენა, რომ მკვდარი სწრაფად ამოძრავდა, ზეწარი გადაიძრო და წამოხტა.

მაშ მართლაც წამოსულა სინდისის სუფევიდან, ცოცხლეთში ურბენია თავისი უსინდისობის გასასწორებლად და თავის დამტვრეულ სხეულში ამოუყვია ნამკვდარევი თავი. ყველამ თვალები ჭყიტა, ყველა დაიბნა. უახლოესი თეთრი ხალათი რატომღაც მკვდრის შეჩერებას შეეცადა, პოლიციამ სასტვენს ჩაჰბერა. მკვდარს კი არაფერი ადარდებდა, ადგილს მოსწყდა, მაგრამ ნაბიჯი დგა თუ არა, მაშინვე მიხვდა, დამტვრეული სხეულით სირბილი გაძნელდებოდა. ისევე, გზადაგზა ხელები მიაშველა მოშლილ სახსრებს – როგორღაც ერთიანად შეკრას, თავის ადგილს დაამაგროს ყოველი შეერთება. მირბოდა და გეგონება, შარვალი სძვრებაო, ხელებით ფეხებს იმაგრებდა, გეგონება ქარი

ქუდსა სტაცებსო, თავსაც ხელებით იმაგრებდა თავის ადგილზე.

მსგავსი არავის არაფერი ენახა, ყველამ პირი დააღო, უფრო საზრიანებიც კი მხოლოდ მხრებს იჩეჩავდნენ. რა ქნას პოლიციამ, დაედევნოს? რად დაედევნოს, განა გაცოცხლება დანაშაულია? ანაც ქუჩაზე სირბილია დანაშაული? საგონებელში იყო წვრილფეხა ოფიცერი, რომელს სულ ეხლა დაემთავრებინა გარდაცვალების ოქმის შედგენა. რაღა ქნას? რა უყოს ოქმს? განა ახლა გაცოცხლების ოქმი უნდა დაწეროს და ზედ დააკრას გარდაცვალებას? სად გაგონილა ასეთი რამ? თავის ზემდგომს მიაჩერდა, აქაოდა ის რას მიბრძანებსო, ის კი დამუნჯებული დაჰყურებდა სივრცეს, საითაც გაცოცხლებული დაბნელდარიძე მოძრაობდა უხეირო ძუნძულითა თუ წვალებით.

განა არა, გზას კი გაიკვლევს, იპოვნის, მიაგნებს, მაგრამ ნეტავ იმ დამტვრეული, ნამკვდარევი სვლით და ძუნძულით თუ მიაღწევს თავის მიზანს? სადამდე გაათრევს ამ სხეულს, კისერგაწყვეტილსა და მენჯამოვარდნილს? ნეტავ გზაში არსად დაიშალოს, არაფერი მოსძვრეს! აკი მართლაც მართებს, აკი უსათუოდ უნდა აღასრულოს, მივიდეს, ნახოს, ამოთქვას. სულ ერთი სიტყვა მართებს, საკუთარი პირით სათქმელი, ერთადერთი, მოკლედმოკლე გამხელა და აღიარება სინანულის. და ნუთუ ვერ? ნუთუ ჩაეშლება ეს მისწრაფება? აბა რას გაიგებ,სადამდე გაჰყვეს უკიდურესი ეს ძალისხმევა?

დიახაც, ზოგჯერ, გონს მოგებულიკიდეც მიაშურებ საკუთარი მოსკორილის ასაწმენდად, მაგრამ დაგცალდება? არ დაგცალდება? რა იცი.

4. დრამატურგია

გია ეძგვერაძე

iUropa (მეორე ნაწილი)

(პირველი ნაწილი იხ. «ახალი საუნჯე» #10 (52))

(საღამოსკენ)

მარიკო აღებს ხის ჭიშკარს და შედის ბოსტანში, სადაც ყველა მცენარე წყალგამოცლილია და დამჭკნარი. სიღრმეში პატარა სახლი მოჩანს, რომლისკენ მიმავალ ბილიკსაც მარიკო მიუყვება.

(მარიკოს სახლი)

მარიკო შედის სასადილო ოთახში, სადაც მაგიდასთან ზის ხანშიშესული სიმპათიური მამაკაცი, მშრალი, ინტროვერტული გამომეტყველების მქონე სახით, რომელშიც მალული, ფეთქებადი ტემპერამენტი იგრძნობა. ეს მარიკოს მამაა – ლუკა. იგი საჭმელს შეექცევა.

მარიკო: სალამი ოჯახს…

მარიკოს მამა: გშია?

მარიკო (მამას წინ უჯდება): არა (გრძელი პაუზის შემდეგ) — გამაგებინე, ამათ რა ჭირთ, – ადამიანებს… ჭკუანაკლულებია მეტი, თუ ყველა გიჟია?

მარიკოს მამა (მარიკოს უყურებს წყნარად): რა ვიცი, გააჩნია, — როცა პირად ინტერესს ეხება, გიჟებს ემგვანებიან, როცა საზოგადოებრივს, იდიოტები ხდებიან (უღიმის მარიკოს და ჭამას აგრძელებს, მერე ისევ მარიკოს ახედავს). რაც დაიბადე, შინაგანი დილემა მქონდა: ერთ დღეს ეს კითხვა დაგესვა ჩემთვის, თუ ქათამივით გეცხოვრა, ისეთ ეზოში, სადაც მამლი დადის ამაყად…

ჰოდა, თვითონ გადაგიწყვეტია. მართლა არ შეჭამ არაფერს? დღეს გავედი და რაღაცეებია მაცივარში.

მარიკო დგება, აღებს მაცივარს, უყურებს.

მარიკო: ნუ ყიდულობ რა ამ «ჯანკ» ნახევარფაბრიკატებს. ვერ ვიტან… გარშემო არ გვეყოფა ეს მოსიარულე ნახევარფაბრიკატები? ანუ (სარკაზმით), იმას ვერ ცნობ, რა პროდუქტია, საიდან მოდის ეს ყველაფერი და რა ნაგავიც გამოვა, წინდაწინ იცი… გადააკეთებ, უფრო სიმახინჯე გამოდის… — მოკლედ, მონობის მეტაფორაა…

ბოლოს მაცივარში მჟავე წიწაკებს პოულობს. მაგიდას მიუჯდება, წიწაკებს ჭამს და კუდებს თეფშისკენ ისვრის.

მარიკოს მამა: რა გჭირს? უსიამოვნება შეგხვდა? ჭამე ნორმალურად.

მარიკო: დავიღალე, — ყაყანი და უაზრო სიჭრელე მთელი დღე (კრებს მაგიდაზე დაყრილ წიწაკის ყუნწებს და აწყობს თეფშზე, მერე სკამის ზურგს მიეყუდება). წაკითხული გაქვს «სიმსუბუქის აუტანელი ტვირთი»?

მარიკოს მამა: არა.

მარიკო: ისე შენთვისაა. მწერალი კირკეგორის «ფანია». იგივეს იძახის პრაქტიკულად: სრულფასოვნად განყენებულ ადამიანს სამყარო ახალი ხარისხით უბრუნდებაო. — აი, ესეთი, «სამყაროდაბრუნებული» კაცის ყოველდღიურობის აღწერაა.

მარიკოს მამა: მერე, ეს კაცი ცხოვრებას ახერხებს? კირკეგორთან ასეთი კაცი მიმღებლობის განსახიერებაა, არაფერს არ განსჯის და არაფერს ელის.

მარიკო: ეგეთი დამოკიდებულებით ბავშვების გაზრდა აბსურდია, ხო? მაგიტომ დაანებე შენც სტუდენტებს თავი?

მარიკოს მამა: მიზეზი ალბათ ეგ იყო, კი. მაგრამ მაშინ ვერ ვაცნობიერებდი — თან საბაბი იმდენად გამაოგნებელი გამოდგა — გაცნობიერების სურვილი გადაფარა. შენთვის ეგ არასდროს მომიყოლია…

გიგა (მარიკოს ხეიბარი ძმა საწოლი ოთახის კარებში დავრდომილთა ეტლზე): მეეეც მინდა, რრრა…

ამ დროს რაღაც ჩიტი შემოფრინდება ფანჯარაში, რაღაცას წაიჭიკჭიკებს, გაიფრთხიალებს და სწრაფადვე გააღწევს გარეთ.

მარიკოს მამა (ტრიალდება სკამით ორივეს მიმართულებით): ჰო ნუ, რახან მარიკომ დღეს სერიოზულად დააყენა საქმე —ეტყობა უნდა მოვყვე… იმდენად სულელურად დაუჯერებელი ამბავია, რომ არც გამიმხელია აქამდე არავისთვის. ეს ამბავი იმდროინდელია, გიგა (ხმამაღლა გიგასკენ), მე და დედა რომ დავშორდით. ჩვენი დაშორება ალბათ იმიტომაც მოხდა, ეს რომ მომხდარიყო. დაშორების შემდეგ მე დიღომში, პატარა ერთოთახიან ბინაში გადავედი, მეთოთხმეტე სართულზე თექვსმეტსართულიანში. არავის არ ვიცნობდი გარშემო და თან არც მინდოდა არავის გაცნობა; მეც, და გარშემო ყველაც ისეთ ხასიათზე იყო — ერთმანეთს თვალებში ძლივს ვუყურებდით, გარშემო საშინელი სიტუაციის გამო; იცით თქვენ ეგ… ნახევარფაბრიკატი კი არა, — სანაგვეზე რომ გადააგდო ეგ ნახევარფაბრიკატი და ერთი კვირა აწვიმოს, აი ეგეთ დღეში ვიყავით ყველა. მოკლედ, დილით, 9 საათზე ჩავედი

საუზმისთვის პურის და მაწვნის საყიდლად და 20 წუთში დავბრუნდი. კარი გავაღე, პალტო შემოსასვლელში გავიხადე, ფეხზე გამოვიცვალე და ოთახში რომ შევედი, იატაკზე, ოთახის ცენტრში, რაღაც ბრწყინავდა. შიშისგან ვერც გავინძერი. ასე, ბრდღვიალებდა — ცივი დილის მზის სხივებში ცურავდა თითქოს და ოქროსფერს ასხივებდა. ბოლოს, რახან უძრავად იდგა, ნელა მივუახლოვდი, ფრთხილად დავიხარე და ვხედავ, ლაპლაპა, ოქროსფერი ქაღალდის პაკეტია ფქვილის — ზედ მოცინარი და მხიარული ორი ბავშვი ახატია და აწერია «Heavenly coockies for heavenly children». პაკეტი დანით იყო გადასერილი ბავშვების სახეებზე და იატაკზე ცოტა ფქვილი იყო დაყრილი. ვერ აღგიღწერთ, როგორ იმოქმედა ამან ჩემზე. თითქოს, აი იმ ბავშვებთან მოვხვდი სივრცეში, სასუფეველი რომ ეკუთვნით, თან რაღაც შფოთი მქონდა ამ გაუხსნელი გასერილი პაკეტის გამო; — თითქოს მთლიანს რაღაც აკლდებოდა, თან ეს ცუდიც არ იყო — რაღაც სულისშემკვრელი დაუდევრობის სიხარული დაჰყვებოდა ამ ყველაფერს. წარმოიდგინე საყდარი, ხატი, საკმეველი, მუსიკა, ხელოვნება, ვნება, სიყვარული — ყველაფერი ამ პაკეტის ნათებაში იყო და ეს მოღიმარი ბავშვები, ზედ გამოსახული. დიდხანს დამრჩა ეს განცდა სულში და როცა ჩამთავრდა — ყოველგვარი სურვილი დამეკარგა სწავლების — თეორიების, კონცეფციების, წინადადებების, ცნებების — დანით გასერილ ფქვილის პაკეტზე მოცინარი ბავშვების სახეებში იდო გამოუთქმელი და არადასანაწევრებელი მთლიანობა, განუყოფელი სისავსე! (პაუზა, მხრებს იჩეჩავს) აღარ მინდოდა სწავლება, ახალგაზრდა ხალხის კიბეზე შეყენება, რომელიც არსად მიდის.

მერე ის ბინა გავყიდე და აქ გადმოვედი. ყველაზე ბოლოს ეს პაკეტი წამოვიღე ჩემი ხელით იმ ბინიდან, როგორც ყველაზე ძვირფასი და... ტრამვაიში საჯდომზე დამრჩა. ასეც უნდა მომხდარიყო — რომ გულისცემა არ დააკლდეს უსხეულო საგანძურს და ცარიელ, მკვდარ რელიკვიად არ იქცეს. — სულელურად, ხელდასმული დაუდევრობით გაქრა ის, რაც ყველაზე ძვირფასი იყო ჩემს ცხოვრებაში.

ამ მონოლოგის განმავლობაში მარიკო მექანიკურად ჭამდა დროდადრო წიწაკებს. გიგა ეტლში იჯდა და დროდადრო გაჭირვებით ნერწყვს ყლაპავდა.

(მცირე პაუზა)

გიგა (აუტისტის ხრინწიანი ხმით): და რაააატომ არ გამმმმმოაცხვე ფქვილით რამე? — იმმმმიტომაც დااااკარგე... რატომ ლლლლოცულობს ხალხი იმაზე, რაც გემრიელია და ჭამისთვისაა?

მარიკო (ღიმილით მამას): ჰო, თავზე მაინც დაგეყარა, ხომ იცი, გურუები რომ იყრიან ნაცარს თავზე, ან თავზე მაწონს რომ ისხამენ. ან კოკსად შეგეყნოსა; დარწმუნებული ხარ, რომ ფქვილი იყო და არა კოკსი? კოქსიც მაგრა აგულავებს სასუფეველში ბავშვებთან...

(ყველა კვდება სიცილით — უცნაური გარდატეხაა: რაღაც ამაღლებული და გარინდებული სიტუაციიდან — ისტერიულ მხიარულებამდე).

მარიკოს მამა: ეგ არ მომსვლია თავში (თვალებგაფართოებული იცინის, ბედნიერი), მართლა თუ მაგდენი კოკსი გამომიგზავნეს, ავშენდებოდით... ეს რა მიქნია...

მარიკო: ეჰ, მამი, ისეთი რამე მოგივიდა — კირკეგორიც გამოგიწვდიდა ხელს...

გიგა: ვაა რრრროგორ გავვვვმაზეთ, ররররররর

წინ გააჩერებს. მარიკო ლოგინზე მიწვება და ორივენი, მოსაღამოვებულ ოთახში ჩუმად უყურებენ ტელევიზორს (ეს გარინდება დიდი კონტრასტია ცეკვის სცენასთან). მარიკო რთავს არხს. ეკრანზე «ფოკუსნიკი» აბრეშუმის ჭიის ჭუპრებს აჩვენებს, მერე იდებს მათ სათითაოდ მუშტში, შლის მუშტს და გამქრალი ჭუპრის მაგივრად პეპელა მიფრინავს. ამას რამდენჯერმე აკეთებს და ამიტომ მის გარშემო ბევრი პეპელა დაფრინავს.

კამერა აჩვენებს მარიკოს — მას ჩაეძინა.

სიზმარი: პეპლები თეატრის სცენაზე დაფრინავენ, პროჟექტორისკენ მიფრინავენ და ფრთები ეწვებათ, ცვივიან. «ფოკუზნიკი» მათ ჯადოსნური ჯოხით ისევ აცოცხლებს — ისინი ისევ პროჟექტორისკენ მიფრინავენ და ისევ იწვიან. ეს ყველაფერი მულტფილმის აჩქარებულ რიტმში და რაღაც სარკასტულ ხასიათში ხდება. მერე ყველაფერი რიტუალურ ცეკვაში ირევა, კიდევ უფრო ჩქარდება და პროჟექტორის სინათლეში უჩინარდება. უეცრად მდინარის ტალღებად მოედინება ქაფიანი წყალი, გიჟურად, დაუოკებლად. მარიკოს ფეთიანივით ეღვიძება, წამოჯდება, — წყნარ ოთახში გიგა ზის და ტელევიზორის ჩამქრალ ეკრანს შესცქერის ბინდში.

(დილა, მარიკოს საძინებელი ოთახი)

მარიკოს სძინავს. მობილურის ზარია. მარიკო იღებს ყურმილს.

ხმა ყურმილიდან (მამაკაცი): მარიკო მე ვარ, — მისამართზე გახვალ?

მარიკო: კი, რამდენ ხანში უნდა ვიყო?

ხმა ყურმილიდან: ნახევარ საათში. მისამართი — ძმები ზუბალაშვილების 10, არ დააგვიანო, მოხუცი ხალხია, ორნი არიან...

მარიკო: ვეცდები.

მარიკო წამოჯდება. ცოტა ხანი ხელებში სახეჩარგული ზის ნამძინარები, მერე იწყებს მომზადებას.

(დილა, სადარბაზო, ბინის კარი ძველ სახლში)

კარს აღებს სიმპატიური, მოვლილი და ინტელიგენტური გარეგნობის მოხუცი ქალბატონი.

მოხუცი ქალბატონი (მარიკოს დანახვაზე): ვაიმე, რა საყვარელი გოგოა, შენ უნდა გამიკეთო ნემსი? მოდი გენაცვალე, მოდი. ლიზა (გაჰყვირის ვიღაცას მეორე ოთახში), ნახე რა გოგოა — ჩვენს ანეტას მაგონებს რაღაცით, ხომ იცი «буйные тёмные лошадки в глазах». შემოდი, საყვარელო, რა გქვია?

მარიკო: მარიკო.

მოხუცი ქალბატონი: მე თეა, მომეცი შენი ჩანთა (ართმევს).

შედიან ოთახში.

მოხუცი ქალბატონი: მარიკო, შენ ლიზას დაელაპარაკე, მე ჩაის და ნამცხვრებს გამოვიტან.

ლიზა: «чудная девочка», ახალი ხარ ხომ? რა ლამაზი კისრის ხაზი გაქვს — მართლა ჰგავხარ რაღაცით ანეტას... «красавица была, красавица». ეჰ, შვილო, რა ვქნათ, დავბერდით — ასე ვართ ჩაწოლილები და ვუვლით ერთმანეთს... (ხელით ანიშნებს უამრავ წამალზე, ლოგინთან მიდგმულ მაგიდაზე). ბიძინა, თეაკოს მეუღლე, 8 წლის წინ გარდაიცვალა. მშრომელი კაცი იყო, ექიმი, ყველა დროში

საჭირო პროფესიაა, ვერც გასაჭირმა გატეხა და ვერც ასაკმა, — ეგ რომ არა, ჩვენს სიბერეს რა ეშველებოდა, არ ვიცი. აი, იმ სურათზეა, მეგობარმა დახატა ასე ეგზოტიკურად (სურათზე შუასაუკუნეების რაინდის აბჯარში გამოწყობილი კაცია დახატული, კეთილშობილ-პათეტური გამომეტყველებით). დიდი კულტურის ადამიანი იყო, ხელოვნებას აგროვებდა — ეს სულ მაგის შეგროვილია (უთითებს კედლებზე დაკიდებულ უამრავ ფერწერულ ტილოზე, სკულპტურებზე, ლარნაკებზე). მე მამასავით და უფროსი ძმასავით მედგა გვერდში, აი თეაკოზე კი მთელი ცხოვრება შეყვარებული იყო — 52 წელი! ახლა რაღა, ვის რად უნდა ეს ყველაფერი... წამლები და ლოგინი — ეჰ, რა ყოფილა ცხოვრება...

თეაკო (სამზარეულოდან ხმა): ლიზა, ნუ დაზაფრე ეს ბრილიანტი გოგო... (შემოდის ლანგარით, ჩაიდნით, ჭიქებით, ნამცხვრით; უჭირს მოძრაობა) ხაჭაპური მაქვს, მარიკო, თუ გინდა გაგიცხელებ, არ მოგერიდოს; ქუჩის არ არის, მარგარინზე რომ აკეთებენ.

მარიკო: არა მადლობთ. არ მიყვარს.

თეაკო: უი, ეგ ქართველობის ღალატია (იცინის). არსად თქვა, გაგრიყავენ. კი, ჩვენი ბიძინა წიგნებსაც აგროვებდა, იცოცხლე — მოდი განახო. წამოიღე ნამცხვარი (თეას მარიკო სხვა ოთახში გაჰყავს — დიდ და «საშიშ» ბიბლიოთეკაში). უყვარდა, გიჟდებოდა, თითო-თითოს

ეფერებოდა, სულ ციტირებდა — ესქილეს, ციცერონს, როლანს, უფ, რა ვიცი... სანამ ცოცხალი იყო, ეს ყველაფერიც ხარობდა, თითქოს ყველა სურათი და წიგნი გველაპარაკებოდა. აი (დე კირიკოს კოშკის სურათის დაუმთავრებელ ასლზე უთითებს), თვითონაც ძალიან ცდილობდა ეხატა, ამ კოშკის დამთავრება ვერ მოასწრო, ფაქტიურად შეეწირა. ჰოდა, როგორც კი დაგვტოვა, ყველაფერი დამუნჯდა. ახლა დროდადრო ვყიდით წიგნებს, სურათებსაც — ხომ იცი, რამდენია ჯერ კიდევ ანტიკვარიატის მოყვარული — აბა მეტი რად ვარგა ეს, თუ კაცი არ არის ცოცხალი. — ხოდა ასე ვირჩენთ თავს... ძალიან ჯანსაღი ადამიანი იყო, ქართველივით სმა არ უყვარდა, ერთხელ დათვრა მხოლოდ და კაი რამეც დაემართაააა... (ხითხითებს) მთელი წიგნები გადმოყარა, ბევრს ყდაც კი დააგლიჯა... (აგრძელებს ხითხითს) შემეშინდა, მაგრამ თან კომიკურიც იყო, — იმ წიგნებს დაერია სწორედ, რომლებსაც ეთაყვანებოდა... (იცინის ბებრულად). ახლა ჩვენი «ლოგოსია» უნდა გაჩვენო (მარიკო მიჰყავს რაღაც ნაჭერგადაფარებულ საგანთან). «ლოგოსია» ძალიან უყვარდა, პირველად რომ მოიყვანა, ასე, სახლში იყო თავისუფლად გაშვებული (საგანს ნაჭერს გადახდის და იქ ტერარიუმი აღმოჩნდება, სადაც საკმაოდ მოზრდილი გველი უმოძრაოდ წევს). ყველგან დასრიალებდა, თითქოს ყველაფერს იკვლევდა და აკვირდებოდა — წიგნებს შორის, სურათების უკან. ერთხელ, ღამის ოთხ საათზე სააბაზანოში დამჭირდა გასვლა. შევდივარ, სინათლეს ვანთებ და რას ვხედავ — ასე, შუა სააბაზანოში სრულ სიბნელეში წამოყუდებული დგას გაშეშებული, სინათლემაც კი არ შეაწუხა. რას ფიქრობდა, რა ჰქონდა თავში ნეტა, იმ სიბნელეში, იმ სიმარტოვეში? ახლა, მე მგონი უკვე ერთი კვირაა, ასე გაუნძრევლად წევს. — შეიძლება მოკვდა კიდეც... არ ვიცი

(ისევ აფარებს ნაჭერს ტერარიუმს და გაჰყავს მარიკო სასადილო ოთახში). ასე, ჩემო კარგო, მოგიყევი ჩვენი ბებრული ამბები.

ლიზა: მოკლედ, ფუჭია რა ეს ყველაფერი (ლოგინიდან — ცხვირსახოცის ჩაქნევით სასოწარკვეთილების ნიშნად.)

თეაკო: ლიზა მორჩი. სულ ასე წუწუნებს — მე კიდე ვეუბნები, რაც ვიცხოვრეთ, აზრიც ის იყო და ახლა საფასურს ვიხდით იმ წუთების-თქო. მიირთვი, მიირთვი მარიკო. ძალიან გემრიელი ნამცხვარია. საკონდიტროები ერთადერთი კარგია, რაც ამ ახალმა დრომ მოიტანა. რა… არა? ნემსი ორივეს გვჭირდება, ჰო?

მარიკოს ტელეფონი რეკავს, მარიკო იღებს მობილურს.

ბექა: სად შემატოვე გუშინ იმ კაციჭამიებს? არაფერი არ მოხდა, მაგრამ მაინც…

მარიკო: სახლში მიგიყვანეს?

ბექა: კი, მარა…

მარიკო: ახლა ვერ დაგელაპარაკები — რამე გინდოდა?

ბექა: დღეს ქორწილია, ვატო და ნანა იწერენ ჯვარს — ქორწილები კი არ გიყვარს, მაგრამ ერთხელ შეხედე, წამოდი, სად ხარ? გამოგივლი.

(პაუზა)

მარიკო: ზუბალაშვილების 10, ნახევარ საათში (თიშავს მობილურს).

თეაკო: რაო, შენი ბიჭია? ღმერთმა ერთად გამყოფოთ მე და ბიძინასავით განუყრელად.

მარიკო: შეიძლება ბიბლიოთეკაში მაგიდა ვიხმარო? (სასტუმრო ოთახის მაგიდა ნამცხვრებმა და ჩაიმ გაავსო).

თეაკო: კი, როგორ არა…

მარიკო გადის ბიბლიოთეკაში. მოხუცები აგრძელებენ მუსაიფს.

თეაკო: ლიზა, ახლა ბიძინას რომ ეს ჩვენი მარიკო ენახა, როგორ აენთებოდა თვალები… როგორ უყვარდა სილამაზე, როგორ ეტრფოდა იდეალებს…

ლიზა: ჰო, ეგ კი. მაგრამ მე ნადვილად არ შემიმჩნევია, რომ შენთვის ეღალატოს, ეს ნამდვილად… კი, კი…

თეაკო: უჰ რა ვიცი, მე არ ვუჭვრიტინებდი — კარგად ვგრძნობდი თავს და რაც ჭირდებოდა, თვითონ იცოდა. მე თუ ჩემი სიმყუდროვე შემიქმნეს, ამას რატომ დავანგრევ… ვხალისობდით კიდევაც ერთად. შენც ხომ დაგადგა თვალი…

ლიზა: Перестань, не расстраивай меня сейчас пожалуйста…»

თეაკო: უჰ... ნეტავი შენ (იცინის), არ დამავიწყდება — ასმათის ქორწილში! ძალიან ლამაზი იყავი, ისე გიყურებდა და მერე უცბად ხელიდან ნამცხვარი გამოგტაცა და თვითონ დაიწყო ჭამა, თან თვალს არ გაშორებდა.

ლიზა ცხვირსახოცს იქნევს პროტესტის ნიშნად.

ლიზა: ოჰ, მოიცა ერთი, перестань - не говори ерунду…

თეაკო (ღიმილით): Я пойду, приготовлю деньги… (მიდის ჩანთისკენ)

შემოდის მარიკო ორი ნემსით. საკმაოდ გრძელი სცენა ნემსების გაკეთების სრულ სიჩუმეში. მერე მარიკო გადის ბიბლიოთეკაში. აწყობს ნემსებს ყუთში, ყუთს ჩანთაში.

მერე უცბად მიდის ტერარიუმთან, გადახდის ქსოვილს, გააღებს ტერარიუმის კარს, შიშნარევად მოკიდებს გველს ხელს. გველი არ ინძრევა. მარიკო ნაჩქარევად ჩაიდებს გველს ჩანთაში და გამოდის დიდ ოთახში.

თეაკო: აგერ, შვილო თანხა…

მარიკო იღებს ფულს მაგიდიდან.

მარიკო: დაგემშვიდობებით, დიდი მადლობა ნამცხვრისთვის. არ გამაცილოთ კარს გამოვიხურავ.

მარიკო გადის. ისმის კარის ხმა.

ლიზა: Как-то странно вышло. სიტყვა არ ვათქმევინეთ გოგოს…

ლიზა რთავს ტელევიზორს… ტელევიზორში კატასტროფის სცენაა. ავსტრალიის დედაქალაქში მსოფლიოს ყველაზე მაღალი სატელევიზიო ანძა ინგრევა. დიქტორი გვამცნობს, რომ სამშენებლო ხსნარში არ იყო დაცული კომპონენტების სწორი შემცველობა…

(გვიანი მზიანი დილა, თეაკოს და ლიზას სახლის წინ)

მარიკო გამოდის სახლიდან. ისმის ჭიკჭიკი. მარიკო ცოტა ხანი შეჩერდება, ეძებს თვალით მოჭიკჭიკე ჩიტს ხის ფოთლებს შორის. ჩიტი არ ჩანს — ფოთლებში ოდნავ სადღაც გაიელვებს. მარიკო აქეთ-იქით იხედება, ბექა არსად ჩანს. მარიკო რაღაცას გადაწყვეტს და დამაჯერებლად გაუყვება ქუჩას. ჩქარობს, ცოტა აღელვებულია. ბოლოს მდინარეს მიაღწევს, ჩანთიდან მკვდარ გველს ამოიღებს და მდინარეში ფრთხილად ჩაუშვებს. ხელს რომ გაუშვებს, სრულიად უეცრად გველი ლამაზად გაცურდება. მარიკო გაოცებული თვალებით უყურებს გველის ულამაზეს მოძრაობას წყალში. მერე მარიკო უკან აივლის ქუჩას და ისევ თეაკოს და ლიზას კარის წინ დაჯდება. ჩიტი ისევ ჭიკჭიკებს. მარიკო კვლავ ეძებს თვალით და პოულობს — ჩრდილში, ფოთლებს შორის პატარა საყვარელ არსებას, ცოცხალი შავი თვალებით.

(შუადღე. ეკლესიის წინ)

მარიკო და ბექა ჩქარობენ. ნეფე-დედოფალი ტაძარში შესვლას აპირებს. გარშემო უამრავი აღზნებული და გაპრანჭულად ჩაცმული ადამიანია, ქუჩა მანქანებითაა გადაჭედილი. ასეთ ფონზე მარიკო და ბექა უცნაურად იყურებიან.

ბექა: ეკლესიაში შესვლა გინდა?

მარიკო: გაგიჟდი, თიკომ შემათრია ერთხელ, ჯვარს რომ იწერდა და მამაომ თვალი ისე დამადგა, რომ ყველა შეწუხდა. მერე მანქანით ქუჩაში დამეწია და რუსული «ბანბანერკა» მაჩუქა — ასეთი ტკბილი სული გაქვსო, მომაძახა… რაც ეტკბილა, ხომ «იასნია»… (იცინის)

ბექა: კარგი, მაშინ მაგათ გამოსვლას ეკლესიის უკან დაუცადოთ — მე წავალ ყვავილებს ვიყიდი…

ბექა მიდის. მარიკო ტაძრის უკან გადის, სადაც სიწყნარეა. კედელს მიეყუდება და იცდის. თუთიყუშების ჯგუფი გადაუფრენს არემარეს და დიდ ხეზე შეჯდება ჭყივილით, ვიღაც გოგო-ბიჭები (ტაძარში ვინც ვერ დაეტია), ხისკენ მირბიან და რაღაცას უყვირიან ერთმანეთს თამაშით. მარჯვნივ სამი მამაო ჩაივლის შავებში ძალიან საქმიანი საუბრით. წინ კი უპატრონო ძაღლი რაღაც უცნაურად გალაღებული თამაშობს თავისთვის. მარიკო ამ ყველაფერს ადევნებს თვალს. სიცხეა. მარიკო დაიღალა… ბექა მოდის. ხელში ყვავილები უჭირავს. მარიკოს უახლოვდება. თაიგულის უკან ერთი ლამაზი ყვავილი აქვს დამალული და მარიკოს აწვდის… მარიკო ართმევს, ყვავილიან ხელს დაბლა უშვებს და ბექას უყურებს.

მარიკო: რა იყო, შენც დიდი დღესასწაულის ვირუსი შეგიჩნდა? ნახე, რა ხდება გარშემო… რა ფუთფუთი დგას, ბედნიერდება ქვეყანა… (იღიმის. კადრი ხის ქვეშ ახალგაზრდებზეა და მერე თუთიყუშებზე გადადის)

ბექა: ჰოო? (მიმოიხედავს გარშემო, მერე თუთიყუშებს გახედავს) ესენი საიდან?

მარიკო: ალბათ ჰონგკონგიდან გამოიწერეს. არ იცი? «სერვისია» ასეთი, თუ გინდა პეპლებს, თუ გინდა ფუტკრებს, ძაან თუ «იქსტრიმი» გევასება, ტარაკნებს გამოიწერ.

ორივე იცინის.

ბექა: მიყვარხარ… მაგრა.

მარიკო (უყურებს ბექას; პაუზის შემდეგ): გრამატიკაში მაგარი იყავი? (ბექა თავს უქნევს ღიმილით) მაგ სიტყვის დამარცვლა იცი ალბათ, ხომ?

ბექა: კი (უცინის)…

მარიკო: მერე? სიტყვა და ცნება რომ განსხვავდება იცი, არა?

ბექა: დაიწყო ახლა… (თან შინაგანად ყოველთვის მოწონს მარიკოს თამაშები)

მარიკო: და… კიდე, დამატებითად, შინაარსიც არსებობს — სიტყვასთან, მართლწერასთან და გრამატიკასთან არაფერი საერთო რომ არა აქვს. ამათმა, ყველამ (აჩვენებს გარშემო), შენსავით ეგ სიტყვა იციან, ან მაგ სიტყვის მართლწერა, ან გრამატიკა. აი, შენ კიდე უნდა მითხრა, რომ სიტყვის შინაარსიც იცი და მე რატომ მაკავშირებ მაგ სიტყვასთან (ბექა თვალებს ატრიალებს). მე კი არ მჭირდება! — მერე შენ თვითონ რომ არ გაგიკვირდეს, — ტუჩების კანკალი რომ გაგითავდება, — რა მოხდაო… ჰოდა, რო ჩაეშვები — ნემსიც დაგჭირდება (იღიმის).

მარიკო ამას რომ ამბობს, თბილი თვალებით უყურებს ბექას და მსუბუქად უღიმის. მერე ღიმილი გაუქრება, ისევ თუთიყუშებს გახედავს. ისინი გუნდად წამოიშლებიან და ისევ გადაფრენას იწყებენ. ახალგაზრდები კი ეკლესიის შესასვლელისკენ მიეშურებიან.

ბექა: არ მესმის, რა გინდა? მარადიულ სიყვარულს ეძებ?

მარიკო: ჰო (თავს უქნევს), მართლა არ გესმის. წამო წავედით, გამოდიან ეტყობა.

ბექა და მარიკო ხალხის ჯგუფს უერთდებიან, ცდილობენ მიულოცონ ჯვარდაწერილებს. როგორც იქნა მიაღწევენ ნეფე-დედოფლამდე და ულოცავენ, კოცნიან.

ბექა: გილოცავთ, როგორც იქნა რა! .. ამდენი ხანი გვალოდინეთ!

მარიკო: გილოცავთ.

ვატო: მადლობა, როგორ გაასწორეთ, ორივე რომ მოხვედით.

ეხვევიან ერთმანეთს.

ვატო: მცხეთაში, ჯვარზე ხომ მოდიხართ? (მარიკო და ბექა დაბნეულები იშმუშნებიან და ერთმანეთს უყურებენ) ახლა არ დაიწყოთ! ეგრევე! (ვიღაცას ეძებს თვალებით. მოძებნის, უყვირის) მიხო, მიხო — მარიკო და ბექა (თითით აჩვენებს მარიკოზე და ბექაზე) შენი მანქანით წამოიყვანე… (მარიკოს და ბექას) არ დამეკარგოთ, იცოდე…

ნანა: მერე ყველანი «გალაში» მივდივართ და ღამე ნარიყალაზე… ვატომ ფინელი DJ ჩამოიყვანა…

ვატო: მიხო უკვე მიდის, მიჰყევით. გაასწორეთ — დღეს ჩვენთან ხართ მთელი დღე…

მიხო ხელს უქნევს მარიკოს და ბექას და მანქანისკენ გზას მიუთითებს.

(შუადღე, მზე, სიცხე, ბეტონში ჩასმული გმირთა მოედანი, მიხოს მანქანა ბეტონის ესტაკადის ქვეშ დგას საცობში)

მიხო: ეს ბეტონი ჩრდილისთვის აუშენებიათ რა… (მარიკოს მიმართავს) თქვენ ის მარიკო არა ხართ, სკოლაში «იუროპას» რომ გეძახდნენ?

მარიკო: კი.

მიხო: ესე იგი, მთელი თბილისი თქვენზე ლაპარაკობდა — კარატეზე დადისო, ენები იცისო, დარტყმულად იცვამსო, მაგრა კიდია ხალხი და თავისას ისწორებსო… მერე ჯარში ქალების წაყვანას ითხოვს და პეტიცია შეიტანაო… მოკლედ მაგრა ანათებდით 3-4 წლის წინ და მერე არაფერი გამიგია. რა მოხდა?

მარიკო: ჩავქრი, — «ნირვანა» იცი?

მიხო: აბა, — კურტ კობეინი…

მარიკო: არა, სხვა ბენდი იყო, უფრო ადრე — ბუდა ჰყავდათ «ფრანტ მენად» (იცინის) —»ნირვანა» ჩაქრობას ნიშნავს…

ბექა: რა მოუვიდა და კაცი შეუყვარდა — აგერ გვერდზე ვზივარ… (მარიკოს უყურებს და თვალებს ატრიალებს თვითირონიის ნიშნად).

მარიკო: კი, ჩამქრალის შეყვარება მაგარი პერსპექტივაა…

მიხო: ღმერთმა შეგარგოთ — აუ, აქ რა გააღწევს ტო?!

ცხელა, უამრავი მანქანა ირევა, ისმის მანქანების საყვირების ხმები, — წინ ნეფე-დედოფლის მანქანა მიღოღავს თავსახურზე თოჯინებით მორთული.

გრიგოლი (მძღოლის გვერდზე მჯდომი ბიჭი): დაქორწინებული ხართ, თუ აპირებთ? ისე შემოდგომაზე ქენით — ხომ ხედავთ, რა სიცხეა — ახლა ატეხილი კატები თუ იქორწინებენ…

მიხო (თავში ურტყამს გრიგოლს): რეებს ბლატაობ, ზრდილობა დაკარგე?

მარიკო: ზრდილობა რა შუაშია, — თუ კატების ექსპერტია, უნდა გამოთქვას (იღიმის).

მიხო: კატების ექსპერტობაზე არ ვარ დარწმუნებული, მაგრამ მიცვალებულებთან აქვს სიახლოვე (კვდება სიცილით, მარიკოს და ბექას გვერდზე მჯდომი ბიჭიც ხითხითებს) დამკრძალავი კანტორის უფროსის მოადგილედ დანიშნეს ხუთი დღეა… (ყველანი იცინიან).

გრიგოლი: აი, შენზე მეტი მაყუთი რომ მექნება, ნახავ. შენ რა გგონია, — აი ნაღდად კეთილშობილი საქმეა, ტო, სამლოცველოც კი გვაქვს. ჭირისუფლები რომ მოდიან, იცი, რა მოწიწებული სიჩუმე დგას! ეს სხვა რამეა, შენ რა გესმის, ტო, მუსიკას მე ვურჩევ: ბახი, ვივალდი… – «ვაფშჩე» გაგიგია ეგენი? ორი «კირპიჩი» გიჭირავს მთელი დღე…

მიხო: ეეე, მშენებელ კაცს მესაფლავე რომ შეგედარება — თავი არ მაქვს მოსაკლავი?.. კიკა (უკან მჯდომ მესამე ბიჭს), უთხარი ამას, როგორ დამდევს კუდში ყველა… მარიკო, აი თქვით რა, — თქვენი სახელი? (ბექას მიმართავს)

ბექა: ბექა.

მიხო: ბექა, აი თქვენც მითხარით, — ახლა ხალხი უკვე ხელოვნურ ორგანოებს იგონებს და ყველაფერი სიცოცხლეს ემსახურება — აი, რა გარინდება-მოწიწებაზე მელაპარაკება ეს კაცი… რა დროს გარინდებებია, ხო არის სულელი. დაიძარი, დაიძარი

(ვიღაცას უყვირის). ამათ თუ არ გადავასწარით, ნეფე-დედოფალს კუდში ვერ ავეკიდებით.

მარიკო: კუდის ჭერაც არ უნდა გიყვარდეს — არა?

მიხო: არა, რა კუდის ჭერა — ეს «სვიტოი» საქმეა და იმიტომ, თორემ დიმიტრიევიჩს, ჩემს დირექტორს, არ ვარჩენ სიტყვას, რას ამბობ! დედაჩემი მეუბნებოდა, ყველგან კაცად უნდა დარჩეო. «კაკ ზაკონ», ესე მაქვს ჩარჩენილი.

კიკა: რავი, «ყაყაჩოსთან» კი ჩაისვარე და…

მიხო (აღშფოთებული, დარცხვენილ-ისტერიულად): ვინა ბიჭო (კიკასკენ იყურება), მაგ «დალბაიობს» თავი რომ არ შევაკალი, მაგაზე მეუბნები?! კაცობა პაცნობას კი არ ნიშნავს, ტო! «მუდრი» უნდა იყო… გაიგე?..

კიკა: დედაჩამს შეხედეთ (ფანჯრიდან გვერდზე მანქანაზე მიუთითებს) რა გაპრანჭულია — ტორტი რომ უჭირავს, ეგაა. ერთი წატორმუზება და თვითონ გახდება ეგ ტორტი… ჰა, ჰა… (იცინის).

გვერდითა მანქანაში ქალი, ტორტით ხელში, გაცხარებული ელაპარაკება ვიღაცას.

მიხო: ტორმუზი რათ უნდა, ეგ ტორტი რომ ჩამოუდნება ხელში, შენ მერე ნახე.

მოძრაობა დაიძრა.

მიხო: გვეშველა.

(გვიანი შუადღე, მიხოს მანქანა მიექანება აუტობანზე)

აუტობანზე საქორწილო მანქანები ერთმანეთს შეჯიბრებიან, თუ ვინ ჩადგება ნეფე-დედოფლის მანქანის უკან.

(მიხოს მანქანის ინტერიერი, გვიანი შუადღე, ფანჯრები გახსნილია და ქარი უბერავს)

მარიკო: რო დაარტყა და ნეფე-დედოფალი გაასაღო — რას იზამ მერე?

მიხო: არა, რა დავარტყა: 8 წლიდან საჭესთან ვზივარ. მამაჩემმა მანქანა რომ იყიდა, მუხლებზე ვეჯექი და ისე ვმართავდი. ამ დებილებმა იკითხონ, თორემ ჩემგან ამათ არაფერი დაუშავდებათ…

კიკა: ჰო, მიხო მაგარია… მოტოციკლეტიც უტარებია, ველოსიპედიც და ჭოჭინაც — სხვათა შორის, მართლა — ფოტო მაქვს ნანახი...

გრიგოლი: ბოლოს მაინც ჩემი კლიენტი იქნები — არა მიხო? (იცინის)

მიხო: ნუ ითარსები, შე შობერძაღლო… მარიკო, — ახლა უნდა მაპატიოთ ორივემ, პატივს ვერ დაგდებთ, — პირველი მე რომ ვიყო მერე უბანში, ერთი თვე ჩემზე ივლის ხმა. ამ შანსს ვერ გავუშვებ ხელიდან. უნდა მაპატიოთ ხალხო (მარიკოს და ბექას მიმართავს — მერე რთავს სიჩქარეს, უჩქარებს და წინა მანქანას გვერდს უვლის ძალიან საშიშად).

(გზა ჯვრის მონასტრისკენ)

მანქანებმა ჯვრის მონასტრის მთაზე ასასვლელ გზაზე დაიწყეს მოძრაობა და ეს ვნება ძალიან საშიში ხდება, ორმხრივი მოძრაობაა და მოსახვევებში არ ჩანს, მოწინააღმდეგე მხრიდან მოდის თუ არა მანქანა. ოთხი-ხუთი მანქანა ცდილობს ერთმანეთს გადაუსწროს და როცა

ნეფე-დედოფლის მანქანას ამოუდგებიან, უახლოესი დისტანცია უჭირავთ მისგან — ეს რისკს კიდევ უფრო ზრდის.

(გვიანი შუადღე, მიხოს მანქანაში, გზა ჯვრის მონასტრისკენ)

მიხო საშინელი ვნებით ცდილობს ჩამოაშოროს ნეფე-დედოფლის მანქანას N1 მადევარი მანქანა. გრიგოლიც წარმოუდგენლად გულშემაატკივრობსდა შეყვირებებით და კომენტარებით ამხნევებს მიხოს. კიკა გრიგოლის საჯდომზეა აკრული და დროდადრო რეაგირებს მიხოს გიჟურ მანევრებზე. ბექას ფანჯრის ზემოთ სახელურზე აქვს ჩაკიდებული ხელი, საჯდომზეა მაგრად მიყრდნობილი და გარეთ იხედება. მარიკო შუაში ზის — მანქანის მოძრაობებისა და შექანებისას მთელი ტანით ირყევა, რახან ხელი არაფერზე უკიდია. როცა კადრში მარიკოა, ისეთი გრძნობაა, თითქოს რაღაც ექსტატურ-ვნებიანი წამების ფორმას ვუყურებთ. ამ შეჯიბრისას რამდენიმე ძალიან საშიში მომენტია, როცა ბიჭებიც ისუსებიან — ისმის საბურავების ჭრიალი და ძრავის ბღუილი. ფილმის ეს მონაკვეთი დიდხანს გრძელდება, მაგრამ მერე კამერის მზერა მანქანის ცენტრში იყინება და ასე გაშეშებული წინ, გარეთ, სივრცეში იყურება, გაუნძრევლად, უსასრულობაში, სადაც მხოლოდ წინა მანქანა ირყევა და ციმციმებს სივრცეში — ეს მარიკოს მზერის კუთხეა. მთელი ეს ვნებიანი ექსტატიკა ახლა თითქოს ერთი წერტილის გარშემოა მობილიზებული (შემოდის მუსიკა, ან ხმაური, რომელიც ფარავს რეალურ ღრიალს მანქანაში).

(ჯვრის მონასტრი, კადრი ზემოდან)

მანქანები ჩერდებიან, ნეფე-დედოფალს ზურნა-დუდუკებით ხვდებიან. ხალხი გადმოდის მანქანებიდან.

ნეფე-დედოფლისკენ მოძრავ მთელ მასას გამოეყოფა ფიგურა, რომელიც გზაზე უკან, დაღმართში ქალაქისკენ მიაბიჯებს. ეს მარიკოა. ბექა გამოედევნება.

ბექა: ახლა ისევ შენებური არ გაარტყა… არ გააკეთო ეგ, — წამოდი.

მარიკო ხმას არ სცემს და აგრძელებს გზას ქვემოთ, მცხეთისკენ. ბექა ჩერდება და უკან მიდის ხალხისკენ, უერთდება მოზეიმეებს (ამ მომენტში კადრი ისევ ზემოდანაა).

ბექა რომ ბრუნდება, ხალხის მასას უცბად საშუალო ზომის შავი ძაღლი გამოეყოფა, მხიარულად გადაკვეთს გზას და მარიკოს აეკიდება. მარიკო არ აქცევს ყურადღებას. ძაღლი დიდხანს ხალისით მისდევს მარიკოს, მაგრამ მერე შეყოვნდება, უკან მიიხედავს, კიდე ცოტა ხანი შეჩერდება გადაუწყვეტელობაში და შემდეგ უკან გარბის ხალხისკენ. დიდი შავი ვერტმფრინავიც სწორედ ამ მომენტში მოწყდება მიწას. კადრში ზემოდან სამი ფიგურა მოჩანს: შავი ძაღლის, რომელიც ხალხისკენ მირბის, შავი ვერტმფრენის, რომელიც ცაში ნელა უჩინარდება და მარიკოსი, რომელიც თავდაღმართში ეშვება.

(გვიანი შუადღე)

მარიკომ გაათავა ჯვრის მონასტრიდან ჩამოსასვლელი გზა. ახლა მცხეთის ქუჩაში საბავშვო მოედანს უვლის გვერდს, სადაც ბავშვების ჟივილ-ხივილი დგას. მარიკოს ყურადღებას ლამაზი გოგონა იპყრობს. მარიკო ჩერდება და უცქერს.

ბავშვის დედა (იქვე დედებს შორის ჩამომჯდარი, ზორბა, 45 წლის ქალი): მოგწონს ხომ, ანგელოზი მყავს, მაგით მიდგას

სული — სახლში ასეთი ხომ წარმოგიდგენია? მეტი რა უნდა ადამიანს!

მარიკო: არა, მეტი რა უნდა უნდოდეს…

ბავშვის დედა: მოდი აქ, მოდი, რა უნდა განახო…

მარიკო უახლოვდება და ქალი რაღაცას ეძებს ჩანთაში. მერე მოძებნის, საფულეს ამოიღებს, გახსნის და შიგ დატანებულ ორ ფოტოს ანახებს მარიკოს.

ბავშვის დედა: შეხედე, ეს მე ვარ, ეს კიდე ჩემი ანგელოზი — ხედავ, ერთი-ერთზე, გაჭრილი ვაშლი, როგორ ვგავართ! გული არ გიჩუყდება — რას ნიშნავს დედა-შვილი? შენც ასეთი ანგელოზი გაღირსოს ღმერთმა…

მარიკო: კი, გგავთ ძალიან. თქვენი მეუღლე არ იჩემებს მსგავსებას?

ბავშვის დედა: უფ, იმას რა ესმის ანგელოზების — მუტრუკია ნამდვილი, არც ჩემი ანგელოზობა ესმოდა…

პატარა ბიჭი «რაგატკას» ეთამაშება, უტრიალებს, არ იცის, რა უნდა უქნას…

მარიკო უბოდიშებს ქალს, ბიჭთან მიდის და «რაგატკის» ხმარებას ასწავლის. მერე აიყვანს ბიჭს ხელში, «რაგატკაში» ქვას ჩაუდებს.

მარიკო: ხედავ მთვარეს? (ბავშვი თავს უქნევს) — აბა დაუმიზნე.

უხსნის, როგორ დაუმიზნოს «რაგატკა» დღისით გამოჭყიტებულ მთვარეს და გაასროლინებს ქვას მთვარისკენ…

(გვიანი შუადღე)

მარიკო ენერგიულად მიაბიჯებს თბილისისკენ მიმავალი აუტობანის გასწვრივ… ზოგი მანქანა უსიგნალებს, დროდადრო ვინმე მანქანიდან რაღაცას უყვირის.

გზაზე საზამთროს გამყიდველი და მისი ცოლი ჩამსხდარან საზამთროებში.

საზამთროს გამყიდველი კაცი (სავინცობოდ კახელი, მარიკოს): ცივით ვერ გასიამოვნებ და გულს ამოგიჭრი თუ გინდა. მყიდველი მაინც არა ხარ, უმანქანოდ ამას ვინ წაიღებს — მაგრამ გასიამოვნებ…

საზამთროს გამყიდველის მეუღლე: ფრთხილად იყავი, ტკბილი ენა აქვს ამას, ლაქუცა, — ასე მელაქუცა და ხომ ხედავ, საზამთროებში ვზივარ დღესაც…

ყველა იცინის.

მარიკო: მადლობა, — შენი მოყვანილია თუ შუაკაცად მუშაობ?

საზამთროს გამყიდველი: არა, ჩემი მოყვანილია, ბავშვებს გეფიცები, თან სასუქზე არ გეგონოს — ნატურალურია…

მარიკო: სასუქზე რომ იყოს?

საზამთროს გამყიდველი: უი, რას ამბობ, ღვიძლს აფუჭებს, ჭაჭებში ისეთი დაგეწყოს, რომ ჩემს მტერსა. თანაც შენისთანა კოხტა გოგოს კანს დაუჩაჩანაკებს უეჭველად; ეს კი გაგიწმინდავს და მნათობელას გაგიხდის.

მარიკო: თუ ასეთი ლამაზი ვიქენი, საქმრო ჯვარზეც წამაცუნცულებს ალბათ ჯვრისწერის დღეს, არა? (უღიმის)

საზამთროს გამყიდველი: უეჭველად, კაი ბატკანსაც დაკლავს, ლავაშები და ამბები… როგორც ჯიშში და ჯანში მოგვყვება ქართველებს, რა…

მარიკო: ეს ყველაფერი საზამთროთი კაცო? უწინ იგივეს ყურძენზე იძახდნენ.

საზამთროს გამყიდველი: ყურძენმა თავისი დრო მოჭამა შვილო! მძიმეა, გამიგე, სიტკბო დიდი აქვს და გულს გიუნჯებს. — დღეს კი რაც ხელს ადვილად გამოყვება, იმის დროა — ამ მანქანებს ყურძნის გულდაუნჯებული მომვლელ-მჭამელი რას დაეწევა… აბა გახედე, რას მიქრი-მოქრიან. ეს გორიალა (საზამთროს ხელით ეფერება) კი გწმინდავს და მსუბუქსა გხდის, ლამის ფრენაც შესძლო კაცმა — გულს ფარფატი უნდა დღესა. ჭამე შვილო ჭამე…

მარიკო (გახედავს — პაუზის მერე გულწრფელად): სწორი ხარ ალბათ. მადლობთ.

მარიკო ართმევს გამყიდველს საზამთროს გულს. საზამთროიან ხელს ცისკენ გაიშვერს — საზამთროს ნაჭერი ცის წითელი ჭრილობასავით მოსჩანს ლურჯი ცის ფონზე. მერე ტუჩებზე მიიდებს.

მარიკო: მიხდება?

საზამთროს გამყიდველი: გხატავს (სამივენი იცინიან).

მარიკო: რას აღარ ჰგავს? (იცინის). გამამხიარულე — მადლობა ამისთვის.

საზამთროს გამყიდველი: გაუძელ, გაუძელ — სიცხესა…

(გვიანი შუადღე)

«გზას ჩაჩერებული მარიკო ნელა, საზამთროს ჭამა-ჭამით აგრძელებს მოძრაობას. გარშემო მანქანების ზუილი დგას. მარიკოს ზანტად უკან მისი ჩრდილი მოჰყვება.

ცოტა ხანში მარიკო გზაზე მორბენალი ჭიანჭველების ბილიკს ამჩნევს. ჩერდება და ზემოდან დასცქერის მათ

სირბილს. მერე ცხელ ასფალტს საზამთროიან ნერწყვს დააფურთხებს და უყურებს, როგორ ქოთქოთს ტეხავენ ჭიანჭველები ნაფურთხის გარშემო. მერე ნაფურთხის გვერდით ორჯერ-სამჯერ კიდევ დააფურთხებს და ჭიანჭველებს დიდ საქმეს გაუჩენს…

მარიკო უყურებს ჭიანჭველებს — მერე გასცქერის მანქანებს.

მარიკოს დიდი ჯიპი ჩაუქროლებს. მერე მძაფრად დაამუხრუჭებს, იქიდან ორი თინეიჯერი «მოჰიპსტერო» გოგონა და ერთი ბიჭი გადმოხტებიან და მარიკოსკენ მორბიან.

თეონა (ერთ-ერთი გოგონა): თქვენ «იუროპა» არ ხართ? ხო? (აღფრთოვანებული თვალებით და ხმით).

მარიკო (ცოტა გაოცებული): კი… ვიყავი ოდესღაც — ახლა მარიკო ვარ.

თეონა (რაკრაკით): თქვენ ჩემი ბავშვობის «როლ მოდელი» იყავით, ამათიც… (დანარჩენებზე მიუთითებს და იცინის ბედნიერად).

მარინა (მეორე გოგონა, აღგზნებული): მე ჩუმად თქვენთვის ფოტოებიც კი გადამიღია ქუჩაში და მერე სახლში მქონდა გაკრული. აი, იმ დროს, ეკლესიაში თქვენს ბიჭს ფეხები რომ დააბანინეთ… და ჯარის ამბებთან დაკავშირებით, იარაღით კლიპი… — აუუუ, აი მაგარი იყო ძაან…

გუგა: აქ რას აკეთებთ?

მარიკო: არაფერს (იცინის), ჭიანჭველებს ვაფურთხებ… (ჭიანჭველებზე უთითებს, ახალგაზრდები ძირს იყურებიან). ჩემს საზამთროიან ნერწყვზე ჭკუა გადასდით...

გუგა (მარიკოს პასუხისგან ცოტა დაბნეული): თუ თბილისისკენ მოდიხართ, ჩვენ დაგვემგზავრეთ — დიდი პატივი იქნება…

მარიკო (ხალისით): კი, კი მაგრა გაასწორებს.

ყველანი მანქანაში ჯდებიან.

(გვიანი შუადღე, გუგას მანქანაში)

მანქანაში მხიარული ატმოსფეროა. ახალგაზრდების აღგზნებული სიხარული მარიკოსთან შეხვედრამ გამოიწვია.

გუგა: ახლა რას აკეთებთ, სადა ხართ?

მარიკო: რა ვიცი — დღეს ერთმა მითხრა, როგორ გაქრიო… (იცინის) ხო, ეტყობა გავქრი, მე კი გავუსწორე — კი არ გავქრი, ჩავქრი-თქო…

თეონა: ჩვენ ახლა ბათუმიდან მოვდივართ, მაგარი კონცერტი იყო «რეიდიოჰედის» — «რეიდიოჰედი» მე თქვენი ნამღერიც მომისმენია — თქვენ რატომ არ იყავით?

მარინა: გუგა მუსიკოსია, მე და მარინა მხატვრები ვართ. თქვენი ნახატებიც გვინახია, მოწოდებები, მანიფესტები — აღარ მუშაობთ?

მარიკო: არა.

გუგა: რატო?

მარიკო: რა ვიცი, ჩემმა პროფესიამ გამიტაცა — სხეულებთან ძალიან ახლოს ვარ, ვეხები, ხალხის უსასრულო ნდობას ვგრძნობ, ყველანაირი შესაძლებლობის შანსს — ეს ყველაფერი ისეთი ხელშესახებია… ისეთი გაუგებარი და ისეთი სიღრმის… (ამას რომ ლაპარაკობს, მარიკო იცვლება, თითქოს სიზმრიდან ლაპარაკობს).

მარინა: და რა პროფესიაა?

მარიკო: ნემსს ვუკეთებ ადამიანებს, ვინც ამას საჭიროებს.

თეონა: ფერშალი ხართ?

მარიკო: კი… ალბათ…

თეონა: Is ot it boring?

მარიკო თავს აქნევს…

გუგა:

— თქვენი მეგობრები სად არიან? ნახევარი თბილისი გიცნობდათ და მეორე ნახევარი თქვენზე ლაპარაკობდა?

მარიკო:

— ისევ იქ, — იმ ხიბლში: ბჭობენ, იკვლევენ, ადგენენ, რა ვიცი კიდე რა გითხრა… (მარინა და თეონა ერთმანეთს გაკვირვებული უყურებენ, გუგა ზოგჯერ იყურება უკან).

თეონა: ეხლა რა მუსიკას უსმენთ?

მარიკო: ტელევიზორში თუ რამეა, კომპიუტერში ქექვა მეზარება — სიმღერები მოკლეა, მალე მთავრდება და მერე თავიდან უნდა ეძებო… იმდენი დრო მიაქვს…

თეო (მაიკაზე უყურებს მარიკა): რა ლამაზია, დემნაა?

მარიკო: არა, დემნა მაშინ არ არსებობდა, 5 წლის წინ მაჩუქა ჩემმა… (თვალს უკრავს თეოს, უღიმის) შეყვარებულმა… — Isabel Amarant-ია, მაშინ ქულ იყო, ესე ვთვლიდი. — მოგწონს? გაგიცვლი. გაჩუქებდი, შიშველი ვერ წავალ… (იცინის)

თეო (თვალები უბრწყინავს და ტაშს უკრავს): თან თქვენგან!..

მარიკო იხდის ზედატანს და თეოსთან უცვლის «მაიკას».

თეო: შეიძლება გაკოცო? (უზომოდ ბედნიერი).

მარიკო: არა (უღიმის), გრიპით ვიწექი, ორი დღეა ავდექი…

გუგა (აღგზნებული): აქ ერთ კილომეტრში რესტორანია, «გამოქვაბული», ჩემ მშობლებს იქ «ფართი» აქვთ დღეს — წავიდეთ? მაგრა გაეხარდებათ…

მარინა (მიამიტი სახით, აღფრთოვანებული): გოგას მამას სასტუმროების «ჩეინი» აქვს აღმოსავლეთ საქართველოში და მისი უახლოესი ძმაკაცი ვახტანგ ინგოროყვაა, რეიტეგრაციის მინისტრი, ხომ იცით… — მაგათ ყველა იცნობს. წავიდეთ ცოტა ხნით, მაგარი სუფრა იქნება, მაგარი საჭმელები და თან ყველას გავახარებთ. აქ სხვა მანქანის ცდას, წამოდით და ნახევარ საათში წამოვიიდეთ…

მარიკო: ნახევარ საათში როგორ წამოხვალ — ხომ იცი რა ჩაციება იციან…

გუგა: გპირდები, წამოვალთ! (ხელს წევს პირობის ნიშნად)

მარიკო ხმას არ იღებს, ფანჯრიდან იხედება — რაც თანხმობაში ეთვლება.

თეონა: ვაშაააა!

მალე მანქანა არა ასაფალტირებულ გზაზე უხვევს…

(გვიანი შუადღე, გუგას მანქანაში)

მანქანა დაბურულ ტყეში მოძრაობს. ძალიან ბნელა. დროდადრო უცნაურად განათებული ხეები ჩანს ტყის სიღრმეში.

მარიკო: ეს რა არის?

თეონა: მთავრობამ გაუნათა ხალხს ოცნების ასასრულებელი ხეები, ჭინჭებს რომ აბამენ, ხომ იცი? ხო ლამაზია? ხალხს ძალიან მოწონს და ბევრი ბედნიერია!

(ექსტერიერი, გვიანი შუადღე, ტყეში პარკინგი)

მანქანა ტყის პარკინგზე აჩერებს.

მარიკო, გუგა, მარინა და თეო ბილიკს მიუყვებიან კიდევ უფრო დაბურულ ტყეში, სინათლე თითქმის არ გადის ხეებს შორის. ბილიკი, რომელსაც მანქანის სადგომიდან რესტორნისკენ მივყავართ და თვითონ რესტორნის შენობაც ხელოვნური შუქითაა განათებული. მომსვლელებს ორი კაცი ეგებებათ.

(გვიანი შუადღე, რესტორნის წინ)

რესტორანი რაღაც ქრთული ოდის ბუმბერაზი, გათანამედროვებული ვერსიაა, ხეები ისე ახლოს და მჭიდროდ დგას შენობასთან და მათი ტოტები და ფოთლები ისეა გადაბურდული რესტორნის სახურავის თავზე, რომ სინათლე აქაც არ გადის და შენობა ხელოვნური სინათლითაა განათებული.

რესტორნის მომსახურე (შემხვედრი — გადამეტებული პატივისცემით): ბატონ მიხეილთან ხართ ხომ?

გოგა: კი, გვიშვებთ? (უღიმის)

შემხვედრი: როგორ გეკადრებათ! მობრძანდით! (წინ მიუძღვის)

(რესტორნის ინტერიერი, გვიანი შუადღე)

ყველანი ხელოვნურად განათებულ დიდ ოთახში შედიან, სადაც დაახლოებით 20 კაცი ქეიფობს დიდი გატაცებით, აღტყინებით, რეპლიკებით, ჟივილ-ხივილით… რამდენიმეკაციან ჯგუფებად დაყოფილ მაგიდაზე შეზარხოშებული ხალხი საუბრობს — ერთმანეთთან გადაძახილებით, შეძახილებით. კედლებზე ორი ტახის თავია და შუასაუკუნეების მეომრების ვერცხლისფერი აბჯრები.

მიშა (გუგას მამა): გაგვახარა! გუგა მოვიდა! აი, ჭკვიანი ბიჭი! ვიცოდი, რომ მოასწრებდი! ბათუმში იყო კონცერტზე (ხალხს მიმართავს) ჩვენ კულტურის მინისტრს რომ ჩამოჰყავს მაგარ-მაგარი ტიპები — როგორი იყო გუგა?

გუგას დედ-მამა უახლოვდებიან ახალგაზრდებს. ახლადშემოსულთა ჯგუფი ყურადღების ცენტრშია, ურთიერთმისალმებების პროცესია… შეფასებები, კითხვები, კომპლიმენტები ერთმანეთში ირევა და შეზარხოშებულ ყაყანში გადადის.

ხმა (მამაკაცი): როგორი იყო? ვეზიარეთ ევროპას და გარყვნილებას? ჰა, ჰა…

ხმა (ქალბატონი): რა ლამაზები არიან — რა ლამაზი ახალგაზრდობა მოდის… არ ვიცი, მე მომწონს ძალიან…

ხმა: გაახარა ახალგაზრდობა მინისტრმა და კიდე უჩიჩხინებენ ეს ბოღმები…

ხმა: რა? მოიცა ერთი — ერთ კონცერტში მილიონების გადაყრა… — შიმშილობს ხალხი!

ხმა (მხიარულ/ამორალურად): ჩვენ ხალხი არა ვართ აქ?! რა ხდება მაგიდაზე, შეხედე… (ხელით აჩვენებს მაგიდაზე დაყრილ ხორაგზე. ისმის ხარხარი)

ხმა (მამაკაცი მთვრალი ხმით — თეონას მიმართავს): მოდი გენაცვალე, ასეთი ანგელოზი გვერდზე რომ ჩამოგიჯდეს დიდი თანხა უნდა ღირდეს — არა, ჩემო საყვარელო? (გახედავს ცოლს).

მიშა: ეს ულამაზესი გოგონა ვინაა?

მარიკო (არ აცლის გუგას პასუხს): მე მარიკო ვარ, დავემგზავრე მცხეთიდან.

მიშა: მოგიტაცა გუგამ, არა?! მამიკოს შვილია, ვენაცვალე. (ცოლს) ვერიკო, გახსოვს, პურის მაღაზიიდან რომ გაგაქრე? მოდით, მოდით, თქვენი სადღეგრძელო უნდა დავლიოთ. არჩილ! (მიმართავს თამადას) აბა ბავშვების სადღეგრძელო…

არჩილი: (თამადა, მაღალი, ხმელი კაცი, ყმაწვილობაში «განდაგანას» ცეკვაში მეთაური მოცეკვავე) უკეთესს რას ჩავიდენთ. (ხალხს მიმართავს) აბა, ერთი წუთით, ამ ანგელოზ ბავშვებს მომავლის გზა უნდა დავულოცოთ. თენგიზ, თენგიზ! (თენგიზი გაფაციცებით ესაუბრება ვიღაცას) ალავერდი შენთან ვარ. (იწყებს სადღეგეძელოს) ასეთი შვილები, ასეთი სახეები, ასე ჰაერიდან არ ცვივა,

ყველაფერი სამყაროში მიზეზ-შედეგობრივია და მარტო ჩვენს მიწაზე, ჩვენი წინაპრების სისხლით და ოფლით უხვად მორწყულ ამ დალოცვილ ნიადაგზე იზრდება ასეთი ხასხასა, ასეთი ნატიფი ჯეჯილი. ჩვენი წინაპრების დამსახურებაა ჩვენი ქვეყნის ეს ნორჩი სილამაზე — მათ სახეებს ბავშვობის ნათელი დიდხანს შერჩება, მათ ტუჩებზე დედის რძე დიდხანს არ შეუშრებათ. ეს სიწმინდეა, რაც აქცევს კაცს კაცად და დიაცს ქალად; მერე კი კაცს გმირად და ქალს დედად! (თავისი სიტყვებით ძალიან აღგზნებული და ამაყი) ესაა, რაც ჩვენ გვამაგრებს პატარა ხალხს და გვაქცევს დიდ ერად. თქვენია საქართველო შვილებო! თქვენია მომავალი, გვიმსახურეთ და მოგვიხმარეთ — ჩვენ ერთი გვინდა — თქვენი გზა გავასწოროთ და საფეხურები ჩაგიმწკრივოთ, გავრანდოთ, რომ ფეხმა არსად წაიბორძიკოს და არსად შეყოვნდეს… გაგიმარჯოთ!

(სვამს ყანწით ღვინოს)

ყაყანი, სადღეგრძელოები, ჭიქების ჭახუნი, უკანა პლანზე ალავერდის ტექსტი ისმის. მარინა და თეონა უკვე მიუსხდნენ სუფრას მაგიდის სხვადასხვა ბოლოში და აღგზნებულად, გემრიელად ჭამენ — თან უფროსებთან საუბრობენ გატაცებით. ორი-სამი კაცი მაგიდიდან მარიკოს ეპატიჟება, რომ მათთან დაჯდეს. გუგა იქვე დგას.

მარიკო (გუგას, დაძაბულად და ცოტა მომთხოვნად): საპირფარეშო სად არის? გამყევი… (ხელს ჰკიდებს გუგას და გასასვლელისკენ ექაჩება).

გუგა და მარიკო ტოვებენ დარბაზს.

(ინტერიერი, რესტორნის საპირფარეშოს წინ, გვიანი შუადღე)

მარიკო (გუგას): არ გეწყინოს, მაგრამ უნდა წამიყვანო, — ახლა გამახსენდა, საავადმყოფოში მაქვს დანიშნული შეხვედრა! ძალიან მაგვიანდება.

გუგა: თხუთმეტი წუთი მაინც ვიყოთ რა — უხერხულია…

მარიკო: არა, დამაგვიანდება, ნამდვილად! უნდა წავიდეთ (ყურის ბიბილოს მოუსრისავს უცნაურად).



(ტყე, გვიანი შუადღე)

მარიკო და გუგა ჩქარი ნაბიჯით მიუყვებიან ბნელ ტყეში მანქანის სადგომისკენ მიმავალ ბილიკს.

მარიკო (გუგას): ერთი წუთით.

მარიკო ბილიკიდან გადაუხვევს და ერთ-ერთ განათებულ «ოცნების» ხეს მიუახლოვდება. ჩვენ მარიკოს სახეს ვხედავთ, რომელზეც ხესთან მიახლოებისას სულ უფრო და უფრო თამაშობს ხისგან არეკლილი სინათლეები. მარიკო ახლოდან და სრულიად უემოციოდ შესცქერის ხეს, მის განათებულ სახეზე ბევრი სხვადასხვა ფერის ათინათია. მერე მარიკო უეცრად ტრიალდება ზურგით. ახლა მხოლოდ მისი შავი თმების სილუეტი ჩანს კიდევ უფრო მუქი ფერის ტყის ფონზე.

(საავადმყოფო, გვიანი შუადღე)

მარიკო შედის საავადმყოფოს მოსაცდელში, ადგილი არ არის და უწევს ფეხზე დგომა. რამდენიმე მომლოდინე

ორსულადაა. კონდიციონერი არ მუშაობს, ცხელა და ხალხი წუხს.

პირველი ქალბატონი მარიკოს გვერდზე: რა ჭირთ, კონდიციონერს რომ ვერ ამუშავებენ საავადმყოფოში. ვერ დადგა რა ეს ქვეყანა ფეხზე — ამათ ვერავინ უშველის!

მეორე ქალბატონი მოპირდაპირე რიგში (გაღიზიანებით): ნაშველი იყავით და ვერ შენიშნეთ…

მესამე, უფრო ახალგაზრდა ქალი (გასავათებული, 4 წლის ბავშვით ხელში): ახლა მაინც არ ატეხოთ ყაყანი პოლიტდარეკილებმა — ამოვიდა ყელში…

მეორე ქალბატონი: შენ რა ამოგივიდა ყელში მე არ ვიცი, მე ამდენი გასულელებული ხალხი ამომივიდა ყელში და ამდენი პირდაღებული «მეოცნებე»…

ახალგაზრდა კაცი თეთრ ხალათში გამოდის კარიდან: თამარ თაქთაქიშვილი მობრძანდეს.

მეორე ქალბატონი (აგრძელებს ლაპარაკს და თან მიდის კარებისკენ, მისი ჯერია): ჰოდა იჯექით გაოფლილები და კმაყოფილები »ოცნებებით»…

ცოტა ხანი სიჩუმეა.

ახალგაზრდა გოგონა (გამოყოფს თავს კარებიდან): თიკა მრევლიშვილი მობრძანდეს.

მარიკო დგება და შედის.

(კაბინეტი საავადმყოფოში, გვიანი შუადღე)

ექთანი: ხელი უნდა მომიწეროთ, გაცნობთ ტექსტს (კითხულობს დოკუმენტის ტექსტს უცერემონიოდ, დაუინტერესებლად): გვიან ორსულობაში თანახმა ხართ ნაყოფის მოშორებაზე. (უყურებს მარიკოს) ანალიზები

ნორმალურია, ასე რომ (აგრძელებს კითხვას) რაიმე გართულების შემთხვევაში საავადმყოფო არ იღებს არანაირ ვალდებულებას — თუ უშუალოდ ექიმის ბრალი არ იქნა რაიმე.

მარიკო აწერს ხელს დოკუმენტს.

ცოტა ხანი ჩუმად სხედან. ექთანი რაღაცას წერს სერიოზული სახით.

შემოდის ექიმი.

ექიმი (მარიკოს): როგორი განწყობა გვაქვთ? (უღიმის მარიკოს) ხომ შეგნებული გაქვთ თქვენი გადაწყვეტილება? (მარიკო თავს უქნევს) ჩვენ მეუღლისგან წერილი არ მოგთხოვეთ, რადგან ეს ჯერ კიდევ მდედრის გადაწყვეტილებაა, მაგრამ ალბათ ეს მალე შეიცვლება. მობრძანდით… (მარიკო მიყვება ექიმს საოპერაციოში). იცით, ხომ რომ გოგონა იყო? რაღაც ტაქიკარდიული მოვლენები კი შევამჩნიეთ — ნუ, ახლა ამას აღარა აქვს მნიშვნელობა… თუ დარწმუნებული ხართ, მიბრძანდით და გაიხადეთ.

მარიკო შედის «შირმის» უკან და იწყებს გახდას, რაღაც პერიოდი ჩვენ მხოლოდ «შირმას» ვხედავთ.

(კვლავ საოპერაციო ოთახის მოსაცდელი, გვიანი შუადღე)

კადრში ექთნის ზანტი სახე. ის უაზროდ უკაკუნებს ერთ თითს კომპიუტერის კლავიატურას.

კარი უეცრად იღება, შემორბის ძალზედ აღელვებული ექიმი, კარს მჭიდროდ იხურავს.

ექიმი (შეშლილი, აღელვებული სახით და ჩურჩულით): დამანახე ამის რენტგენოგრამა… რაღაც აგერია? თუ რა ხდება? ჩანასახი არ ჰყავდა… (უყურებს რენტგენოგრამას)

არ შემშალო ახლა, აქ არის გაფორმებული ნაყოფი… მე კიდევ სულ ტყუილად ვიჩხიკინე… (ექთანს მიმართავს) ხომ გავაგებინეთ, რომ აბორტს იკეთებდა? ხელი მოაწერა?

ექთანი (შეშფოთებული აჩვენებს): კი, როგორ არა…

ექიმი (საშინლად დაბნეული): შევიშალე, რა ვუყო ახლა — ვუთხრა, რაც მოხდა? თუ იფიქროს, რომ ნორმალურად ჩაიარა აბორტმა?

ტრიალდება კარისკენ. პატარა პაუზას აკთებს, მერე მამაცად შედის და… სრულიად გაოგნებული ხედავს, რომ ოთახში არავინაა. ექიმი სრულიად რეტდასხმული დგას. მერე მივარდება შირმას, უხეში მოძრაობით გადაწევს — არც იქაა არავინ. ექიმი შეშლილი უყურებს ექთანს. ექთანი მივა ფანჯარასთან, შეამოწმებს და შეამჩნევს, რომ გაღებულია.

(ნაშუადღევი, ქუჩა)

მარიკო უჩვეულოდ ნელა მიდის ქუჩაში. გარშემო დიდი მოძრაობა არ არის. ისევ მისალმებები.

ჟურნალისტთა პატარა ჯგუფი, რომელიც ვიდეოინტერვიუსთვის ეპატიჟება ხალხს. მიადგებიან მარიკოს.

ჟურნალისტი (კეთილი, ხელოვნური ღიმილით): მოკლე ინტერვიუს ჩამოგართმევთ, როგორც ქართველი ახალგაზრდობის ერთ-ერთ სახეს. (არ უცდის თანხმობას) JPR-ის სტატისტიკით ჩვენს სახელმწიფოში კრიმინალი იზრდება — რას ფიქრობთ, რა ზომები უნდა მიიღოს მთავრობამ, რომელიც ვერ აბამს თავს სიტუაციას?

მარიკო (ხმამაღლა, დემაგოგიურად): კრიმინალი უნდა გაიზარდოს, აბა რა! ეს აუცილებელია! — კრიმინალები

ერთადერთი სოციალური ჯგუფია, ვინც რისკს და სიკვდილს უყურებს თვალებში. ეგენი თუ გაქრენ საზოგადოებიდან, ვისგან ვისწავლით ზღვარზე დგომას? ომი გახდება საჭირო. არა?

ჟურნალისტი (ძალიან დაბნეული): კი მაგრამ, ეს ხომ დამღუპველია ქვეყნისთვის. ხალხი ქუჩაში ვერ გავა შიშით. მართალი გითხრათ, ვერ გაგიგეთ…

მარიკო (გამომწვევად, ირონიულად): ვერც გამიგებთ. გაგება მიკროფონით ხელში ვის გაუგია? აბა დადეთ მიკროფონი ძირს და ნახეთ როგორ აიწევს თქვენი გაგების ხარისხი… სცადეთ! (მომთხოვნად).

ჟურნალისტი (იშმუშნება, სრულიად დაბნეული, ნერვიული ღიმილით): ქართული ტრადიციების და დასავლეთის ღირებულებების დაპირისპირების პრობლემაზე რას გვეტყვით?

მარიკო: ქალია მანდ მთავარი, დამიჯერეთ! ქალი სწორ ვექტორზე თუ მოიმართა, საქართველო დასავლურ კონტექსტში უმტკივნეულოდ ჩაეწერება, ისე, რომ არ დაკარგავს ეროვნულ უნიკალურობას. ქართველი ქალის კდემა დასავლური ნიშნით — აი, რა არის საჭირო! ამისთვის კი საქართველოში უნდა დარჩეს ქალის სულ სამი ძირძველი სახელი: ნესტან-დარეჯანი, თინათინი და ასმათი და მერე მათ ნომრები უნდა დაემატოს. მაგალითად: ნესტან-დარეჯანი 501 (როგორც ლევი-სტარუსი), ან თინათინი 69. თუ ქალის სახელებთან მიმართებაში ასეთი სიმბოლური რიცხვები იქნა ხმარებაში, რომელიც დასავლეთს ესმის და მისთვის ახლობელია, ეს საოცარი ლოკალურ-ეთნიკური და დასავლურ-ზოგადსაკაცობრიო სიმბიოზი განხორციელდება! დღეს მხოლოდ ასე იპოვის ქართველი

ქალი და მერე მთელი ერიც თავის თავს დასავლური ცივილიზაციის კონტექსტში!

ჟურნალისტი (ნირწართმეულ და უკვე შინაურულად, მიკროფონდაშვებული) «ქულობ»? თუ რა გჭირს?

მარიკო: ისე, თქვენს გაზეთს, თუ საიტს, თუ რაცაა, — რა ქვია?

ჟურნალისტი: «ქიქ სტარტერი».

მარიკო: ჰოდა «დასტარტეთ» ახლა აქედან, სანამ «ქიქი» არ მიქნია… ოკ?… (იცინის ისტერიულ-აგრესიულად)

ოპერატორი: კაი, წავედით ნიკუშ — ხომ ხედავ, ეს ვერაა…

მარიკოს მობილურის ზარი.

მარიკო: გისმენთ.

ქალის ხმა: მარიკო, საღამოს ორი მისამართია. წახვალ?

მარიკო (დაქანცულად): კი…

(ექსტერიერი, საღამოსკენ)

მანქანა ჩერდება ახლადაშენებულ დასავლური სტილის და ხარისხის თეთრ, მრავალსართულიან, მომხიბვლელ სახლთან. სახლის მოპირდაპირე მხარეს ჩანს მანქანის ფარეხების შავად შეღებილი კარებების გრძელი რიგი. ფარეხები ათასნაირი გრაფიტითაა მოხატული, რომელთა შორის ერთი ცარცის წარწერა გამოირჩევა: «მე არსად არ დავეხეტები — ყველაფერი შენი ბრალია!»

მარიკო გადმოდის მანქანიდან, შეხედავს თეთრი სახლის ნომერს, მერე უკან მიიხედავს, დაინახავს ცარცის წარწერას ფარეხის კარზე, მივა და ჩაასწორებს — წაშლის

სიტყვებს «არსად არ»… — რჩება: «მე დავეხეტები — ყველაფერი შენი ბრალია!»

მარიკო შედის დიდი სივრცის მქონე ულამაზეს სადარბაზოში და პრიალა ვერცხლისფერი ლიფტით ადის ბოლო სართულზე. ლიფტის კარი პირდაპირ ოფისში იღება. ინტელექტუალურ-ინტელიგენტური ჰაბიტუსის მქონე შუახნის ქალბატონი ეპატიჟება მარიკოს.

ოფისის ინტერიერი უახლეს დონეზეა მოწყობილი, ფანჯრებიდან დიდი სივრცე იშლება — მთელი ქალაქი მოჩანს. კედლებზე უამრავი ნახატი და ფერწერული ტილო ჰკიდია. იატაკზე ქანდაკებები დგას. ერთი რამ უეჭველია — ეს თვითნასწავლი ან პრიმიტივისტი მხატვრების ნამუშევრებია — ყველა თავისუფალ, ასე ვთქვათ, «თანამედროვე სტილში».

ინტელექტუალურ-ინტელიგენტური ქალბატონი («ქულ» და დელიკატურად ამაყი): მე მარია იაროსლავსკი ვარ. თქვენ სიყვარულის ისტერიულ-სტრესულ კონდიციასთან კავშირში მობრძანდით?

მარიკო: არა, მე პაციენტი არა ვარ, პირიქით, თქვენთან გამომგზავნეს ნემსის გასაკეთებლად. თქვენ აქ შემოქმედებით მკურნალობთ? (იყურება ირგვლივ) შტაინერის მეთოდს არ გავს…

მარია: უი არა, ეგ უკვე მოძველდა. უილიამს დანის მეთოდია, ყველაზე თანამედროვე — ამერიკული გეშტალტ ფსიქოლოგიის ვერსიები. კი, ჩვენი მკურნალობა შემოქმედების იმპულსის სრულ გამოთავისუფლებაზეა დამყარებული, როცა გადმოცემულ მხატვრულ იმიჯში სიმპტომი აშკარავდება. გარშემო სიმპტომების ტყეა, ჩვენი

პაციენტების მიერ აქ დატოვებული (ხელით მიანიშნებს ნამუშევრებზე).

მარიკო ნელა მოძრაობს ოთახში, თან დროდადრო ფანჯრიდან გარეთ იყურება, სადაც შორს ქალაქის სახლების გრაფიკული სილუეტები ჩანს ცისფერი ცის ფონზე.

მარია იაროსლავსკი (გაზუთხული ტექსტის ხასიათში): კოქტეილს გაგიკეთებთ. (მიდის სამზარეულოს ბარისკენ, თან აგრძელებს ლაპარაკს.) იცით, ხალხი აქ ძალიან დათრგუნული მოდის. სივრცე აღარ გააჩნიათ — მხოლოდ დასტრუქტურებული მოთხოვნები და სუბლიმირებული ვნებები, არაცნობიერში განდევნილი. მათ შემოქმედება უნდა დაეხმაროს, გაეხსნათ სივრცე, გაუგონ საკუთარ თავს, იმიჯებში საკუთარი ვნებები ამოიკითხონ. ეს მათ ეხმარება, რომ არ დაფიქსირდნენ საკუთარ ჩაკეტილ განუხორციელებელ ტერიტორიაზე, გახდნენ ისევ საზოგადოების ჯანმრთელი ნაწილი.

მარიკო: ესე იგი ვნებებში ყოფილა საქმე, არა? ჯანმრთელი — ეს როგორ?

მარია იაროსლავსკი: აი, აქ (ნამუშევარზე აჩვენებს) აშკარა ფსიქოსომატიკა იყო — ეს ასკილოიანი კაცი დედამისის პენსიაზე ცხოვრობდა, სახლიდან არ გადიოდა, მთელი დღე შიშველი დადიოდა ბინაში და გაუთავებლად პოპ-სიმღერებს უსმენდა. მეზობლები ჩიოდნენ. ეს ჩვენი დიდი წარმატება იყო! — ახლა ეს ადამიანი მუზეუმში მუშაობს

მცველ-ზედამხედველად — ისე შეუყვარდა იმიჯები. ამან (სხვა სურათზე უთითებს), შვიდი წლის წინ ქმარმა ორჯერ მიღალატა ვიღაც ახალგაზრდა ქალთანო — მთელი ამ ხნის განმავლობაში ყოველ უიკენდზე სხვა ქალაქში მიდიოდა და უცხოებთან ჰქონდა ერთჯერადი სექსი — ასე ვთქვათ, ტკივილს იკლავდა ასე! ეს «რწმენის სიმბოლოს» არასწორი ლოკალიზაციის პრობლემაა. არტ-თერაპია რომ დავაწყებინეთ, ჯერ სულ წითელ პენისებს ხატავდა, მერე დაწყნარდა და ახლა მწვანე ბალახს და ცისფერ ცას იმპრესიონისტებივით დაგიხატავთ; სახლი გაავსო პეიჟაზებით და ქმარსაც არ დაშორდა… მოკლედ, ჯანმრთელი ნიშნავს —ადამიანები ჩაებან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აღიარონ მისი ნორმები, იცხოვრონ იმ ღირებულებების ბედნიერი მოხმარებით, რასაც მათ საზოგადოება სთავაზობს, გადაცდენების გარეშე.

მარიკო დიდ ბინოკლს იღებს მაგიდიდან.

მარიკო: შეიძლება? (თანხმობის მერე ბინოკლს მიიტანს თვალებთან, თან ლაპარაკობს) — ესე იგი ჯანმრთელობა, და ჯანმრთელი ხისგან კუბო. მართალია, — ვის უნდა ჭიანი ხისგან კუბო, მატლები ნაადრევად რომ დაგესიონ… ეგ სწორია…

მარია იაროსლავსკი (ცოტა დაძაბულად): ჩვენ ეკლესია არა ვართ — უკვდავებასთან მიახლოებას არავის ვპირდებით (იღიმის ცივად და აროგანტულად).

მარიკო ბინოკლში იყურება; კადრი ფოკუსში მოდის და ჩანს ჯერ შეუსახლებელი და ნახევრად დამთავრებული უსასრულო ახალმშენებლობების ფანჯრების შავი ხვრელები, მერე კადრი ნელ-ნელა ძველ ქალაქზე გადადის: ფუსფუსა ადამიანები, სახლები, აივნები სარეცხით, ნარდით, მოთამაშე ბავშვებით. მარიკოს

ბინოკლი აგრძელებს მოძრაობას, ახლა მთები ჩანს, მინდვრები… — სადღაც შორს, შავი წერტილია — ბინოკლი ადიდებს გამოსახულებას და მწვანე მდელოზე შავი ხარი დგას ეულად და უძრავად.

მარიკო: კი, უკვდავებას ნადვილად არ აახლოებთ, ეგ ცხადია, მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ არც «აშორებთ»? არც ფროიდს და არც ლაკანს, მათივე აღიარებით, არ ესმოდათ, რა იყო ნამდვილი მიზანი ფსიქოანალიზის, — რაც მეტს ფიქრობდნენ ამაზე, მით მეტად შეცბუნებული იყვნენ. გვატარიმ კი გამოაცხადა — პაციენტებს ფული უნდა ვუხადოთ საკუთარი სულიერების სურათების გაზიარებისთვისო. არ მგონია, რაღაც სიჯანმრთელე არსებობდეს, რომელიც ადამიანისთვის სასარგებლო იყოს. ისაპერსი ამბობდა, ნიცშეს ფილოსოფია მისმა ავადმყოფობებმა განაპირობაო.

მარია იაროსლავსკი (მთლად შეცბუნებული): ყველა პაციენტში ხომ ნიცშე არ არის…

მარიკო: არა, მაგრამ შანსია, და ჯანმრთელობა, რომელიც თქვენ აღწერეთ, მათ ამ სახლივით ასტერილებს.

მარია იაროსლავსკი (თავაზიანი ღიმილით): იცით რა, დამიტოვეთ ვაქცინა, მე არც ვიცი ზემდგომს რა ბზიკმა უკბინა და რატომ ითხოვს ვაქცინირებას…

მარიკო (წყნარად იღებს ამპულებს, მაგიდაზე აწყობს): კოქტეილს აღარ დამალევინებთ?

მარია იაროსლავსკი: თან გაგატანთ… (მიდის ბართან, უსხამს კოქტეილს კოკა-კოლას ერთჯერად ჭიქაში და აწვდის მარიკოს).

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ვიზუალური ანიმაციისთვის გამოყენებულია ქეთი ამაშუკელის და მინდია მინდაძის ფოტო პორტრეტები

5. კრიტიკა

ლელა კოდალაშვილი

დამსხვრეული ადამიანების გამთელებული ცხოვრება, როგორც ასეთი

თბილისში ლიტერატურული სკანდალები იშვიათად ხდება. დიდი-დიდი, მცირე მითქმა-მოთქმა ატყდეს ამა თუ იმ გაცემული თუ გაუცემელი პრემიის გამო და ისიც, ვიწრო წრეში, ჩვენი ორასიოდკაციანი ლიტერატურული საზოგადოების რომელიმე ტუსოვკაში იჩქმალება. ან, შეიძლება, ფეისბუკზე რომელიმე დაზარალებული მწერლის მეგობარმა გამოიდოს თავი. მოკლედ, ქართველები გადაცემის წამყვანის დეკოლტეზე უფრო მეტი გატაცებით მსჯელობენ, ვიდრე რომელიმე წიგნზე და მის ავ-კარგზე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ წაკითხვა ეზარებათ.

ასეთ ფონზე უცნაური იყო ხალხის აქტივობა ორი წიგნის, ალეკო შუღლაძის «გადამალვისა» და არჩილ ქიქოძის «სამხრეთული სპილოს» გამო. მოდისკუსიენი ძირითადად ერთ-ერთს იცნობდნენ. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ორივე რომანი ჰქონდათ წაკითხული. რამხელა წინსვლაა, თავის დროზე «ექიმი ჟივაგოს» შესახებ ნათქვამი ლეგენდარული ფრაზა – «არ წამიკითხავს, მაგრამ ვგმობ», წარსულს ჩაბარდა, მაგრამ კამათისას ზოგი იუზერი რომანისადმი კი არა, ავტორისადმი პირადი სიმპათია-ანტიპათიით ხელმძღვანელობდა.

და მაინც, არა მგონია, ამ ორ წიგნს ერთად მოხსენიება მხოლოდ იმიტომ დაებედა, რომ კონკურსების ფინალებში მეტოქეები აღმოჩნდნენ. მე უფრო იმას ვფიქრობ, რომ ტექსტებში ერთი და იგივე რეალობის რადიკალურად სხვადასხვა ხედვის რაკურსია არჩეული. «გადამალვის» შესახებ ადრე უკვე დავწერე ამავე ჟურნალში და ახლა

აღარ შევჩერდები. ამჯერად «სამხრეთული სპილოს» შესახებ გიამბობთ.

ჩემი აზრით, არჩილ ქიქოძის ეს რომანი ოცი-ოცდახუთი წლის წინ რომ დაწერილიყო, ნამდვილ ჰიტად იქცეოდა. ტექსტში ძველი განჯინების სუნი, ჩამოფხავებული კედლების ფაქტურა, მუქი ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი ნაცრისფერი თბილისი იგრძნობა. იმ პერიოდის გახსენება ერთის მხრივ სენტიმენტების ამშლელია ჩვენთვის, იმ თაობისთვის, მეორეს მხრივ უკვე ყელშიც კი ამოგვივიდა, იმდენი დაიწერა, იმდენი ცუდიც მოხდა, იმდენმა ადამიანმა დაგვტოვა, იმდენი რამე შეიცვალა და ჩვენც შევიცვალეთ.

«სამხრეთული სპილო» 90-იანების დიდი ლიტერატურული პანოს ნაწილია. იმ პანოსი, რომელზეც უშველებელი ადგილი მარტო აკა მორჩილაძეს უკავია. სწორედ მისი რომანებშია ის არქეტიპები, რომელსაც მთელი ერთი თაობის მერე ქიქოძე ახალ სიცოცხლეს სძენს.

ის ამბავი, რომ ქიქოძის ნარატივი თითქოს მორჩილაძის შვილობილია, თითქოს აგრძელებს იმ უსასრულო სიბნელის აღქმას, გადარჩენილ სიცოცხლის ორმოებში ხელის ფათურს და იქიდან ხან შლამის და ხან ზოდების ამოლაგებას. ბნელი და ყელში ამოსული 90-იანები

პროზაიკოსისთვის თითქოს არქეოლოგიურ ველად ქცეულა, საიდანაც ახალ-ახალი ნიმუშებია ამოსათხრელი და ფუნჯით რუდუნებით გასაწმენდი. სწორედ ამას აკეთებს ქიქოძე, სწორედ ეს ახსნა შეიძლება მოეძებნოს ამ ექოსავით რომანის შექმნას, სადაც ადამიანურობისა და გრძნობების კიდევ ერთი გამოღვიძების მცდელობაა.

რომანში მოქმედება ერთი დღის მანძილზე ხდება, მაგრამ ისევე, როგორც ნებისმიერი ჩვენგანის ცხოვრებაში, აქაც პერსონაჟის ცნობიერებაში უამრავი ამბავი ცოცხლდება წარსულიდან. ეს პერსონაჟი ორმოციოდე წლის კინორეჟისორია, რომელმაც თავისი სახლი ამ დღეს თავის ბავშვობის მეგობარს დაუთმო, რომელიც იქ ქალს უნდა შეხვდეს. რეჟისორი ქუჩებში დაეხეტება და მის გონებაში ფრაგმენტულად ცოცხლდებიან წარსულის ადამიანები, ამბები, სიყვარული, ოჯახის წევრები, მეგობრები... ყველაფერი, რაც მის თვალწინ გაივლის, მისთვის კარგად ნაცნობი ამბებია, მაგრამ როგორღაც ახალ ჭრილში დანახული ავტორის მიერ. მიჰყვები ტექსტის მდინარებას და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს სასაფლაოზე დააბიჯებ. ჩავლილი ამბების, ჩავლილი სიყვარულების, მკვდარი მეგობრობის თუ ამ მეგობრობისას მოკლული ადამიანების სასაფლაოზე. მკვდარია თაზო, ახლა რომ ქალს ელის (ან არ ელის) მთავარი პერსონაჟის ბინაში, ის დიდი ხნის წინ გარდაიცვალა ისევე, როგორც მათი მეგობრობა (გარდაიცვალა კი მათი მეგობრობა? თუ, უბრალოდ, სუბლიმირდა სიმარტოვეში). ის აღარსადაა. ისიც კი არ ვიცით, ხვდება თუ არა იმ ქალს, რომელთან პაემნის გამოც გმირი ქუჩაში, როგორც სამსჯავროში, აღმოჩნდა. ერთი ეგაა, ბეკეტის ერთი პიესის პერსონაჟივით ნაგვის ურნიდან არ გვესაუბრება, თორემ ქალაქში, როგორც ერთ დიდ, ფერადი ნაგვით სავსე ურნაში

კი ნამდვილად დააბიჯებს. ალბათ ამიტომ ჩანს უფრო წმინდა ის ურბანული სამყარო, რომელსაც იხსენებს.

იხსენებს, რომ დღეს, რაღაცნაირად, ბიჭებს, ანუ უკვე კაცებს ისე აღარ უყვართ ერთმანეთი, როგორც მაშინ, როცა სამყარო გაცილებით რთული იყო. უფრო ბრწყინავდა თითქოს ის სიყვარული, მაშინ ერთმანეთს ჰგავდა თავგადასავლები, რომ დღეს ამდენი ფერის თვალისმომჭრელ ელვარებაში ჩავკარგულიყავით და ჩვენი სიყვარულის უნარებიც ამ სხივების ციმციმში მიჩქმალულიყო.

არჩილ ქიქოძე თითქოს ხაზგასმული ირონიით კიდევ ერთხელ ძერწავს ტრივიალურ სენტიმენტალურ ისტორიებს. ტრივიალურია ლეოსა და მედიკოს სიყვარულის ისტორია, ნაპრისტუპნიკალი შავი ბიჭისა და მუსიკოსის ქალიშვილის რომანი. ასეთ პერსონაჟ-წყვილებს მიაქვს ქართული ხელოვნება თუ რეალური ცხოვრება. და ესაა სწორედ ყელში ამოსულობის განცდას რომ გიჩენს – დაგვღალა ძველბიჭურმა სამყარომ და ამ სამყაროსთან მორგებამ.

მთელ მონათხრობს, რომანს გასდევს ომის სუნი. ომი არაა, მისი მხოლოდ ფრაგმენტები გაიელვებს, მაგრამ რატომღაც ომის სუნი დგას, რადგან ის ყველგანაა, ურთიერთობებში, ქუჩაში, სიყვარულში, გადასაღებ მოედანზე, გერმანელი გოგოს ცხოვრებაში, კურსელების შეკრებაში... ყველგან...

ტექსტი სავსეა მსუბუქი სევდით მაშინდელთა გაფრენილი იდეების და ვერასრულებული ოცნებების გამო. ავტორი თითქოს შეგუებულა ამ ყველაფერს და არ ჰყოფნის სარკაზმი, უფრო სწორად, ის სხვა მწერალია. მას არ სჭირდება აკრობატული ილეთების გაკეთება. ის

ყველაფერს სერიოზულად გვიყვება, მუშტებდაჭიმული. არჩილ ქიქოძე მგრძნობიარეა და არც მალავს ამას. არ ცდილობს, გადმოგვითარგმნოს თავისი ემოცია, შეინიღბოს, იკეკლუცოს იმით, რომ ტკივილებს თავი გაართვა. პირიქით, ხანდახან შეგნებულად ცდილობს, გააღიზიანოს მკითხველი, ყელში ამოუყვანოს, მძაღე გემო აგძნობინოს.

არა მგონია, მკითხველისთვის ან ტექსტის მხატვრული ღირებულებისთვის მაინცდამაინც მნიშვნელოვანი იყოს ის, რომ რომანში მოთხრობილი ამბები გარკვეულწილად რეალურ ისტორიებს ეყრდნობა. ყველაფერი მაინც ერთმანეთშია არეული. ავტორი ჩვენ წინაშე, ლამისაა, ბოლომდე შიშვლდება, რომ მკითხველამდე სწორედ მთავარი მიიტანოს. არ ერიდება ლირიკულ გადახვევებს, რათა კიდევ უფრო მეტად გაამდიდროს რომანის ფაქტურა. ის წიგნის ფურცლებზე, როგორც დახლზე, «გვიყრის» ყველაფერს, რაც კი იმ პერიოდის სურნელს გვაგრძნობინებს. ყველა და ყველაფერი რაღაც რაკურსით ჩნდება ჩვენ თვალწინ, იმ რაკურსით, რომლითაც ყველაზე მეტად გამოხატავს თავის მახასიათებლებს. აი, თუნდაც: ვისაც თამარა ერთხელ მაინც უნახავს, ისე ცოცხლდება კაფე «ნარგიზის» დამლაგებელი, თითქოს გუშინ ვნახეთ.

ესაა ტექსტი მამაკაცების სიყვარულზე და მერე გაუცხოებაზე, რომელმაც დააშორა ისინი. მთავარი გმირისგან თაზოს მონატრება, ეს ხომ მოზარდული სიყვარულია და ჩირივით გამომშრალი, ჩამტკბარი შემონახული მთხრობელის გულში.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ არჩილს არ შემოაქვს თამაშის ელემენტები. «გადამალვაში» თითქოს შოუს რეჟისორია ალეკო შუღლაძე, თითქოს სცენაზეა და

მაყურებლის გადარჩენა აქვს გადაწყვეტილი, უფრო სწორად, მას უნდა, რომ ასწავლოს გზა, რომელიც გადაარჩენს.

არჩილთან საქმე სხვაგვარადაა. ის გვეუბნება, რომ რეალობა ეს არის – აი, ნაგავი, აი, სიყვარული, აი, რუხი კედლები, გარდაცვლილი ადამიანები, დაკარგული მეგობრები, დედები, მამები... დადექი და იცხოვრე, თუ შეგიძლია, როგორც ამას მთავარი პერსონაჟი აკეთებს.

და თვითონ ავტორიც ხომ გადარჩა, რადგან სიყვარული გამოუვიდა, რადგან ამ ტექსტის დაწერა შეძლო.

ისევ «გადამალვასთან» ვავლებ პარალელს. იქ ლოგინად ჩავარდნილი დედაა ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, რომელსაც შვილი გადასარჩენად გაიტაცებს სხვა ქვეყანაში. «სამხრეთულ სპილოშიც» გაიელვებს ლოგინად ჩავარდნილი დედა, რომელიც სიკვდილის შემდეგ გადაარჩენს შვილს თავისი იუმორით. როცა დედა გარდაიცვლება, მის ერთ-ერთ მეგობარს ხელცული მოაქვს, რათა გარდაცვლილს საფლავში ჩააყოლონ. «– დედაშენმა დაიბარა, კუბოში ქვემო პალეოლითიდან ჩამაყოლეთ

რამე, როდესმე არქეოლოგები თუ გამთხრიან, მაგრად რო იმტვრიონ თავიო...» «ავტირდი. ერთადერთი რამე მატირებდა, რომ თურმე დედას ჰქონია იუმორი!.. ამ აღმოჩენამ ლამის გულზე გამხეთქა. იუმორი ჰქონდა და მთელ სამყაროს უმალავდა, საკუთარ შვილსაც კი. იუმორით ხომ სულ სხვანაირად შეგვეძლო გვეცხოვრა...»

ალაგ-ალაგ რომანში გხვდება ზედმეტად დაღეჭილი განმარტებები, პათეტიკა და გაცვეთილი წინადადებები: «არა, შვილი უნდა მარხავდეს მშობელს და არა – პირიქით! უკუღმა, პირიქით არ არსებობს. არ უნდა არსებობდეს!» ან «საკითხავია, ვის მიმართ უფრო დამნაშავეა ბრძანების და მითითებების მომგონი – ვისაც კლავს თუ ვისაც ათაყვანებს და საკუთარ იარაღად აქცევს?»

და რაკი შენიშვნებზე შევჩერდი, იმასაც დავამატებ, რომ მთავარი გმირის და შავსამყაროელი ძველი ბიჭის ალიანსი, როგორც გადარჩენის გზა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი სვლა მგონია ავტორის მხრიდან. საქმის გასარჩევად მოსულ ტიპებთან ჩაცუცქული ლეოს სიტყვა-პასუხს აღფრთოვანებაში მოჰყავს რომანის მთავარი გმირი – ინტელექტუალური ხელოვანი. საინტერესოა, რისი თქმა უნდა ამით არჩილ ქიქოძეს 21-ე საუკუნის მკითხველისთვის?

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტი შეგნებულად ნაკლებმხატვრულია. გექმნება შთაბეჭდილება, თითქოს იქვე, ჩვენ თვალწინ სწირავს მხატვრულ სიტყვას და სანაცვლოდ მოაქვს ეს ნაზავი, მრავლისამსახველი ტილო, რადგან თითქოსდა ეს მიუჩნევია უფრო მნიშვნელოვნად. თითქოს მხატვრული სამყაროს გადმოდენა ამ რომანში, ცოტა არ იყოს, საჩოთირო რამე გამხდარა, რადგან წინ

წამოწეულა უფრო მნიშვნელოვანი – შეულამაზებელი ადამიანი თავისი სოციოლოგიური კონტექსტით.

რომანის ფინალში მთავარი გმირი სკაიპით ესაუბრება ამერიკაში მყოფ ქალიშვილს და ქოთნების დამსხვრევის და შემდეგ წებოში გარეული ოქროთი შეწებების ხელოვნებაზე ლაპარაკობს.

ავტორის მეტაფორაც ალბათ ესაა – დამსხვრეული ადამიანების გამთელებული ცხოვრება, როგორც ასეთი.

ნორიკ ბადოიანი

ცოტნე ცხვედიანის პროზა და ლიტერატურის ანგაჟირებულობის საკითხი

შემოქმედება უსამართლობის წინააღმდეგ
მიმართული მუდმივი ამბოხია...
ხულიო კორტასარი

იქ, სადაც შელახულია ადამიანურობა, კვდება ხელოვნება. ლამაზი სიტყვების აკინძვა – განა ეს არის ხელოვნება? როგორ შეიძლება ხელოვნებამ ააღელვოს ადამიანები, თუ ის გულგრილია მათი ბედისადმი? თუ მე ყრუ ვარ ადამიანთა ტანჯვისადმი, ააღელვებს მათ ის, რასაც ვქმნი? და თუ მე არ გავაკეთებ ყველაფერს, რომ ვაჩვენო გათავისუფლების გზა, მიაკვლევენ ისინი ოდესმე გზას ჩემს ნაწარმოებებამდე?

ბერტოლტ ბრეხტი

შესავლის ნაცვლად

2015 წელს «ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის» მიერ გამოქვეყნებული ცოტნე ცხვედიანის სადებიუტო მოთხრობების კრებული «ქალაქი და წმინდანები», თამამად შეიძლება ითქვას, ნამდვილი გარღვევა იყო ჩვენს დუნე და ნახევრადმიძინებულ ლიტერატურულ პროცესში – თავისი თემატიკით, თხრობის მანერითა და სტილით, სათქმელის მოწოდების ხერხებითა თუ კონცეფციით. ამ მოთხრობებს ყველაზე მეტად რაც გამოარჩევდა თანამედროვე პროზაული ტექსტების ფონზე,

ეს იყო მათში რეალისტურად ასახული დაბალი ფენების წარმომადგენლების მწვავე სოციალური ყოფა, ხოლო მოქმედება უმეტესწილად არა დედაქალაქში (თბილისი აქ ფიგურირებს, როგორც ერთგვარი ქალაქი-მონსტრი, ქალაქი-მოლოქი, რომელიც ნთქავს სხვა დანარჩენ ქალაქებს, ეს თემა ლაიტმოტივად გასდევს მთლიან კრებულს და განსაკუთრებით მძაფრად იჩენს თავს მოთხრობა «Postindustrial Boys”-ში), როგორც ეს თანამედროვე ქართველ ავტორთა უმრავლესობის ნაწარმოებებშია, არამედ ძირითადად საქართველოს პროვინციულ რაიონებსა და ინდუსტრიულ ზონებში ვითარდება – ტყიბულში, კაზრეთში, ზესტაფონში, რომლებიც 90-იან წლებში (და მომდევნო პერიოდებში წარმატებულად გაგრძელებულმა) ეკონომიკაში განხორციელებულმა «შოკურმა თერაპიამ», საბჭოთა ნომენკლატურის, ბიუროკრატ-ბურჟუაზიის[2] მიერ საზოგადოებრივი სიმდიდრის ტოტალურმა მითვისებამ უდაბურ, მიტოვებულ და განადგურებულ ადგილებად აქცია. ისინი დღითიდღე სულ უფრო და უფრო ცარიელდება, მომავალი მოაზროვნე თაობა ტოვებს ამ ქალაქებს, მიდის დედაქალაქში – სასწავლებლად ან სამუშაოდ – უკან დაბრუნების პერსპექტივის გარეშე, რადგან იქ დაბრუნება მათთვის პიროვნული განვითარების შეფერხებას, მენტალურ და ინტელექტუალურ დეგრადაციასა და ქვეყანაში მიმდინარე კულტურული და პოლიტიკური პროცესებისგან გაუცხოებას ნიშნავს. მაგრამ დიდ (შედარებით დიდ) ქალაქში ისინი არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ის ილუზიები, რომელიც ახალი ცხოვრების დაწყებაზე აქვთ, სინამდვილესთან შეჯახებისას მალევე იფანტება და მათთვის ნათელი ხდება, რომ, სინამდვილეში, არსადაც არ წასულან, რომ ყველაფერი ისეთივეა, თუმცა რამდენადმე განსხვავებული ფორმით. იმ ქალაქებს, რომლებზეც

ცხვედიანის მოთხრობები გვიყვება, ერთ დროს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში, ხოლო დღეს, ნეოლიბერალური წესრიგის პირობებში, ისინი, გარდა მსხვილი მესაკუთრეებისა, რომელთაც მხოლოდ პირადი ეკონომიკური ინტერესი ამოძრავებთ, თითქმის არავის აინტერესებს, მათზე არავინ წერს და არ საუბრობს, რადგან ეს პოლიტიკური ელიტისათვის და მისდამი დაქვემდებარებული ჯგუფებისთვის უხერხული და უსიამოვნო თემაა.

ეს ქალაქები მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევებში ხვდება «სამოქალაქო საზოგადოების» ყურადღების ცენტრში, თუ რომელიმე მათგანში გაუსაძლისი პირობებისა და ხელფასის მომატების მოთხოვნით მუშები გაიფიცებიან; მშრომელებისთვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად იქ მემარცხენედ განწყობილი სტუდენტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და უბრალოდ «პატიოსანი მოქალაქეები» ჩავლენ და მაღაროელების მხარდასაჭერად საპროტესტო მსვლელობას მოაწყობენ, ხოლო «თავისუფალი» და «ობიექტური» მედია ამ ყველაფერს გააშუქებს, ოღონდ ისე, რომ მუშები და სტუდენტები მოძალადეებად და ვანდალისტებად წარმოჩნდებიან. შემდეგ, სავარაუდოდ, პროფკავშირების შუამავლობით საწარმოს მესაკუთრესა და მშრომელებს (სინამდვილეში მშრომელთა რიგებიდან გამოყოფილ პრივილეგირებულ ჯგუფს, «მუშათა არისტოკრატიას») შორის «შეთანხმება» შედგება, რომელიც გაფიცულთა უხეში და უტიფარი დაცინვა იქნება. მერე კი ყველაფერი ისევ ყოველდღიური რუტინის კალაპოტში ჩადგება, მუშები კვლავ გაარძელებენ კაბალურ პირობებში მუშაობას, სტუდენტები დაბრუნდებიან აუდიტორიებში მოსაწყენი და

არაფრისმომცემი ლექციების მოსასმენად, არასათავრობოები – სექსუალური და რელიგიური უმცირესობების უფლებებზე გააგრძელებენ ზრუნვასა და ფიქრს, ან შესაძლოა, რომელიმე ნეოლიბერალური ფონდისგან აღებული გრანტით, კვლევაც დაწერონ მუშების გაუსაძლის ყოფაზე და ა.შ და ა.შ. სწორედ ამ ქალაქებსა და მათში მცხოვრებ ადამიანებზე გვიამბობს «ქალაქი და წმინდანები».

«ქალაქი და წმინდანების» გამოქვეყნებიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ, 2017 წლის ზამთარში, გამოვიდა ცხვედიანის მეორე წიგნი, რომანი[3] «მაიაკოვსკის თეატრი», რომელიც ერთი შეხედვით, იმ ციკლის გაგრძელება შეიძლება, მოგვეჩვენოს, რომელიც «ქალაქი და წმინდანებით» დაიწყო: სამოქმედო არეალი ამ წიგნშიც უპირატესად პროვინციული ქალაქია, ამ ქალაქშიც იგივე მწვავე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობაა, რაც წინა კრებულში აღწერილ ქალაქებში და ავტორი აქაც ცდილობს, წარმოაჩინოს და გამოააშკარავოს ის ჩაგვრისა და ექსპლუატაციის მექანიზმები, რომელიც პოსტსაბჭოთა ქართულ საზოგადოებაში არსებობს. მაგრამ მსგავსება მხოლოდ რაოდენობრივია: თუ რომანის შინაარსობრივ მხარეს უფრო ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ «მაიაკოვსკის თეატრი» არ არის უბრალოდ წინა კრებულის «გაგრძელება», არამედ ამავდროულად მისი დიალექტიკური უარყოფაა, რომელიც ლოგიკურად გამომდინარებს «ქალაქსა და წმინდანებში» მოხაზული ტენდენციებიდან, და თვისობრივად განსხვავდება მისგან.

* * *

ორივე წიგნი საკმაოდ პოპულარული გახდა მკითხველთა გარკვეულ წრეებში, თუმცა, როგორც ჩემი პირადი, ისე ჩემი

მეგობრების გამოცდილება იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ამ ტექსტების აღქმა არ მომხდარა ადეკვატურად, ზოგჯერ კი მათი ობიექტური შინაარსის საპირისპიროც კი იყო და რაც ყველაზე სამწუხაროა, ეს მცდარი მოსაზრებები ავტორიტეტული ლიტერატორების პირით ტელევიზიითაც გაჟღერებულა. ხოლო მათ, ვისი მოვალეობაც წესით და რიგით უნდა იყოს მხატვრული ტექსტის განმარტება, ახსნა, ტექსტის შინაარსის უფრო ფართო საზოგადოებისთვის გაცხადება, ანუ ლიტერატურულმა კრიტიკოსებმა, დუმილი არჩიეს, ან უბრალოდ უუნარონი აღმოჩნდნენ ამ საქმეში, რასაც კარგად აჩვენებს მათი «რევიუები» თუ «ბლოგ-პოსტები»[4]. ქვემორე ტექსტის დაწერის ინსპირაციის ერთ-ერთი წყარო სწორედ ეს იყო.

იმდენად, რამდენადაც ცხვედიანის წიგნები არაა იზოლირებული ნაწარმოებები და დიალექტიკურ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, ჩავთვალე, რომ უპრიანი იქნებოდა, ორივე განმეხილა და ერთმანეთთან შემედარებინა, რაც უკეთ წარმოაჩენს მათ მჭიდრო კავშირსა და განსხვავებებს. ამასთან, თავიდანვე ჩემი მიზანი იყო, თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გავრცელებული ფორმალურ-ტექსტუალური ანალიზის საპირისპიროდ, მესაუბრა საკუთრივ მხატვრულ ტექსტსა და მის მიმართებაზე ობიექტურ სინამდვილესთან, რომელიც თავისებურად აისახა ცხვედიანის ნაწარმოებებში, ანუ შევეცადე, მათ მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის აპარატით მივდგომოდი. ერთი შეხედვით განყენებული, ერთგვარი «თეორიული ექსკურსები» კი თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურული თეორიის სავალოლო მდგომარეობის გასააზრებლად გახდა საჭირო,

რისი თავიდან არიდებაც არ გამოდიოდა. ამასთან, ვაცნობიერებ, რომ ამ ექსკურსებს საკმაოდ დიდი ნაკლი აქვთ, რომელიც მათ აბსტრქტულობაში მდგომარეობს, თუმცა კონკრეტული მაგალითების მოყვანა (რომელიც გაამყარებდა ანალიზს) მნიშვნელოვნად გაზრდიდა წერილის მოცულობას და გასცდებოდა საჟურნალო სტატიის ფორმატს. რაც შეეხება საერთოდ ტექსტის ღირსებებსა და ნაკლოვანებებს, მათზე მსჯელობა მკითხველისთვის მომინდვია.

I. ავტორი როგორც «ობიექტური დამკვირვებელი»

ჭეშმარიტება კი ისაა, რომ მას, მტკიცე სოციალური პოზიციის არმქონეს, ჰქონდეს სინდისი, აუჯანყდეს ბურჟუაზიას, რომელიც მას უხდის...
ჟან-პოლ სარტრი

ვისთვის მუშაობთ თქვენ, მოღვაწენო კულტურის?!
გვესმის ექო: ტაშ-ფანდური!
მსახურები ვართ ლიბერალური ნომენკლატურის!

ალექსანდრ ბრენერი[5].

Жить в обществе и быть свободным от общества нельзя. Свобода буржуазного писателя, художника, актрисы есть лишь замаскированная (или лицемерно маскируемая) зависимость от денежного мешка, от подкупа, от содержания.
В. И. Ленин

სოციალური თემატიკის პროზა, როგორც ასეთი, ცხადია, არ წარმოადგენს სიახლეს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, ის დიდი რაოდენობით აქამდეც იქმნებოდა (და ახლაც იქმნება), მაგრამ, რაც ნიშანდობლივი იყო ავტორთა უმეტესობისთვის – მათ ტექსტებში არ იყო ასახული იმ სინამდვილის ადეკვატური სურათი, რომელზეც ისინი წერდნენ და ვერც

საზოგადოებრივი ყოფიერების სხვადასხვა შრეების საფუძვლიან ანალიზს შეხვდებოდით, რასაც მოითხოვდა გეორგ ლუკაჩი მხატვრული ლიტერატურისგან და რის ყველაზე სრულყოფილ განხორციელებასაც ის მაღალი რეალიზმის (Der Grosse Realismus) ტრადიციაში ხედავდა. პოსტმოდერნიზმის კანონების დაცვით დაწერილ მათ მოთხრობებსა და რომანებში აღწერილი სინამდვილე, სრულიად დაშორებული ავთენტურ რეალობას, ცალმხრივი და ზედაპირული, წარმოადგენდა უშუალოდ მათი ვიწროკლასობრივი, სუბიექტური და შეზღუდული სოციალური პრაქტიკის და არა საზოგადოებრივი ყოფიერების ტოტალობის ასახვას, ხოლო ნამდვილი ლიტერატურა, რომელსაც მაღალი რეალიზმის სახელი შეგვიძლია ვუწოდოთ, სწორედ იმით გამოირჩევა მეორეხარისხოვანი და მასობრივი, ბულვარული, «დაბალი» ლიტერატურისგან, რომ ავტორი ახერხებს, დასძლიოს სუბიექტივიზმი, გასცდეს თავისი «შეზღუდული მსომფლმხედველობის ჰორიზონტს» (ლუკაჩი), თავის ვიწროკლასობრივ იდეოლოგიას და ასახოს სინამდვილე არა რომელიმე კლასისა თუ ფენის «ფსიქოიდეოლოგიის» პრიზმიდან, არამედ, რუსი რევოლუციონერი დემოკრატი კრიტიკოსისა და მოაზროვნის, ნიკოლაი დობროლიუბოვის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ასახოს სინამდვილის «ნატურალური არსება», საზოგადოებრივი ყოფიერება

ფართო ისტორიული გაგებით, ყველა საზოგადოებრივი კლასისა და ფენის ურთიერთზემოქმედებითა და ბრძოლით, და ამგვარად, დაუხლოვდეს მხატვრულ ჭეშმარიტებას. მაგრამ ეს შეუძლებელია მოხდეს სტიქიურად, ბრმად, როგორც ამას ზოგიერთი ნეოჰეგელიანელი ფილოსოფოსი მიიჩნევდა, ან როგორც თანამედროვე პოსტმოდერნული თეორიების მიმდევრებს ჰგონიათ, რომელთა აზრითაც მხატვრულ ტექსტში «თავად ენა ლაპარაკობს». სინამდვილის ობიექტური და ფართო რეალისტური ასახვისთვის საჭიროა «მძლავრი ინდივიდუალობის მონაწილეობა, რომელსაც ცხოვრების ნამდვილი შინაარსი აქვს გადაშლილი»[6]. იმ ავტორებთან კი, რომლებიც მხედველობაში გვყავს, სინამდვილე სწორედ ვიწრო ჯგუფის, ანუ ჰეგემონი კლასის იდეოლოგიის პრიზმიდან არის აღქმული, იდეოლოგია[7] კი, სამყაროს გამრუდებული, დამახინჯებული გამოსახულების დანახვას გულისხმობს. იდეოლოგიის სათვალით აღქმული რეალობა ილუზორული, მისტიფიცირებული და მითოლოგიზირებულია, როგორც თანამედროვე ბრიტანელი ლიტერატურათმცოდნე და იდეოლოგიის ფენომენის ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარი ტერი იგლტონი წერს როლან ბარტის პერიფრაზირებით, *«იდეოლოგია თანამედროვე მითოლოგიის ნაირსახეობაა, სამეფო, რომელმაც გაწმინდა საკუთარი თავი აზრის ბუნდოვანებისა და არჩევანის შესაძლებლობისგან»[8].*

იდეოლოგიური ცნობიერებისთვის ყველაფერი ნათელია და გადაწყვეტილი – ღარიბი იმიტომ არის ღარიბი, იმიტომ აქვს ცუდი და დაბალანაზღაურებადი სამსახური, რომ თავის დროზე არ ისწავლა, არ ჩააბარა უნივერსიტეტში, შემდეგ უცხოეთში არ გააგრძელა განათლების მიღება, რომ ქართველი კაცი ბუნებით ზარმაცია, რომ საკმარისი

გულმოდგინებით არ უშრომია და ა.შ. და ა.შ., ეს ასე არის და ასე იქნება. სწორედ აქ ვლინდება იდეოლოგიის კიდევ ერთი ძირითადი თვისება – სოციალური რეალობა ბუნებრივად და ერთხელ და საბოლოოდ დადგენილად წარმოაჩინოს, მოახდინოს «არსებულის იდოლატრიზაცია», დააკანონოს და განამტკიცოს გაბატონებული კლასის ძალაუფლება. ჩამოთვლილი კლიშე-შეხედულებები, რომელთაც ნეოლიბერალური ჰეგემონია სისტემატურად ნერგავს სხვადასხვა ინსტრუმენტების – სკოლის, უნივერსიტეტის, მას-მედიის – საშუალებით, უხვად შეგხვდებათ თანამედროვე პოსტსაბჭოთა ქართველ ავტორთა ტექსტებში, ანუ ლიტერატურაც, დღეს ისე, როგორც არასდროს, ჩვეულებრივი იდეოლოგიური აპარატის როლში გვევლინება. რა თქმა უნდა, ეს ავტორები სიტყვა იდეოლოგიის ხსენებისას თავს გაიქნევენ, დაიწყებენ საუბარს საკუთარ მიუკერძოებლობაზე, ობიექტურობასა და აპოლიტიკურობაზე[9] – ეს კი იდეოლოგიის ხაფანგია, რადგან, ფრანგი ფილოსოფოსის ლუი ალთიუსერის თანახმად, იდეოლოგიის ერთ-ერთი ფუნქციაა – უარყოს საკუთარი იდეოლოგიური ხასიათი, *«იდეოლოგია არასდროს იტყვის, რომ ის იდეოლოგიაა»* ***[10]***. ამგვარად, იდეოლოგია საკუთარი თავის არგამხელით, მხოლოდ თავის არსებობას ადასტურებს. მაშასადამე, ის ავტორები, რომლებიც აცხადებენ თავიანთი არატენდენციურობისა და აპოლიტიკურობის შესახებ, ან შეგნებულად ცრუობენ ან უბრალოდ ვერ აცნობიერებენ იმას, რომ ამით მხოლოდ ჰეგემონი პოლიტიკური ძალებისადმი დაქვემდებარებულობის, ან თავიანთი ინტელექტუალური შეზღუდულობის დემონსტრირებას ახდენენ.

ზემოთ აღწერილი მოვლენისგან რადიკალურად განსახვავებულ ფენომენს წაროადგენს ცოტნე ცხვედიანის «ქალაქი და წმინდანები» (განსაკუთრებით ამ კრებულის ისეთი მოთხრობები, როგორიც არის «ანდერგრაუნდი», «Postindustrial Boys”, «ოქროს ქალაქი», (მათ შინაარსს მხოლოდ იმდენად მოვიხმობთ, რამდენადაც მოცემული ტექსტი მოითხოვს, რადგან მკითხველს მარტივად შეუძლია ეს წიგნები მოიძიოს და წაიკითხოს) და «მაიაკოვსკის თეატრი». ავტორი ძალიან კარგად იცნობს იმ თემას, რომელზეც წერს, უფრო მეტიც, თუ ავტობიოგრაფიულ ცნობებს დავეყრდნობით (რაც, შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში მწერლის შემოქმედების გარკვეული სპეციფიკის გაგებაში დაგვეხმაროს) აღმოვაჩენთ, რომ ავტორი არა მარტო მოვლენათა დამკვირვებელი და აღმწერია, არამედ, მგავსად მაღალი რეალიზმის ტრადიციის ავტორებისა და საპირისპიროდ ძველი, ან თუ გნებავთ თანამედროვე «ნატურალიზმისა», რომელიც მწერალს აქცევდა (აქცევს) ხელოსნად, კაბინეტის მეცნიერად, ლიტერატურული გამოხატვის ვირტუოზად, მოვლენების აქტორია, და თავის დაკვირვებებს უშუალოდ რეალურ პროცესებში მონაწილეობით აგროვებს. სოციალურ კლასებსა და სხვადასხვა ფენებს შორის ურთიერთობა არ არის ასახული და გამოსახული რომელიმე ცალკეული ჯგუფის ვიწრო თვალთახედვით, «ფსიქოიდეოლოოგიით», არამედ წარმოდგენილია მათ მთლიანობაში, ტოტალობაში, ანუ ასახულია საზოგადოებრივი ყოფიერება ფართო გაგებით, მისი მთელი სისავსით. ცოტნე ცხვედიანის ტექსტები, მიუხედავად მოცულობის სიმცირისა, ფართოდ ასახავს დაბალ ფენებში დაგროვებულ პროტესტსა და უმკმაყოფილებას, იმ სახალხო მასის განწყობილებას, რომელსაც ნეოლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ

ყოველგვარი მყარი მატერიალური ნიადაგი გამოაცალა, დამოკიდებული გახადა პრეკარულ შრომაზე ან დეკლასირებულ ელემენტებად აქცია. ეს მოთხრობები ასახვს იმ კრიზისულ სიტუაციას, რომელიც თანამედროვე საქართველოში (და იმდენად, რამდენადაც გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს მასშტაბით, კერძოდ კი – «მესამე სამყაროში», პერიფერიული კაპიტალიზმის ქვეყნებში) არსებობს. ამრიგად, ცოტნე ცხვედიანის მოთხრობებში წარმოდგენილი სიტუაციები და პერსონაჟები (იქნებიან ეს სტუდენტები, მუშები თუ ვინმე სხვა) უაღრესად ტიპურები არიან, ანუ საკუთარ თავში მოიცავენ საერთო სურათის, საზოგადოებრივი ტოტალობის არსებით ნიშანთვისებებს.

გიორგი ხასაია, უკვე აღნიშნულ ჟურნალ «ლიბერალის» ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ თავის ბლოგში სწორად შენიშნავს, რომ ამ წიგნში მკითხველი ვერ შეხვდება ენობრივ განახლებებსა და ექსპერიმენტებს[11]. ცოტნე ცხვედიანი არ მიეკუთვნება იმ თანამედროვე ავტორთა კატეგორიას, რომლებიც, მოდურ ტენდენციებს აყოლილნი, თვითმიზნად ისახავენ ფორმალურ-ენობრივ ექსპერიმენტებს, რითიც ცდილობენ ხაზი გაუსვან მათი ტექსტების ორიგინალურობას, რაც, სინამდვილეში, იშვიათად თუ წარმოადგენს სიახლეს და დასავლური ან სხვა ქვეყნების მწერლების ექსპერიმენტების არც ისე წარმატებული გადამღერება და იმიტაციაა. ცხვედიანის მოთხრობების ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე ის იყო, რომ ეს ტექსტები ღიად პარტიულ ხასიათს ატარებდა, პარტიულს არა იმ გაგებით, როგორითაც ის 30-იანი წლების სსრკ-ში დამკვიდრდა, როგორც სტალინური ხელისუფლების დაკვეთით შექმნილი «სოციალისტური რეალიზმის» დოქტრინის ერთ-ერთი შემადგენელი

კომპონენტი და მწერალს გაბატონებული პარტიის (სტალინური თერმიდორიანული კონტრრევოლუციური კომპარტიის) ინტერესების გამტარის, სინამდვილის, «სოციალისტური აღმშენებლობის» ოპტიმისტური პათოსით ამსახველისა და «მასების აღმზრდელის» ფუნქციას აკისრებდა, არამედ პარტიული იმ მნიშვნელობით, როგორითაც ის ესმოდა ბერტოლტ ბრეხტს. ბრეხტის მიხედვით, კლასობრივ ანტაგონიზმზე დაფუძნებულ საზოგადოებაში (თანამედროვე საზოგადოება კი, მიუხედავად იმისა რომ მან მნიშვნელოვნად იცვალა სახე, სწორედ ასეთია, რამდენიც არ უნდა გვიმტკიცონ საპირისპირო სახელმოხვეჭილმა «თეორეტიკოსებმა») შეუძლებელია ხელოვანი მიუკერძოებელი, ობიექტური იყოს, არ წარმოადგენდეს მხარეს და ავტორის მხრიდან საკუთარი აპოლიტიკურობის, აპარტიულობის მტკიცება, მხოლოდ ჰეგემონურ კლასთან მიკუთვნილობის, მისი ინტერესებისადმი მსახურების დასტურია[12]. ამიტომ წინა თაობის მწერლებისგან განსხვავებით, რომლებიც მწერალს მხოლოდ ობიექტური დამკვირვებლის და «ამბის აღმწერის» ფუნქციას აკისრებენ (რასაც, როგორც წესი, თავადაც არ მისდევენ), ცოტნე ცხვედიანი ღიად და დაუფარავად საუბრობს საკუთარი პარტიულობის შესახებ და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი პროზაული ტექსტები თავად ამჟღავნებენ ჩაგრულთა, «კრულვითა დაღდასმულთა» მრავალრიცხოვანი პარტიისადმი მიკუთვნილებას. იმათი პარტიისადმი მიკუთვნილებას, «ვისი ხელფასიც ნულზე ოდნავ მაღალია, ვისი ცხოვრებაც დიდი ხნის წინ გაყიდეს, გამოიანგარიშეს და ბანკებს მიაგირავეს», ვინც ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში შრომობს და ისიც არც იცის, გამოვა თუ არა იქიდან ცოცხალი, მომსახურების სფეროში დასაქმებული სტუდენტების, იპოთეკის გადაუხდელობის

გამო საცხოვრისდაკარგულების, ვინც 90-იანი წლების დეინდუსტრიალიზაციამ, სოციალური სახელმწიფოს დემონტაჟმა, ნეოლიბერალურმა ექსპერიმენტმა და პოსტსაბჭოთა სივრცეში პერიფერიული კაპიტალიზმის დამკვიდრებამ არაადამიანური და ბარბაროსული ექსპლუატაციის პირობებში ჩააყენა და საზოგადოებრივი ყოფიერების პერიფერიაზე გარიყა. სწორედ მათი პარტიისადმი მიკუთვნილებას ამჟღავნებენ ეს ტექსტები.

ცოტნე ცხვედიანი ავსტრიელი დრამატურგის, ფრიდრიხ ჰებელისა და იტალიელი რევოლუციონერისა და ფილოსოფოსის, ანტონიო გრამშის კვალდაკვალ ამბობს: «მძულს გულგრილები... ვცხოვრობ, ე.ი. მიჭირავს გარკვეული პოზიცია»[13]. ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშეა სარტრისეული ანგაჟირებული მწერლის ტიპი (ვრცლად ანგაჟირებულობის საკითხს სტატიის დასკვნით ნაწილში დავუბრუნდები), რომელმაც გარკვეული მხარე დაიჭირა. და აქ უკვე, თეოდორ ადორნოს რომ დავესესხოთ, მნიშვნელოვანია «პოლიტიკური არჩევანის» პრობლემა, რა მიმართულებითაა ავტორი ანგაჟირებული. და უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ღიად მემარცხენე იდეოლოგიის პოზიციებზე დგას და ეს შეუძლებელია, არ აისახოს მის შემოქმედებაზე. მემარცხენე იდეოლოგია კი, ცხადია, თუ ის არ წარმოადგენს უტოპისტურ, არამეცნიერულ დოქტრინას, არამედ დგას მეცნიერებისა და დიალექტიკის ნიადაგზე (ასეთია მარქსიზმი), არ მიიჩნევს მოცემულ წესრიგს, როგორც ერთხელ და საბოლოოდ დადგენილს, არამედ არსებულ სტატუს ქვოს განიხილავს, როგორც აუცილებლად შესაცვლელს, გასაუქმებელს, მოსახსნელს, რადგან დიალექტიკის კანონების მიხედვით, არაფერია მარადიული და ურყევი, ყველაფერი იცვლება, მუდმივ მოძრაობაშია, ისპობა და თავიდან იბადება, ჰერაკლიტეს

სენტენცია რომ გავიხსენოთ – «ყველაფერი მიედინება». ამგვარად, ცოტნე ცხვედიანის ტექსტები არ წარმოადგენს უბრალოდ სინამდვილის ასახვას, მოთხრობილ ამბავს, არამედ ამავდროულად ამ სინამდვილის უარყოფასაც: მაღაროებში მომუშავეების, ლუმპენებად ქცეული სტუდენტების, ვაგონში მცხოვრები ადამიანების გაუსაძლისი ყოფის აღწერა ამავდროულად არსებული სტატუს ქვოს, ერთი ადამიანის მიერ მეორეს ექსპლუატაციასა და ჩაგვრაზე დაფუძნებული კაპიტალისტური სისტემის ნეგაციაცაა, მისი რადიკალური უარყოფა. ის, რომ ადამიანებს კაბალურ, მათი სიცოცხლისთვის სახიფათო პირობებში უწევთ შრომა, მათი ბრალი კი არ არის, ან ქვეყნის სათავეში მყოფი ბიუროკრატების, არამედ თავისუფალ ვაჭრობასა და ეკონომიკურ უთანასწორობაზე, შრომის დანაწილების პრინციპსა და გაუცხოებაზე დამყარებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის პროდუქტია, რომელშიც ერთი ადამიანის მფლობელობაში მყოფი კერძო საკუთრება, ლიბერალური აზრის კორიფეების მიერ ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლების გარანტად გამოცხადებული, გულისხმობს სხვა, ასობით და ათასობით, ადამიანის არათავისუფლებასა და ეკონომიკურ მონობას (დაქირავებული შრომა სხვა არაფერია, თუ არა მონობის ოფიციალური, სახელმწიფოს კანომდებლობით იურიდიულად განმტკიცებული, ფორმა).

«ეს ასე არ უნდა იყოს, ეს უნდა შეიცვალოს» – სწორედ ამას ამბობს «ქალაქი და წმინდანები». და ეს პოლიტიკურად ანგაჟირებულობის მომენტი, თუ ქართული მწერლობის ტრადიციას მივმართავთ, ცოტნე ცხვედიანის პროზას XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი სოციალ-დემოკრატი მწერლების – ეგნატე ნინოშვილისა

და ჭოლა ლომთათიძის[14] შემოქმედებასთან აახლოვებს, როგორც «მაიაკოვსკის თეატრის» მთავარი გმირი თუთა თვითირონიულად ამბობს, ეს მოთხრობები ამ მწერლების ნაწარმოებების «პანკ ქავერებია».

II. პოსტმოდერნიზმი და ლიტერატურული კრიტიკის დეგრადაცია

სუბიექტური აღტაცებებისა და გაქირდვის დრო წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის ნაივურ საფეხურს.

მიხაილ ლიფშიცი

ამ კრიტიკის სტილი კულინარიულია.

ბერტოლტ ბრეხტი

«ბაკურ სულაკაურის გამოცემლობამ» ცოტნე ცხვედიანის წიგნის – «მაიაკოვსკის თეატრის» (რომელზეც დაწვრილებით წერილის მომდევნო ნაწილშო ვისაუბრებ) – უკანა ყდაზე გამოიტანა ანოტაცია, რომელშიც ასეთ წმინდად შაბლონურ და ტრაფარეტულ ფრაზას შეხვდებით: «წიგნი «ქალაქი და წმინდანები» ლიტერატურულმა კრიტიკამ დიდი მოწონებით მიიღო». ეს, ცხადია, ჩვეულებრივი მარკეტინგული ფანდია და სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან გარდა რამდენიმე გამოხმაურებისა – უკვე ნახსენები გიორგი ხასაიას მცირე

კომენტარისა ამ წიგნზე, რადიო თავისუფლების ვებ-გვერდზე შოთა იათაშვილის რეპორტაჟისა[15] და ინტერნეტში გამოქვეყნებული არაფრისმომცემი ორიოდე ბლოგ-პოსტისა – ამ წიგნზე, ფაქტობრივად, არაფერი დაწერილა. ეს გამოხმაურებები ძნელია, ლიტერატურულ კრიტიკის ჟანრს მივაკუთვნოთ, რომელიც გულისხმობს ლიტერატურული ტექსტის მრავალმხრივ ანალიზსა და განხილვას, მის ახსნასა და განმარტებას[16] ესთეტიკური, მხატვრული ღირებულების და იმ ისტორიული, პოლიტიკური, სოციო-ეკონომიკური კონტექსტების გათვალისწინებით, რომელშიც ესა თუ ის ტექსტი დაიწერა; იდეოლოგიური მექანიზმების გაშიშვლებასა და გამოაშკარავებას, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებს უდევს საფუძვლად.

იმ ფაქტს, რომ ეს წიგნი თითქმის შეუმჩნეველი დარჩა სამამულო «ლიტერატურული კრიტიკისთვის», რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: 1) ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ლიტერატურული კრიტიკის არარსებობა; 2) წიგნის განგებ მიჩუმათება. ამ შემთხვევაში ორთავე ვარიანტი მართებული და ურთიერთდაკავშირებული მგონია. ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში მართლაც არ არსებობს ლიტერატურული კრიტიკა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ის ტექსტები, რომლებიც პერიოდიკაში ქვეყნდება კრიტიკის სახელით, რთულია ამ ჟანრს მივაკუთვნოთ, რადგან მათი უმრავლესობა დაწერილია რაღაც კონკრეტული სქემის, ერთგვარი შაბლონის მიხედვით და არ გამოირჩევა ორიგინალურობითა და სიღრმით, სრულიად დაცლილია ყოველგვარი მეცნიერულ-ესთეტიკური მეთოდოლოგიისგან და, შეიძლება ითქვას, მიბრუნებაა წინარე ლიტერატურული კრიტიკის ფორმებთან. კრიტიკის

რუბრიკაში დაბეჭდილი ტექსტები, ერთი-ორი იშვიათი გამონაკლისის გარდა, ტრივიალურობის, დილეტანტიზმის, უგემოვნობისა და კიტჩის ნამდვილი ნიმუშია, რომლებიც ამ ჟანრის სერიოზულ კრიზისსა და დეგრადაციაზე მოწმობენ. ერთი სიტყვით, დღეს კრიტიკა გადაქცეულია ხელობად, ე.წ. კრიტიკოსები კი – ხელოსნებად, ხოლო ამის მიზეზების დადგენა იმაზე ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და ამ მოვლენის გასაანალიზებლად კომპლექსური და სისტემური მიდგომაა საჭირო.

ლიტერატურული კრიტიკის დეგრადაციის პროცესი ახლა არ დაწყებულა, მას ბევრად ღრმა ფესვები აქვს, რომელთაც იმ პერიოდში მივყავართ, როცა ყალიბდება მსოფლიო კაპიტალისტური ბაზარი და მკვიდრდება კაპიტალისტური შრომის დანაწილება. სწორედ ამ პერიოდში, რუსი ფილოსოფოსის და ხელოვნების თეორეტიკოსის, მიხაილ ლიფშიცის სიტყვებით რომ ვთქვათ, *«ესთეტიკური თავისუფლების ძიებანი უკანა პლანზე ინაცვლებს თავისუფალი ვაჭრობის დიადი ბრძოლების წინაშე. ...ხელოვნების საკითხები ამქრის მეცნიერთა ვიწრო წრის საკუთრება ხდება.»*[17]. 30-იან წლებში ლიფშიცის თანამოაზრე და თანამშრომელი, უნგრელი ფილოსოფოსი, მეოცე საუკუნის ინტელექტუალური ცხოვრების ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა გეორგ ლუკაჩიც იმ წლებში დაწერილ სტატიაში «შემოქმედი და კრიტიკოსი» ამ თვალსაზრისს ავითარებს. ის ცდილობს, ახსნას თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ლიტერატურული კრიტიკის დეგრადაციის მიზეზები: *«მანვ(კაპიტალისტურმა შრომის დანაწილებამ – ნ.ბ.) – წერს ლუკაჩი, – ბელეტრისტი და კრიტიკოსი ვიწრო «სპეციალისტებად» აქცია, წაართვა მათ მორალურ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და მხატვრულ ინტერესებს*

*ის სიფართოვე და კონკრეტულობა, რომელსაც ფლობდნენ რენესანსის, განმანათლებლობის, დემოკრატიული რევოლუციების პერიოდის შემოქმედები. კაპიტალისტურმა შრომის დანაწილებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ცხოვრების შესახებ წარმოდგენებმა დაკარგა ერთიანობა და მხოლოდ რაღაც ერთი კონკრეტული კუთხით აღიქმება (ხელოვნება, ეკონომიკა და ა.შ).**[18]**.«*

ამგვარად, კაპიტალისტური შრომის დანაწილების სისტემაში ლიტერატურული კრიტიკა, ისევე, როგორც ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის სხვა სფეროები, გადაიქცა ვიწრო სპეციალობად, ხელობად, რომელსაც ადამიანთა გარკვეული კატეგორია ფლობს. ეს განპირობებულია შრომის დანაწილების თანმდევი მოვლენით – გაუცხოების ფენომენით. ეს ტერმინი სათავეს გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიაში – გ. ვ. ჰეგელთან და ლ. ფოიერბახთან – იღებს[19]. მოგვიანებით ის უშუალოდ მათგან ახალგაზრდა მარქსის პრობლემატიკის ველში გადადის და საფუძვლიან ტრანსფორმაციას განიცდის. თავის 1844 წლის «ეკონომიკურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში» მარქსი გაუცხოებას აკავშირებს კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებთან, წარმოების კაპიტალისტურ წესთან, რომელშიც ადამიანები თავიანთი შრომის პროცესში განიცდიან გაუცხოებას, როგორც თავიანთი შრომის პროდუქტისგან, ისე საკუთარი არსებისგანაც. გამომდინარე საკითხის სირთულისა და სიფართოვისგან, აქ ამის მითითებით შემოვიფარგლებით. მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ მარქსის ანალიზის თანახმად, მეცნიერებაც და ხელოვნებაც «ადამიანთა განვითარების გაუცხოებულ ფორმებად» წარმოგვიდგება, რაც, როგორც საბჭოთა ფილოსოფოსი, პოსტსტალინურ პერიოდში ლუკაჩისა და

ლიფშიცის იდეური საქმის გამგრძელებელი, ევალდ ილიენკოვი წერს, იმას ნიშნავს, რომ *«ადამიანთა გარკვეული საყოველთაო უნარები (უნარები, რომელთა ერთობლიობაც უზრუნველყოფს ადამიანთა სასიცოცხლო მოქმედებას) გარკვეულ სოციალურ პირობებში ვითარდება არა თითოეულ ინდივიდში, არამედ მხოლოდ მათ მცირე რიცხვში». «ამ მცირედთათვის – აგრძელებს ილიენკოვი, – ერთ-ერთი უნარის განვითარება ცხოვრებისეული ხვედრი, პროფესია ხდება. მათი საქმიანობა ხდება შრომის დანაწილების დარგი, იძენს კასტურ ხასიათს, ხოლო «პროფესიით ლოგიკოსთა», «პროფესიით ფერმწერთა» და ა.შ. კასტა ან ამქარი მოქმედებს როგორც საზოგადოებრივი მთელი. სწორედ ამით – ასკვნის ილიენკოვი, – ამა თუ იმ საყოველთაოდ მნიშვნელოვანი უნარის განვითარება უცხოვდება ინდივიდთა უმრავლესობისგან და მოცემულ მიმართებაში მათი ადამიანური განუვითარებლობის ხარჯზე ხორციელდება[20].»* ადამიანთა ინტელექტუალური განვითარების ასეთ ფორმას ილიენკოვი ძალიან მახვილ განსაზღვრებას უძებნის, ის მას «პროფესიულ კრეტინიზმს» უწოდებს.

ამასთან, კაპიტალისტური შრომის დანაწილება, გარდა იმისა, რომ გულისხმობს კრიტიკოსის ინტერესების შევიწროებას, ასევე იმასაც ნიშნავს, რომ შემოქმედი, მწერალი, კრიტიკოსი ბაზრის მოთხოვნილებებსა და სტანდარტებს ემორჩილება, მისი აზრის პრუდუქტი გარდაუვლად იქცევა საქონლად და ავტორი ლიტერატურული ინდუსტრიის ბაზარზე მის გასაღებაზე ორიენტირებული ხდება[21]. და ყველგან, სადაც კი კაპიტალისტური წარმოების წესი და კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობები არსებობს, იგივე ემართება სულიერი კულტურის სხვა დარგებსაც (ფილოსოფიას,

ხელოვნებას, პოლიტიკას და ა.შ.). განსაკუთრებით გვიანი კაპიტალიზმის, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და ინფორმაციის მასობრივი გავრცელების საშუალებების ბატონობის ეპოქაში ეს სფეროები, ჰერბერტ მარკუზეს თანახმად, აღრეულია კომერციულ რეკლამასთან და *«მათ ერთმანეთთან საერთო მნიშვნელი – სასაქონლო ფორმა – აკავშირებს[22].»* კაპიტალისტური წარმოების წესის თვისება – ყველაფერი აქციოს საქონლად – თანამედროვე ეპოქაში ყველაზე სრულყოფილადაა რეალიზებული. ჩვენ საქმე გვაქვს ტოტალურ კომოდიფიკაციასთან. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ხანებში ლიტერატურა, როგორც ზოგადად ხელოვნება, წარმოადგენდა სტატუს კვოსადმი წინააღმდეგობის საშუალებას და ხელოვანის, ლიტერატორის, მეცნიერის საქმიანობა არ ეწერებოდა ბურჟუაზიულ საწარმოო ურთიერთობებში, XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე ის უკვე კარგავს ამ ძალას და ნელ-ნელა კაპიტალისტური სისტემის ჩვეულებრივ დანამატად იქცევა[23]. ის ფაქტი, რომ ჯონ მილტონმა «დაკარგული სამოთხე» 5 გირვანქა სტერლინგად გაყიდა, რაც უანგარო შემოქმედებითი შრომის ყველაზე მკაფიო მაგალითია, დღეს აბსურდულად უნდა ჟღერდეს.

ამრიგად, ლიტერატურული კრიტიკის დეგრადაციის მიზეზები უნდა ვეძებოთ ეკონომიკური ბაზისის, ე.ი. წარმოებითი ურთიერთობების ერთობლიობისა და იდეოლოგიური ზედნაშენის დიალექტიკურ ურთიერთობაში. ჩვენს შემთხვევაში ეს არის გვიანი კაპიტალიზმი და მის ნიადაგზე წარმოქმნილი პოსტმოდერნიზმი (რომელშიც ზემოთ მონიშნულმა ტენდენციებმა თავის კულმინაციას მიაღწია), რომელიც XX ს-ის 70-80-იანი წლებიდან იკიდებს ფეხს და დღეს უკვე

ტოტალურად დომინირებს ჰუმანიტარული აზრის ყველა სფეროში.

პოსტმოდერნიზმი, ამერიკელი ფილოსოფოსისა და ლიტერატურული კრიტიკოსის, ფრედერიკ ჯეიმისონოს აზრით, წარმოადგენს «გვიანი კაპიტალიზმის კულტურულ ლოგიკას» და მისი გაჩენა კულტურის სხვადასხვა სფეროებში (ხელოვნებაში, არქიტექტურაში, ლიტერატურაში, ფილოსოფიაში და ა.შ) დაკავშირებულია სოციალური ცხოვრების ახალი ტიპისა და ახალი ეკონომიკური წესრიგის დამკვიდრებასთან, რომელსაც ხშირად *«სხვადასხვა ევფემიზმის მეშვეობით, მოდერნიზაციას, პოსტინდუსტრიულ ან სამომხმარებლო საზოგადოებას, მედია-საზოგადოებას, სპექტაკლის საზოგადოებასა თუ მულტინაციონალურ კაპიტალიზმს უწოდებენ.[24].*« ანუ, იმისათვის, რომ პოსტმოდერნიზმი აღმოცენებულიყო, საჭირო იყო ყველა ის ტრანსფორმაცია, რომელიც მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა და საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა წესრიგმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განიცადა: საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს წარმოქმნა, დასავლური ცივილიზაციისთვის სულ უფრო პარაზიტული შინაარსის შეძენა, კაპიტალისტური მსოფლსისტემის სულ უფრო მზარდი პოლარიზაცია «ჩრდილოეთად» და «სამხრეთად», მეტროპოლიად და პერიფერიად, ინდუსტრიის «პირველი საყაროდან» «მესამე სამყაროს» ქვეყნებში გადატანა, რაც ყოფილი კოლონიების ბუნებრივი რესურსების მიტაცებასა და ამ ქვეყნების ექსპლუატაციას გულისხმობდა, 1968 წლის მაისის «სტუდენტური რევოლუცია» და მისი მარცხი, კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისი და შემდგომი დემონტაჟი, «ნეოლიბერალური ბუმი» და ა.შ.

ტერი იგლტონი თავის წიგნში «ლიტერატურის თეორია. შესავალი» ახასიათებს პოსტმოდერნიზმის თეორიულ ასპექტებს. *«პოსტმოდერნი – წერს იგლტონი – ნიშნავს თანამედროვეობის დასასრულს, იმ მხრივ, რომ ეს ჭეშმარიტების დიადი ნარატივების, გონების, მეცნიერების, პროგრესისა და საყოველთაო თავისუფლების დასასრულია, რომელთაც, ჩვეულებრივ, განმანათლებლობის ეპოქიდან დაწყებული თანამედროვე აზრის დასახასიათებლად იყენებენ.[25].«* პოსტმოდერნის თვალსაზრისით ეს კონცეპტები «სახიფათო ილუზიებია», «ტირანული სტრუქტურები», რომელთაც ხშირად ტოტალიტარიზმამდე მივყავართ, იმიტომ რომ ხელმძღვანელობენ აბსოლუტისტური რწმენით, რომ ცხოვრებისა და შემეცნების მრავალფეროვანი ფორმები შეიძლება დავიყვანოთ ერთადერთ, საბოლოო და უეჭველ პრინციპზე – იქნება ეს რაციო, ისტორიის კანონები, ტექნოლოგიები თუ წარმოების წესი[26]. პოსტმოდერნიზმის თავდასხმების მთავარი ობიექტი იყო მარქსისა და ჰეგელის ისტორიზმი – მისი ერთიანი ნარატივებისადმი რწმენით, მისი ტელეოლოგიური იმედებით, ისტორიული მოვლენების იერარქიით, ისტორიის ცენტრალური და პერიფერიული პროცესების მკვეთრი გამიჯვნით[27].

ამგვარად, პოსტმოდერნიზმის განმტკიცება ფილოსოფიაში კლასიკურ ფილოსოფიურ მემკვიდრეობასთან, განმანათლებლობის პარადიგმასთან (მისთვის დამახასიათებელი რაციონალიზმით) დაპირისპირებით განხორცილედა, რაც, ბუნებრივია, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მეცნიერულ მიდგომაზე, ობიექტური ჭეშმარიტების ძიებაზე უარის თქმით გამოიხატა – ჭეშმარიტება ინტერპრეტაციის პროდუქტად

გამოცხადდა. კომპლექსური და სისტემური მიდგომა, ობიექტივიზმი და გონება ჩანაცვლდა ეკლექტიზმით, სუბიექტივიზმით, რელატივიზმით, *«ისტორიისგან ჰედონისტური გაქცევით, განუსაზღვრელობის კულტითა და უპასუხისმგებლო ანარქიზმით»**[28]***, ხოლო მხატვრულ შემოქმედებაში, ჯეიმისონის თანახმად, ინდივიდუალიზმმა და ორიგინალურობამ, რომელიც ახასიათებდა მოდერნის აზროვნებასა და ხელოვნებას, პასტიშსა[29] და შიზოფრენიას დაუთმო ადგილი[30].

ალექსანდრ ტარასოვი თავის ერთ-ერთ სტატიაში, განიხილავს რა პოსტმოდერნისტული კულტურის წარმოშობის მიზეზებს, ჯეიმისონის მსგავსად, მას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიმდინარე სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებთან აკავშირებს. ტარასოვის აზრით, პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ატრიბუტები ისტორიაში არაერთხელ წარმოქმნილა, ისინი ჩნდებოდა ყოველთვის, როცა ცივილიზაცია დეგრადაციისა და დეკადანსის გზას ადგებოდა, იძენდა პარაზიტულ შინაარსს, თუმცა, განსხვავებით წინა ეპოქებისგან, ეს ტენდენციები კაცობრიობის ისტორიაში პირველად არა რომელიმე ცალკეული სახელმწიფოს თუ იმპერიის საზღვრებში, არამედ გლობალური მასშტაბით გაჩნდა: *«პოსტმოდერნული კულტურის ტიპი – მთელი თავისი ატრიბუტებით: მეორადობით, ციტირებით, კვლავკომბინირებით, სანახაობის პრიმატით, სექსუალიზაციით, თამაშით – პირველად არ გაჩენილა. ასე იყო მანიერიზმის ეპოქის ევროპაში, გვიანი ბიზანტიის იმპერიასა და რომში.**[31]***«

პოსტმოდერნიზმის კონცეპტები უაპელაციოდ იქნა გადმოტანილი პოსტსაბჭოთა საქართველოს აკადემიურ სივრცეში და ინტელექტუალები (ვიწრო სპეციალისტები)

სისტემატურად ახდენენ მათ ტრანსლირებას ყოველგვარი კრიტიკული გააზრების გარეშე, უნივერსიტეტის კათედრებიდან და სხვადასხვა სახის პუბლიკაციებში ისინი ქადაგებენ ჟან-ფრანსუა ლიოტარის «დიადი ნარატივების სიკვდილს», დ. ბელის «იდეოლოგიის სიკვდილს», ფრენსის ფუკუიამას მიერ გამოცხადებულ «ისტორიის დასასრულს», სემუელ ჰანტინგტონის «ცივილიზაციათა შეჯახების» წმინდად რასისტულსა და ორიენტალისტურ თეორიას და ა.შ., რომლებიც სერიოზულმა მეცნირებმა დიდი ხნის წინათ გააკრიტიკეს და დაასაბუთეს მათი არარელევანტურობა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავად ისტორიულმა სინამდვილემ დაადასტურა მათი სიმცდარე.

ზემოთ მოყვანილი მახასიათებლები მრავლად გვხვდება «ლიტერატურულ კრიტიკაში», საიდანაც გამოდევნილია მეცნიერულობა, რომელიც ჩანაცვლებულია თამაშით, ციტირებით, პასტიშით. და რახან კრიტიკა აღარ ეფუძნება მეცნიერულ მიდგომას, ობიექტურობის ნაცვლად ვხვდებით ავტორის სუბიექტურ მსჯელობას, პირადი შეხედულებების კრიტერიუმად გამოცხადებას. უპრიანი იქნება, მოვიყვანოთ ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ფიგურის, ვისარიონ ბელინსკის სიტყვები, რომელიც ძალიან კარგად ესადაგება თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის პათოლოგიურ მდგომარეობას: *«არ შეიძლება რაიმეს მტკიცება ან უარყოფა პირადი ნება-სურვილის, უშუალო შეგრძნებების, ინდივიდუალური შეხედულებების საფუძველზე: განსჯა ეკუთვნის გონებას და არა ცალკეულ პირებს, და ინდივიდები უნდა განსჯიდნენ ზოგადსაკაცობრიო გონების სახელით და არა საკუთარი პიროვნების. გამოთქმებს: «მე მომწონს, ან მე არ მომწონს»*

მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა, როცა საქმე საკვებს ეხება. მაგრამ როცა საქმე გვაქვს ისტორიის, მეცნიერების, ხელოვნების, ზნეობის მოვლენებთან – იქ ყოველი მე, რომელიც განსჯის თვითნებურად და დაუდასტურებლად, საკუთარ გრძნობასა და შეხედულებაზე დაყრდნობით, გვახსენებს საგიჟეთში მოხვედრილ უბედურს, რომელიც თავზე დადგმული ქაღალდის გვირგვინით, დიდებულად და წარმატებულად მართავს თავის წარმოსახვით ხალხს, სჯის და იწყნარებს, აჩაღებს ომს და დებს ზავს, მას არავინ უშლის ხელს ამ უწყინარ საქმიანობაში.[32]«

ლიტერატურული კრიტიკის დეგრადაცია არ უნდა განვიხილოთ კულტურის სხვა დარგებისგან განცალკევებით, რადგან ის ყოველთვის განუყოფელ კავშირში იყო ფილოსოფიასთან, ესთეტიკის თეორიასთან, ეთიკასთან, სოციოლოგიასთან, ფსიქოანალიზთან და ა.შ. როგორც მიხაილ ლიფშიცი წერს, *«კონკრეტულ ქვეყანაში მისი განვითარების ხარისხი, პირდაპირ თუ ირიბად, ყოველთვის გამომდინარეობს კრიტიკული აზრის განვითარების საერთო დონიდან, რომელსაც მოცემულ დროში მისმა მოწინავე წარმომადგენლებმა მიაღწიეს.*[33]« ანუ ლიტერატურული კრიტიკის დეგრადაცია შედეგია ზოგადკულტურული დეგრადაციისა, რომლის გამოხატულებასაც პოსტმოდერნიზმი წარმოადგენს.

რახან უკვე მეტ-ნაკლებად მიმოვხაზეთ ზოგადი ფონი, უკვე გასაგები უნდა იყოს, რატომ «შეაფასა კრიტიკამ დადებითად» ცოტნე ცხვედიანის «ქალაქი და წმინდანები», ანუ ფაქტობრივად არაფერი დაწერა ამ წიგნზე. პირველ რიგში, ამის მიზეზი უნდა იყოს მოთხრობებში წარმოდგენილი მასალა – სოციალურად უცხო ამ ადამიანებისთვის, მეორე მხრივ კი, ამ ავტორების

ინტელექტუალური ბექგრაუნდი, მათი მსოფლმხედველობა, მათი მეთოდოლოგია (ან, ხშირ შემთხვევაში, ასეთის არარსებობა), რომელიც უუნაროა, გაანალიზოს ამგვარი და ნებისმიერი სხვა ტიპის ლიტერატურული ტექსტები. ისინი შემოიფარგლებიან ნაწარმოების მხოლოდ ფორმალურ-ენობრივი მხარის განხილვით (ისიც, რა თქმა უნდა, ზერელედ) და შინაარსში კი მხოლოდ იმას ხედავენ, რაც ტექსტის ზედაპირზეა წარმოდგენილი. ამ დროს ყურადღების მიღმა რჩებათ ის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, იდეოლოგიური წანამძღვრები, რომელთა წიაღშიც კონკრეტული ნაწარმოები იშვა. «პროფესიული კრეტინიზმი» უძლურია ამ საქმეში. ამ ასპექტების გასაანალიზებლად საჭიროა, არსებობდეს კრიტიკოსის ისეთი ტიპი, როგორსაც აღწერს გეორგ ლუკაჩი უკვე ნახსენებ თავის სტატიაში – კრიტიკოს-ფილოსოფოსი, შეიარაღებული მეცნიერული მეთოდოლოგიით, ის, *«ვისაც ფილოსოფიურად აქვს შემეცნებული სინამდვილის კანონზომიერებები, საზოგადოებისა და კულტურის ისტორია, რაც შესაძლებლობას აძლევს, გაიგოს ის გადატრიალებები და რხევები, რომელსაც განიცდის ხელოვნება კაცობრიობის მთელი ისტორიის კონტექსტში; იმსჯელოს ნაწარმოების ესთეტიკურ ღირებულებებზე, ხელოვნების ისტორიის სისტემატური შესწავლის ნიადაგზე შემუშავებული ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით[34].«*. ასეთებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ვერ შეხვდებით. აქ მხოლოდ კულინარიული (როგორც ბრეხტმა უწოდა ენამოსწრებულად თავისი დროის თეატრალურ კრიტიკას) კრიტიკოსები არსებობებენ, რომელთათვისაც ნაწარმოების ავკარგიანობის ინდიკატორი პირადი გემოვნებაა. მაგრამ ლიტერატურა არ არის საკვები, რომელსაც ვახშმად მიირთმევენ. ის ერთ-ერთი ყველაზე

მნიშვნელოვანი და რთული ფენომენია, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია და მისი კულინარიისა და გასტრონომიის კატეგორიებით განხილვა უნდა დასრულდეს.

6. თარგმანები

ლიუდმილა ულიცკაია

დანიელ შტაინი, თარჯიმანი

(ფრაგმენტი რომანიდან)

რუსულიდან თარგმნა ნათია ორმოცაძემ

1959-1983 წლები, ბოსტონი.

ისააკ გატმანის ჩანაწერებიდან.

მთელი ცხოვრება მიტაცებდა პიროვნული თავისუფლების თემა. მას ყოველთვის უდიდეს სიკეთედ მივიჩნევდი. შესაძლოა, ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში რამდენიმე ნაბიჯით მივუახლოვდი კიდეც თავისუფლებას, მაგრამ რასთან გამკლავებაც ვერ შევძელი, რისგანაც ვერ გავთავისუფლდი – ეს ნაციონალობა იყო. ვერ შევძელი, ებრაელობაზე მეთქვა უარი. ებრაელობა ავტორიტარული და თავსმოხვეულია; დაწყევლილი კუზი და უბადლო ნიჭია, რომელიც თვითონ გკარნახობს ლოგიკასა და აზრებს, არტახებივით გიჭერს და გბოჭავს.

ის სქესივით შეუცვლელია. ებრაელობა გიზღუდავს თავისუფლებას. ყოველთვის ვცდილობდი მისი საზღვრების გარღვევას – ვარღვევდი, მივდიოდი სხვა მხარეს, სხვა გზებით, ათი, ოცი, ოცდაათი წლის განმავლობაში, მაგრამ რაღაც მომენტში აღმოვაჩენდი, რომ არსადაც არ წავსულვარ. ცხადია, ებრაელობა გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე იუდაიზმი. მეოცე საუკუნე ათეისტი ებრაელი მეცნიერების მთელ პლეადას იცნობს, თუმცა გაზის კამერებში ისინი თავიანთ რელიგიურ ძმებთან ერთად შეჰყავდათ. შესაბამისად, ის გარე სამყაროსთვის გაცილებით ავტორიტეტულ არგუმენტად

იქცა. რაც არ უნდა დაარქვან ებრაელებმა საკუთარ თავს, არსობრივად მათ განსაზღვრებას მაინც სხვები აკეთებენ – ებრაელი არის ის, ვისაც არაებრაელები ებრაელად მიიჩნევენ. ამიტომაც მონათლულ ებრაელებს შეღავათს არავინ უწევდა: მათაც სხვებივით ხოცავდნენ. ნიურნბერგის პროცესში მონაწილეობა გაცილებით მძიმე იყო ჩემთვის, ვიდრე გეტოში ან პარტიზანებთან ყოფნა. გერმანელებისა და მეკავშირეების მიერ ომის შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკებში გადაღებული კილომეტრიანი ფირების ყურებამ შეარყია ჩემი ევროპული ცნობიერება: აღარ მინდოდა ვყოფილიყავი შუაევროპელი, და ჩვენ პალესტინაში გადავსახლდით. იქ იმიტომ წავედით, რომ ებრაელები ვყოფილიყავით. თუმცა ამისათვის მე დამაკლდა ებრაული შეპყრობილობა.

48 წლის ომი არ გვიტოვებდა ფიქრის დროს, თუმცა, როცა ის დასრულდა – დროებით! – ვიგრძენი, რომ ტყვიებითა და ნამსხვრევებით მიყენებულ ჭრილობებს, ამპუტაციებსა და დამწვრობის შემდგომ გაკეთებულ პლასტიკას დეპრესიამდე მივყავდი. სადღა იყო კუჭის რეზექცია, ნაღვლის ბუშტიდან ქვების ამოღება, ბანალური აპენდიქტომია და გაუვალობა – მშვიდობიანი დროის მშვიდობიანი დაავადებები.

მე კარდიოქირურგი გავხდი.

პალესტინა კანკალებდა, მიმდინარეობდა სიონისტური სახელმწიფოს – რელიგიურ სიმბოლოდ, ებრაელების – ისრაელიანებად, არაბების კი – რაღაც გაგებით – ებრაელებად გადაქცევა. ნაციონალური იდეა ნებისმიერი შინაარსით გულს მირევდა.

რა არის მნიშვნელოვანი ებრაელთა თვითშეგნებაში? გამიზნული, საკუთარი თავისკენ მიმართული

ინტელექტუალობა. დიდობაში, როცა უკვე ისრაელში მოვხვდი, აგნოსტიკოსმა და ათეისტმა, გავაკეთე ის, რასაც სიყმაწვილეში ტრადიციებზე უარის თქმით გავექეცი. მაშინ ამ უარის თქმამ ოჯახი დანგრევამდე მიიყვანა. მამამ არ მაპატია. დაგვწყევლა მე და ჩემი მედიცინა. შემდეგ კი მთელი ოჯახი გაზის კამერაში გაიგუდა.

მამა დიდად კმაყოფილი დარჩებოდა იმით, რომ უკვე დიდობაში მე იმ საგნის შესწავლა მოვისურვე, რომელსაც ორი ათასწლეულია ებრაელი ბავშვები ხუთი წლიდან სწავლობენ – თორა. ის, რაც ბავშვობაში ჩემში მიუღებლობასა და სევდას იწვევდა, უზომოდ საინტერესო აღმოჩნდა.

პალესტინაში თითქმის ჩასვლისთანავე იერუსალიმის უნივერსიტეტში პროფესორ ნოუჰაუზის ლექციებზე დავიწყე სიარული. ის ებრაელთა ისტორიას კითხულობდა. ეს ძალიან საინტერესო იყო. ნოუჰაუზი, ბრწყინვალე მეცნიერი, ებრაელთა ისტორიას განიხილავდა არა როგორც მსოფლიო ისტორიის ფრაგმენტს, არამედ როგორც მთელი ისტორიული პროცესების მოდელს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის უცხო იყო ამგვარი მიდგომა, მეცადინეობები ძალიან შინაარსიანი აღმოჩნდა. აღმოვაჩინე, რომ მასწავლებლისთვის სწავლებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი მოსწავლეების ინტელექტუალური აქტიურობა, საკითხის დასმის, თავდაყირა დაყენების თუ საერთოდ ანულირების ცოდნა იყო. მაშინ მივხვდი, რომ ებრაული თვითშეგნების ბირთვი – არის ტვინის, როგორც ცხოვრების საზრისის, გაშალაშინება; გამუდმებული მუშაობა აზროვნების განსავითარებლად. სწორედ მან მოგვცა მარქსები, ფროიდები, აინშტაინები. რელიგიურ ნიადაგს

მოწყვეტილმა ამ ტვინებმა უფრო ინტენსიური და ხარისხიანი მუშაობა დაიწყეს.

მართლაც, ჩვენ შეგვიძლია თანამედროვე (ვგულისხმობ ქრისტიანულს) ისტორია ევროპული სამყაროს იუდაისტური იდეის ლოგიკურ (ნოუჰაუზის აზრით, მეტაფიზიკურ) გაგრძელებად განვიხილოთ. უზომოდ საინტერესოა, როგორ გადაკვეთენ ერთმანეთს ამ წერტილში ქრისტიან და ებრაელ ბრძენ მამათა იდეები. საერთოდაც, ქირურგს გაწაფულ ხელებზე არანაკლებ სჭირდება მახვილი გონება.

სწორედ მაშინ, ნაწილობრივ ამ ორწლიანი მეცადინეობების შედეგად, მე გადავდგი უმნიშვნელოვანესი პროფესიული ნაბიჯი – გადავინაცვლე თოროკალურ ქირურგიაში, რომლითაც ომამდე ვიყავი დაინტერესებული. სხვათა შორის, გული მაინტერესებდა არამხოლოდ როგორც სამედიცინო ობიექტი... ამ «შესანიშნავ ხელსაწყოში, რომელიც უზენაესი მხატვრის მიერ იყო შექმნილი», ლეონარდო და ვინჩის გამოთქმის თანახმად, მე ვჭვრეტდი რაღაც საიდუმლოს. საიდუმლო აბსოლუტურად შეუღწევადი იყო, ისევე, როგორც სამყაროსა და სიცოცხლის ქმნა... ნამდვილად რთული წარმოსადგენია, როგორ ახერხებს ეს ძალიან ნაზი და მგრძნობიარე, დრეკადი კუნთისგან შემდგარი მცირე ზომის ორგანო, გაუმკლავდეს ერთობ რთულ ამოცანას – მრავალი წლის განმავლობაში გადაქაჩოს მილიონობით ტონა სისხლი და სხეულის ყველაზე მცირე უჯრედებიც კი სასიცოცხლოდ აუცილებელი ენერგიით მოამარაგოს. ჩემთვის ამ პარადოქსში იმალებოდა გულის მოქმედების მეტაფიზიკური არსი, რომელზეც ზევით მქონდა საუბარი. ეს ნიშნავდა, რომ გული არ არის ტუმბო, ან არამხოლოდ ტუმბოა, რომელიც მექანიკურ პომპეს ჩამოჰგავს, ის რაღაც

უმაღლესს კანონებს უკავშირდება, არამხოლოდ მექანიკურს. შეფარდებასა და მისი მუშაობის კანონზომიერებაში ნათლად ვხედავდი ოქროს პროპორციას. ამგვარად, კარდიოქირურგია მნიშვნელოვანწილად ჩემთვის იყო მცდელობა, გამეგო და ამეხსნა ეს საიდუმლო. ავადმყოფ გულზე დაკვირვება შეუფასებელ მასალას იძლეოდა იმის გასაგებად, თუ როგორ მივყავართ ამ ღვთიური პროპორციების რღვევას გულის მუშაობის უკმარისობისა და, საბოლოოდ, სიკვდილისკენ. მივედი დასკვნამდე, რომ გულის ფუნქციასა და სტრუქტურაში პირდაპირი ქირურგიული ჩარევა ამ პროპორციის აღდგენას უნდა ემსახურებოდეს; იმ «ღვთიური სიმრუდის» გასწორებას, რომელიც ახასიათებს გულის ჯანმრთელ სტრუქტურებს და რომელსაც ბუნების უკლებლივ ყველა ქმნილება იმეორებს – ზღვის ნიჟარების ხვეულები, ძველი გაქვავებული მოლუსკები, გალაქტიკის სპირალური კონსტრუქცია; ის შეგვიძლია დავინახოთ არქიტექტორებისა და მხატვრების ნამუშევრებში – იტალიური ცხენების სიმრუდეში, ცნობილი სურათების კომპოზიციებში. მოკლედ, როგორც იმავე ლეონარდომ თქვა, «რაც მეტს ილაპარაკებ მის (გულის) შესახებ, მით უფრო შეძრავ მსმენელთა გონებას».

ჩვენი საქმეები ისრაელში თავიდანვე ძალიან კარგად წარიმართა. მე ერთი შესანიშნავი კლინიკის კარდიოქირურგიის განყოფილების გამგედ დავინიშნე. ესთერმა კერძო სტომატოლოგიური კლინიკა გახსნა. საქმეები წარმატებით წავიდა. ჩვენ სახლი ვიყიდეთ არაჩვეულებრივ არაბულ სოფელ ენ-კარემში, რომლებიც მისმა მკვიდრებმა 48 წელს მიატოვეს. ხედი იერუსალიმის მთებზე, რომელიც იქიდან იშლებოდა, დიდ ბედნიერებას განიჭებდა.

ერთხელ განყოფილებაში ახალგაზრდა არაბი მოიყვანეს, რომელსაც გულის არეში დანით მიყენებული ჭრილობა ჰქონდა. მისი გადარჩენა მოხერხდა. ექიმებს უფრო მეტად უყვართ თავიანთი უიმედო, იმ ქვეყნიდან მათი მობრუნებული ავადმყოფები, ვიდრე მათ ექიმი. მე და ის ბიჭი დავმეგობრდით. როგორც აღმოჩნდა, მისი ოჯახი ენ-კარემიდან გაქცეულა, განთავისუფლებისთვის ბრძოლის დაწყებისთანავე დაუტოვებია სახლი და ძველი ბაღი. მე არ ვუთხარი მას, რომ ენ-კარემზე ვცხოვრობდი. ვერ შევძელი. ან რატომ უნდა მეთქვა?

ერთ დღეს მე და ესთერი სიონის დების მონასტერში ენ-კარემზე წავედით. იუდეის მთები ჩვენ წინაშე აქლემის მძინარე ქარავანივით ესვენა.

ოთხმოცდაათი წლის წინამძღვარი, რომელსაც ამ მონასტრის დამაარსებელი, საფრანგეთიდან ჩამოსული მონათლული ებრაელი, პიერ რატისბონი ახსოვდა, მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ის მოგვიახლოვდა. ვახშამზე მიგვიპატიჟა. ვახშამი იყო მოკრძალებული, მონასტრის ბაღჩის ბოსტნეულით მომზადებული. გვკითხა, რომელ სახლში ვცხოვრობდით. გვითხრა, რომ ახსოვდა მისი ძველი მეპატრონეები. და კიდევ ბევრი სხვა რამ. მართალია, ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩემს საოპერაციო მაგიდაზე მოხვდა, არ ახსოვდა, მაგრამ კარგად ახსოვდა მისი ბაბუა – ის მათ მონასტრის ბოსტნის მოვლაში ეხმარებოდა... ამ დროისთვის ჩვენ უკვე გადავაკეთეთ ძველი სახლი. ეს იყო ჩემი და ესთერის პირველი სახლი. ჩვენ ის ძალიან გვიყვარდა. იმ საღამოს, სახლში რომ დავბრუნდით, ესთერი ატირდა. ჩემი ცოლი არ ყოფილა მტირალა.

სიყმაწვილეში არ მინდოდა, რომ ებრაელი ვყოფილიყავი. ევროპელობა მინდოდა. იმ მომენტში კი მომინდა, არავინ ვყოფილიყავი. და აი, ისრაელში ათწლიანი ცხოვრების შემდეგ, როცა ამერიკიდან შეთავაზება მივიღე, მქონდა კიდევ ერთი მცდელობა ებრაელობაზე თუ არა, ებრაულ ნიადაგზე მაინც მეთქვა უარი – ბოსტონში გადავსახლდი. მაშინ, 1956 წელს პირველად დაიწყო ოპერაციების კეთება «შიშველ» გულზე, რაც ძალიან მაინტერესებდა და რაღაც იდეები მეც მქონდა.

ამერიკა ძალიან მომეწონა კვადრატულ მეტრზე თავისუფლების ხარისხით. თუმცა აქაც, ძველ სახლში, რომელიც ინგლისურ სტილზე იყო ნაგები, ყველაზე თავისუფალ ქვეყანაში, ჩვენ ვცხოვრობდით მიწაზე, რომელიც ოდესღაც ვამპანოაგებსა და პეკოტებს ეკუთვნოდათ.

თუმცა, დიდი ხანია დედამიწაზე აღარ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც ებრაელი თავს სახლში იგრძნობს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

გავიდა მრავალი წელი და მე მივხვდი, რომ ისევე შორს ვიყავი პიროვნული თავისუფლებისგან, როგორც სიყმაწვილეში. ახლა, არა მხოლოდ ყოველდღიურ პრაქტიკულ ქირურგიაზე, არამედ ექსპერიმენტებზეც შეპყრობილივით ვმუშაობდი. ნოეს შვიდი მცნებიდან ერთ-ერთს გამუდმებით ვარღვევდი, რომლის ადრესატიც არა მხოლოდ ებრაელი ხალხი, არამედ მთელი კაცობრიობა იყო: ნუ იქნები სასტიკი ცხოველების მიმართ. საბრალო ჩემი პრიმატები... მათ არ მიუძღვით ბრალი იმაში, რომ მათი სისხლძარღვოვანი სტრუქტურა ძალიან ჰგავს ადამიანისას.

შესაძლოა, სწორედ «იდეისადმი ერთგულების» უნარია ებრაელობის მახასიათებელი ნიშანი?

გამძაფრებული ინტენსივობა. მე გამახსენდა საოცარი ადამიანი – დიტერ შტაინი, რომელიც იემსკის გეტოდან გაქცევას ხელმძღვანელობდა. ჯერ იდეური მოსაზრებით გესტაპოში დაიწყო მუშაობა – ადამიანები ჯოჯოხეთის ბრჭყალებისგან უნდა ეხსნა. შემდეგ მოინათლა – ისევ ადამიანების ჯოჯოხეთის მარწუხებისგან დასახსნელად. უკანასკნელად მას დანჯღრეულ მატარებელში შევხვდი, რომელსაც კრაკოვში მივყავდით. ღამით ტამბურში ვიდექით. ის მეუბნებოდა, რომ იქ მონასტერში უნდა წავიდეს.

ვერ მოვითმინე და ვკითხე:

– ადამიანების გადასარჩენად?

გარეგნულად ის ჩვიდმეტისას ჰგავდა – ხმელი, ტანდაბალი, ებრაელი მოზარდი – როგორ აერიათ გერმანელებს ის პოლონელში? – ბავშვური ღიმილით.

– თითქმის ასეა, ბატონო ექიმო. თქვენ მე გადამარჩინეთ, რათა უფალს ვემსახურო.

მაშინ გამახსენდა, რომ თავის დროზე რუს პარტიზანებთან თავდებად დავუდექი. მეხსიერება ივიწყებს ყველაფერს, რასთან გამკლავებასაც ვერ ახერხებს. როგორ შევძლებდი ცხოვრებას, ყველა ის მასალა რომ მახსოვდეს, რომლის დათვალიერებაც ნიურნბერგის პროცესის დროს მომიხდა.

მაქსიმ ოსიპოვი

ფანტაზია

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

მწერალი, დრამატურგი და ექიმი-კარდიოლოგი მაქსიმ ოსიპოვი 1963 წელს მოსკოვში დაიბადა. არის არაერთი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი. მისი მითხრობები და პიესები ათიოდე ენაზეა თარგმნილი.

– არ გაინძრე, შე ბოზო!

აი, ახლა მკლავებს გადაუგრეხენ, მუქ «ვოლვოთან» მიათრევენ. შემზარავი ძალა – დამთრგუნველი და, ამავდროულად, იმაზე მზრუნველიც, რომ არ იღრიალოს, რამე არ დაიზიანოს. ვიდრე პირში ჩვარს ჩასჩრიან, ერთდერთ იდიოტური შეკითხვის დასმას მოასწრებს – რისთის? ამას მოჰყვება ბნელში ჩაძირვა და სულ სხვა ამბავი, თუკი საერთოდ რამე მიჰყვება, თუ მაშინვე არ დაწვეს კრემატორიუმის ქურაში. სულ სხვაგვარად აპირებდა ამ დღის, განსაკუთრებით კი საღამოს, გატარებას, მაგრამ ამგვარი რამეები მუდამ ასე უეცრად ხდება.

– თქვენ, – ასე აპირებდა მიემართა იმ რვა ქალიშვილისთვის, მის კურსზე რომ ჩაეწერნენ, – სწორედ თქვენ ხართ მიწის მარილი, თქვენი ფასი ოქროთი იწონება. სცენარისტი ერთადერთი საავტორო პროფესიაა. რეჟისორს შეუძლია, საერთოდ არაფერი აკეთოს:

მსახიობები ითამაშებენ, ოპერატორი მათ ლამაზად გადაიღებს, მემონტაჟე კი დაამონტაჟებს. ამიტომაც ყველას რეჟისორობა უნდა, – თავს მოხდენილად აიქნევს, – ცხადია, ისინი არანაირი რეჟისორები არ არიან. თქვენ, – გაიმეორებს, – სწორედ თქვენ ხართ ოქროს ფასი.

ქალიშვილებს საკუთარი ერუდიციით დააფრთხობს, მერე მოუთხრობს ამბავს, რომელშიც თვითონ სასაცილოდ და უხერხულად გამოჩნდება, – ამგვარი ამბების დიდი მარაგი აქვს და ეს მუდამ ხიბლავს აუდიტორიას. თვითონ ოსტატია, ისინი კი – მისი შეგირდები. მათი საქმეა ოსტატისაგან სწავლა, მისი კი – მათთვის კინემატოგრაფიის არსის განმარტება: თუ რა არის კინო და რა ვერ ჩაითვლება კინოდ. ბოლოს კი ერთად ნახავენ ფილმს.

– გარდასახვა, – თითებს ააწკაპუნებს, – გარდასახვაა ყველაფერი. ეგ თუ ვერ მოხდა, მაშინ... ხომ გესმით?

და – საკმარისია. პირველი მეცადინეობისათვის. შემდეგ გაემგზავრება ტყუპებთან, აჩუქებს თავისი სცენარების კრებულს, იქ გემრიელად გაუმასპინძლდებიან, მერე კი დაბრუნდება შინ, ცოლთან – ვარიასთან და ქალიშვილთან – ანიუტასთან, რომლებსაც იმ დროისთვის უკვე ეძინებათ. აი, ასეთი გეგმა.

დილა ერთი სასაცილო და უმნიშვნელო შემთხვევით დაიწყო. თავისი ბოლო სართულიდან ლიფტით მგზავრობისას ახლადჩამოკიდებულ სარკეში იყურებოდა, მერე კი საზეიმოდ გამოწყობილი ბელადის პორტრეტი შენიშნა – მარშალის კიტელი, ვარსკვლავები – ისე დაჟინებით მიაშტერდა, თვალი ვეღარ მოსწყვიტა, – უკვე დააპირა, ნახატი გასაღების წვერით მოეფხიკა, რომ თეთრ კიტელზე შენიშნა ლურჯი წარწერა: **ჯალატი.** თუნდაც

ბეჭდური ასოებით ნაწერში, ანიუტას ხელი მაინც შეუცდომლად ამოიცნობოდა. ამან, ერთი მხრივ, სევდა მოჰგვარა, – ნეტავ იმ გნესინოს ათწლედში საერთოდ რამეს თუ ასწავლიდნენ? – მეორე მხრივ კი გული აუჩუყა და კიტელს ვარსკვლავთან ერთად «ტ»-ასო მოაფხიკა.

სახლი ძველია (ახლა მოაფიქრდა: ყველა თვალსაზრისით, სტალინური), სადრბაზოში მხოლოდ თორმეტი ბინაა, ასე რომ, ორი აზრი არ არსებობს, რომ პორეტრეტი იმ მეზობელმა გააკრა, საშინელი გვარი რომ აქვს – ვობლი. აბა, ვირტუოზი მევიოლინე ვადიკი ხომ არ მოათრევდა ამ საზიზღრობას, არც სასცენო მეტყველების პედაგოგი, ტამარა მაქსიმოვნა, – არა, ვობლი იქნებოდა, ყოფილი ჩამშვები, მეტი ვინ? სადარბაზოდან გასვლისას დაიხარა: რემონტის შემდეგ სამშენებლო კონსტრუქციები – მილებისაგან შეკრული ხარაჩოები – ჯერაც არ დაეშალათ. აი, ახლა დაინახავს კიდეც ამ ვობლის: წელიწადის თბილ დროს მეზობელი გარეთ ატარებს, რადგან შინ მოწევას უკრძალავენ, თანაც, როგორც ჩანს, სადარბაზოსთან თვალთვალი პროფესიულ ჩვევად ექცა. მართალია, ამ ბოლო დროს პატარა სკამით გამოდის: ხერხემალი მაწუხებსო.

– ეგ ყველას გვჭირს. სულ ფეხზე არ გვიწევს მუშაობა? წინათ არც სამეთვალყურეო კამერები არსებობდა, არც, ისინი, მობილურები.

ვერაფერს იტყვი, მართლაც არ არსებობდა.

– სამუშაოზე, ანდრეი გეორგიევიჩ? – იკითხავს ვობლი და საათზე დაიხედავს.

ისიც თავს დაუქნევს და წამით დანაშაულის განცდა მოეძალება, რადგან თორმეტი საათია, ის კი ახლაღა გადის

სახლიდან და, მართლც, სამუშაოს მიაშურებს, თანაც, ფეხით. ზაფხულში მათ უბანში ტროტუარები გააფართოვეს, სამანქანო ნაწილი კი, შესაბამისად, შეავიწროვეს და ქუჩები უცნაურად გამოყურება. განგებ იგრძელებს გზას, რათა იმ ფრანგულ სკოლასთან გაიაროს, რომელიც დაამთავრა: ტიპური ხუთსართულიანი შენობაა, რომელსაც ახლახან მიაშენეს ბრდღვიალა მინის კუბი – სტილით სრულიად შეუფერებელი, მაგრამ მოსკოვი ხომ მთლიანად ეკლექტურია. და, სხვათა შორის, ამ დღეს ვობლი სადარბაზოსთან არ დახვედრია. მოაგონდა, რომ მეზობელი უკვე რამდენმე დღეა, აღარ ჩანდა – ასეთი რამ მაშინ ხდებოდა, როდესაც ხერხემლის სამკურნალოდ საავადმყოფოში ათავსებდნენ ხოლმე. მართლაც, იმკურნალოს, მოუხდება. ამ «ჯალატმა» ხომ სულმთლად გაახალისა.

დიახ, სკოლა ფრანგული დაამთავრა, საუკეთესოდ რომ ითვლებოდა, მერეც არა უშავდა რა – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკურ ფაკულტეტზე სწავლობდა, თუმცა მათემატიკის დიდი ნიჭი არ ჰქონია. ისევე, როგორც ფრანგულის და (როგორც უგუნებობის წუთებში ეფიქრებოდა), საერთოდაც, არაფრის. თუმცა მეგობრებს, რომლებიც უხვად ჰყავდა, პირიქით, მრავალმხრივ ნიჭიერ ადამიანად მიაჩნდათ.

– თქვენ, როგორც უსულო ნივთი, ისე გიყვარვართ, – აგონდება, რომ სტრავინსკი ასე გამოეხმაურა შალიაპინის გარდაცვალებას. თუმცა, შესაძლოა, ეს სტრავინსკის კი არა, ვიღაც სხვას ეთქვა.

– არა, ანდრიუშა, – პასუხობდნენ მეგობრები, – ეს შენ გიყვარს შენი თავი, როგორც ნივთი, ჩვენ კი... ჩვენ უბრალოდ გვიყვარხარ.

და ისიც მშვიდდებოდა, გარკვეული ხნით: მეგობართა და გულისსწორთა გრძნობები ხომ უპირობო ხასიათს არ ატარებენ და დროდადრო განახლებას ითხოვს. რა თქმა უნდა, სხვისი მხრიდან მოწონების სურვილი (მის შემთხვევაში, სრულიად გულიბრყვილო) – ცოდვას წარმოაგენს, თუმცა ხელოვანისთვის მაინც ბუნებრივსა და საპატიოს. ყოველ შემთხვევაში, არცთუ იშვიათს. ცოდვებს რაც შეეხება: სამოქალაქო ქმედებებიდან ყველაზე სამარცხვინო შემთხვევად კომკავშირის რიგებში შესვლას თვლიდა. ბიჭმა, რომლის ოჯახშიც ანტისაბჭოური საქმიანობის ტრადიცია არსებობდა – მათ ბინაში ორჯერ განხორციელა ჩხრეკა (როგორც უფროსები უწოდებდნენ, შმონი) – ანდრიუშამ, მასწავლებლის გასაოცრად, დანარჩენ კლასელებზე უფრო ადრეც კი დაწერა განცხადება. სისულელე, საშინელი სისულელე, თანაც სრულიად ზედმეტი – ოთხმოცდა შვიდ წელს. სამაგიეროდ, ქალებს უცვლელი პატიოსნებით ეპყრობოდა, ამიტომაც უკვე მესამედაა დაქორწინებული.

სცენარისტია, საკმაოდ ცნობილიც, თუმცა, როგორც ვიცით, ჯეროვნად შეფასებული ხელოვანი არ არსებობს. სცენარების გარდა პიესებსაც წერდა, ვიდრე კინომ არ გაიტაცა, ანიუტას დაბადების შემდეგ კი ტელევიზიაზეც დაიწყო მუშაობა. და მექანიკა-მათემატიკური ფაკულტეტი? მათემატიკა ადამიანური აზრის უმაღლესი მიღწევა კია, მაგრამ არავითარი პრაქტიკული გამოყენება არ გააჩნია. ამ ფაკულტეტის არჩევაც დათმობა იყო მშობლების მიმართ, არადა, თვითონ სულ სხვა რამ უნდოდა: წერა, დადგმა, თამაში. მოსკოვის უნივერსიტეტის თეატრალური სტუდია იმხანად საკმარისად მაღალ დონეს შეესაბამებოდა და ანდრეი იქ მთელ საღამოებს ატარებდა, გამოცდებისთვის

კი წაიმეცაინებდა და აბარებდა. როგორც ჩანს, რაღაც ნიჭი მაინც ჰქონდა. ჯარსაც გადაურჩა.

მათემატიკას რომ თავი დავანებოთ, არის რაღაც, რაც მასზე უფრო ძნელი სასწავლია: იფხიზლო, იღვიძო[35], ფარ-ხმალი არ დაყარო. ხომ არაფერი ხდება იმის თანაფარდი, რაც მშოვლებმა გადაიტანეს, ბებია-ბაბუაზე რომ აღარაფერი ვთქვათ? ჰო, ცოტათი გეშინია. მაგრამ უფრო მეტად ხომ მოწყენილობას განიცდი? ასე რომ, არ ღირს, ახლობლებს – მათ, ვინც ნივთზე მეტად გვეძვირფასება, – დამატებითი ტვირთი ავკიდოთ. იქნებ ყველაფერი ასე ცუდად სულაც არ არის? იქნებ ვითარება იმაზე უკეთესია, ვიდრე გგონია? ხომ არ შეიძლება, უბრალოდ იჯდე და არსებული რეჟიმი გძულდეს. უნდა იმუშაო, წერო, ბავშვებს ასწავლო მუსიკა (მეუღლე ვარია ჰარმინიის პედაგოგია), რუსული ენა. ხოლო მათ, ვისაც ნაკლებად ზოგავს, ვისი სიმშვიდეც არაფრად უღირს, პირიქით, ურჩევს, რაც შეიძლება, სწრაფად გაემგზავრონ ემიგრაციაში:

– ფანტაზია მუდამ გვღალატობდა. ემიგრაცია საშინელ რამედ წარმოგვიდგება – პარიზული სარდაფი, ანდა, რა ვიცი, მრავალბინიანი კორპუსი ბრუკლინში... მაგრამ, აი, კოშკურაზე მდგარი დარაჯი და დილის ექვს საათზე საყოველთაო ადგომის სიგნალი რომ წარმოვიდგინოთ, საამისოდ ფანტაზია არ გვყოფნის.

თვითონ კი ფანტაზიასთან პრობლემა არ აქვს. სწორედ ამის გამოა, კოშკურებისა და გუშაგების შესახებ მის მიერვე წამოწყებული საუბრების შემდეგ ღამღამობით საწოლში უძილოდ რომ წრიალებს. საკუთარ თავს აღუთვამს, რომ გახალისებული, მშობლების, ქალიშვილის, ცოლის (ღმერთისა სულ უფრო ნაკლებად სწამს), ბოლოს

და ბოლოს, მეგობრების მიმართ მადლიერების გრძნობით აღვსილი გაიღვიძებს, მაგრამ ნაცვლად ამისა, სულ უფრო ხშირად, განსაკუთრებით, ამ ბოლო დროს, აჩქარებული გულისცემით, დაძაბული და შებოჭილი იღვიძებს. მაგრამ ამას მოერევა, აუცილებლად მოერევა. ყოველ შემთხვევაში, ყველა ღონეს იხმარს, რათა თავის გოგონებს ტანჯვა არ მიაყენოს, – ამ განწყობით ცხოვრობს ეს უკანასკნელი ორწელნახევარია, პირველ სექტემბრამდეც ამით მიატანა.

– ანდრეი გეორგიევიჩ, რატომ დატოვეთ ტელევიზია? – ეს კრასნოდარელი ლიდიაა: დაბალი შუბლი, სწორად შეჭრილი ქოჩორი და სახასიათო კილო, სიტყვებს წვრილწვრილად, სხაპასხუპით რომ აყრის.

– ტელევიზია ყველა წესიერმა ადამიანმა დატოვა, – ნუთუ ეს არ შეუნიშნავს?

აი, მათთან, ყუბანზე... – რა შუაშია ყუბანი? ეს ლიდია ძალიან აქტიური ქალიშვილია. წინათ რას აკეთებდა?

სასცენარო განყოფილების სტუდენტები ყველანი უკვე ოცდაათიოდე წლისები არიან, ყველას განათლება და პროფესია აქვს.

– საბინაო-კომუნალურ დეპარტამენტში ვმუშაობდი. რატომ მეკითხებით?

მაშ, ტელევიზიიდან რატომ წამოვიდა?

– გადავწყვიტე, რომ მეორედ კომკავშირში აღარ შევალ.

გაუგებარია? მით უკეთესი.

აი, მისი კურსიც: ორი ნასტია, ორი ოლია, ერთი-ორი უღიმღალო ჭაბუკი (ესენი, წინასწარ იცის, მალე გაიცხრილებიან: უბრალოდ, შეწყვეტენ სიარულს),

ყუბანელი ლიდია, დაბოლოს, საფრთხის უმთავრესი წყარო – ჭკვიანი, წაბლიფერთმიანი და თოხაკბილებიანი რაქელი. კურსი ორწლიანია, კომერცული, აუცილებელია ყველას აყვანა. მოსწავლეთა სულ ორადორ კატეგორიას უფთხოდა: გიჟებს და ჭკვიან ქალიშვილებს. და, აი, ერთ-ერთი მათგანიც: მსხვილი უსწორმასწორო კბილები, დიდრონი თვალები. როცა იღიმის, ზედა ღრძილები უჩანს. მისგან სცენარებს ვერ ეღირსები, ფანტაზიის ნასახიც კი არ გააჩნია, თავი სარტრითა და დერიდათი აქვს გამოტენილი და, უეჭველია, პედაგოგს ლაპარაკით გააბრუებს. მაგრამ რაქელი ოთხმოცდაშვიდ წელსაა დაბადებული, ესე იგი, ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდ წელს ვიღაცამ თავის ქალიშვილს რაქელი დაარქვა.

მაშ, ასე: ამ ახალგზარდებს სცენარისტობის ხელობა უნდა ასწავლოს. დიახ, დიახ, ჩემო კარგებო, სწორედ ხელობა: რომანტიზმის ეპოქა თითქმის ორას წელიწადს გაგრძელდა, მაგრამ ამჟამად, რახანია, დასრულებულია. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ხელოვანი დიდგვაროვანთა შორის სუფრის თავში იჯდა, სადღაა რიჰარდ ვაგნერის მთელი ეს ვახშმები ბავარიის მეფე ლუდვიგთან ერთად. თუკი რომელიმეს ზეგარდმო შთაგონების იდეები გაქვთ, თავიდან ამოიგდეთ, დაივიწყეთ. ოდესღაც მისი მშობლების მეგობრის, სახელოვანი პიანისტის ტრიუმფის ხანაში (სახელის ხსენებაზე მხოლოდ რაქელი აქნევს თავს, დანარჩენებისათვის ის არაფრისმთქმელია) ბავშვს არიგებდნენ, გენიოსის გვერდით შეუმჩნევლად მოქცეულიყო, ფეხი ისე უხმაუროდ დაებიჯებინა, თითქოს მძიმედ ავადმყოფის სახლში იმყოფებაო, და ღმერთმა ნუ ქნას, ვინმეს ერთი სიტყვა ჩამოეგდო ჩავლილ კონცერტზე, მით უფრო, მომავალზე, საერთოდ, მუსიკაზე. სულ სხვაა

ახლანდელი ახალგზრდები, მათ შორის მრავლადაა შეანიშნავი ოსტატი, თუნდაც, იგივე ვადიკ (გვარს ასახელებს), მისი მეზობელი: ხალხი იყო? კარგად მიგიღეს? როგორ ჩაიარა? ისიც ჩაიბურტყუნებს: ჩაიარაო. ანდა იტყვის: როგორც შემეძლო, ისე დავუკარიო. მორჩა, დასალევად წავედით.

მოწაფეები მიჩუმდნენ, ლიდია რვეულში რაღაცას იწერს. ანდრეის ჯიბეში ტელეფონი ვიბრირებს. აბა, ვნახოთ: არა, უცნობი ნომერია, – და იმაზე გადავიდა, რომ ხელოვნების ვიზუალური დარგები – პირველყოვლისა, კინემატოგრაფი, – სულ უფრო ავიწროებენ ლიტერატურასა და მუსიკას, არც კი იცის, ამის მიზეზი რა არის, იქნებ იმაში, რომ ყველას წარმოსახვა გვაკლია, მაგრამ ახლა უკვე თვითონაც ურჩევნია, იგივე მუსიკას ვიდეო ჩანაწერში, შესაბამისი გამოსახლების თანხლებით უსმინოს. ასე რომ, კოლეგებო, სცენარების წერის, კინოს შექმნის უნარი სასარგებლო რამაა, მაგრამ იძულებულია, გააფრთხილოს, რომ ამჟამინდელ ვითარებაში, ჩვენს ამჟამინდელ ვითარებაში, პერსპექტივები სახარბიელო სულაც არ გახლავთ და თუკი აქ სწრაფი წარმატების რეცეპტისათვის მოსულან, რეცეპტი არ არსებობს: ნურც სწრაფ და ნურც ნელ წარმატებას ნუ მოელიან:

– მრავალი შესანიშნავი არქიტექტორის ბედის გაზიარება მოგვიწევს: ჩვენი გრანდიოზული შენობებიც მხოლოდ ქაღალდზე, ჟურნალებსა და კრებულებში იარსებებს, ეკრანებზე მოხვედრა კი არ უწერიათ.

კარზე კაკუნია. კანცელარიის თანამშრომელი ქალი.

– თუ შეიძლება, კადრების განყოფილებაში მიბრძანდით.

ეს რა არის, ვერ ხედავს, რომ მეცადინეობას ატარებს?

– აღრიცხვის ფურცელი გაქვთ შესავსები. უნდა მიუთითოთ, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში უცხოეთის რომელ ქვეყნებში იმოგზაურეთ.

– არ შეიძლება, ჩაწეროთ, რომ ყველაში?

– რას ჰქვია – ყველაში?!

ჩამოთვლას იწყებს: ავსტრია, ბელგია, საბერძნეთი, უნგრეთი... – სულელური საქციელია სტუდენტების თანდასწრებით ამის თქმა.

– კადრებში მიბრძანით, – აწყვეტინებს ქალი, – არაუგვინეს სამშაბათისა, საზღვარგარეთის პასპორტი თან იქონიეთ.

ქალს დერეფანში გაჰყვა: ბოლოს და ბოლოს, რაშია საქმე?

– თქვენი პირადი საქმე მოითხოვეს.

ჩურჩულით – ეს რაღატომ? უკვე საქმეც არსებობს?

– პირადი საქმე თითოეულ მოქალაქეზეა შემოღებული.

საიდან მოითხოვეს? ყველასი თუ მხოლოდ მისი?

ქალი მხრებს იჩეჩავს: რა საჭიროა კითხვა? თანაგრძნობით შესცქერის:

– რაიმე ხომ არ დაგიწერიათ ისეთი? ან ხომ არ გითქვამთ? დაფიქრდით.

რა უნდა დაეწერა? გული უჩერდება, მერე ძლიერად უფეთქავს. ისევ და ისევ: პაუზა, ბიძგი. იცის, გული არ გაუჩერდება, ეს უბრალოდ ე. წ. ექსტრასისტოლებია[36], საშიში არაფერია, მაგრამ მაინც რაღაცნაირად უსიამო. ერთი-ორჯერ ჩაისუნთქ-ამოისუნთქავს, მერე კი კლასში ბრუნდება.

– აბა, ახლა კი ფილმი ვნახოთ!

პროექტორის სხივში მტვრის ნაწილაკების ტრიალი, თეთრი ეკრანი, ნახევრად ჩაბნელებული ოთახი – სერიოზულ ფილმებს ტელევიზორში არ უყურებენ. ჯერ «გიორგობის თვეს[37]« უჩვენებს, შემდეგ ამ ფილმის სტრუქტურას განუმარტავს. გზადაგზა კარნახობს, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება: საოჯახო ფოტოებს, ბილიარდის ბურთების კაკუნს, დირექტორის კაბინეტში აშლილ პიანინოს, იშვიათ მსხვილ პლანებს, რუსულ ლაპარაკს რადიოში, იმას, რომ ყოველი მოვლენა ორ-ორჯერ მეორდება, თავისი ანარეკლი აქვს. როგორც შეუმშრალი მელანი აღიბეჭდება მეორე გვერდზე, თუკი ნაადრევად დავხურავთ რვეულს.

– ქართველი ქალები რა ულვაშიანები არიან, – ამოიოხრებს ოლია.

ოლიას სიტყვებზე ნუ ვიცინებთ. კიდევ რა შთაბეჭდილებები გაქვთ? თვითონ მას «გიორგობის თვე» მუდამ ჰარმონიულ განწყობას უქმნის და სინამდვილესთან არიგებს. სხვათა შორის, ამ ფილმის ავტორმაც რამდენიმე წელი მათემატიკურ ფაკულტეტზე გაატარა, ვიდრე კინოს სფეროს მიაშურებდა.

მაშ, რაზეა ფილმი? აქ ხომ თითქმის არაფერი ხდება: ღვინის ქარხანაში უხარისხო ღვინის ჩამოსხმას აპირებდნენ, მთავარმა გმირმა კი ეს არ დაუშვა. და ეს, კაცმა რომ თქვას, უმნიშვნელო მოვლენა მარადისობაშია გადატანილი – სოფლური სცენებით, ფოტოსურათების წყებით, ზარის ფინალური ჩამორეკვით. ანდრეის აზრით, ფილმი პიროვნების დაბადებაზე, ადამიანის ღირსებაზეა.

– იქნებ ფესვგადგმულობაზე[38]?

დიახ, გმადლობთ, რაქელ. აი, სათაურს რა უდევს საფუძვლად, ეს მისთვისაც გაურკვეველია: აგვისტოში ფოთლები არ ცვივა.

– ყურძნის ვეგეტატიული ციკლი. ნაყოფის დამწიფება, მერე – ლერწებისა, მერე კი ფოთოლცვენა.

აი, თურმე რა ყოფილა. რაქელი ბოტანიკოსია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით: ბიოლოგური აქვს დამავრებული. მეცნიერული ცოდნა არც ისეა ზედმეტი, ხელვანისათვის კი ის მეტაფორების უშრეტი წყაროა.

– ძირფესვიანად ანტირუსული ფილმია, – ერთბაშად აცხადებს მშვენიერი ლიდია.

პედაგოგი იღიმის:

– იქნებ ანტისაბჭოური?

ქალიშვილს ვიწრო შუბლი ნაოჭებად ეჭმუხნება:

– განსხვავება არ არის, ერთი ოხერია.

არა, ანდრეი არ ეთანხმება. განსხვავება არსებობს.

– ანდრეი გეორგიევიჩ, რა აზრის ხართ ამჟამინდელ ხელისუფლებაზე? დიახ, ჩვენს მოქმედ ხელისუფლებაზე, – ლიდია იმ ადამიანის კილოთი ეკითხება, ვისაც სრული უფლება აქვს, ეს იცოდეს, თვალს თვალში უყრის.

კანცელარიელ ქალთან საუბარი აგონდება. მარჯვე ლიტერატურული ციტატით დაიძვრინოს თავი? მაგრამ ტყუილად ხომ არ უჩვენა «გიორგობის თვე»? მკვახედ პასუხობს:

– უარყოფითი აზრის ვარ.

რაქელი რამდენჯერმე შემოჰკრავს ტაშს: მის გარდა არავისგან იმსახურებს შექებას.

– მორჩა, დავალება ჩაიწერეთ.

რაქელთან ერთად მივიდა მეტრომდე. ქალიშვილს, თურმე, სკოლაში უმუშავია, უკანასკნელ დრომდე, ვიდრე ეს, გასაგები მიზეზების გამო, შეუძლებელი არ გახდა.

– როგორ მიხარია, რომ სწორედ თქვენ გვასწავლით, ანდრეი გეორგიევიჩ. თქვენ არამხოლოდ არაჩვეულებრივად ნიჭიერი ადამიანი ხართ, არამედ ძალიან მამაციც. ალბათ, ერთის გარეშე არც მეორე არსებობს, არა? – დამშვიდობებისას ხელი ჩამოართვა.

მეტროს ვაგონში მოაგონდა ტელეფონი. სულ ექვსი ზარი დაგროვებულა – ერთი და იმავე უცნობი ნომრიდან. სადგურ «ვორობიოვი გორის» რომ მიაღწია, ბაქანზე გადმოვიდა[39]. რაღაც უაზრობაა: «ზარის განხორციელება შეუძლებელია». ქსელური ხარვეზებია? ხელმეორედ სცადა – იგივე. მატარებელში ჩაჯდა და საგდურ «იუგო-ზაპადნაია»-მდე იმგზავრა.

ტყუპებთან მარტო დადის ხოლმე. იქ დახვდებიან დიასახლისები, მისი მეგობრები ადა და გლაშა – ადელაიდა და აგლაია (აი, სადამდე შეიძლება მიგიყვანოს დოსტოევსკის სიყვარულმა[40]), მათი ქმრები ალექსანდრე და ალექსი – კარგა ხანი დასჭირდა, ვიდრე მათ გარჩევას ისწავლიდა – ორივე დადებითი და ცოტათი მოსაწყენი, ორივე ინჟინერი – დღესდღეობით ეს იშვიათი პროფესიაა, იქნებიან მათი შვილები, უკვე მოზარდები, გარდა ამისა, ალბათ, სტუმრების კიდევ სამი-ოთხი წყვილი.

ადა უფროსია, დაზე ათი წუთით ადრე მოევლინა ქვეყანას. «როგორია შენი თავის ზუსტი ასლის ყოლა?» –

«მიჩვეულები ვართ, – პასუხობენ, – არყოლა როგორია?» გვერდიგვერდ ცხოვრობენ მეთექვსმეტეზე – ორი ბინა საერთო აივნით. მასთან ერთად უნივერსიტეტში სწავლობდნენ, ქიმიის ფაკულტეტზე, თუმცა სწავლას ესენიც თეატრს ამჯობინებდნენ. – რა ცოცხალი დრო იყო, არა, ანდრიუშა? იხსენებენ: მაშინ გარშემო ყველა ეწეოდა და მათაც თმაზე, კაბებზე მუდამ სიგარეტის სუნი ჰქონდათ. დროს ხალისიანად ატარებდნენ, თვითონ კერავდნენ კოსტუმებს, დეკორაციებსაც თვითონ აგებნენ. ტყუპებს მუდამ მოეძებნებათ სათამაშო როლები, მაგალითად, ძალზე სასაცილოდ დადგეს «კენტერვილის მოჩვენება», მაგრამ ადასა და გლაშასთვის თეატრი თამაშადვე დარჩა, პროფესიად ვერ იქცა. საბედნიეროდ, ამ ქალიშვილებთან არანაირი სასიყვარულო ისტორია არ ჰქონია, თითქმის არანაირი. გლაშასთან ჰქონდა რაღაც, მაგრამ ისიც უფრო წუთიერი, თანაც – დიდი ხნის წინათ.

სტუმრებიდან ჯერ მხოლოდ ერთი ცოლ-ქმარი დახვდა, მათი გვარ-სახელები არასოდეს იცის. ადრინდელი ნაცნობები მოიკითხა. – საქართველოში გადავიდნენ საცხოვრებლად. – უყურე შენ, ეს მომენტი რაღაცნაირად გამორჩა.

– რა გასაკვირია, შენი გაქანების პატრონს გამოგრჩენოდა, – გლაშენკა მასხრად იგდებს? არა, თითქოს არა.

საუბრები – ჩვეულებრივი, იმის თაობაზე, რომ აგერ, ეს ზაფხულიც დამთავრდა, მშობლების ჯანმრთელობაზე, უფრო კი მათ მძიმე ხასიათზე, ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებიდან ჩამოსული მომვლელების ავკარგინობაზე. თვითონ ანდრეის ამ თემაზე არაფერი აქვს სათქმელი: მის მშობლებს ჯერჯერობით მომვლელები არ სჭირდებათ.

– ანდრიუშა, დღეს რაღაც ფოკუსში არ ხარ, – დებს ერთი სული აქვთ, კერძებიდან მათკენ როდის გადაერთვება და რაიმე სახალისოს უამბობს. მით მეტეს, რომ კიდევ შემწვარი ხოხობი ელოდებათ. ახალი მოწაფეების ამბები აინტერესებთ.

ანდრეი დღევანდელ, უნდა ვაღიაროთ, ცოტა არ იყოს, შემაშფოთებელ მოვლენებს იხსენებს: პირადი საქმის უეცარი მოთხოვნა, ხელისუფლების შესახებ შეკითხვები. და ის, იჭვნეულიც კი არა, უბრალოდ, ყოველგვარი რეაქციისაგან დაცლილი დუმილი, მის პასუხს რომ მოჰყვა – მხოლოდ ცალკეული ეული ტაში, რომელიც სჯობდა, არც ყოფილიყო. აყვირებულიყვნენ მაინც, კამათი აეტეხათ. წინათ, სხვა ჯგუფებთან ამ თემაზე წაუკინკლავია კიდეც.

– ჩვეულებრივი კურსია: ორი ტანია, ორი მაინია, ორიც – სიძე მეჟუევი[41], ერთი აშარი დედაკაცი, მაგრამ, როგორც მომეჩვენა, ერთი სულიერად ახლობელიც გამოვნახე, – დიდად სასიხარულო არაფერია, მაგრამ მაინც სჯობს, უფრო მხნე კილო შეარჩიოს, – ერთიმეორის მიყოლებით ჩემი საყვარელი მოსაზრებებით ვაპურებ, პოლიტიკას სულ არ ვეხები და ერთბაშად გამოხტა, ხომ იცით, ისეთი, კოხტაპრუწა გველაძუა: პატარა პირი, თხელი ტუჩები.

მსმენელებმა ერთურთს გადახედეს: ანდრიუშა საოცრად დაკვირვებულია. სიმართლე თუ გინდათ, არც კი ახსოვს, თუ როგორი პირი აქვს ლიდიას, ამის თქმა თავისთავად გამოუვიდა. თხრობა ბოლომდე მიჰყავს: კადრებსაც მოიხსენიებს, კანცელარიასაც, ცოტას შეალამაზებს კიდეც, – ნებისმიერ ამბავს, თუნდაც სულ უბრალოს, კულმინაცია და დაბოლოება სჭირდება. თრობას მორჩა და ახლა ელოდება, რომ ანუგეშებენ, დაამშვიდებენ, ჩვენს ინსტიტუტებსა და საწარმოებშიც მიმდინარეობს

შემოწმებები, უბრალო ფორმალობაა, ახლა ყველას თავისი გეგმა აქვს შესარულებელი, მათ შორის შემოწმებების მხრივ, საშიში არაფერია, ის დრო აღარ არისო... მაგრამ ყველა დუმს.

– მოკლედ, რა გაეწყობა, – ხომ უნდა დასვას კულმინაციური წერტილი, – თუკი ამ ქვეყანას შემოვრჩი, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო კაცი.

ამის შემდეგ საუბარი ისევ რაღაცნაირად მიიკლაკნება, ხან წარსულს გადასწვდება, ხანაც ბავშვებს, ღვინოც უკვე დალეულია, ხოხობიც – შეჭმული და ანდრეი ხმამაღლა მსჯელობს სამართლიანობის ჩვენეულ მცდარ იდეაზე – თითქოს სამართლიანობა მთავარს მაინც მუდამ თან ახლავს, ანდა საცაა გაიმარჯვებს:

– და ამ ბავშვურ გულუბრყვილობას ვერაფრით აღმოფხვრი. შედეგად, როცა წასაყვანად მოგვაკითხავენ, მხოლოდ გაკვიკვირვებთ: რისთვის, რა დავაშავეთო. მე თვითონაც განებივრებული ვარ. მაგალითად, ჩემთვის არასოდეს დაუწერიათ იმაზე დაბალი ნიშანი, ვიდრე მეკუთვნოდა. ვსწავლობდი შესანიშნავად, განსაკუთრებით, სკოლაში, არადა, არაერთხელ ყოფილა, გაკვეთილი სამიანზე მცოდნია, ისიც, საუკეთესო შემთხვევაში.

– ჩემთვის კი, – ერთბაშად ამბობს ლიოშა, – პირიქითაა.

ლიოშას სამართლიანობაზე განსხვავებული წარმოდგენა აქვს. თუ იმაზე მეტი მოგცეს, რაც დაიმსახურე, ეგ რაღა სამართლიანობაა. თუმცა მას მოთხოვნებიც უფრო მოკრძალებული აქვს. და ლიოშამ, რომელსაც, ჩვეულებრივ, ერთ სიტყვასაც ვერ დააცდენინებ, უამბო, ამ გაზაფხულს მეგობრებთან ერთად სასამართლო პროცესზე

როგორ წავიდა, უფრო სწორედ კი – სასამართლოს შენობასთან, რადგან შიგნით არ შეუშვეს[42].

– ვდგავართ ერთ საათს, ორს, რაღაცას გავყვირით, უფრო კი ადგილზე ვტოკავთ, ხან ერთ ფეხზე ვხტით, ხან მეორზე, რადგან ძალიან ცივა, შორიახლოს გასვლაც კი მომიწია მოსაფსმელად. დავბრუნდი, ისევ ვდგავარ. ამხანაგები დავკარგე: მაინც, ასე, რამდენიმე ასეული ადამიანი შეგროვდა. ვიდრე გასული ვიყავი, საიდანღაც ავტობუსები გაჩნდნენ და სავალი ნაწილი ორივე მხრიდან გადაკეტეს. აცხადებენ: «მოქალაქეებო, გთხოვთ, ტრანსპორტის მოძრაობას ნუ შეაფერხებთ!» არადა, ჩვენ ტროტუარზე ვდგავართ. მერე ჩაჩქანინმა და ფარებიანმა პოლიციელებმა ხალხის სათითოდ დაკავება დაიწყეს, პირველ რიგში, მათი, ვინც ყვიროდა, ან რაიმეთი გამოირჩეოდა – ტრანსპარანტით, ფერადი ქუდით, ან, თუნდაც, წითური წვერით. ავტობუსში ასვლის წინააღმეგი არ ვარ: განყოფილებაში წამიყვანენ, პასპორტს შემიმოწმებენ და გამომიშვებენ, მაგრამ განგებ მაინც არ ვიწევ წინ. ჯერ-ჯერობით ვაკვირდები. ესენი თავისას განაგრძობენ: «მოქალაქეებო, გაათავისუფლეთ სავალი ნაწილი». ვინც ქუჩის მხარესაა, იმათ უკვე განურჩევლად ხვეტენ. მაგრამ გავსებული ავტობუსები მაინც არსად იძვრიან, მე კი, ვგრძნობ, ცოტაც და ისევ გამიჭირდება. როგორც ირკვევა, ჩემ გარდა სხვებსაც უჭირთ. შუა ხნის ინტელიგენტი ქალბატონები ერთმანეთში ლაპარაკობენ: კარგი იქნებოდა, პლასტმასის ბოთლები რომ მოგვემარაგებინა, რადგან, ასეთ ბოთლს ყელს თუ მოაჭრი... იცინიან, კაცებს რა გიჭირთ, მოჭრა არ დაგჭირდებათო. ავდექი და წამოვედი: ავტობუსში შარდვის იდეამ არ მომხიბლა. და არანაირი სურვილი არ

მქონდა, იმისთვის მეცქირა, ქალები ბოთლებში როგორ აფსამენ.

– სულ ეგ იყავი?

– ჰო, ჩემი საპროტესტო საქმიანობა ამით დასრულდა.

– ანდრეი ნამდვილი პედაგოგი გახდა, – დაშამ რატომღაც მესამე პირში მოიხენია, – თავს უსიამოდ გრძნობს, როდესაც ვიღაც მასზე უფრო დიდხანს საუბრობს.

როგორც ჩანს, ისევ თვითონ მიუწევს საუბრის წარმართვა:

– ჩემი აზრით, საქმე ფანტაზიის ნაკლებობაშია. ცხადია, ემიგრაციის სირთულეებს რომ წარმოიდგენ... ვიცი, შემიკედლებს... – ერთ საერთო მეგობარს ასახელებს, რომელიც, უკვე დიდი ხანია, ბრიუსელში ცხოვრობს, – უზარმაზარი ბინა აქვს. ანდა, – მეორეს ასახელებს, – მთელი სახლი აქვს ჰიუსტონში. აი, ის სამსახურში წავიდა, სამსხურიდან მობრუნდა, შენ კი დღეს რა მოიმოქმედე? ჰოლივუდთან დაკავშირებით თუა რაიმე წინსვლა? მაცივარში იხედები და მას კი რატომღაც სახე ეცვლება. «ისე, ანდრიუშ, რაიმე უბრალო სამუშაო რომ მოგეძებნა? დროებით, ცხადია...» რაო – პიცა ვატარო თუ ბუჩქები ვკრიჭო? იქნებ სულაც ქუჩა ვგავო? «სწორად გამიგე, განა ვინმე გაგდებს, უბრალოდ... რაშია საქმე, გეწყინა?» შვილებთან გაუცხოების, ალკოჰოლიზმთან ბრძოლის წარმოსადგენად ფანტაზია საკმარისად გვაქვს. მაგრამ, აბა, ის როგორ მოგეწონებათ, ექვს საათზე საწოლიდან რომ წამოგაფრენენ ხელთათმანების ქარხანაში სამუშაოდ? დაუბანელი სხეულების სიმყრალე, ბანაკის სპეციფიკური ეტიკეტის დაცვის აუცილებლობა. გავაგრძელო? თქვენს სიცოცხლეს ყოველწუთიერი საფრთხე ემუქრება, გამუდმებით განიცდით სითბოს,

საკვების, ჰაერის უკმარისობას. საქმე უკვე მხოლოდ «შვილების კეთილდღეობას» კი არა, უბრალო თვითგადარჩენას ეხება. ინერცია საშინელი რამაა. კისინჯერის[43] ბიოგრაფია თუ იცით? გახსოვთ, მისი ოჯახი რამდენ ხანს წელავდა, ვიდრე ბავარიიდან გაიქცეოდა? დამიჯერეთ, კისინჯერზე ჭკვიანები ნამდვილად არ ვართ.

– ჰიუსტონი... – ადა ჩაფიქრდა, – ანდრიუშ, ჩვენ ვილნიუსში შევიძინეთ ბინა.

– მართლა? დიდი ხანია?

– აი, სწორედ ლიოშამ სასამართლო რომ დალაშქრა, მას მერე.

აგარაკი გაუყიდიათ. დასანანი კია, მაგრამ მუდამ გვიწევს რაღაცის გაწირვა. ასე მსჯელობენ: ვილნიუსი ყველაფრისაგან მაინც ვერ გიხსნის, თუმცა ისრაელის პასპორტით... – უყურე შენ! ისრაელის პასპორტიც ჰქონიათ? – ჯერ მხოლოდ საშას და გლაშას. – საშა ებრაელი თუ იყო, არც კი იცოდა. – ბებიის მხრიდან ცოტათი, დედის მხრიდან კი სწორედ იმდენად, რამდენადაც საჭიროა.

– ანდრიუშა, მგონი, ბოლოს და ბოლოს, აქ მარტო რჩები.

დუმილი.

– «ნადიმი გრძელდება. თავმჯდომარე რჩება მძიმე ფიქრში ჩაძირული»[44], – დრამატულად წარმოთქვამს გლაშა.

საკმაოდ სასტიკი, მაგრამ ზუსტი მინიშნებაა. ადა დას მრავალმნიშვნელოვნად უყურებს:

– ეგ ხომ ყველაფერი ისეა, ყოველი შემთხვევისთვის. ეგებ არც დაგვჭირდეს.

დანარჩენები უკვე ჩაიზე, კანფეტება და კონიაკზე გადაერთნენ.

ცოტა არ იყოს, ჩახუთულობაა. ანდრეი მაგიდიდან დგება, მეზობელ ოთახში ფანჯარასთან მიდის. მოსკოვის თბილი საღამოა, სინათლეები აენთო. ადა აივნის კარს აღებს: რომ ჩამობნელდება, სულმთლად კარგი იქნება. მართალია, ცენტრში არ ცხოვრობენ, მაგრამ თავიანთი რაიონი მოსწონთ. ხოლო რომ გადმოეყუდო და, აი, იქით გაიხედო... – ადა შუშას გვერდზე სწევს.

– არა, ძალიან გთხოვ, არ გინდა!.. – ანდრეი დერეფნისკენ იხევს.

ბოლო დროს სიმაღლის შიში დასჩემდა.

– გეშინია, აივანი არ ჩაინგრეს?

– მეშინია, სულმა არ წამძლიოს. წუთიერ ცდუნებას არ ავყვე და...

ადა თავის დას ეძახის.

– იცი, რაღაც არ მომწონს შენი განწყობა. ანდრიუშა, შენ მუდამ ვითარების ზღვარს გარეთ გაბიჯებას ლამობ. მაგრამ არც ის გეშლებოდა, თეატრი დროულად გადაგედო გვერდზე და სესიისათვის მზადება დაგეწყო.

ჰო, იყო ეგ დროც... ფეხსაცმელებს იცვამს: ცოტა უნდა იმოძრაოს, ფეხით გაიაროს. ხომ არაფერია, სტუმრებს რომ არ დაემშვიდობა?

– ანდა, იცით, რა... რაღაც ფეხები მეკეცება. დაიკოებო, ტაქსი გამომიძახეთ.

აცილებენ, აქეთ-იქიდან ლოყებზე კოცნიან:

– სისუსტეშია ძალა ჩვენი.

– ხოლო სუსტნი ვართ განუზომელად[45], – უღიმიან, ხელს უქნევენ.

მათი ალერსი სხვა ვითარებაში ძალზე საამო იქნებოდა – ისეთი ლამაზები არიან, ისეთი ახლობელნი. მაგრამ დღეს ვერც ტყუპებმა გაახალისეს, ვერც დალეულმა ღვინომ დაათრო. თუმცა თითქმის არც დაულევია.

– ამის დედაც! – მძღოლი წიხლს ურტყამს მუხრუჭებს, ანდრეის მტკივნეულ ძილ-ბურანს უფრთხობს, – დაინახე, რას შვრება? ამათთვის, – ისევ გინებას ჩაურთავს, – ამათთვის ყველაფერი შეიძლება. ნომერი ნახე? EKX97. იცი, ეგ რა სერიაცაა[46]?

საიდან უნდა იცოდეს რაღაც მანქანის ნომრების ამბავი? სთხოვს, რადიოს ჩაუწიეო, – რუსული რეპი დღესდღეობით ყველაზე უარესი რამ არ არის, რა უშავს, იყოს, ოღონდაც, ცოტა ხმადაბლა, – და ისევ ცდილობს იმ ნომერზე დარეკვას, რომლიდანაც მეცადინეობის დროს ურეკავდნენ. ამჯერად მექანიკური ხმა ინდივიდუალური პაროლის შეყვანას სთავაზობს. რა პაროლი? ეს რაღა ჯანდაბაა?

– ამ გადაპრანჭული აპარატებით, – მძღოლი მის ტელეფონზე მიუთითებს, – ნებისმიერს გამოითვლიან. ყველაფერს გაიგებენ, ვინ სად იმყოფება, ვინ რას ლაპარაკობს. რომც გამორთო და ელემენტი გამოაცალო, მაინც. სპეცტექნოლოგიები. ყველანი სათაგურში ვართ.

ნეტავ უკანა სავარძელზე დამჯდარიყო. მაშ, რას ამბობდა საავტომობილო ნომრებზე? – მძღოლმაც უამბო: ერთი კვირის წინ სიდედრს რომ ასაფლავებდა, კრემატორიუმს ურიგოდ მიადგა ასეთივე ნომრიანი მანქანა, «ფორდი», მინივენი, მძღოლი მარტო იყო, დამხმარე არავინ ახლდა,

თანამშრომლებთან მივიდა, ისინი ორი კუბოს გადმოსვენებაში მიეხმარნენ, მათთან ერთად ისიც შიგნით შევიდა, მორჩა: სამ წუთში უკან გამოდის, მანქანას ქოქავს და მიდის.

– იმ კუბოებში ვინ იყო? – ცდილობს, ხმაში კანკალი არ შეერიოს.

– აბა, რა ვიცი. იქნებ ჩვენნაირი ტიპები.

თავს ძალიან ცუდად გრძნობს, სუნთქვა უხშირდება, თვალებში უბნელდება, გული აუტანლად უჩქროლდება. ფანჯარა როგორ იღება? მინას ბოლომდე სწევს, სახეს ცივი ჰაერის ჭავლს უშვერს. ნებართვას არ ითხოვს, ისე ატრიალებს რადიოს ბორბალს და ხმას უმატებს. მძღოლის ხმა აღარ ესმის – ნებისმიერი რეპი, ნებისმიერი ნაგავი სჯობს კუბოების ამბავს. სარკეზე წარწერაა: Objects in mirror are closer than they appear. მუსიკის რიტმში იწყებს გამეორებას: Objects in mirror / Closer than they appear. სარკეში საგნები უფრო ახლოა, ვიდრე გვეჩვენება. უფრო ახლონი არიან, ვიდრე გვეჩვენებიან თუ ვიდრე ჩნდებიან? ისწავლეთ ენები, გამოგადგებათ! მაინც სად არიან closer? სარკეში? ფიქრები ერევა. Objects in mirror... ეგ საერთოდ რას ნიშნავს? – რაო? არა, რწყევას არ აპირებს. ცალმხრივიო? არაფერია, აქ ჩამოვალ. ერთი სული აქვს, შინ მიაღწიოს. როგორ აკანკალებს! თავის შესახვევს თითმის სირბილით აღწევს, აი, სადარბაზოც. სულ რაღაც ოცაათი მეტრი და შინაა. მაგრამ სადარბაზოს წინ ზედ ტროტუარზე უცნობი მუქი «ვოლვო» დგას, ჩაბნელებულია, თუმცა ძრავა მუშაობს. გვერდით – გრძელი ჩრდილები. ნომერი? რომელი ასოები უნდა იყოსო, რა თქვა მძღოლმა? ნომრებს თითქოს განგებ აქვს ტალახი მოცხობილი. არა, ჩრდილი ერთია, მაგრამ ორმაგი. ჯიბეში გასაღებების ასხმას უჭერს ხელს, იქნებ

პირველი სართულის ფანჯარაში ისროლოს, მინა ჩაამტვრიოს და ატეხილი ხმაურით მიიქციოს ყურადღება? გაიქცეს? ფეხებს ვერც კი გრძნობს. ახია ჩემზე. კისინჯერი? აი, ახლა ერთ-ორ ნაბიჯსაც გადადგამს, გაიგონებს: «არ გაინძრე, შე ბოზო!» და საშინელი ძალა მხარში დასწვდება.

ჩრდილი სანთებელას აწკაპუნებს, სიგარეტს უკიდებს. ღმერთო, ვობლი!

იმანაც იცნო:

– ანდრეი გეორგიევიჩ, დასასვენებლად?..

გონზე არ არის, კარებს მივარდება და უეცრად თავში დარტყმას გრძნობს. მილები, ხარაჩოები, სულ გადაავიწყდა, შესვლისას თავი არ დაუხრია. ძლიერი დარტყმისაგან ჩაცუცქდება. ხელს შუბლზე იჭერს. არა, სისხლი არ მოსდის. სულს ითქვამს. ვობლი მისკენ იხრება, დახმარებას სთავაზობს, არ არის საჭირო, ყველაფერი კარგადაა. ყველაფერი მართლაც კარგადაა, უბრალოდ, ძალიან სტკივა თავი.

«წკიპურტი მშიშარას» – სკოლაში ასე იცოდნენ ხოლმე. ცივი უნდა მიიდოს. ლიფტში შევიდა, სარკეს შუბლი მიადო, ნახევარ წუთს ასე იდგა. ღილაკს დააჭირა და, ვიდრე თავის სართულზე ადიოდა, ტკივილი გაუნელდა. სარკეს მოსცილდა, საკუთარ თავს გულდასმით დააკვირდა: დიდი ხანია, ასეთი შიში აღარ უჭამია. «წკიპურტი მშიშარას» – ფრანგულიც გადაავიწყდა, მათემატიკაც, აი, ასეთი სისულელე კი დღემდე ახსოვს.

ჩუმად შევიდა ბინაში, ჯერ საძინებელში შეიხედა, მერე კი ქალიშვილთან, ანიუტასთან. როგორც მოელოდა, უკვე ეძინათ. ვინ იყო, – მგონი, ჰებელსი, – ომის დასასრულს თავისი ქალიშვილები რომ მოწამლა? გავიდა

სამზარეულოში, ერთხანს ფანჯარასთან იდგა და ჩაბნელებულ ცარიელ ტროტუარს დაჰყურებდა. მერე აბაზანაში გავიდა, აიღო საპონი, ჯაგრისი, ტაშტი წყლით აავსო და ლიფტის კედელი მანამ ხეხა, ვიდრე ულვაშიანი გარეწარი მთლიანად არ წაშალა. ნაგლეჯები შახტაში გადახვეტა. ერთხანს ტკბებოდა ლიფტის სუფთა, ჯერაც სველი კედლის ცქერით. მერე ისევ შეხედა საკუთარ თავს სარკეში. მაშ, ასე. ისევ შეუძლია ჩათვალოს, რომ ყოჩაღია?

[1] რობერტ ჯონსონი – მე-20 საუკუნის ბლუზის მომღერალი და გიტარისტი. ლეგენდის მიხედვით, მისისიპის შტატის 61-ე და 49-ე გზების კვეთაზე, ჯონსონმა სული მიჰყიდა ეშმაკს გიტარაზე დაკვრის სანაცვლოდ და მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი.

[2] რუსი მარქსისტი პოლიტოლოგისა და კულტუროლოგის, ალექსანდრ ტარასოვის დამკვიდრებული ტერმინი, რომლითაც ის ახასიათებს საბჭოთა ნომენკლატურის იმ ნაწილს, რომელიც სსრკ-სა და და «აღმოსავლური ბლოკის» ქვეყნებში «რეალური სოციალიზმის» მარცხის შემდეგ წარმოების საშუალებების მესაკუთრე გახდა. ტარასოვის აზრით მესაკუთრედ გახდომისადმი სწრაფვა, ბიუროკრატიის, როგორც სოციალური ფენომენის, ბუნებაშია. იხ. Тарасов А. Н. Бюрократия как социальный паразит // saint-juste.narod.ru/bur-sm.html

[3] სინამდვილეში, მართებული იქნებოდა, ამ ტექსტისთვის «ვრცელი მოთხრობა» გვეწოდებინა, მაგრამ, რადგან ეს აღნიშვნა საკმაოდ მოუქნელია, ხოლო შესაბამისი (ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, «повесть» რუსულ ენაში) ტერმინი ქართულ ლიტმცოდნეობაში არ მოგვეპოვება, დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ და მოცემულ ტექსტს რომანად მოვიხსენიებთ.

[4] სამართლიანობა მოითხოვს, ავღნიშნოთ, რომ იყო გამონაკლისებიც. მაგ., გიორგი ხასაიას კომენტარი «ქალაქსა და წმინდანებზე» (http://liberali.ge/blogs/view/6128/qalaqi-da-tsmindanebi), რომელშიც, მიუხედავად ტექსტის მცირე ზომისა, კარგად იყო ახსნილი მოთხრობების არსი. ილია ურუშაძის წერილი «ლიტერატურული დასვენება და მაიაკოვსკის თეატრი» (http://demo.ge/index.php?do=full&id=1363), რომელშიც ავტორი

რომანის სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტებზე საუბრობს. გარკვეული აზრით, ეს ტექსტი ურუშაძის სტატიაში გამოთქმული მოსაზრებების გაგრძელებას და განვრცობას წარმოადგენს. საინტერესო იყო გიორგი ფირცხალაიშვილის წერილი (http://arilimag.ge/გიორგი-ფირცხალაიშვილი-ც/), რომელშიც ის, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში პირველად მიუდგა მხატვრულ ტექსტს ფროიდო-მარქსიზმის, ერიხ ფრომისეული ფსიქოანალიზის პოზიციებიდან.

[5] გიორგი ხასაიასა და ვაკო ნაცვლიშვილის თარგმანი.

[6] Лифшиц М. А. Ответы на анкету редакции «методологического сборника» ИМЛИ имени А. М. Горького АН СССР // Вопросы литературы. 1986. № 12. გვ. 107.

[7] იმ გაუგებრობისთვის თავის ასარიდებლად, რომელიც, შესაძლოა, იდეოლოგიის ცნების ორაზროვნებამ გამოიწვიოს, ვიტყვი, რომ მოცემულ ტექსტში იდეოლოგია ორგვარი მნიშვნელობით იქნება გამოყენებული: 1) ნეგატიურით, რომელიც ახალგაზრდა მარქსის ნაწერებში გვხვდება, როგორც «ყალბი ცნობიერება», საზოგადოებაში გაბატონებული იდეები, რომელსაც დომინანტი კლასები და ფენები თავს ახვევენ საზოგადოებას სახელმწიფო იდეოლოგიური აპარატების, «სამოქალაქო საზოგადოების» ინსტიტუტების (სკოლის, ეკლესიის, უნივერსიტეტის, ტელევიზიის, პრესის, პოლიტიკური პარტიებისა და ა.შ.) მეშვეობით, რაც მათივე ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურება; 2) პოზიტიურით, რომელიც გვიანდელი პერიოდის მარქსთან არის ფორმულირებული, საკუთრივ, როგორც იდეოლოგიური ფორმები, – სამართალი, ფილოსოფია, რელიგია და ა.შ – რომლებშიც ადამიანები

ცხოვრობენ და აცნობიერებენ წარმოების წესსა და საწარმოო ურთიერთობებში წარმოქმნილ კონფლიქტებს. ამ მნიშვნელობით იდეოლოგია ადამიანთა ყოფიერების აუცილებელი და სასიცოცხლო კომპონენტია. იმედი მაქვს, მკითხველი კონტექსტიდან მიხვდება, კონკრეტულ შემთხვევაში რომელი კონოტაციით იქნება ის გამოყენებული.

[8] Иглтон Т. Теория литературы. Введение.М.: Территория Будущего. 2010. გვ. 176.

[9] რაც არ უშლის ხელს ზოგიერთ მათგანს, «პროგრესულის" იმიჯს ამოფარებულ პოლიტიკოსებს საჯაროდ დაუჭიროს მხარი.

[10] Louis Althusser, Lenin and Philosophy and Other Essays, Monthly Review Press, New York - London, 1971. გვ. 175.

[11] http://liberali.ge/blogs/view/6128/qalaqi-da-tsmindanebi

[12] ბრეხტი ბ. პატარა ორგანონი თეატრისთვის. თბ., ხელოვნება, 1982. თეზისი 55. გვ. 47.

[13] Грамши А. Ненавижу равнодушных // http://scepsis.net/library/id–3317.html

[14] საერთაშორისო მასშტაბში მათი რაოდენობა, ბუნებრივია, გაცილებით დიდია.

[15] http://www.radiotavisupleba.ge/a/tsotne-tskhvedianis-kalaki-da-tsmindanebi/26923789.html;

[16] მე ვეყრდნობი ფრანგი ფილოსოფოსის პიერ მაშრეს მოსაზრებას, რომ კრიტიკის ამოცანა უნდა იყოს ტექსტის ახსნა, განმარტება და არა ინტერპრეტირება, რადგან ინტერპრეტაცია ტექსტის გადამუშავებას, ერთგვარ იდეალურ ნორმატივთან თანხვედრაში მყოფ შესწორებას

გულისხმობს, რითაც ხდება ტექსტის, როგორც ასეთის, უარყოფა. ინტერპრეტაციული კრიტიკა «აორებს» ტექსტს, ახდენს მის მოდიფიცირებას, ამზადებს მას უფრო მოსახერხებელი მოხმარებისთვის. იხ. Pier Macherey, A theory of literary production. 1978. Boston. Routledge & Kegan Paul. Chapter 13. გვ. 75-81.

[17] Лифшц М.А. Карл Маркс. Искусство и общественный идеал. М.: Художественная литература, 1979. გვ. 54-55

[18] Георг Лукач. Художник и Критик. http://mesotes.ru/lukacs/hkritik.html

[19] ჰეგელთან, როგორც აბსოლუტური გონის გაუცხოვება მატერიალურ სამყაროში. ფოიერბახის ანთროპოლოგიურ მატერიალიზმში კი ადამიანის გაუცხოვების წყაროდ რელიგია წარმოგვიდგება და ღმერთების თაყვანისცემისას, სინამდვილეში, ადამიანი საკუთარ გაუცხოვებულ არსებას სცემს თაყვანს.

[20] Ильенков Э. Искуство и Коммунистический идеал. М.: «Искуство», 1984. გვ. 226-227.

[21] ლიტერატურისა და ინტელექტუალური საქმიანობის სხვა დარგების გასაქონლების მოვლენა ჯერ კიდევ XIX ს-ის 40-იან წლებში შენიშნა ბალზაკმა და ასახა თავის რომანში «დაკარგული ილუზიები».

[22] Маркузе Г. Одномерный человек. М.: REFL-book. 1994. გვ. 73-74.

[23] იხ. იქვე. ნაწ. III. თ. 3.

[24] ჯეიმისონი ფ. პოსტმოდერნიზმი და სამომხმარებო საზოგადოება//თარგმანების კრებული. თბ., ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2015. გვ. 90.

[25] Иглтон Т. Теория литературы. Введение. გვ. 272.

[26] იქვე. გვ. 272-273.

[27] იქვე.

[28] იქვე. გვ. 185.

[29] პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი პაროდიის ფორმა, რომელშიც თავად პაროდიის პრინციპი უარიყოფა და ადგილს უთმობს ირონიის თავისუფალ, უშინაარსო თამაშს. მითითებულ ტექსტში ჯეიმისონი ამგვარ განმარტებას აძლევს ამ ტერმინს: «უფერული პაროდია, რომელმაც დაკარგა იუმორის გრძნობა».

[30] ჯეიმისონი ფ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 90-91.

[31] Тарасов А.Н., Десятилетие Позора. Тезисы обвинительной речи// http://scepsis.net/library/id–1000html (რუსულად), http://scepsis.net/eng/articles/id–9.php (ინგლისურად).

[32] ბელინსკი ბ. რჩეული თხზულებანი. თბ., სახელმწიფო გამომცემლობა, 1952. გვ. 515.

[33] Лифшиц М.А. Собрание сочинений в трех томах. Том III. М.: «Изобразительное искусство”, 1988. გვ. 5-6.

[34] Лукач Г. Художник и критик // http://mesotes.ru/lukacs/hkritik.html

[35] იგულისხმება ფრაზა ახალი აღთქმიდან, პეტრეს პირველი წერილიდან (5:8): «იფხიზლეთ, იღვიძეთ, ვინაიდან თქვენი მტერი, ეშმაკი დაძრწის, როგორც მბრდღვინავი ლომი, და ეძებს მსხვერპლს».

[36] გულის არითმია.

[37] ოთარ იოსელიანის მიერ 1966 წელს გადაღებული ფილმი. რუსულ თარგმანში ჰქვია «Листопад» –

ფოთოლცვენა.

[38] იგულისხმება ფრანგი მოაზროვნის, სიმონა ვეილის მიერ შექმნილი ცნება, რომელიც საფუძლად უდევს მის წიგნს «ფესვგადგმულობის შესახებ».

[39] მოსკოვის მეტროს ეს სადგური მიწის ზედაპირზეა განლაგებული და მასზე მობილური ტელეფონები კარგად მუშაობს.

[40] ადელაიდა და აგლაია დოსტოევსკის რომანის, «იდიოტის» პერსონაჟები არიან.

[41] ტექსტში მინიშნებაა გოგოლის «მკვდარი სულების» პერსონაჟ მეჟუევზე, ნოზდრიოვის სიძეზე, რომელიც გულგრილობასა და უხალისობას განასახიერებს.

[42] იგულისხმება პოლიტიკური პატიმრების სასამართლო პროცესი.

[43] ჰენრი ალფრედ კისინჯერი (დაიბ. 1923) - ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი. მისმა ოჯახმა 1938 წელს ნაციონალ-სოცილისტური რეჟიმის გამო დატოვა გერმანია.

[44] ფინალური რემარკა ა. ს. პუშკინის «პატარა ტრაგედიებში» შესული დრამატული სცენდან «ლხინი ჟამიანობისას».

[45] ციტატა შექსპირის «ჭირვეულის მორჯულებიდან».

[46] ამ სერიის ნომრები დაცვის ფედერალური სამსახურის (ФСО) მანქანებს უყენიათ.